# კვირის პალიტრა

32 გვ

№ 35 (280) ◆ 28 აგვისტო – 3 სექტემბერი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „ეგებ სჯობს საქართველო გამოვაცხადოთ სრულიად დაშლილად“...



— რაც შეეხება NATO-ს შემოსვლას საქართველოში... ისინი აქ ჯარებს არ დააყენებენ. თუ ეს ჯარი დარტყმის რისკის ქვეშ აღმოჩნდება, ხალხი დაეღუპებათ და ვის დასახმარებლადაც მოვიდნენ, ისინი ხელსაც არ გაანძრევენ... ზურგით სათრევი ქვეყანა ნატოს არ სჭირდება.

... ის მენტალიტეტი, რომ არჩეული ხელისუფალი შენი მსახურია და არა ბატონი, არც ჩვენს ხალხშია გამჯდარი და არც საზოგადოების არც ერთ ფენაში.

... კორუფცია ქართველი ადამიანის კულტურაშიც კი ჩაჯდა.

გვ.3

## სექტემბრიდან რაღაც-რაღაცები დაიწყებაო...



გვ.6

მოსახლეობას ჩვენი მთავრობა რკინის გისოსებით ემიჯნება..

როგორც ჩანს, გაჩნდა ამის აუცილებლობა...

ჩვენი გემოვნებიანი მკითხველი დასასვენებლად ირჩევს კანარის კუნძულებს გვ.31

**საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

## –კინოსტუდიაში კრების ოქმი გააყალბეს...

... გაოგნებული ვარ... რამ გადარია ეს ხალხი... აქამდე ჩემთან იყვნენ ჩახუტებულები და მამას მეძახდნენ.



გვ.7

**რეზო ჩხეიძე**

... ჩვენ გვჭირდება ნიჭიერი რეჟისორები, კარგი სცენარები და არა ისეთი „პადხალიმები“, ჩხეიძეს რომ ახვევია... ჩხეიძე უნდა გადადგეს.

**გიორგი შენგელაია**

## „ელიავას საქმეზე“ კვირაია მაინც დაჰკითხეს

მისი დაკითხვის შემდეგ გამომძიებელს რამოდენიმე პიროვნების დაკითხვაც მოუწია... ვინ არიან ისინი?

მართლა შეხვდა კვირაია ელიავას საგურამოში? გვ.5

## ახლაც ხშირი ყოფილა სიკვდილიანობა თუშეთის გზაზე

– 200 სული ცხვარი შარშანწინ ლეკებმა მომტაცეს... მწყემსებს ხელ-ფეხი გაგვიკრეს, 32 ძროხა და 4 ცხენი წაიყვანეს... წნევამ დამარტყა, ნახევარი კაცი დავრჩი... მწყემსს სანადირო დანასაც არ უჩერებენ... გვ.6

## ამან ჩვენი „გამობრძმედილი“ გულიც კი შეძრა



გვ.8

... სოცუზრუნველყოფის სამინისტროდან უფეხო მამაკაცი ფოფხვით გამოვიდა, მანქანის სავალ ნაწილს მიაღწია და იქ გაჩერდა... მოძრაობა შეწყდა... ავტოინსპექტორები ლანძღვით მისცვივდნენ...

**ვახო საქმეში;**
**მიშა პოზაში;**
**კახა ლომკაში** გვ.31

**ფოტოპალიტრა**

## *სამხედრო თემაზე*

ამ სპეციალური სამაშველო აღჭურვილობით „კურსკის“ მეზღვაურები 100 მეტრის სიღრმიდან თავადვე ამოცურავდნენ წყლის ზედაპირზე. გვ.9

## შეიძლება მათ ამის საშუალება არ მიეცათ...



## ვინ იქნება შსს-ს მინისტრი

***პრეზიდენტს შეიძლება თამაშში ახალი მხედარი დასჭირდეს...***



– რატომღაც მგონია, ასეთი ხმების გავრცელებით პროვოკაციას მიწყობენ... თუმცა, არაფერს გამოვრიცხავ.

– ცილისწამებაა, რომ თითქოს შსს-დან წამალს ჰყიდდნენ, ან „ბარიგასთან“ იყვნენ შეკრულნი..

– 300 ლარზე ცოტა მეტი მაქვს ხელფასი... მაგრამ რატომ გგონიათ, რომ მყოფნის. გვ.14

**ბურულებო!** „კაცი კი გყავთ თლათ ზემოთ“, მაგრამ რადგან თქვენი სუნთქვით ეკოსისტემას ზიანს აყენებთ, ორ-ორი ლარი... უნდა გადაიხადოთ. გვ.8


**ფირმა „ბერმუხა“**



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


## საკვირაო



ტელე-კინოაფიშა
28 აგვისტო
3 სექტემბერი

გვ. 16-17

ვერსია

## XX საუკუნის უდიდესი აფერისტი

იგი 14 თვის წინ მოულოდნელად გაუჩინარდა. აშშ-ის გფბ და ინტერპოლი დღესაც განაგრძობს ძიებას... ჰქონდათ თითქოსდა აწყობილი და გათვლილი გეგმა — ოპერაცია რესტორანში დაიგეგმა, მაგრამ დარეკა ლოდინით ცოტა არ იყოს გაბეზრებული აგენტის მობილურმა ტელეფონმა... — ის რეკავდა: დილით ჩემს ასტროლოგიურ რუკას დავხედე, ვარსკვლავებმა ცუდი დღე მიწინასწარმეტყველეს და... ნუღარ მელოდებითო... გვ.10

Неделя · Коммандос · Частная жизнь · Телохранитель · За рубежом · Московские новости · Newsweek · Focus · Общая газета · Der Spiegel · Комсомольская правда · МК · stern · Сегодня · Клюква · Известия · Труд · Совершенно секретно · Аргументы и факты · Иностранец · Le Figaro Magazine · Paris Match · ТВ Парк · Лица · Огонёк · daily · Le Nouvel Observateur · Итоги

# დედა ღვთისმშობლის მადლი გფარავდეთ

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ახალი დაპირებები

ბაკურიანში გამართულ პარლამენტის ბიუროს გამსვლელ სხდომაზე მოქალაქეთა კავშირმა წარმოადგინა ახალი „რადიკალური პროგრამა“, რომელიც რამდენიმე პუნქტისგან შედგება. მოელიან, რომ მათგან ერთ-ერთი აუცილებლად აღუდგენს მმართველ პარტიას შელახულ იმიჯს. ეს პუნქტები ითვალსწინებს საკანონმდებლო ინიციატივით შესვლას პარლამენტში. იგი გულისხმობს ავტომანქანათა ტექდათვალიერების პროცესის გამარტივებას, მისი საფასურის საგრძნობლად გაიაფებას! ამით, სააკაშვილის თქმით, დარტყმა მიადგებათ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც თავიანთი ინტერესები აქვთ ამ სფეროში. ტექდათვალიერება გაიაფდება... ოთხჯერ, ხოლო ხუთჯერ — პირადობის მოწმოებებისა და პასპორტების ღირებულება.

პროგრამის მეორე პუნქტი, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პასპორტებში, ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის ეროვნების დაფიქსირებას ეხება...

## ბიზნესი ან დეპუტატობა

შემოდგომაზე, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი სესიაზე იმ დეპუტატთა გვარებს დაასახელებს, რომლებიც პარლამენტში საკუთარ ბიზნესს ლობირებენ. მმართველი უმრავლესობის წარმომადგენლები იმუქრებიან, რომ არავითარ თანამდებობის პირებს არ მოერიდებიან, ამხელენ მათ და კატეგორიულად დაუსვამენ საკითხს: ან ბიზნესს დაანებონ თავი, ან დეპუტატობა დათმონ! მიშა სააკაშვილი სთავაზობს პარლამენტსა და საზოგადოებას, რომ შეიქმნას სპეციალური კომიტეტი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლებისაგან, რომელიც ყველა მიღებულ კანონს გაფილტრავს, გაარკვევს, რომელმა დეპუტატმა რა ინიციატივა, წინადადება ჩადო ამა თუ იმ კანონში და შეამოწმებს, ხომ არ დევს იქ რომელიმე დეპუტატის ინტერესი! ამასთან, სახელმწიფო მოხელეების მიერ კანონის დარღვევით პრივატიზებული ქონება ჩამოერთმევა ყველას! ხოლო დეკლარაციებში მითითებული ქონებრივი ინფორმაციები გადაისინჯება!

## ლიდერებმა თავზე ხელი აიღეს

ნიკო ლეკიშვილმა მართლაც „დახურა“ და დღის წესრიგში დააყენა საპარლამენტო რეფორმის წინადადება. მისი თქმით, მკვეთრად უნდა შემცირდეს დეპუტატთა რაოდენობა, ანუ განახევრდეს და დეპუტატებს მოეხსნათ იმუნიტეტი! ლეკიშვილს არც ელდარ შენგელაია ჩამორჩა, რომელმაც უმრავლესობიდან, როგორც იქნა, ჯერჯერობით, ერთადერთმა აღიარა, რომ არჩევნები საქართველოში სამარცხვინოდ და არადემოკრატიულად ჩატარდა და მოითხოვა, დაჩქარდეს ახალი საარჩევნო კოდექსის შემუშავება. ბატონი ელდარი ძალიან შეუწუხებია იმ ფაქტს, რომ დასავლეთის მასმედიას „თურმე“ დღემდე არ დავიწყებია საქართველოში გაყალბებული არჩევნები! ელდარ შენგელაიამ რიტორიკული შეკითხვაც დასვა — კი მაგრამ, გვჭირდა საამისოდ რამე?! მოკლედ, როგორც ჩანს, მმართველი პარტიის უმრავლესობის ლიდერებმა „თავზე ხელი აიღეს“ და საშემოდგომო სესიაზე ალბათ შეეცდებიან, გასცენ პასუხი კითხვას — მართლაცდა, გვჭირდა საამისოდ რამე, რომ ქვეყანა აქამდე მიგვეყვანა?!

## სკანდალი ჭიათურმანგანუმში

ჭიათურმანგანუმის ირგვლივ მიმდინარე სკანდალზე ხელისუფლებაში ყველა ალაპარაკდა. ჭიათურმანგანუმის ადგილობრივ ხელმძღვანელობასა და ინვენსტორ ჩეხურ ფირმა „საგაპრინტს“ შორის არსებულ კონფლიქტში და საწარმოში მომხდარ ყველა დარღვევაში პარლამენტის ეკონომიკური კომიტეტი არასწორად განხორციელებულ პრივატიზაციას ადანაშაულებს. ამ ერთი და სხვა უამრავი არასწორი პრივატიზაციის შედეგად საქართველომ უზარმაზარი ზარალი ნახა, რადგან ხელისუფლებას ამ საწარმოების სამართავად საკმარისი ბერკეტები არ გააჩნია. ეს იმიტომ, რომ თავის დროზე უცხოელ პარტნიორებთან თუ ინვესტორებთან უმეტეს შემთხვევაში ხელშეკრულებებს დანაშაულებრივად უუნარო ქართველი ჩინოვნიკები ქართული მხარის საზიანო პირობებით აფორმებდნენ, რის სავალალო შედეგსაც იმკის დღეს ქვეყანა. ამ ჩინოვნიკებსა და მათ უკან მდგარი დაინტერესებული წრეების ვინაობის დასახელებას კი ხელისუფლება კვლავ შეგნებულად გაურბის(!). რაც შეეხება „საგაპრინტის“ მიმართ ქართული მხარის პრეტენზიებს, „საგაპრინტს“ 1 მლნ დოლარის ინვესტიცია აქვს განსახორციელებელი საწარმოში და 1 მლნ დავალიანება აქვს საწარმოსა და ბიუჯეტისადმი. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია, ეკონომიკის სამინისტრო და ჭიათურმაგნიუმის თანამშრომლები ინვესტორის დაუყოვნებლივ საქართველოდან გაშვებას ითხოვდნენ, თბილისში სასწრაფოდ ჩამოსულმა „საგაპრინტის“ პრეზიდენტმა მიხელ ხალკომ პირობა დადო, რომ ერთ თვეში დააკმაყოფილებდა ქართული მხარის ყველა პრეტენზიას. ამასთან, ნახევარი წლით იგი თვითონ შეასრულებს გენერალური დირექტორის მოვალეობას.

## ვაის გავეყარე, უის შევეყარე

გვალვითა და უწყლობით გაწამებულ საქართველოს რეგიონებს, როგორც იქნა, ეღირსა ცის ნამი, მაგრამ... მესხეთში ხალხს ნიაღვარი სახლებში შეუვარდა, ჩამოწოლილმა მიწამ რკინიგზის მონაკვეთები დაფარა... სუფსის ტერმინალის მახლობლად კი ამორტიზირებული მილსადენის შეკეთებისას ნავთობმა „ამოხეთქა“. ამას დაერთო კოკისპირული წვიმაც და შედეგად ერთმანეთში არეული წყლისა და ნავთობის ნიაღვარი მიმდებარე სიმინდის ყანებში შევარდა. ბუნებრივია, ყანები ეკოლოგიურად დაბინძურდა და მოსავალიც გამოუსადეგარი გახდა. ახლა ნავთობკორპორაციის ხელმძღვანელობა ითვლის ზარალის შედეგებს და მოსახლეობას განადგურბეული ჭირნახულის სანაცვლოდ ფულად კომპენსაციას ურიგებს. იმავდროულად, კორპორაცია გამწმენდ სამუშაოებსაც ეწევა ყანებში, რათა ეკოლოგიურად ნორმაში მოიყვანოს ნიადაგი, ხოლო ნავთობით ყველაზე მასშტაბურად გაჟღენთილი მიწის გრუნტები ეკოლოგიურად სუფთა მიწით შეცვალოს.

## მსჯელობენ საგაისო ბიუჯეტზე

საქართველოს მთავრობაში არ წყდება მსჯელობა 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრების შესახებ. ეკონომიკის სამინისტრომ ახალი კონცეფცია შეიმუშავა, რომლის თანახმადაც, ქვეყანაში საგადასახადო ბაზა რეალურად არის ერთი მილიარდ 600 მილიონი ლარი, რომლის 100-იანი ამოღება შემოსავლების მინისტრის მიშა მაჭავარიანის თქმით, სავსებით შესაძლებელია, თუ ბოლომდე მივა რეფორმები. ჩხარტიშვილის მიერ წარდგენილი კონცეფცია პრეზიდენტმაც მოიწონა, თუმცა განაცხადა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის აღმოფხვრაზე გაცილებით მეტი ყურადღება უნდა იყოს კონცენტრირებული(!) აღნიშნული კონცეფციის ძირითადი პრინციპი კი, უდეფიციტო ბიუჯეტი, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და სხვადასხვა სფეროების დაფინანსების გაწევაა!

## გადავარჩინოთ ბიბლიოთეკები!

საბიუჯეტო კრიზისისა და ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საქმეში ჩაფლულმა სახელმწიფო მინისტრმა ინტელექტუალური სფეროსთვისაც მოიცალა და პრეზიდენტთან შეთანხმების შემდეგ ერის ისეთი სულიერი საგანძურის გადარჩენის პროექტის შემუშავებას შეუდგა, როგორიც საქართველოს ბიბლიოთეკებია. უსახსრობის გამო ბიბლიოთეკათა აბსოლუტურ უმრავლესობას ჟურნალ-გაზეთები აღარ მიეწოდება! ამან კი ის შეიძლება მოიტანოს, რომ ჩვენი მომავალი თაობები ბოლო ათწლეულის პერიოდიკის გარეშე დარჩეს. თბილისის ბიბლიოთეკების მდგომარეობის გაცნობით ნირწამხდარმა ინტელექტუალმა სახელმწიფო მინისტრმა პირობა დადო, რომ აამოძრავებს იმ ძალებს, რომლებიც ვალდებულნი არიან, იზრუნონ ბიბლიოთეკებზე, რომ მიმართავს იმ წრეებს, რომლებსაც აქვთ სახსრები... გია არსენიშვილმა სინანულით ისიც აღნიშნა, რომ მისი თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად, მას არ ექვემდებარება არანაირი ფინანსები, თორემ დაუყოვნებლივ გამონახავდა საშუალებას ამ ეროვნული და საშვილიშვილო საქმის მოსაგვარებლად...

## მოტოციკლით ნავთობის გზაზე

მიმდინარეობს კასპიის ნავთობის მარაგიდან პირველი ბარელის „გადაქაჩვის“ სიმბოლური ოდისეა ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მარშრუტით. მოტორალი, რომლის მონაწილეები რვა ქვეყნის — საქართველოს, აზერბაიჯანის, აშშ-ს, ინგლისის, შოტლანდიის, თურქეთის, შვეციისა და ნორვეგიის წარმომადგენლები არიან (სულ 26 კაცი), 22 აგვისტოს დაიწყო ბაქოდან. მოტოციკლისტები ნავთობის საერთაშორისო საოპერაციო კონსორციუმის თანამშრომლები არიან, რომლებსაც მოტოციკლის ეტლზე დამაგრებული საგანგებო ავზით ერთი ბარელი ნავთობი მიაქვთ ჯეიხანში. ოდისეის მონაწილეები დიდი ზარ-ზეიმით გამოაცილა ბაქოდან ჰეიდარ ალიევმა, ისინი თბილისში მიიღო ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც მათთან შეხვედრაზე, თავისი ჯეელობის დროინდელი კიდევ ერთი ჰობი გაიხსენა... აღმოჩნდა, რომ ჩვენი პრეზიდენტი მოტოციკლის დიდი მოყვარული ყოფილა და ყამირის ათვისების ეპოპეის დროს ყაზახეთის სტეპებში დააქროლებდა! მოტორალის მონაწილეებმა კი უკვე გადაკვეთეს საქართველოს საზღვარი და ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მიაქვთ კასპიის ნავთობის პირველი ბარელი!

## კიტოვანი მოსკოვს მიემგზავრება

„ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და საქართველოში შექმნილი არაჯანსაღი პოლიტიკური ვითარების, კლანების თარეშისა და ქვეყნის ძარცვის პროცესის ხილვით მოთმინებადაკარგული“ თენგიზ კიტოვანი მეუღლესთან ერთად დროებით მიდის მოსკოვში საცხოვრებლად და სამკურნალოდ. მისი მასპინძელი ძველი ძმა და მეგობარი პავლიკ გრაჩოვი იქნება(!).

## საქართველოს პრეზიდენტი — ათასწლეულის სამიტზე

***(მეილექსპრესი)*** გაეროს ათასწლეულის სამიტი, რომელიც 2000 წლის 6-8 სექტემბერს ტარდება ნიუ-იორკში, საერთაშორისო სისტემის განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენს.

როგორც გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო წესრიგი მოძველდა და გზას უთმობს გლობალურ სისტემას, რომელშიც სუვერენულ სახელმწიფოსთან ერთად ინდივიდუუმის ფაქტორიცაა წინ წამოწეული.

ათასწლეულის სამიტის ფარგლებში გამართულ დებატებში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა სამიტზე 7 სექტემბერსაა დაგეგმილი. სამიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი შეხვდება მსოფლიო სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებს.

## გათხრები გრძელდება

მორიგი არქეოლოგიური ძეგლები და ექსპონატები აღმოაჩინეს აჭარაში. ჩაქვის წყლის ხეობაში მეცნიერებმა გათხარეს უძველესი რკინის სადნობი სახელოსნო-სამჭედლო. ვარაუდობენ, რომ არქეოლოგიური აღმოჩენა ძველი წელთაღრიცხვის მე-8-9 საუკუნეებს განეკუთვნება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში უხსოვარ დროში განვითარებული იყო მეტალურგია. არქეოლოგები პირდაპირ აცხადებენ, რომ ჩაქვის წყლის ხეობაში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლი შეიძლება ჩაითვალოს იმ დროისთვის მძლავრ სამთო-მეტალურგიულ ცენტრად!

გათხრები გრძელდება და მოელიან, რომ ხეობა კიდევ არაერთ არქეოლოგიურ სიურპრიზს შესთავაზებს მეცნიერებს!

## „კოკა-კოლა“ ფულად კომპენსაციას იხდის

ამას წინათ, ქართული მასმედიით, კერძოდ, ტელეკომპანიებით გავრცელებულ ინფორმაციაში, სადაც ასახული იყო უზენაეს სასამართლოში გამართული სასამართლო პროცესი და გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც კომპანია „კოკა-კოლამ“ ფულადი კომპენსაცია უნდა გადაუხადოს მხატვარ დიმიტრი ცუცქირიძეს (მხატვარს „კოკა-კოლას“ 400 კილოგრამიანი შიტი დაეცა და დააინვალიდა), გაიპარა უზუსტობა, რასაც ვერ ასცდა ჩვენი გაზეთიც. კერძოდ, დიმიტრი ცუცქირიძის ნაცვლად დაიბეჭდა ლევან ცუცქირიძე, რისთვისაც ღვაწლმოსილ მხატვარს ვუხდით ბოდიშს!

## საზაფხულო ეგზეკუცია გალში

გალის რაიონის სოფლებში მორიგი საზაფხულო ეგზეკუციები დაიწყეს არძინბას ბანდფორმირებებმა, რომლებიც იძულებით ართმევენ ქართულ მოსახლეობას თხილის მოსავალს. ეგზეკუტორებს ზურგს არძინბას მიერ დამატებით გაგზავნილი მილიციის რაზმები უმაგრებენ. აფსუა ბანდიტებმა სოფელ თაგილონში კი ნამდვილი სადამსჯელო ოპერაცია განახორციელეს. სახლებიდან ქართველები გამორეკეს, ერთად შეკრიბეს (მსგავს მეთოდებს ჰიტლერელები იყენებდნენ რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში) და უბრძანეს, დაესახელებინათ ახლახან მოკლული აფხაზი ბიზნესმენის მკვლელის ვინაობა. როცა პასუხი ვერ მიიღეს, აფსუებმა ცეცხლი გახსნეს და მძიმედ დაჭრეს 36 წლის ელგუჯა ჩხეტია... ადგილობრივი მოსახლეობა შველას ითხოვს, მათი გამკითხავი კი არავინაა!

## სამხრეთ ოსეთი დახმარებას ითხოვს

თბილისს უშუქობით შეწუხებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის მთავრობის წარმომადგენელი მერაბ ჩიგოევი ეწვია დელეგაციითურთ. გია არსენიშვილთან დახურულ კარს მიღმა გამართული მოლაპარაკების შემდეგ ჩიგოევმა ბრძანა, რომ მან „კოლეგა“(!) სახელმწიფო მინისტრს სთხოვა, რომ ჩრდილოეთ ოსეთში სტიქიური უბედურებისგან დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზების გამორთვის გამო, სამხრეთ ოსეთი უშუქოდ დარჩა და იქნებ საქართველოდან(!) მოგვაშველოთ ელექტროენერგია სამხრეთ ოსეთშიო(!). ოსებმა იმედიანად დატოვეს თბილისი და განაცხადეს, რომ პოლიტიკურ საკითხებზე არანაირი საუბარი არ გვქონიაო!

## თავდასხმა „საროსკიპოზე“

ხაშურის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, თურქი მძღოლებისათვის მოქმედ არალეგალურ საროსკიპოს ქუთაისელი „განგსტერები“ დაეცნენ, რომლებმაც მხოლოდ... ერთხელ გაისროლეს, მაგრამ ვერავინ დააზიანეს. ერთ როსკიპ ქართველ გოგონას მთელი ღამის გასამრჯელო — 60 დოლარი წაართვეს, მაგრამ „მეტი“ ვეღარაფერი შეძლეს. სამუშაო საათებისაგან იმ წუთში თავისუფლად მყოფი როსკიპები წივილ-კივილით მისცვივდნენ „განგსტერებს“ და სულ კუდით ქვა ასროლინეს. როსკიპებისგან დაწიოკებულ „განგსტერებს“ (ისინი შეიარაღებული იყვნენ ერთი ავტომატით და რამდენიმე პისტოლეტით) ხაშურელი პოლიციელები დაედევნენ და სამი მათგანი გაქაჩეს...

## საზარელი მკვლელობა

გორის რაიონში საზარელი მკვლელობა მოხდა. ერთმა გალეშილმა ჯეელმა საკუთარი დეიდაშვილი და მისი მეგობარი ბარიდან მდელოზე წაიყვანა ქეიფის გასაგრძელებლად, იქ მათთან შეკამათება მოუვიდა და შემდეგ ორივეს... ქვით თავები დაუჩეჩქვა. მიცვალებულები ერთი კვირის მანძილზე ეყარნენ მინდორში(!). მკვლელი დააკავეს.




## მგელი არ იშლის მგლობასა

თუ რუსეთის მასმედიის ანტიქართულ პროპაგანდასა და რიტორიკას დღემდე რაღაც ორგანიზებულობა ახასიათებდა, როგორც ჩანს, „კურსკის“ სამარცხვინო ტრაგედიამ საბოლოოდ აურია თავგზა რუს ანალიტიკოსებს, ჟურნალისტებსა თუ პრესსამსახურებს! საქმე ის არის, რომ რუსეთის მედიამ კვლავ ომახიანად ამცნო მსოფლიოს, საქართველოდან ჩეჩნეთში ისლამისტ ბოევიკთა ქარავანი(!) შევიდა 100 კაცის შემადგენლობითო. ეს დეზინფორმაცია რუსეთის გენერალური შტაბის წყაროზე დაყრდნობით გაავრცელეს; ხოლო რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ეს ასკაციანი ჯგუფი ინგუშეთის ტერიტორიის გავლით ცდილობდა საქართველოში შესვლას(!). ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთში დისლოცირებული რუსეთის არმიის გენერლები ამტკიცებენ, ასკაციანი ჯგუფი კი არა, ერთი ტერორისტიც ვერ გადაადგილდება ამხელა მანძილზე, იგი აუცილებლად ლიკვიდირებული იქნებაო!

## გაიფიცნენ აზერბაიჯანელი ჟურნალისტები

პარასკევს აზერბაიჯანში დაიწყო ჟურნალისტთა სამდღიანი გაფიცვა, რომელშიც 27 გაზეთი და სამი დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო მონაწილეობს. ჟურნალისტები პროტესტს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ხელისუფლებამ გასულ სამშაბათს ოპოზიციური გაზეთის „მუსავატის“ მთავარი რედაქტორი რაუფ არიფ-ოღლუ დააპატიმრა. მისდამი წაყენებული ბრალდების თანახმად, არიფ-ოღლუ დაკავშირებული იყო იმ ტერორისტთან, რომელმაც ბაქოში სამგზავრო თვითმფრინავის გატაცება სცადა რამდენიმე დღით ადრე! ჟურნალისტებს კი მიაჩნიათ, რომ მისი დაპატიმრებით ალიევის რეჟიმი ცდილობს ზეწოლა მოახდინოს თავისუფალ პრესაზე! მათ განზრახული აქვთ მიმართონ ევროსაბჭოს, რათა მან გააუქმოს ამ ორგანიზაციაში აზერბაიჯანის გაწევრებაზე ადრე მიღებული გადაწყვეტილება(!)

## კატასტროფა კენიაში

***(რუსული პრესის მიხედვით)*** აღმოსავლეთ კენიაში ხიდიდან გადავარდა სამგზავრო ავტობუსი, რომელიც ქალაქ მაუადან ინდოეთის ოკეანის ნაპირზე, პორტ მომბასასკენ მიემართებოდა. პოლიციელების აზრით, კატასტროფის მიზეზი მანქანის გადატვირთულობა გახდა. უკანასკნელ 5 წელიწადში ამ ხიდზე რამდენიმე კატასტროფა მოხდა და მთლიანობაში 158 ადამიანი დაიღუპა.

## სტიქიამ იმძლავრა

მუსონურმა გაბმულმა წვიმებმა ძლიერი წყალდიდობა გამოიწვია ინდოეთის სამხრეთით. სტიქიის მსხვერპლი გახდა 100-ზე მეტი ადამიანი. ანდჰრა-პარადეშის შტატიდან ევაკუირებულია 50 ათასზე მეტი ადამიანი. სინოპტიკოსების ცნობით, ამგვარი წყალდიდობა ამ რეგიონში უკანასკნელი 50 წლის მანძილზე არ ყოფილა.

## ოპერაცია ნარკოსაქმოსანთა წინააღმდეგ

***(გეა)*** აშშ-ისა და რამდენიმე ლათინურამერიკული ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული ერთობლივი ოპერაციის შედეგად შესაძლებელი გახდა ნარკოსაქმოსანთა უმსხვილესი საერთაშორისო ბანდის მოქმედებების აღკვეთა.

დამნაშავეებს კოლუმბიური კოკაინი ვენესუელის გავლით აშშ-სა და ევროპაში გადაჰქონდათ და ამ მიზნით 10 მსხვილ საოკეანო ხომალდს იყენებდნენ.

ოპერაციის მსვლელობისას საერთო ჯამში 25 ტონა ნარკოტიკული ნივთიერება დააკავეს, ერთი მილიარდი დოლარის ღირებულებით. ოპერაციის კოდური სახელწოდება იყო „მოგზაურობა“ და მასში 12 ქვეყნის პოლიციელები მონაწილეობდნენ. „მოგზაურობის“ ფარგლებში უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში სამართალდამცავებმა 40-მდე ადამიანი დააკავეს.

„მიუხედავად იმისა, რომ კრემლის კაბინეტი ას დღეზე ცოტა მეტი ხნის წინ დავიკავე, მაინც სრულად ვიღებ ჩემს თავზე პასუხისმგებლობას და „კურსკის“ ტრაგედიის გამო თავს დამნაშავედ ვგრძნობ“... იტყვის ნირწამხდარი პრეზიდენტი პუტინი რუსეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში და არც იმ ოლიგარქებს დაივიწყებს, რომლებმაც, მისი თქმითვე, სახელმწიფო და შეიარაღებული ძალები დაასუსტეს! ეს კრიტიკა, უწინარესად, აშკარად ბორის ბერეზოვსკის მისამართით იყო ნათქვამი, რომელმაც დაღუპულ მეზღვაურთა ოჯახების დასახმარებლად ფულის შეგროვების კამპანია დაიწყო და რითაც კიდევ უფრო დასცა პუტინისა და მისი რეჟიმის ისედაც გვარიანად შელახული იმიჯი და რეიტინგი... „უმჯობესი იქნებოდა მათ საფრანგეთისა და ესპანეთის ზღვისპირეთში სხვის სახელებზე შეძენილი ვილები გაეყიდათ“, ესღა ამოღერღა პუტინმა ბერეზოვსკის ინიციატივასთან დაკავშირებით და ამით, ნებსით თუ უნებლიედ, ხაზი გაუსვა რუსეთში არსებული ძირმომპალი სისტემისა და კრიზისის ფაქტს...

საუბედუროდ, რუსეთისაგან არაფრით განსხვავდება საქართველოც და მართალია, ჩვენ წყალქვეშა ნავები არ გვყავს და შესაბამისად, არც მათი შესაძლო კატასტროფები გვემუქრება, მაგრამ იგივე არაეფექტური მართვის სისტემის, კორუფციისა და განუკითხაობის გამო, რომ მართლაც კატასტროფული ვითარებაა ყველა დარგსა და სფეროში, ამას ხელისუფლებაც აღარ უარყოფს დიდი ხანია... „კურსკის“ დაღუპვის ირგვლივ კი უამრავი ვერსია გამოითქმება, არ გამორიცხავენ დივერსიასაც, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ეს კატასტროფა, ვფიქრობ, ეფექტურად გამოიყენეს დაინტერესებულმა ძალებმა, ავტორიტარული რეჟიმის დასამყარებლად პუტინის მიერ გატარებული ზომებისა და გეგმების დასასამარებლად! და მაინც, რუსეთში მიმდინარე პროცესები სერიოზულ ანალიზს საჭიროებს, რაც იქ შექმნილი ვითარების ჩვენს სასარგებლოდ გამოყენების შანსსაც იძლევა... ამასთან, სექტემბერში თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ნატოს გენერალური მდივანი რობერტსონი, რაც საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანის პროცესის ფონზე მართლაც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება! ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრები პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პოლიტოლოგ **დავით დარჩიაშვილს**:

ტრაგედია შეიძლება ამერიკულ წყალქვეშა ნავსაც შეემთხვეს, მაგრამ ის რაც „კურსკის“ 10-დღიანი „ეპოპეისას“ ვიხილეთ, მოწმობს რუსეთის არმიის ორგანიზაციული მხარის უმდაბლეს დონეს, სისტემის სრულიად მოშლას. როცა ბრიტანელი და ნორვეგიელი მაშველები ადგილზევე ითხოვდნენ რუსი სამხედროებისგან სასწრაფო კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას, ისინი რაღაც ქაღალდებით ინსტანციებში დარბოდნენ.

— ბიუროკრატიის გარეშე არც ერთი სახელმწიფო არ არსებობს, მაგრამ რუსეთსა და საქართველოში არსებული გადაგვარებული ბიუროკრატიული აპარატის უბედურებაც ის არის, რომ ისინი ყოველთვის ცდილობენ მშრალზე დარჩენას არა მხოლოდ იმითი, რომ დანაშაულში არ იყვნენ მხილებულნი, არამედ იმით, რომ საერთოდ არ მიიღონ გადაწყვეტილებები. ბიუროკრატს სურს, რაც შეიძლება ბუნდოვანი ინსტრუქციები ჰქონდეს, რათა კონკრეტულად პასუხისმგებელი არაფერზე იყოს, ან საბოლოო ჯამში არც მიიღოს გადაწყვეტილება, რომელსაც მისი სახელი დაერქმევა... ერთმანეთის ყურებაში, არაფერი გაკეთებულა რუსი მეზღვაურების გადასარჩენად. ეს ეხება ყველა სფეროს, მაგრამ „კურსკის“ ტრაგედიაში მოხდა ფოკუსირება იმ დიდი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკისა, რაც რუსეთს ახასიათებს და სადაც ხალხზე, მის სიცოცხლეზე, ტრადიციულად, ყველაზე ნაკლებს ფიქრობდნენ და ფიქრობენ.

**— ფაქტია, რომ პუტინის რეიტინგი, იმიჯი უკიდურესად დაეცა. გვახსოვს ბორის ელცინის მმართველობის ბოლო წლებიც, როცა მისი რეიტინგი ნულს იყო გატოლებული, მაგრამ ელცინს ჰყავდა მძლავრი გარემოცვა, იგივე ოლიგარქები, მასმედიის გავლენიანი ნაწილი, შეიძლება ითქვას, რომ პუტინის მთავარ დასაყრდენ ძალად ამ ეტაპზე რჩება მხოლოდ უშიშროება... დავუმატოთ ამას ჩეჩნეთის დაუმთავრებელი ომიც და საკმაო საფუძველი გვექნება იმის სავარაუდოდ, რომ პუტინს ძალიან გაუჭირდება უახლოეს მომავალში. საქართველოს აქვს შანსი თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს ეს ფაქტორი...**

— ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ტრაგედიამ შეიძლება შეიწიროს პუტინის კარიერა და შეიძლება გადარჩეს კიდეც, რადგან დემოკრატიული ბერკეტები, საზოგადოებისა და მასმედიის ზეგავლენა რუსეთის პოლიტიკურ ელიტაზე არ არის ძლიერი და მით უმეტეს, გადამწყვეტი განაჩენის გამომტანი. შეიძლება, პუტინმა, როგორც პრაგმატიკოსმა გამონახოს საერთო ენა მისთვის საჭირო ძალებთან. იმავე ოლიგარქებთან საბოლოოდ არა აქვს გაფუჭებული ურთიერთობა და მათ წინააღმდეგ გატარებული ზომები შეიძლება სულაც პუტინის პოპულისტური ნაბიჯი აღმოჩნდეს, რომლის მიზანიც ხალხის გულის მოგებაა... გნებავთ საქართველოს სინამდვილე გავიხსენოთ, როცა თითქოსდა დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები და კლანები შესანიშნავად შეთანხმებულან და მორგებიან ერთმანეთს. ასე რომ, პუტინმაც შეიძლება დააღწიოს თავი ამ მდგომარეობას, თუმცა ნდობის აღდგენა ხალხის თვალში ძალიან გაუჭირდება... რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ რუსეთი, როგორც პოლიტიკური სისტემა, არის უკიდურესად არასანდო, მყიფე, არაპროგნოზირებადი. ამიტომ, სჯობს, რომ რაც მეტად იქნება საქართველო დისტანცირებული ამ პოლიტიკური სისტემისგან, მით უკეთესი ჩვენთვის.

**— ფაქტია, რომ მიმდინარეობს საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანის პროცესი, შეიმჩნევა დასავლეთის პოლიტიკის გააქტიურება საქართველოსთან მიმართებაში, მხედველობაში მაქვს სექტემბერში ნატოს გენერალური მდივნის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში. ამასთან, ამერიკელები გვპირდებიან დახმარების კიდევ უფრო გაზრდას და მე მეშინია, რომ დასავლეთის ეს მორიგი ძალისხმევაც ქარს არ გავატანოთ...**

— რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ დასავლეთის ინტერესი საქართველოსადმი, საერთოდ, რეგიონისადმი არ კლებულობს, სურს რომ აქ დამკვიდრდეს მაქსიმალურად ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემა, რათა საქართველო და სამხრეთ კავკასია არ იქცეს რომელიღაც მეზობელი ქვეყნის ექსკლუზიური გავლენის სფეროდ, ან აქ არ აგორდეს ანარქია და ქაოსი, არამედ



**„მდინარის შუაში თუ დგახარ, ვერ დაგეხმარები. ან ჩემსკენ გამოცურე, ან იქით დაუბრუნდი ძველ ნაპირს“.**

ბიზნესისა და ნორმალური ურთიერთობისთვის შეიქმნას ნორმალური კლიმატი. ეს არის დასავლეთის ძირითადი ინტერესი. ამასთან, ზოგიერთ წრეებში ეს ინტერესი უფრო სამხედრო-სტრატეგიულ ხასიათსაც იძენს, რომელთათვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში ვის ეყოლება სამხედრო ბაზები და ვის არა! ასეთი მიდგომა რუსეთს ახასიათებს და ნაწილობრივ აშშ-ს, უფრო ნაკლებად ევროპას. დასავლეთიც არ არის ერთიანი იმაში, თუ როგორ და რა გზით განახორციელოს თავისი ინტერესები ჩვენს რეგიონში. მისი ძალისხმევა არ არის საკმარისი და იმის გარანტი, რომ საქართველოში არსებული უმძიმესი პრობლემები, თუ რუსეთთან ურთიერთობის საკითხები, იოლად გადაწყდება. არა მგონია, რომ რომელიმე პრაგმატულად მოაზროვნე პოლიტიკოსმა, დემოკრატიულმა ქვეყანამ ჩვენი გასაკეთებელი საქმე თვითონ გააკეთოს. აი, რუსეთს რომ ზედმეტი ფული ჰქონდეს, ის ამას გააკეთებდა, რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს შემოუშვებდა საქართველოში, ერთბაშად მოგვიხსნიდა ხელფასების, პენსიების პრობლემას და შედეგად, ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილში მისთვის სასურველ პოლიტიკურ დივიდენდებსაც მოიპოვებდა. კერძოდ, დიდი შანსი იქნებოდა, რომ ჩვენ რუსეთ-ბელორუსიის კავშირის მსგავს ურთიერთობებში აღმოვჩენილიყავით. დიახ, რუსეთი ამას გააკეთებდა, რადგან დასავლეთისგან განსხვავებით საკმაოდ ირაციონალური პოლიტიკის გამტარებელია ტრადიციულად... ამიტომ, დღეს გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ და პასუხისმგებლობაც იკისროს ამა თუ იმ პრობლემის მოგვარება-არმოგვარებაზე. მაგრამ, აშკარად ჩანს, რომ გადაწყვეტილების მიღების ნების და პასუხისმგებლობის აღების დეფიციტია აბსოლუტურად ყველა სფეროში, სადაც კორუფციას აქვს გადაფარული ყველაფერი. არ არის გამორიცხული, რომ თუ ასე გაგრძელდა კვლავაც, იმავე ნატოს წევრმა ქვეყნებმა, რომლებსაც ცალ-ცალკე საკუთარი აზრი აქვთ, იმედი დაკარგონ, რომ აქ რაიმე ნორმალური, სტაბილური საქმის გაკეთება შეიძლება. ეს საფრთხე რეალურად გვემუქრება, მიუხედავად იმისა, რომ რობერტსონი ჩამოდის თბილისში. არადა, ამ ვიზიტის მნიშვნელობა უაღრესად დიდია. ნატო ამით აკეთებს ჟესტს, რომ საქართველო კვლავაც დასავლეთის ყურადღების ქვეშაა...

**— შეიძლება ითქვას, რომ საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანის პროცესის ფონზე, ეს ერთგვარი დემარშიცაა ნატოს მხრიდან? მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, როგორც ობივატელს ჰგონია, რომ რუსების წასვლის შემდეგ ნატოს სამხედრო კონტინგენტი უმალ დაიკავებს, ვთქვათ, ვაზიანის ბაზას...**

— თვითონ დასავლელი პოლიტიკოსები ძალიან გაურბიან ასეთ შეფასებას და ვფიქრობ, სწორადაც იქცევიან, რათა არ გააღიზიანონ რუსეთი და არ ათქმევინონ, რომ როგორც რუსეთი, ჯერჯერობით, კვლავაც ცხოვრობს და აზროვნებს იმპერიული მენტალიტეტით, ასევე აზროვნებს დასავლეთიცო! არც არის დასავლეთის თანამედროვე პოლიტიკის სტილში ის, რომ დემარშებით და გადაჭრით გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება მოვლენებისადმი. მათი დამოკიდებულება ჩვენდამი იმისდა მიხედვით განვითარდება, როგორც ჩვენ მოვიქცევით. საერთოდ კი, დასავლეთი მართლაც მიმართავს დემარშს საქართველოში რეფორმების მხარდასაჭერად. რობერტსონი პირველად ჩამოდის საქართველოში, მაგრამ ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა რამდენიმე წლის წინ იყო თბილისში. ამ ვიზიტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და საქმე ის არის, როგორ გამოვიყენებთ, განვახორციელებთ იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურ კურსს, რომელიც მათ მიაჩნიათ სწორად, თუ საპირისპიროს გავაკეთებთ, ან საერთოდ გულზე ხელს დავიკრეფთ! ასეთ შემთხვევაში, მსგავსი ვიზიტები აღარ იქნება...

ნატოში არიან ადამიანები, რომლებისთვისაც ყველაფერი რუკაზე წყდება, მაგრამ ნატოში გადაწყვეტილებებს იღებენ პოლიტიკოსები და არა გენერლები, განსხვავებით რუსეთისგან. პოლიტიკოსები კი, როგორც ვთქვით, პრაგმატიკოსები არიან, რომლებსაც თავიანთ ამომრჩევლებთან აქვთ მუდმივი კავშირი და ისინი აქ ჯარებს არ დააყენებენ, თუ ეს ჯარი რაღაც დარტყმის რისკის ქვეშ აღმოჩნდება, ხალხი დაეღუპებათ და ვის დასახმარებლადაც მოვიდნენ, ისინი ხელს არც კი გაანძრევენ! ზურგით სატრევი ქვეყნები ნატოს არ სჭირდება! მას სჭირდება სტაბილურობა თავის საზღვრებზე, პირველ რიგში ბალკანეთია მისი საზღვრები, მერე ბალტიისპირეთი და შემდგომ იყურება უკვე შავი ზღვის მარჯვენა მხრისკენ. აქ ცალკე იკვეთება აშშ-სა და თურქეთის ინტერესები საქართველოსადმი და არა მთლიანად ნატოსი! პრობლემა ჩვენი საზოგადოებისა არის ის, რომ გამარტივებულ, შავ-თეთრ ფერებში ხედავენ სამყაროს. არადა, საჭიროა ფართო პროპაგანდა, რათა ხალხმა გაიგოს თუ რას წარმოადგენს დასავლეთი. რა ინსტიტუტებია, არსებობს იქ ერთიანი ჩამოყალიბებული ნება, თუ არა, ან ნატოში რა მექანიზმი მუშაობს გადაწყვეტილებების მისაღებად... რა არის ევროკავშირი და ა.შ. არადა, საკმაოდ რთული მექანიზმები და ინსტიტუტები მუშაობს უამრავი გათვლების, პროგნოზების გათვალისწინებით. ამიტომ, საქართველომ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი მართლაც მოწოდებულია იყოს დასავლური სამყაროს ნაწილი. საქართველომ ეს არ აჩვენა ჯერ... თუ „ცივი ომი“ განახლდა, მაშინ, დარწმუნებული ვარ, ამერიკა შეეცდება პრევენტიული რადიკალური ზომები მიიღოს, ბევრად უფრო გაგვიზარდოს დახმარებაც თუ დაინახა, რომ რუსეთი მისი სტრატეგიული მტერია... ამასთან, ისიც შეიძლება, რომ ბევრი დასავლელი პოლიტიკოსისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს რუსეთის დამშვიდება, მასთან საერთო ენის გამონახვა, რუსეთის ჩამოყალიბება პროგნოზირებად სახელმწიფოდ, ვიდრე ის, რომ სამხრეთ კავკასია მოსწყვიტოს რუსეთს. არ იზამენ ამას! ამიტომ, რამდენად შევძლებთ რუსეთისგან დისტანცირებას და ევროპასთან დაახლოებას, დამოკიდებულია ჩვენი შინა პრობლემების მოგვარებაზე. დროის ლიმიტი კი სულ უფრო და უფრო იწურება.

**— მართალია, რთული იქნება თქვენთვის, როგორც პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელის მხრიდან შეფასების მიცემა ხალხის რჩეულთა სტრატეგიული აზროვნების უნარისადმი, მაგრამ, მაინც, რამდენად პასუხობენ ჩვენი კანონმდებლები თანამედროვე მოთხოვნებს?**

— ის, თუ როგორი იქნებიან და არიან ხალხის რჩეულნი, თვითონ ხალხზეა დამოკიდებული. როცა არჩევნებს ვატარებთ და შემდეგ ეჭვი გვიჩნდება მის ობიექტურობაში, ხოლო უკვე არჩეულებზე არავინ არანაირ ზეგავლენას არ ახდენს, ეს ხალხის ბრალიც არის. საუბედუროდ, ხალხის დიდი ნაწილის პოზიცია ისეთია, რომ ამბობენ კიდეც: „თუ ხელისუფლებაშია კაცი, თავისთვის ხომ უნდა გააკეთოს რაიმე? მე რომ ვიყო, მეც მოვიწყობდი ჩემს ცხოვრებას...“ ხოლო ის მენტალიტეტი, რომ არჩეული ხელისუფალი შენი მსახურია და არა ბატონი, ეს არც ხალხშია გამჯდარი და არც ჩვენი საზოგადოების არც ერთ ფენაში! გარკვეული ადამიანები ამაზე სწუხან, მაგრამ ისინი ცოტანი არიან და ამინდს ვერ ქმნიან. ბუნებრივია, ხელისუფლებაც იქცევა, როგორც ბატონი. მენტალიტეტი კი ტრადიციულია: „თუ კაბინეტი და ფული მაქვს, ე.ი. პირველი ხარისხის ადამიანი ვარ. ვისაც კაბინეტი და ფული არა აქვს მეორეხარისხოვანია“. იგივე კორუფცია ქართველი ადამიანის კულტურაში ჩაჯდა. თავისთავად ცუდი არაფერია ოჯახის, ნათესავის, დედმამიშვილის, მეგობრის სადღეგრძელოში, მაგრამ მეორე მხრივ ეს შეიცავს ანტისახელმწიფოებრივ, ანტისოციალურ ელემენტს: ძალიან პატიოსან ხალხად ითვლება და თავიანთ თავსაც მიიჩნევენ პატიოსნად ის ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს წაჰგლეჯენ რაღაცას და ნათესავს, ან მეგობარს გაუმართავენ ხელს. როცა ამ ტენდენციას ტოტალური ხასიათი აქვს, როგორც ჩვენშია, ეს ანგრევს სახელმწიფოს. ვიმეორებ, ეს მენტალიტეტი გამჯდარია მასობრივად, დაწყებული სოფლის გადასახადის ამკრეფის დონიდან და დამთავრებული უმაღლესი სახელისუფლებო ეშელონით! ამ სისტემაში კი, ცალკეულ ადამიანთა მცდელობა, შეიცვალოს სასიკეთოდ რაიმე, უშედეგოდ მთავრდება. ახლახან, უსაფრთხოების საკითხებში საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფის ხელმძღვანელის მოხსენებას დავესწარი. მისი შეფასებით, საქართველო დგას მდინარის შუაში, აქეთ არის წარსულის ნაპირი საბჭოური ურთიერთობებით, კორუფციით, რუსეთთან კავშირით, თუ შინაპოლიტიკური სიმახინჯეებით, სოციალური დაყოფით — კაბინეტებიან-ფულიანებად და უკაბინეტო-უფულოებიანად და მეორე ნაპირზე არის დასავლეთი თავის ღირებულებებითა და სისტემით. ამ კაცმა თქვა: „მდინარის შუაში თუ დგახარ, ვერ დაგეხმარები. ან ჩემსკენ გამოცურე, ან იქით დაუბრუნდი ძველ ნაპირს“. აი, მასთან მისვლა ძნელია, რადგან ხელების ღონივრად მოქნევაა საჭირო. ეს გაცურვა, ანუ ტრანსფორმაცია, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარება, კორუფციის აღმოფხვრა თუ არა, შემცირება მაინც, იმდენად მტკივნეულია ბევრისთვის, მათ შორის, თანამდებობის პირებისთვის, რომ მათთვის ბევრად უფრო მარტივი იქნებოდა ყოფილ უფროს ძმასთან კავშირი და მის კმაყოფაზე ყოფნა. გარეშე ფინანსური ინიექციების გარეშე კი, როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით, ვერ დგება ჩვენი ქვეყანა ფეხზე... საბედნიეროდ, როგორც ზემოთაც ვთქვი, რუსეთს დღეს არა აქვს თავისუფალი რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი, რათა აქაურ ელიტასაც მისცეს ფინანსური გარანტიები, ხელფასები და პენსიებიც გაისტუმროს ჩვენი ხელისუფლების მაგივრად, თორემ ტერაქტებისა და დესტაბილიზაციის მოსაწყობად, პრორუსულ პოლიტიკურ მოძრაობათა დასაფინანსებლად იცოცხლეთ, საკმარისზე მეტი ფული აქვთ. მცდელობები ამისა, რა თქმა უნდა, არის და იქნება კვლავაც, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ ხალხებმა კვლავ ერთად ცხოვრება მოინდომონ...

**— გასაგებია, რომ რუსეთს არა აქვს ამის საშუალება და მისი გავლენაც დღითი-დღე სუსტდება, მაგრამ დასავლეთის უზარმაზარ დახმარებასაც რომ ვერ გრძნობს ქვეყანა და ხალხი?**

— დიახ, ღირსების შელახვაა, როცა მშივრად ცხოვრობ. მშივრების, გაძვალტყავებული და მათხოვრად ქცეული ადამიანების მიერ ღირსეული საზოგადოების აშენება უფრო სათუო მგონია, ვიდრე მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი ადამიანების მიერ. დღეს ბევრი ითქმება, რომ აი, დასავლურ უტილიტარიზმზე ვართ მიდრეკილი, რომ ყოველივე ეროვნულს ვკარგავთ და ა.შ. მაგრამ, ჩვენ ვართ ორიენტირებული ნორმალურ ურთიერთობათა სისტემაზე, რაც საზოგადოებას ღირსეულად ცხოვრების საშუალებას მისცემს. ასეთი ღირსეული მოქალაქეები, რომლებიც ღირსეულ ხელფასს მიიტანენ სახლში, ნორმალურ განათლებას მისცემენ შვილებს, შექმნიან ღირსეულ საზოგადოებას, მაგრამ, როცა ქართველ ოფიცერს, სამი შვილის მამას, დღეგამოშვებით უხდება ბავშვების სკოლაში ტარება, რადგან სამ ბავშვზე ერთი წყვილი ნორმალური ფეხსაცმელი აქვთ ოჯახში, ასეთი საზოგადოება არ იქნება ღირსეული და საბოლოო ჯამში არ იქნება არც ეროვნული! ცალკეული ადამიანები, კი ბატონო, იქნებიან „ღირსეულნი“, მაგრამ უმრავლესობა დარჩება დაბეჩავებული!

**„თავისთავად ცუდი არაფერია ოჯახის, ნათესავის, დედმამიშვილის, მეგობრის სადღეგრძელოში, მაგრამ მეორე მხრივ ეს შეიცავს ანტისახელმწიფოებრივ, ანტისოციალურ ელემენტს: ძალიან პატიოსან ხალხად ითვლება და თავიანთ თავსაც მიიჩნევენ პატიოსნად ის ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს წაჰგლეჯენ რაღაცას და ნათესავს, ან მეგობარს გაუმართავენ ხელს.“**

**— და ეს ხდება იმიტომ, რომ ერში, ქვეყანაში არ არსებობს ნაციონალური იდეა, არა გვყავს ერის კაცი, დაბეჩავებულ-ჩამკვდარია ნამდვილი ინტელიგენცია...**

— ლიბერალური დემოკრატია სხვა არაფერია, თუ არა ადამიანების მიერ იმის გათავისება, რომ ერთად, ერთ ქვეყანაში ცხოვრობენ და რაღაცნაირად უნდა გამონახონ ისეთი გზა, საერთო პოზიცია, რომ ცოტ-ცოტა მოიკლონ, ერთმანეთს ანგარიში გაუწიონ და საერთო საქმე აკეთონ, სადაც თითოეული მოქალაქის ინტერესი მეტ-ნაკლებად დაბალანსდება. არ არის ეს განცდა საქართველოში არც მსოფლმხედველობრივად და შესაბამისად, არც პრაქტიკაში არ ხორციელდება, ანუ საკუთარი ტყავით არავინ არ გრძნობს, რომ მე და ჩემი ოჯახი არავითარ შემთხვევაში არ ვიქნებით კარგად, თუ ქვეყანა არ იქნება კარგად! შეიძლება ანარქისტულ მოწოდებად გაისმას, მაგრამ ზოგჯერ მიფიქრია, რომ ეგებ სჯობს საქართველო გამოცხადდეს სრულიად დაშლილად და სოფლების დონეზე დაიწყოს კრებების ჩატარება თემაზე — გვინდა ერთიანი ქვეყანა თუ არა?! გვინდა რომ ამ ქვეყნის დღევანდელობასა და მომავალზე პასუხისმგებლობა გავინაწილოთ და ერთი წესით და რიგით ვიცხოვროთ, თუ არა?!

**ზურაბ მჭედლიშვილი**

# ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება



ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ, იერუსალიმში, იოანე ღვთისმეტყველის სახლში ცხოვრობდა. აქ იგი მოციქულებთან ერთად ლოცულობდა და რწმენაში მრავალ ადამიანს განამტკიცებდა. 43 წლის მეფე ჰეროდემ ქრისტიანთა დევნა დაიწყო და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იძულებული გახდა დროებით თავი სხვა ადგილებისთვის შეეფარებინა. იმყოფებოდა ეფესოში, კვიპროსზე, წმ. ათონის მიწაზე, მოგვიანებით კი იერუსალიმში დაბრუნდა. ერთხელ, როცა მარიამი მაცხოვრის აკლდამაში ლოცულობდა, ცა გაიხსნა და მის წინ გაბრიელ მთავარანგელოზი გამოჩნდა. ღვთისმშობელი ამ ამბავმა ძლიერ გაახარა, რადგან დიდი ხანია უფალს ამქვეყნიდან გასვლას ევედრებოდა. მოციქულები ამ დროს იერუსალიმში არ იმყოფებოდნენ და როდესაც შეიტყვეს, რომ უბიწო ქალწული მათ ნახვას ითხოვდა, სასწაულებრივად იერუსალიმში აღმოჩნდნენ. ღვთისმშობელმა, გარდაცვალების წინ მოციქულები დალოცა და აღუთქვა, რომ მართალია ფიზიკურად შორდებოდა, მაგრამ სულიერად მეტ სიახლოვეში იქნებოდა მათთან. დედა ღვთისა იაკობ მოციქულის ხელით ეზიარა და იმ დროს, როცა სული სხეულს სტოვებდა, ოთახი საოცარი ნათლით გაბრწყინდა და ანგელოზების გალობის ხმა მოისმა. მოციქულებმა ღამე ლოცვაში გაატარეს და დილით ღვთისმშობლის პატიოსანი ნეშტი გეთსემანიის ბაღში, წმ. იოაკიმ და ანას გვერდით აკლდამაში დაასვენეს. შაბათს, წირვის შესრულებამდე, მორწმუნეთა შორის მრავალი სნეული განიკურნა, ზოგს კი გონების თვალი აეხილა. ყოვლადწმინდა მარიამის მიძინებას ერთი თორმეტთაგანი თომა მოციქული არ ესწრებოდა. ღვთის განგებით, იგი სწორედ კვირა ღამეს მივიდა აკლდამასთან და ღვთისმშობლის გარდაცვალებით შეწუხებულმა ითხოვა, საფლავი გაეხსნათ, რომ წმ. ცხედრისთვის თაყვანეცა. კარი გააღეს, მაგრამ აკლდამა ცარიელი დახვდათ. ყოვლადწმინდამ თომა მოციქული ახლოს მიიხმო და დაარწმუნა, რომ ღვთის განგებით სხეულით ზეცად ატაცებულ იქნა. შემდეგ კი ყველა დაამშვიდა: „გიხაროდენ! მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა შინა“.

ღვთისმშობლის მიძინება მოხდა 28 აგვისტოს და მიუხედავად იმისა, რომ ეს გლოვის დღე უნდა იყოს, ყოველი ქრისტიანისთვის დღესასწაულია, რადგანაც ღვთისმშობელი ღვთისმიუწვდომელ დიდებაშია და ყოველ ჩვენგანთან უხილავად იმყოფება.

*ანა ჩხეიძე*

# ჭრელი აბანო და ანა ბებია

ჩემი მეზობელი ანა სოლოღაშვილი 2001 წლის 15 იანვარს, 101 წლის გახდება. ღმერთი, იმედია, კიდევ დაახანებს ამ წუთისოფელში და მესამე საუკუნის გადასახედიდან კიდევ ერთხელ შეგახვედრებთ.

ახლა კი, ანა ბებიას მინდა ხელი ჩავჭიდო და ჭრელ აბანოში წავიყვანო.



„პუშკინის ნომერი“

— ჭრელი აბანო? უნდა წამიყვანო? მართლა უნდა წამიყვანო? — ჩემს სიტყვებს იმეორებს და უკვე მესამედ მკოცნის.

ცუდად ესმის და ჩემს ჩაძახილზე ლამის მთელმა ეზომ მოიყარა თავი.

— კარგი აბანო იყო, ყველაზე კარგი...

...შეიკრიბებოდნენ თურმე ჩუღურეთელი ქალ-რძალნი, დაახლობდნენ მოხვეულ ქადებს, ნაზუქებს, ფახლავას, არც შოთ-ლავაში და ალვანური ყველი ავიწყდებოდათ. ჩაისაც საგანგებოდ აყენებდნენ.

მერე მოირთვ-მოიკაზმებოდნენ ნაირ-ნაირი ბაღდადებით, ქალაღაიებით, ქირმანშალებით, ჩიხტიკოპებით; გულისპირამოქარგული შეიდიშისა და ქიშმირის კაბებით, მოთრიმლული ტყავის ქოშებით. სარეცხსაც გამოკრავდნენ ბოღჩაში. არც ფერუმარილი და ინა ავიწყდებოდათ და დილაადრიან გაუყვებოდნენ გზას ჭრელი აბანოებისკენ.

ხარფუხელ და ორბელიანთუბნელ ქალებთანაც მეგობრობდნენ. აბანო მათი შეხვედრისა და გართობის ადგილი იყო.

მთელ დღეს იქ ატარებდნენ. ბანაობდნენ, რეცხავდნენ, თმებს იღებავდნენ, ფერუმარილს ისვამდნენ, ახალი სამკაულებითა და ტანსაცმლით თავს იწონებდნენ. ჭორაობდნენ კიდეც. ქვეყნის ტყუილ-მართალი აბანოში ირჩეოდა.

არცთუ იშვიათად, რომელიმე მოხდენილ ქალს თვალს დაადგამდნენ, სარძლოდ აირჩევდნენ. ხანაც კიდევ სპეციალურად მოიყვანდნენ სარძლოს აბანოში ტან-ფეხისა და ძუძუ-მკერდის გასასინჯად.

— სადედამთილომ აბანოში ხომ არ გნახათ, პირველად? — ჩავძახი ანა ბებიას.

— მე ჩემმა პავლიამ ამომარჩია. აბანოში ჩემი მაზლისცოლი გასინჯეს, ცხონებული...

და უცბად ანა ბებიას ახსენდება, რომ სამამულო ომში ორი შვილი დაკარგა და ტირის. ტირის ისე, თითქოს სამოცი კი არა, ერთი წელიც არ გასულა.

თალხი კაბა აცვია. გრძელი თითებით იწმენდს ცრემლს.

— მე გული არ მივარგა, ვიღლები, — იტყვის ცოტა ხნის შემდეგ. და სულ მალე ისევ გამოიდარებს. ისევ უჩნდება აბანოში წასვლის სურვილი.

— ნინო, როგორაა ის ლექსი აბანოზე, მე რომ გასწავლე, — ეძახის მეოთხე თაობას, შვილიშვილის შვილს, რომელმაც იმ დღეს დიდედას 8 დღის ლუკა ერაძე ჩაუგორა კალთაში. ხუმრობა საქმე ხომ არაა! — მეხუთე თაობა!

„თბილისის აბანოები,
ბადალი ხმელეთისაო,
ძირიდან აშენებული,
აუზები აქვს ქვისაო,
ვინც შევა, აგრე გაგიხდის,
როგორც თოვლია მთისაო,
ქალი და რძალი გამოდის,
ვითა ყვავილი ხისაო“.

სურვილს უსრულებს დიდზე დიდ ბებოს ნინიკო.

...ახლა ცოტა რამ თბილისის აბანოების შესახებ.

რაღა თქმა უნდა, დაჭრილი ხოხბისა და ირმის ლეგენდებს არ მოგიყვებით. თბილისის აბანოები იმთავითვე კერძო პირთა საკუთრება იყო. ეს იყო ერეკლე მეფე თუ თბილელი, მელიქიშვილები, სუმბათაშვილები. ასე, მაგალითად, — ჭრელი აბანო ორბელიანებისა იყო.

„Отроду не встречал я ничего роскошнее, Тифлисских бань“, — წერდა 1829 წლის 27 მაისს ჭრელი აბანოს შესახებ ალექსანდრე პუშკინი...

მიუხედავად ანა ბებიას დიდი სურვილისა, წავიყვანოთ ჭრელ აბანოში, მოხუცს ძველთბილისურ ეზოში ვტოვებთ და ვპირდებით, ყველაფერს წვრილად გიამბობთ იქაურობაზე-თქო.



დღეს ჭრელი აბანო ყველაზე დიდია თბილისში. ახლა კანტი-კუნტად თუ მოდიან კლიენტები, აი, ზამთრობით კი ბევრი ხალხი გვყავსო.

ჭრელ აბანოში რესტავრაციის შემდეგ ხელუხლებლად დაუტოვებიათ ის სამი ნომერი, პუშკინი რომ მოუხიბლავს.

შესასვლელში შევხვდით ახლა უსაქმოდ მყოფ მექისე ალახპარას, ლამის 40 წელია ამ ხელობით რომ არჩენს ოჯახს.

ალახპარა მამედოვი ქართულ ქისას აქებს. ხელის ზომისა უნდა იყოსო. ცალ მხარეს ჩოხის ან „ფარმაშის“ ნაჭერი უნდა ჰქონდეს, მეორე მხარეს კი ჯვალო ან ბრეზენტი.

ალახპარას მოსწონს თავისი ხელობა. იმასაც გვეუბნება, აზერბაიჯანის ფინანსთა მინისტრის მოადგილის მამა მე-7 აბანოში მექისე იყო და მისი შვილი ამით ამაყობდა კიდეცო.

ალახპარას ქართველებიც უყვარს. მათ წესზე გადავედიო. ქართველებივით ჩვენც „ვალი აიღებს, სუფრა გაშალებს“ — ამბობს.

ვათვალიერებ ჭრელი აბანოს მოჭიქულ შორენკეცებს, გოგირდის ორთქლში ჩაძირულ აუზებს, გათანამედროვებულ ინტერიერს და გული კვლავ ანა ბებიასაკენ მიმიწევს.

...ისევ ეზოში ზის. მოსწონს ყურადღების ცენტრში ყოფნა.

— რას მეტყვით, აბანოში ხომ არ ამერჩია ჩემი სარძლო? — ვეკითხები და უკვე წარმომიდგენია ჩემი ვაჟიშვილის რეაქცია.

— აბანოში? რათ გინდა აბანოში, ისედაც გახდილები დადიან... — მპასუხობს საუკუნის ბებია და მთელი ეზო იცინის...

*ელენე სალარიძე*

# სახლი გალაკტიონის ქუჩაზე

მხატვარ თ. ღოღაძეს აქვს მეტად ორიგინალური ნამუშევარი — „ბერიკები“. ბახუსი და მისი ამალა გამოსახულია ძველი ტფილისის სახლების ფონზე. ყველაზე შთამბეჭდავი გახლავთ, ის, რომ ყველა სახლს აქვს თავისი სახე, ნამდვილი ადამიანური იერი... თითოეულ სახლს, როგორც პიროვნებას, საკუთარი ბიოგრაფია აქვს. გამონაკლისი გალაკტიონის ქუჩაზე მდგარი ეს სახლია.

იგი ძველ თბილისში, ყოფილ განოვსკის ქუჩაზე, ერთ-ერთი პირველი ევროპული ნაგებობა გახლდათ. სახლი აშენდა 140 წლის წინ, ოტო იაკობ სიმონსონის პროექტით, ცნობილი ვაჭრისა და მეცენატის, თამამშევის დაკვეთითა და ხარჯით. ამიტომაც ძველი თბილისელები მას დღესაც „თამამშევის სახლს“ უწოდებდნენ. შემდგომში იგი მეცენატმა მზითევში მისცა თავის ქალიშვილს, ელისაბედს, რომელიც ცოლად გაჰყვა მიხეილ სმირნოვს. სახლის უკანასკნელი ბინადარი გახლდათ მათი ასულის, ანა სმირნოვა-როსეტის ვაჟი.

ანა სმირნოვა-როსეტი იყო დიმიტრი ციციშვილის (1775-1825) დისწულის შვილი. ორივემ ცხოვრება გაატარეს პეტერბურგში. დ. ციციშვილის (ციციანოვის) სახელი ფართოდ იყო ცნობილი პეტერბურგის ლიტერატურულ წრეებში. „ციციანოვის ხუთშაბათობაზე“ იკრიბებოდნენ პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ჟუკოვსკი, ოდოევსკი, ვიაზემსკი, ლაშქარაშვილი, თურქესტანიშვილი... ციციანოვი ყურადღებას იპყრობდა იმპროვიზებული მოთხრობებით.

ერთხელ, მაგალითად, ციციშვილი ძალზე სერიოზულად უმტკიცებდა სტუმრებს, რომ საქართველოში ფერად-ფერადი ცხვრები იბადებიან, ხოლო ქართული ფუტკრები ბეღურის ტოლები არიანო... ზოგი ფიქრობდა, — ციციანოვი გვამასხრებსო, პოეტი ვიაზემსკი კი მის ნაამბობში პოეზიას ხედავდა და ამბობდა, — იგი „თავისებური პოეტიაო“.

პუშკინი მეგობრობდა მასთან და ეძახდა „სამხრეთის მერცხალს“. გენიალურმა პოეტმა ციციანოვს მრავალი ლექსი მიუძღვნა.

ნევისპირა ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ანა სმირნოვა-როსეტის ლიტერატურული სალონი...

დაქორწინების შემდეგ თბილისში დაბრუნებულმა ანა სმირნოვას ვაჟმა პეტერბურგიდან ჩამოიტანა დედის ბიბლიოთეკა, ავეჯი, პორტრეტები, პირადი ნივთები და საფუძველი ჩაუყარა ლიტერატურულ სალონს. ეს სახლი იყო კულტურის ერთ-ერთი ცენტრი, სადაც იკრიბებოდნენ თავისი დროის გამოჩენილი ადამიანები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი, დავით ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, მიხაი ზიჩი, მაქსიმ გორკი, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეები, მრავალი სხვა... ფორტეპიანოზე, რომელიც დღესაც შემონახულია, უკრავდა დიდი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი. მის ჭერქვეშ ბინადრობდა ქართული, რუსული, ფრანგული, ინგლისური და გერმანული ხატოვანი სიტყვა, სუფევდა მაღალი პოეზია, ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა. ერთი სიტყვით, ნამდვილი ხელოვნება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახლი პატრონებს ჩამოართვეს. დარბაზები საცხოვრებელ კომუნალურ ოთახებად გადააკეთეს, უნიკალური პარკეტის იატაკი შეშად გამოიყენეს. გიორგი სმირნოვი კი, ოჯახით, მეზობელ სახლში გადაასახლეს. ის კი აქ მუზეუმის გახსნაზე ოცნებობდა...

1974 წელს სმირნოვების სახლში მოთავსდა მხატვრული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგია. შემდეგ ლიტერატურული ურთიერთობების სახლი დამკვიდრდა.

დაიწყო მობინადრეთა გადასახლების მძიმე პროცესი. სასამართლოები, ჯარიმები...

უკანასკნელმა მობინადრეებმა სახლი ფაქტობრივად ახლახან დატოვეს — თბილისის მერიის ხელშეწყობით. აქვე აღვნიშნავ, რომ დიდი მეგობრობა აკავშირებდა აწ განსვენებულ მთარგმნელთა კოლეგიის თავმჯდომარეს ბ-ნ ოთარ ნოდიას და სმირნოვების უკანასკნელ შთამომავალს მიხეილ სმირნოვს. რომ არა ეს მეგობრობა, ძნელი წარმოსადგენია, რა ბედი ეწეოდა სმირნოვა-როსეტის ნივთებს: რუსეთის მუზეუმების წარ-



ღოღაძე - „ბერიკები“

მომადგენლები სთავაზობდნენ ბატონ მიხეილს გადაეტანა ლიტერატურული სალონის მორთულობა რუსეთში... მაგრამ სმირნოვმა სახლი და უნიკალური საოჯახო ნივთები უანდერძა საქართველოს, რადგან იგი ყველა სმირნოვს სამშობლოდ მიაჩნდა. ორი წლის წინ, არქიტექტორ გივი მეტრეველის პროექტით, დაიწყო სახლის კაპიტალური რეკონსტრუქცია. აღმოჩენილი იქნა ძველი ნახაზები, ფოტოები და სახლს დაუბრუნდა თავისი პირვანდელი იერსახე. მას დააშენეს კიდევ ერთი, მესამე სართული. ამ კეთილშობილურ საქმეში დიდი დახმარება გაუწია ქალაქს ჰოლანდიის საქველმოქმედო ფონდმა. ასე რომ, ეს სახლი, თავისი მოკაზმულობით, გამოირჩევა გალაკტიონის ქუჩაზე.

...და მაინც, ვისი სახე აღბეჭდა მხატვარმა ღოღაძემ სმირნოვების სახლზე? რა თქმა უნდა, ბატონი მიხეილისა. ეს სახლი ხომ მისი სიყვარულით იყო გამსჭვალული, რატომღაც მგონია, რომ ისინი — კაცი და სახლი — ერთმანეთს გავდნენ...

„ეს სახლი, რომელიც ცნობილია პუშკინის ეპოქის რელიკვიებით, უკვე მეორე საუკუნეა, ქართველი და რუსი ხალხის სულიერი ურთიერთობის კერაა. ის ორი ლიტერატურის მეგობრობის თავისებური ისტორიული ძეგლია და მისი ადგილი აქ არის, თბილისში“, — მითხრა ერთხელ ბატონმა მიხეილმა. მართალი ბრძანდებოდა...

*გალაქტიონ ტაგანაშვილი*

# ევროპული რეკლამის ფესტივალამდე 3 დღე რჩება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ 31 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით ჩვენი დედაქალაქი ევროპული რეკლამის ფესტივალს „ეპიკა ევორდს“ უმასპინძლებს. ეს იქნება გრანდიოზული შოუ, სადაც ევროპული რეკლამის გვერდით ქართული სარეკლამო სააგენტოებისა და ინდივიდუალურად მომუშავე დიზაინერების ნაღვაწი იქნება წარმოდგენილი.



მაქს პლუსნინი და თემურ ბიკმამბეტოვი

საგულისხმოა, რომ თბილისში ჩამოვა ევროპული ფესტივალის პრეზიდენტი ენდრიუ როულინსი. ჯორჯტაუნისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში განათლების მიღების შემდეგ ის ცნობილი ფირმის "PROCTOR & GAMBE"-ის რეკლამის ავტორი გახლდათ, ხოლო 1987 წლიდან „ეპიკას“ გენერალური დირექტორია. აღსანიშნავია ისიც, რომ ენდრიუ როულინსი ბილ კლინტონის თანაკურსელი იყო.

ფესტივალის მსვლელობისას სტუმრები სემინარებს ჩაატარებენ ქართველი კლიპმეიკერებისთვის. რუსეთის სარეკლამო სააგენტო „ბეჰემოთის“ წარმომადგენელი იულია დიდჩენკო ისაუბრებს თემაზე — „სავიზიტო ბარათიდან სარეკლამო კამპანიამდე“. „ბეჰემოთი“ რუსეთში საკმაოდ სახელგანთქმული სარეკლამო სააგენტოა. სხვათა შორის, მისი დამკვეთები არიან: ბორჯომი, MICROSOFT, CHEVROLET- BLAZER-ი. „ბეჰემოთი“ ეპიკას სამგზის ლაურეატია ისევე, როგორც არაერთი საერთაშორისო ფესტივალის პრიზიორი.

31 აგვისტოს თბილისში ფესტივალის სტუმრების წინაშე წარსდგება თემურ ბიკმამბეტოვი. იგი რუსული რეკლამის პირველი აკადემიკოსი რეჟისორი გახლავთ, პოპულარული სარეკლამო სერიალის „ბანკი იმპერიალის“ ავტორი. გადაღებული აქვს 100-ზე მეტი ფილმი. არის პრიზების: „ოქროს ვაშლი“, „ოქროს დოლის ჯოხი“, ჰიუსტონის ფესტივალის ოქროს მედლის მფლობელი. საინტერესოა, რომ მასთან ერთად მუშაობს ჩვენი თანამემამულე ლევან გაბრიაძე. მათ ერთობლივი კლიპი აქვთ შექმნილი.

რაც მთავარია, „ეპიკას“ „თბილისურ დღეებს“ დაესწრება ევროპული რეკლამის ფესტივალის წარმომადგენელი დსთ-ის ქვეყნებში, მაქს პლუსნინი. მას სარეჟისორო განათლება მიღებული აქვს სანქტ-პეტერბურგის თეატრის, კინოსა და მუსიკის ინსტიტუტში, სამსახიობო კი — შჩუკინის სახელობის უმაღლეს თეატრალურ სასწავლებელში. 1993 წლიდან პლუსნინი რეკლამის ფესტივალის



მაქს პლუსნინი და ენდრიუ როულინსი

ორგანიზატორი იყო იალტაში. 1996 წელს კი ხელმძღვანელობდა „ეპიკას“ დღეებს რუსეთში, იყო ავტორი პროექტისა „ღამის შთანმთქმელი რეკლამა“. მაქსიმ პლუსნინი ამასთანავე გახლავთ საერთაშორისო ფესტივალების: GOLDEN DRUM-ის და LION-ის მონაწილე.

ასე რომ, ფესტივალი, არაჩვეულებრივ სანახაობასთან ერთად, საკმაოდ ნაყოფიერი იქნება ქართველი რეჟისორებისა და დიზაინერებისათვის. სამდღიანი სამუშაო და დაძაბული დღეების შემდეგ მისი დამაგვირგვინებელი საღამო თბილისის ზღვაზე გაიმართება.

სიურპრიზი მოგვიწყო პროექტმა „ულტრამ“ — საუკეთესო ქართული სარეკლამო რგოლი და პოლიგრაფიული ნაწარმი უფასოდ იქნება წარდგენილი კიევის საერთაშორისო რეკლამის ფესტივალზე.

*ნათია გოგსაძე* R

სამწუხაროდ, საპენსიო სისტემა კვლავ იმ რგოლად რჩება, რომელიც მავანთათვის ხელის მოსათბობად არაჩვეულებრივ შანსს იძლევა. ცოტა ხნის წინ, თავად პრეზიდენტმაც კი განაცხადა, რომ საპენსიო ფონდი რჩება იმ სისტემად, რომელიც ინერციით მოქმედებს.

თუმცა, ამჯერად ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო ბოდა, მაგრამ ერთი და იგივე პიროვნება აღმოჩნდა".

სოცუზრუნველყოფის სამმრთველოს უფროსი ირაკლი კოპლატაძე არ უარყოფს, რომ პერსონიფიკაციის დადგენისას არაერთი შეცდომა მოხდა, მაგრამ როგორც თავად აცხადებს, სხვაგვარად რეფორმის უმტკივნეულოდ ჩატარება შეუძლებელი იყო.

რამდენად მიზნობრივად დაიხარჯება ეს თანხა, მით უფრო მაშინ, როცა თავად ჯორბენაძემ განაცხადა, — შეცდომებისაგან დაზღვეული არ ვართო. ასეთი შეცდომებით კი, ოფიციალური ინფორმაციით, უკანონოდ გაცემულმა საპენსიო თანხამ ბოლო თვის მონაცემებით — 16.500 ლარი შეადგინა, არაოფიციალურით — ღმერთმა უწყის... გარდა ამისა, ირაკლი კოპლატაძემ შსს სამინისტროს შესასწავლად ორი საქმე გადასცა. მისი ცნობით, საინფორმაციო-გამოთვლით ცენტრს

# რატომ გადააყოლეს მკვდრებს ცოცხლები?!



„მკვდარ სულებად" მიჩნეულ ცოცხალ პენსიონერთა პირადი საქმეები სააქტო დარბაზში უპატრონოდ ყრია

გამოცოცხლდა და მანკიერებების აღმოსაფხვრელად რეფორმას ატარებენ. ამჟამად, სოცუზრუნველყოფის სამმართველოში გერმანულ-ქართული ჯგუფი არარსებული პიროვნებებისა და „მკვდარი სულების" გამოვლინებითაა დაკავებული. თუმცა, ამ კომპიუტერული პროცედურის შედეგად სოცუზრუნველყოფის სამმართველომ ე.წ. „მკვდარ სულებს" ცოცხლებიც გადააყოლა და ათასობით პენსიონერი უპენსიოდ დატოვა.

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, სოცუზრუნველყოფის სამმრთველოს სააქტო დარბაზში ათასობით მომჩივანი პენსიონერის მტვერდადებული საბუთები ყრია და უპენსიოდ დარჩენილი პენსიონერები მოუთმენლად ელიან, როდის ჩათვლის მათ სოცუზრუნველყოფის სამმართველოს შემსწავლელი კომისია კვლავ ცოცხლებში, რომ სახელმწიფოს მიერ გადმოგდებული ერთი თვის პენსიით მაინც მოითქვას სული.

სოცუზრუნველყოფის სამმრთველოს უფროსის, ირაკლი კოპლატაძის განცხადებით, ამ წლის განმავლობაში პენსიონერთა პერსონიფიკაციის დასადგენად კომპიუტერში 900 ათასი პირადი საქმე შეიყვანეს. ხოლო პერსონიფიკაციის განყოფილების უფროსის, ლადო გიგაურის თქმით, საეჭვო პირთა რიცხვმა 42 ათასი შეადგინა. იგი უპენსიოდ დარჩენილ ცოცხალ პენსიონერებს „მკვდარ სულებად" არ მიიჩნევს — ისინი, ვისაც პენსია შეუჩერეს, უბრალოდ, ეჭვმიტანილები არიანო(!).

არადა ამ პროცედურის შედეგად, ჩვენი ინფორმაციით, მარტო თბილისში 5.000-მდე პენსიონერი დაზარალდა. ლადო გიგაურთან საუბრისას კი გაირკვა, რომ მათ შეცდომების მინიმუმამდე დაყვანისათვის არც უზრუნიათ: „ჩვენი ამოცანა იყო, რაც შეიძლება მეტი საეჭვო პირი მოხვედრილიყო ამ სიაში. გავაკეთეთ დუბლირებული ანკეტების ინდიკაციის სისტემა. გაირკვა, რომ ერთსა და იმავე პიროვნებაზე ორჯერ ხდებოდა პენსიის გაცემა. მაგალითად, ორ ანკეტაში ერთი და იგივე გვარ-სახელია, მაგრამ განსხვავდება საცხოვრებელი ადგილი. ან არის მხოლოდ დაბადების წლის განსხვავება. თუმცა იყო ისეთებიც, რომელთა გვარი და სახელი კი განსხვავდე-

თავისთავად ეს გასაგებია, მაგრამ საეჭვოა ის, რომ მოსახლეობას ივლისის თვის პენსია გაუყინეს. ამის პარალელურად, 42 ათას პენსიონერს პენსია შეუჩერეს და ყოველივე ამის ფონზე ჩვენი „პენსიის მამები" საინფორმაციო საშუალებებით ამაყად აცხადებენ, — აგვისტოს თვის პენსიას უპრობლემოდ გავცემთო.

ძნელი დასამტკიცებელია, შეჩერებული თანხებით ვინმემ დაატრიალა თუ არა ბიზნესი, მაგრამ უფრო სარწმუნო უნდა იყოს, რომ სახელმწიფო-საფინანსო კრიზისის ფონზე ივლისის გაყინული პენსიისა და „მკვდარ სულებად" თუ ეჭვმიტანილებად მიჩნეული უპენსიოდ დარჩენილ ცოცხალ პენსიონერთა თანხებით სახელმწიფო აგვისტოს თვის პენსიებს ისტუმრებს.

რა პასუხს აძლევენ იმ ხალხს, ვინც პენსია ვერ მიიღო? სოცუზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ირაკლი კოპლატაძე იმედოვნებს, რომ ოქტომბრამდე ეს პროცესი დასრულდება. იმ შემთხვევაში კი, თუ თავად უმიზეზოდ დაჩაგრული პენსიონერი მიადგება სოცუზრუნველყოფის 17 სართულიან შენობას, მე-13 სართულზე მას ავტომატურად აღუდგენენ პენსიას. მიუხედავად ამ განცხადებისა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პენსიონერთა უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაა, ადვილი მისახვედრია, რომ თვეობით 12 ლარს მიჩერებული პენსიონერი რა ტემპით მიაკითხავს რკინის ქალამნით თავის პენსიას.

არადა ამის პარალელურად, გასულ კვირას ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს ხელმძღვანელობა თავს იწონებდა — სექტემბრიდან უმწეოთა დახმარებასაც კი შევძლებთო. მართლაც, პრეზიდენტის ბრძანებულებით, უმწეოთა დასახმარებლად 13,3 მილიონი ლარი გამოიყო. თუმცა, ძნელი სათქმელია,

1996-97 წლებში პენსიაზე გაცემის ნაცვლად, მერიიდან მარტოხელა დედებისათვის 99.100 ლარი ჩაირიცხა, ხოლო საქართველოს ფოსტის მიერ არამიზნობრივად, მარტოხელა დედების დასახმარებლად საპენსიო თანხებია გაცემული 198455 ლარის ოდენობით.

ირაკლი კოპლატაძე აცხადებს, რომ მისი აზრით, პირველ შემთხვევაში მითვისებას აქვს ადგილი, ხოლო მეორე შემთხვევში — არამიზნობრივ გახარჯვას.

რა თქმა უნდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მრავალ დარღვევათაგან მხოლოდ ორი ფაქტია, რასაც მოწმობს გასულ კვირას ჯანმრთელობისა და სოცუზრინველყოფის მინისტრის, ჯორბენაძის განცხადებაც და კატეგორიული გაფრთხილებაც: „ფოსტამ და ბანკმა, და საერთოდ ყველამ, თავისი ადგილი ისწავლოს. ერთხელ და სამუდამოდ შეფასება უნდა გაკეთდეს. ამის შემდეგ ყველა დარღვევა გადაეცემა გენერალურ პროკურატურას".

„ამის შემდეგ" კი ნიშნავს იმას, რომ მანამდე შეჭმული ათასობით თანხისთვის არავის მოეკითხება პასუხი. არადა სახელმწიფოს 2000 წლისათვის მოსახლეობის 77 მილიონი საპენსიო დავალიანება აქვს და საეჭვოა, ეს ვალი შემოსავლების სამინისტროს ხარჯზე გაისტუმროს.

***მარინა მამისაშვილი***

# რამ აავსო მოთმინების ფიალა კონტროლის პალატას

25-26 აგვისტოს, ფოთსა და ქუთაისში, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიისა და იმერეთის კონტროლის პალატის ბიუროების კოლეგიათა გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სათავეში სულხან მოლაშვილის მოსვლის შემდეგ ეს პირველი გასვლითი სხდომა გახლდათ.

ამ უწყების სამხარეო ბიუროების მიერ 2000 წლის ბიუჯეტის შესრულება „უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად" შეფასდა. არც არის გასაკვირი, რადგან კვლავ ვერ ხერხდება გადასახადების აღრიცხვა და აკრეფა, პრივატიზაციიდან შემოსული თანხები ბიუჯეტის გვერდის ავლით იხარჯება. გარდა ამისა, სახელმწიფო საწარმოებიც გარკვეულწილად მიმართულებას უცვლიან ბიუჯეტისაკენ მიმავალ დივიდენდებს. ქვეყნის ინტერესები არც უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობისასაა დაცული.

კონტროლის პალატის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბიუჯეტის თანხების გაცემისას უპირატესობა მმართველი აპარატისა და სხვა ხარჯების დაფინანსებას ენიჭება. გარდა ამისა, ხშირად ხდება რამდენიმე თვის გადასახადის ერთდროულად აკრეფა, რათა გეგმა შესრულდეს. მართალია, ეს წესი თავის დროზე დამკვიდრდა კიდეც, მაგრამ კარგა ხანია მთავრობამ მასზე უარი თქვა, რადგან მომდევნო თვეების ბიუჯეტის შესრულებას ამან ძალიან შეუშალა ხელი.

გადასახადების დამალვის კონკრეტული ფაქტების დასახელება, ალბათ, შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთ მოკრძალებულ მაგალითს მაინც მოგიყვანთ: რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო-სვანეთის მხარის კონტროლის პალატის ბიუროს უფროსის, არჩილ ჯაფარიძის განცხადებით, კომერციული ჯიხურიდან თვეში მხოლოდ 80 თეთრი შედის. გადასახადების დამალვის და აღურიცხაობის მიზეზების ძებნას ისევ აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებამდე მივყავართ. სწორედ ამიტომ, საგადასახადო სამსახურებისა და რაიონების გამგებლების პასუხისმგებლობის საკითხი დადგა. მათ შორის აღმოჩნდნენ სენაკის, მესტიის, ჩხოროწყუს რაიონების თავკაცები (ტ. დგებუაძე, ე. ჯაფარიძე, ალ. პერტაია), ჩხოროწყუს, აბაშის, მესტიის საგადასახადო სამსახურების ხელმძღვანელები.

## „გვაცალეთ, ბატონო"

კონტროლის პალატის დადგენილებას სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რწმუნებული ბონდო ჯიქია გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შეუსრულებლობას ობიექტური მიზეზები აქვს და სუბიექტების შეცვლით არაფერი გამოსწორდება: „ვაცალოთ, კიდევ რამდენიმე ხანს ამ ხალხს და თუ არაფერი გამოვა, მაშინ გავათავისუფლოთ თანამდებობიდანო".

ბონდო ჯიქიას პათოსი სანახევროდ გურიის გუბერნატორმა, კარლო გუჯაბიძემაც გაიზიარა. მან გარკვეულწილად ჩოხატაურის გამგეობის ფინანსური განყოფილების უფროსი დაიცვა, ხოლო ფოთის მერმა აკაკი დარჯანიამ ნაწილობრივ გააქარწყლა ის უიმედო განწყობილება, რომელიც ფოთის ბიუჯეტის ირგვლივ იყო შექმნილი. მისი თქმით, საბიუჯეტო შემოსავლები გაიზარდა კიდეც. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ფოთში არასრულად აღირიცხება პურპროდუქტების რაოდენობა. მაგალითად, 26 ტ ნაცვლად დაფიქსირებულია, რომ თვეში ფოთში 9 ტ ფქვილი იხარჯება.

## „კონტროლის პალატა სასიყვარულო წერილებს ვერ დაწერს"

სხდომის დასასრულს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი იმედგაცრუებული ჩანდა. მან აღნიშნა, რომ საქართველოში დღეს კიდევ არსებობს ორმაგი სტანდარტის სისტემა. ქვეყანა გაჭირვებულია, გამგებლები და ჩინოვნიკები კი ეკონომიკურ ზრდაზე, ბიუჯეტის წარმატებით შესრულებაზე საუბრობენ. მან არ გაიზიარა გუბერნატორთა აზრი, შეერბილებინათ დადგენილების ტექსტი, რომელიც კონკრეტულ პირთა თანამდებობრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. ცნობილი გახდა, რომ შესაძლოა კონტროლის პალატის რაიონული ბიუროები გაერთიანდეს. „რაც მთავარია, კონტროლის პალატის სამოქმედო ტერიტორია არ უნდა ემთხვეოდეს ადმინისტრაციულ, სამხარეო ტერიტორიებს. ეს რთული პროცესია. დარწმუნებული ვარ, გამოჩნდებიან ოპონენტები, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა ბიუჯეტის შესრულების პროცესს გააჯანსაღებს. კონტროლის პალატა დამოუკიდებელი უნდა იყოს და არ უნდა ემორჩილებოდეს არც ადგილობრივ და არც სამხარეო ხელისუფლებას, — განაცხადა სულხან მოლაშვილმა.

სხვათა შორის, იმავე სხდომაზე ცნობილი გახდა (თავად კონტროლის პალატის თავმჯდომარისთვისაც), რომ გურიის ერთ-ერთმა ქალაქის საგადასახადო ინსპექციამ იმავე დღეს 12 ათასი ლარი შეიტანა ბიუჯეტში. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კონტროლის პალატის დადგენილების ტექსტი გავრცელდა ანუ ამ პირს თანამდებობის დაკარგვის საშიშროება შეექმნა.

ეს ამბავი აღმოჩნდა ბოლო წვეთი კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოთმინების ფიალის ასავსებად. ეს პირადად მის და მისი უწყების შეურაცხყოფად, უკანონობის კიდევ ერთხელ დაკანონებად მიიჩნია. არადა, ამ სხდომაზე ანტიკორუფციული პროგრამის შექმნაზე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში კონტროლის პალატის როლზე საუბრობდნენ. საბოლოო გადაწყვეტილება ასეთი გახლავთ, 5 დღეში გადაწყდება განწირულთა, ანუ თანამდებობიდან გადაყენებულთა ბედი.

***ნათია გოგსაძე***

# „ელიავას საქმეზე" შოთა კვირაია დაკითხეს

გასული კვირის ბოლოს, საგურამოსთან ახლოს, სოფელ ბიწმენდში, „ელიავას საქმესთან" დაკავშირებით, თავის საცხოვრებელ სახლში გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ, ელდარ თოფჩიევმა მოწმის სახით დაკითხა შოთა კვირაია.

ყოფილი შს უშიშროების მინისტრის, ამჟამად უშიშროების საბჭოს წევრის, დაკითხვის შემდეგ ელდარ თოფჩიევს რამდენიმე პიროვნების დაკითხვა მოუხდა. ვინ იყვნენ ის პიროვნებები, ელდარ თოფჩიევი არ აკონკრეტებს. თუმცა ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული პირები სერიოზული მოვლენების მოწმენი არიან და მათი გვარებიც საზოგადოებისათვის უცხო არ უნდა იყოს. გარდა ამისა, კვირაიას ჩვენების შემდეგ, იმავე დღეს, რამდენიმე პირის დაკითხვა ნიშნავს იმასაც, რომ უშიშროების საბჭოს წევრმა საკმაოდ საინტერესო და აქამდე გაუხმაურებელი ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას.

თავად შოთა კვირაიას დაკითხვა, ზესტაფონში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, გენერალურ პროკურატურაში კარგა ხანს კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. თავის დროზე ამ საქმის გამომძიებელმა მირზა დოლიძემ „კვირის პალიტრას" კიდეც განუცხადა, რომ თუ გარემოებები გამოიკვეთებოდა ინციდენტამდე ელიავას და კვირაიას შესაძლო შეხვედრის შესახებ, ისინი შს ყოფილ მინისტრს აუცილებლად დაკითხავდნენ. ამის შემდეგ გარკვეული ხნის განმავლობაში კვირაიას პროკურატურაში შესაძლო დაკითხვაზე ხმები მიჩუმდა, ხოლო მირზა დოლიძე ძიებას ჩამოაშორეს და სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს, საქმე კი საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს ელდარ თოფჩიევს გადასცეს.

როგორც ჩანს, გამოძიებამ საბოლოოდ მიზანშეწონილად მიიჩნია კვირაიას დაკითხვა. თავად თოფჩიევის განცხადებით, შოთა კვირაიას დაკითხვის საფუძველი გახდა საქმეში არსებული მონაცემები და საგაზეთო პუბლიკაციები იმის თაობაზე, რომ ზესტაფონში მომხდარ ინციდენტამდე ელიავა და მისი თანმხლებნი თითქოსდა საგურამოში შეხვედრიან კვირაიას.

მართლა შეხვდა თუ არა კვირაია ელიავას საგურამოში? ამ შეკითხვაზე პასუხისგან თოფჩიევი თავს იკავებს და აცხადებს, რომ საუბრის გამჟღავნების უფლება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით არ აქვს, რადგან გამოძიების საიდუმლოებას წარმოადგენს. თუმცა, მისი თქმით, კვირაიამ გამოძიებისთვის საინტერესო საკითხებზე დეტალური ჩვენებები მისცა.

ფაქტია, რომ დღეს შოთა კვირაია უკვე უარყოფს ელიავასთან ნათესაურ კავშირსა და განსაკუთრებულ ურთიერთობებს. თუმცა, ნაცნობობას, „ტყის საძმოს" ყოფილ მეთაურთან ასე ხსნის.

შოთა კვირაიას ჩვენებიდან: „საქართველოში სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, სამეგრელოს რეგიონში იყო არაერთი პიროვნება, რომლებიც აგრესიულად იყვნენ განწყობილნი არსებული ხელისუფლებისადმი. იმ პერიოდში მე ვმუშაობდი შს მინისტრად. შეიქმნა სახელმწიფო პროგრამა და პირადად მე მივიღე კონკრეტული დავალება ტყეში გახიზნული ზემოხსენებული



პირების შემოსარიგებლად. კონკრეტული ღონისძიებების გატარების შედეგად შემორიგებულ იქნა აკაკი ელიავა და რამდენიმე პიროვნება. ამის შემდეგ აკაკი ელიავა დაინიშნა შინაგანი ჯარების დაქვემდებარებაში მყოფი სენაკის ბატალიონის უფროსის მოადგილედ. რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობები ელიავასთან არ მქონია. მქონდა ჩვეულებრივი სამსახურებრივი დამოკიდებულებები..."

ამ სამსახურებრივი დამოკიდებულებების შედეგად, სხვათა შორის, მაშინ, როდესაც შოთა კვირაია უშიშროების მინისტრი იყო, აკაკი ელიავა სპეცდანიშნულების რაზმ „სატურნის" უფროსის მოადგილედ დაინიშნა.

შოთა კვირაია ამას დღეს უკვე აღარ მალავს და აცხადებს, რომ ელიავა მისივე თხოვნით დაინიშნა უფროსის მოადგილედ. არც იმას უარყოფს, რომ ტანკებით შემოსულ ელიავას, როგორც ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი, მაშინაც შეხვდა და, მისივე ჩვენების მიხედვით, ყველაფერი გააკეთა, სამთავრობო ჯარსა და ამბოხებულებს შორის სისხლის ღვრა რომ არ მომხდარიყო.

მაგრამ რატომ აღარ ჩაერია კვირაია ამჯერად ზესტაფონის ინციდენტის უსისხლოდ მოგვარებაში და, კიდევ, რატომ აღარ დაურეკა თავად ელიავამ იმ საბედისწერო დღეს შოთა კვირაიას და რატომ ურეკავდა იგი დაჟინებით სამეგრელო-ზემო სვანეთის კრიმინალური პოლიციის უფროსს, მერაბ გერგაიას?

სხვათა შორის, გასულ კვირას ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა სენსაციური განცხადება გააკეთა — ელიავას მკვლელობა თავად კვირაიამ მოაწყოო. რამდენად სწორი და არგუმენტირებულია იგი, გამოძიების საქმეა. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ კიტოვანი ცრუობდეს და ძველ ჯავრს იყრიდეს კვირაიაზე.

გამოძიებამ დაკითხა მერაბ გერგაიაც. მისი ჩვენების მიხედვით, როდესაც ელიავა დაჟინებით სთხოვდა ზესტაფონში ჩასვლას, იმ მომენტში ხობის რაიონში, ბიძის პანაშვიდზე იმყოფებოდა. ელიავასთვის შეხვედრაზე გერგაიას უარი არ უთქვამს, თუმცა ზესტაფონში ველარ ჩაუსწრო.

ფაქტია, რომ „ელიავას საქმის" გარშემო თანდათან ბევრი ბუნდოვანი ღრუბელი ჩნდება. არადა თოფჩიევის განცხადებით, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება თითქმის ამოიწურა და უახლოეს ხანში საქმეზე გამოძიება დამთავრდება.

უშედეგოდ ჩაიარა ბალისტიკურმა ექსპერტიზამაც. გავრცელებული ხმები, რომ სპეცრაზმელებმა ახლო მანძილიდან ისროლეს, ასევე ის, რომ ოპერაციის დროს ფეთქებადი ტყვიები გამოიყენა სპეცრაზმმა, ექსპერტიზამ არ დაადასტურა. სამაგიეროდ, გამოძიებამ უკვე დაადგინა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული 9მმ კალიბრის 2 ცალი მასრა გასროლილია „ჩზ-75" მოდელის პისტოლეტიდან, რომელიც ეკუთვნოდა აწ გარდაცვლილ გვილავას.

და მაინც, რა ტიპის იარაღი გამოიყენეს სპეცრაზმელებმა? ამაზე გამოძიება დუმს და სპეცსამსახურის გასაიდუმლოებას იმიზეზებს. ასევე პასუხგაუცემელი რჩება, თუ უშიშროების მინისტრის მოადგილის, ლევან კენჭაძის მიერ გამოძიებისთვის წარმოდგენილ ერთ სპეცჟილეტსა და ორ ჯავშანჟილეტზე ტყვიით დაზიანება ვისი მხრიდან მოხდა.

აღსანიშნავია, რომ „ელიავას საქმე" იმ საქმეთა რიცხვშია, სადაც გარდაცვლილთა ადვოკატებს საქმეში არ რთავენ. საერთოდ, ადვოკატის დაშვება ხდება დაზარალებულის, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ინტერესების დასაცავად. საქმის აღძვრის მომენტში კი ელიავა და გვილავა გარდაცვლილები იყვნენ და, აქედან გამომდინარე, ისინი ბრალდებულად და ეჭმიტანილად ცნობილნი ვერ იქნებოდნენ. „დაზარალებულები ისინი არ არიან. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ელიავამ და გვილავამ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები ჩაიდინეს", — აცხადებს თავის მხრივ თოფჩიევი. თუმცა ელიავას დაცვის მხარეს სასამართლო განხილვის დროს მაინც შეეძლება გარდაცვლილთა რეაბილიტაციის საკითხის დაყენება.

***მარინა მამისაშვილი***

# ახლაც ხშირი ყოფილა სიკვდილიანობა თუშეთის გზაზე...

„თუშ მეცხვარეებს სჩვევიათ — ამოირჩევენ ციკანს და შვილივით უვლიან, ანებივრებენ, ხელზე იჩვევენ. მერე ერთ რამედ ულირთ ჭექა-ქუხილის დროს შეშინებული ნაბადში რომ შეუძვრებათ. ეეჰ, თუშეთს უცხვროდ ბარემაც არა აქვს ლაზათი, მაგრამ...“

თუშეთის მიმავალნი თვალს ვერ ვწყვეტთ გომეწრის ხეობას. რაც უფრო ვუახლოვდებით ომალოს, მით უფრო უჭირს მანქანას. ამინდიც ჭირვეულობს. მოულოდნელად, მთათა შუა ჩაწოლილი ნისლი გვიკეტავს გზას. ირგვლივ აღარაფერი ჩანს. ვღელავ, ჩვენი გიდი ზეზვა გოჩოლაძე საგზაო შესანდობრებიდან მორჩენილ წინწანაქარს პლასტმასის ჭურჭელში მიწურავს — „ნისლი შემოვა ხევში და/ შემოგვარდება მგელივით“, — დაწყებულ ლექსს ზეზვა აქ მორიალე სულთა შესანდობარით ამთავრებს. „ამ ადგილას სამი ადამიანი დაღუპულა, დალიე, ძმისწულო, იმათმა სულებმა გაგვინათონ გზა-კვალი“.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება ტრაფარეტი, რომელიც მწყემსის, მონადირის თუ უბრალოდ, მგზავრის ტრაგიკულ აღსასრულს იუწყება. თუშებისთვის გზის ასეთი მონაკვეთები ერთდროულად ითვლება წმინდად და ცოდვიანად. მწყემსთა დაბარგული ცხენები ასეთ ადგილებში თავისით ჩერდებიან თურმე.

„ცოდვიან ხევში“ 7 ადამიანი ერთდროულად მოყოლილა ზვავში. მათ შორის, ერთი ქალიც ყოფილა. ეს სახელი ხეობისთვის ამ ამბის შემდეგ შეურქმევიათ. „გელიკას მონაკლავში“, ვინმე თუშ გელიკას ლეკები დასხმიან თავს და დიდოური ხანჯლებით ერთიანად აუკაფავთ. ახლაც ხშირი ყოფილა სიკვდილიანობა თუშეთის გზაზე. ახლახან გზის შემკეთებლები გადავარდნილან მანქანით — რევაზ გაფრინდაული, თამაზ ხვედაგურიძე, ნოდარ ბოდაველი და კაკო ბეწუნაიძე. შეწუხებული ხევისბერები „გზა-მგზავრთა შემწედ „საკლავის დაკვლას და ჯვართად შეხვეწნებას აპირებენ“.

„მწყემსის დღეზე“, ომალოში „უფროსობის“ მოლოდინში, დიდი სამზადისი გაიმართა. „ეუთოს“ ხალხი აღტაცებული, გაკვირვებით ადევნებდა თვალს ხეებზე ჩამოკიდებული ცხვრების გატყავებას. თუშებმა ხორცი ოთხ უზარმაზარ ქვაბში ჩაყარეს და ცეცხლზე შემოდგეს. 12 საათისთვის შვეულმფრენის მოლოდინში ბალღებმა „პოზიციები“ დაიკავეს. ჩეჩნეთის და დაღესტნის საზღვრებზე მდგარი ჯარის ნაწილი კი კესილოს ციხესთან გამაგრდა. როგორც იქნა, შვეულმფრენიც მოფრინდა. მეგარმონე ქალები კლავიშებზე დაწყობილი თითებით დაძაბულნი ელოდნენ კულტურის განყოფილების გამგის ნიშანს. ტრადიციულმა ცერემონიამ ჩვეულებისამებრ ჩაიარა. სახელმწიფო მინისტრმა სამ მწყემსს ღირსების ორდენები გადასცა. მასპინძლებმა საპასუხოდ ნაბადი აჩუქეს და ა.შ. სუფრა ქვემო ომალოში გაიშალა.



სოფელში ზეიმზე ჩამოსული მწყემსები სტუმრების წასვლამდე სუფრას არავინ გააკარა. ჩამოსულთა გაცილების შემდეგ კი დაღლილი ცხენები იქვე, საძოვრად მიუშვეს და მამაპაპურად მოილხინეს. მოლხენას ვამბობ, თორემ მწყემსებს სევდიანი სადღეგრძელოები შემოსჩვევიათ. მეორე დილით გავიგეთ ყაზილარებს, როგორც თუშები ჯეელებს ეძახიან, დიდი პურობა უჩხუბრად არ დაუმთავრებიათ. უამისოდ ხომ მთაში ზეიმს ლაზათი აკლია.

**ნიკო უჯირაული**, ხევისბერი, 70 წლის: „14 წლის ვიყავი, ცხვარში რომ წავედი. მარტო მე 300 სული ცხვარი მყავდა. მხოლოდ ერთ ზემო ალვანის მეურნეობას კი — 60.000 სული. თუშეთი ცხვრის გარეშე უქუდო კაცს ჰგავს. გული მტკივა დაცარიელებულ იალაღებს რომ ვხედავ. მეცხვარეს პატრონი აღარ ჰყავს. 200 სული ცხვარი შარშანწინ ლეკებმა მომტაცეს. მეორედ 4 მწყემსს ხელფეხი გაგვიკრეს, 32 ძროხა და 4 ცხენი წაიყვანეს. ნერვიულობაზე წნევამ დამარტყა. ასე დავიჩაგრე და ნახევარი კაცი დავრჩი. სდიეს ამ ამბავს მწყემსებმა. წითელწყაროს პოლიციამდე მივიდნენ და მერე თავი გაანებეს. მწყემსს იარაღს არ უჩერებენ. სანადირო დანასაც კი ართმევენ.

**ირაკლი ხვედაგურიძე** — ექიმი: „სოფელ ბოჭორმაში ვცხოვრობ. მთავრობამ რაღაც მაინც ხომ უნდა გაგვიკეთოს? ათი წელია, ერთს ვთხოვთ, მოგვცენ საშუალება, ჩავატაროთ საქონლის ვაქცინაცია, ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ მოხდეს მწყემსების აცრა. საქონელიც დაავადებულია და მწყემსებიც. თუ ყურადღებას არავინ მოგვაქცევს, თუშეთი უცხვროდ დარჩება. წინათ ერთ მეურნეობას ჰყავდა 100.000 სული. ახლა მთელ თუშეთში 15.000-ს ვერ შეაგროვებთ. მეცხვარეობა რომ წამგებიანად ჩაითვლება, იმ ქვეყანას რა ეშველება, მითხარით. მთავრობამ უნდა იზრუნოს, რომ თუშურ მატყლს ფასი დაედოს. 10 წლის მატყლი აქვთ აქაურებს შენახული. საჭიროა მისი რეალიზაცია. თუში მწყემსების თხოვნა-მოსაზრებებს არავინ აქცევს ყურადღებას, არადა ისინი თავისი საქმის აკადემიკოსები არიან. კომბლით ხელში მარტო ცხვარს კი არა, მთლიანად საქართველოს იცავენ.

თუშეთში ზამთარში 60 კომლი რჩება. აქ ისეთმა თოვლ-ზვავმა იცის ჩამოწოლა, ხან მეზობელ სოფლებში მცხოვრები თითო-ოროლა ოჯახი ახალ წელსაც ვერ ულოცავს ერთმანეთს. ამ დროს რას აკეთებთ-მეთქი — ვეკითხები ჩემს დიასახლისს. „კაცები კერიასთან სხედან და „პრიმით“ გაყვითლებულ თითებს დაჰყურებენ. ქალები კი ჭრელ წინდებს ვქსოვთ დ გაზაფხულზე ვოცნებობთ“, — მიპასუხა.

ვემშვიდობებით თუშებს.

— მშვიდობით იარეთ, გფარავდეთ წმინდა სამების ჯვარიო, — გვლოცავს ხევისბერი და ჯაფადარდისგან დაღარულ შუბლზე ნაოჭებს იყრის. — იჩქარეთ, ბალღებო, დროით ჩადით ბარში, თორემ ცა საავდროდ გულს ირევსო.

**ნანა ქბიშაური**

# ...მძიმე წერილი გამოვიდა

## შინმიუსვლელი ქალ-რძალი და მავანი მამაკაცები...

მათთვის დრო დიდი ხანია გაჩერდა. ახლა არც სოფლელები ჰქვიათ და არც ქალაქელები. საქმე ეხება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ადამიანთა ფართო ნაკადს — ხელმოკლეობამ და ქვეყნის მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ რომ აიძულა, დაეტოვებინა მამაპაპური ბუდე, სოფელი და ნიაღვარივით მოსდებოდა „თვითონაც ცოდვილ“ დედაქალაქს. ნუ მიწყენენ, თუ ამ ადამიანებს, ისევ მათი „კარნახით“, შინმიუსვლელებს ვუწოდებ.

გაუსაძლის მდგომარეობას რა ვუთხრა, ქალაქი და სოფელი ერთნაირად რომ მოიცვა, თორემ მჯერა, მათ ძილ-ღვიძილში ისევ მშობლიური სახლკარი, სველი თუნგი თუ კაკლის წენგოთი დასვრილი ხელები, თვალხატულა ბოჩოლა და ჭრელი წიწილები ენატრებათ... ამიტომაც ჰყვებიან და ჰყვებიან... მონატრებაც არის და მონატრებაც! მათ სოფელი ეძახით, მაგრამ წასვლა კი არ შეუძლიათ!



ვფიქრობ, ჩვენი და მათი სატკივარი განუყოფელია, თუ სოფელი დაიცალა და გადაგვარდა, მაშინ იმ ნაქებ, ქართულ სამამულე რქასაც გახმობა და გაქრობა ემუქრება, მითაჟამიდან რომ მსხმოიარობდა და ნატვრისხეობდა!

„კვირის პალიტრის მკითხველებს“ ვთავაზობ საინტერესო პასუხებს სამოცი გამოკითხულიდან კითხვებზე — როდის წამოხვედით სოფლიდან, რა თვისებები დაგაკარგვინათ ან შეგძინათ ბაზარსა და ქუჩაში ვაჭრობამ, და გენატრებათ თუ არა სოფელი.

**ქ-ნი მზია (42 წლის)**

„უნდა გითხრათ, რომ ქუჩა-ქუჩა წანწალმა და ვაჭრობამ ისე მიმაჩვია „მდაბალ“ ენაზე საუბარს, ვეჭვობ, თქვენთან კულტურული ლაპარაკი შევძლო. ერთ „უხსოვარ“ დროს კი მოწინავე პედაგოგი მერქვა და ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი ჩემი სოფლის სკოლაში. ყველაფერს დავემშვიდობე. ქალაქს შემოვეხიზნე — ჩემი სამი შვილი და ოჯახი უნდა გადამერჩინა. დედაშვილობის ინსტინქტმა მანამდე ჩემთვის მიუღებელი რამ — ვაჭრობა მაიძულა.

პირველად აქ რომ ჩამოვედი, პურით დავიწყე ვაგზალზე ვაჭრობა. თითოეულზე ხუთი თეთრი უნდა მომეგო, არაფერი გამომივიდა, ჩემს პურს არავინ ყიდულობდა. — უფრო გამოქექილმა ქალებმა გადამისწრეს... დეგენერატივით ვიდექი ქუჩაში.

ერთ საღამოს, მარჯანიშვილის მოედანზე, ჯიხურს მივადექი და გამყიდველს ცელოფანის პარკები იაფად შევთავაზე. მას არ სჭირდებოდა. დავღონდი — პურის სამყოფელი ფულიც არ მქონდა. შემთხვევით ქუჩაში მიმავალი მოხუცი ქალი შეჩერდა. გამომკითხა, საიდან ვიყავი, რატომ მქონდა სასოწარკვეთილი სახე. ამ სათნო ადამიანს გული გადავუშალე... შევებრალე და ჩემგან 18 ლარის ცელოფანი იყიდა. ამ დღიდან ჩემი ბედი წაღმა დატრიალდა. ახლა ვნანობ, რატომ იმ კეთილ ადამიანს მისამართი არ ვკითხე.

სოფელი, რა თქმა უნდა, მენატრება და ჩავდივარ ხოლმე. გული მეგლიჯება — მოხუცი დედამთილ-მამამთილი ჩემს ყოველ ჩასვლა-წამოსვლაზე ტირის... უნდა გამოვტყდე, ხანდახან აბეზარი აზრები მიტრიალებს — ქმარი რაში მჭირდება, ჩემთვის ხომ ზედმეტი ბარგი გახდა-მეთქი. საწყალს ჩემი ისე რცხვენია, რომ ჩავდივარ, იმალება, რაღა ვაჟკაცი მქვიაო! რაც მართალია, მართალია — ვაჭრობაში არავინ მომიტყუებია. ისე კი ძალიან უხეში და ნერვიული გავხდი... რატომღაც ხშირად ამეკვიატება ფიქრი სიკვდილზე... თუ ნაადრევად ესეც მიწერია, მინდა პატიოსნად მოვკვდე და მერე კი ჩემი საყვარელი სოფლის მიწაში დავიმარხო!“

**ქ-ნი ნაზი რ-ლი (35 წლის)**

„მე და ჩემმა მეუღლემ შვიდი წლის წინ სოფელი დავტოვეთ. ოთხი გოგონა დედამთილს ჩავაბარე.

შვიდი წლის მანძილზე ბევრი გაჭირვება და წაგებ-მოგება ვნახეთ. ვაჭრობა ისეთია, ისე გითრევს თავის „წიაღში“ და გათამაშებს, გგონია, მთელი ქვეყანა შენია. ეს დიდი სატყუარა ძალიან ჰგავს კარუსელს — ტრიალებს და გატრიალებს. მაგრამ ჩვენ გაგვიმართლა. ახალგაზრდები ვიყავით და არ შევშინებულვართ. ახლა ეს მაღაზია ჩვენია.

აქვე, ამ ქუჩაზე, ოროთახიანი ბინაც შევიძინეთ. თითქოს ბედნიერი უნდა ვიყო, მაგრამ შვილები აქ ვერ ჩამოგვყავს. მე კი ბავშვები და სახლი გამუდმებით მენატრება. სოფლის ტალახიც მენატრება. რომელი ერთი ჩამოვთვალო — ნეტავი, ჩემს ბოსტანში მოწყვეტილი კიტრი მაჭამა! ერთ საინტერესოსაც მოგიყვებით — გაზაფხულზე ჩემი ნაბოლარა გოგონას, ნათიას, დაბადების დღე იყო. ფული არ დამიშურებია. შეპირებული დიდი ფრანგული თოჯინაც ვუყიდე და ათასნაირი ხორაგითა და საჩუქრებით დატვირთული, სოფელს მივადექი. წამოსვლის დღეს იცით, რა მოხდა? — ჩემი ნათია დიდხანს მეხვეწებოდა დარჩენას, რაც შეუძლებელი იყო. გაბრაზებულმა ბავშვმა ძვირად ღირებულ დედოფალას კაბა შემოახია, ტალახში ჩააგდო და ფეხებით შედგა, თან ტირილით მეუბნებოდა — არც შენ მინდიხარ, არც მამიკო და არც თქვენი საჩუქარიო! მითხარით, ამის შემდეგ რა აზრი აქვს ჩემს წვალებას?!

ვაჭრობამ ძალაუნებურად ისეთი ტყუილები მასწავლა, ხანდახან თავი მეზიზღება. ეკლესიაშიც წავედი, მოძღვარს აღსარებაც ვუთხარი, ზიარებაც მივიღე, უზარმაზარი სანთელიც დავანთე — არაფერმა მიშველა.

**ბ-ნი შოთა ჩ-ი (53 წლის)**

„არ დაგიმალავთ, ერთ დროს კაცი ვიყავი... თბილისის ზოოვეტინსტიტუტის ფრიადებზე დამთავრების შემდეგ კათედრაზე დარჩენასაც მთავაზობდნენ. მე კი ჩემი სოფელი ვარჩიე. ფერმის ზოოტექნიკოსად დიდხანს ვიმუშავე. ფული კოჭებამდე ეყარა. მეც ვშოულობდი და სხვასაც ვაძლევდი. კოლმეურნეობის დაშლის შემდეგ, გული ვერაფერს დავუდე. ერთხანს ტყეში წაბლის მასალის დამზადებაზე ვმუშაობდი. ჩემ გვერდით მომუშავე, 23 წლის ძმისშვილი დამეღუპა. იმის შემდეგ იქაურობა შემძულდა. ახლა ხედავთ, მანქანის საბურავებს ვყიდი. ამით ორ სტუდენტ ვაჟს ვარჩენ. ერთხელ სოლოლაკელმა სტუდენტობის მეგობარმა დამპატიჟა. ცოტა შეზარხოშებული უკან ვბრუნდებოდი. კანცელარიასთან, კიბეზე, მთავრობის დაცვა გადამიდგა — შეჩერდი, თლა უფროსი გამოდისო. მე გავიქაჩე — რომელი უფროსი, ის ხომ დიდი ხანია მოკვდა-მეთქი! ამის გამო იმაზე მეტი მომხვდა, რასაც ვიმსახურებდი... „დასინიაკებული“ ცხვირ-პირი ერთი კვირა გარეთ არ გამომიყვია.

სოფელში საუკეთესო სახლ-კარი და მეურნეობა მაქვს — ყველაფერი მოხუც მშობლებს და მეუღლეს შევატოვე. იქაურობას რა დამავიწყებს! ახლა, ცოტა ხანში, კაკლების ბერტყვა დაიწყება. როგორ მიყვარდა კრამიტებზე და მინდორში დაცვენილი კაკლის ხმაური... ღმერთმა ნუ ქნას, ჩემთვის ყველაფერი წარსულს ჩაბარდეს. გამოგიტყდებით, ფულს კი ვშოულობ, მაგრამ ის მაწუხებს, ამ ქალაქში ბედნიერი ხალხი, ჯერჯერობით, არ შემხვედრია. იქნებ ასეთნიც არსებობენ, მე ვერ შევეყარე — თეატრში, რესტორანსა და კაზინოში კიდევ არასოდეს ვყოფილვარ“.

**ქ-ნი ეთერი (55 წლის)**

„თქვენთვის ჩემს სახელსა და გვარს მნიშვნელობა არა აქვს, თუ გინდა, დაწერეთ, სულერთია... მხოლოდ ერთი წელია, აქა ვარ. ამ სიცხეში სული მძვრება, სოფელში ვერ მივდივარ. მინდა ერთ უბედურებაზე მოგიყვეთ. იქნებ სხვამ ჭკუა ისწავლოს... შიმშილით რომ ამოწყდნენ, ახალგაზრდა, ლამაზი ქალები აქ არ გამოუშვან. 27 წლის ლამაზი რძალი მყავდა, შვილს თვითონ ამოვურჩიე. დავიღუპე, ორი შვილი დატოვა და ცოლშვილიან კაცს გაჰყვა. იმანაც ოჯახი დატოვა. იცით, ახლა რას მითვლის — ნებისყოფამ მიღალატა. ვისაც შევებრალე, ვინც დამეხმარა და მომეფერა, იმას გავყევი. ახლა კი ბედნიერი ვარ და თავი დამანებეთო... დიახ, აქ ვაჭრობდა თბილისში. მთელი საგვარეულო შეარცხვინა. ახლა მისი ორი ბავშვის მოვლა ჩემზეა... ბევრჯერ გამოგზავნა ფული და საჩუქრები, მაგრამ არ ავიღეთ. მინდა, რძლის პატრონებს ვუთხრა — ყურადღებით იყონ, თუ არადა, ჯერ კიდევ ვინ იცის, რამდენ „უპატრონო თხას შეჭამს მშიერი მგელი!“

...მძიმე წერილი გამოვიდა! გადაიყრის ღრუბელს, ალბათ, ცა...

**დალი გაბედავა**

# ზოოპარკი შემოღობეთ, რომ ჩვენსავით დამშეულმა მხეცებმა გარეთ არ გამოაღწიონ

ამ ორი დღის წინ, პრეზიდენტის კანცელარიის შენობასთან გავლილს თვალს უცხოდ მომხვდა ჩამწკრივებული რკინა-ბეტონის სვეტები. სუპერმარკეტებითა და ბაზრობებით გადატვირთული დედაქალაქის შემხედვარეს, მსწრაფლ გამკრა აზრმა აქაც



სავაჭრო დახლების ჩამწკრივებას ხომ არ აპირებენ-მეთქი. თუმცა, ეს მოსაზრება მაშინვე გამოვრიცხე, რადგან პრეზიდენტთან სტუმრად ჩამოსულ ათასი ჯურის უცხოელს ცხვირწინ როგორ გამოუკიდებენ ჭრელაჭრულა ჩასაცმელებს თუ ხილ-ბოსტნეულს-მეთქი. ჟურნალისტური ჩაკირკიტება და ტვინის ჭყლეტა ნამდვილად არ დამიწყია, უბრალოდ ადამიანურმა ცნობისმოყვარეობამ მაიძულა გამერკვია, ყოველივე ის, რასაც ყოველგვარი შელამაზების გარეშე ქვემოთ მოგახსენებთ.

მოსახლეობისაგან გასამიჯნავად ჩვენმა ხელისუფლებამ მორიგი, ახალი ფორმა გამოიგონა: უკვე დაიწყეს პრეზიდენტის კანცელარიის შენობის „გარე სამყაროსაგან“ რკინის გისოსებით იზოლირება, რითაც მოსახლეობასა და მთავრობას შორის არსებული უხილავი თუ ხილული ბარიერი კიდევ უფრო საგრძნობი ხდება. როგორც ჩანს, ამერიკული თეთრი სახლის მსგავსად, ჩვენი პრეზიდენტის სამყოფელსაც „ალყაში აქცევენ“. ცოტა გასაკვირია, რისთვის სჭირდება თეთრ სახლს გისოსები, რადგან იქ, ძირითადად, ჩვენთვის ჯერ კიდევ უჩვეულო პრობლემებით შეწუხებულნი (სექსუალური უმცირესობები) თუ მიაკითხავენ ხოლმე, ისიც იშვიათად. ჩვენთან კი რკინის მესრების აუცილებლობა უფრო და უფრო საჭირო ხდება, რადგან ამ ბოლო ხანს ძალიან გახშირდა უხელფასობით, უპენსიობითა და შიმშილით შეწუხებული მოსახლეობის კანცელარიასთან სტუმრობა და როდის აევსება მოთმინების ფიალა ამ ხალხს, ძნელად სათქმელია. თუმცა, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, სექტემბრიდან უკვე რაღაც-რაღაცები დაიწყებაო. ალბათ ჩვენს ხელისუფლებამდეც მიაღწია ამ ხმებმა და ამიტომ მათ ახლა გისოსებიანი იმუნიტეტის ხერხს მიმართეს.

ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რატომ ავლებენ მესერს უმაღლესი ხელისუფალის შენობას, კანცელარიის დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ხალხისა და აქციებისგან თავდაცვის მიზნითო, — უპასუხა. თუმცა, ზოგიერთი ახალბედა, მიამიტი დაცვის თანამშრომლის თქმით, ეს ყოველივე თურმე გასალამაზებლად ხორციელდება. რას იზამ, როგორც დაარიგეს, ისე ამბობს. ერთ-ერთმა იქ მდგომმა, როგორც კილოზე შევატყეთ, შუახნის კახელმა მამაკაცმა კი ირონიულად იკითხა: „რა ხდება, შევარდნაძეს კლეტკაში სვამენ?“ მისმა თანმხლებმა კი, მცირე პაუზის შემდეგ გულისტკივილით და ღვარძლიანად დაასკვნა: „გინდა ღობის იქით ყოფილან და გინდა ღობის აქეთ. ორივე ერთია... ჩვენთვის მაინც არავინა ზრუნავს და...“

ჩვენი ყურადღება იქვე გამვლელი შუახნის მამაკაცის რეპლიკამაც მიიპყრო: „ამ დალოცვილებმა ზოოპარკი შემოღობონ წესიერად, რომ ჩვენსავით დამშეულმა მხეცებმა გარეთ არ გამოაღწიონ... ამათ რად უნდათ კლეტკა? რაც ამის შემოღობვას ფული სჭირდება, აგერ იმ მათხოვრებს (ხელს იშვერს) დაურიგონ, არა სჯობია?“

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი მესერი კანცელარიის შენობის წინ გამვლელთა უკმაყოფილებას იწვევს.

ჩვენ კი, ისღა დაგვრჩენია, შეგახსენოთ, ძვირფასო მკითხველო, რომ თავდაცვის ინსტინქტი ჩვენს ხელისუფლებასაც ძლიერი აქვს და ამიტომ ძალიან ნუ გავამტყუნებთ, მათ ხომ ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არა აქვთ. ისე კი, თუ ხელისუფლება უფრო თავდაცვაზე ფიქრობს, ვიდრე თავდასხმის შესაძლო ობიექტთა პრობლემების მოგვარებაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი საშველი ჯერ კიდევ არ იქნება.

**მამუკა ხუციშვილი**

# კინოსტუდიაში კრების ოქმი გააყალბეს?!

## „ჩვენ გვადებს ხელს? მაშინ სასამართლოში იჩივლოს!“

რამდენიმე ბანაკად დაყოფილი კინოსტუდია დღეს ბრძოლის ველს გვაგონებს, სადაც მხოლოდ ვნებებისა და ემოციების დუღილია. ბრალდებები, რომელთაც მხარეები უყენებენ ერთმანეთს, მძიმეა და ზოგჯერ დაუჯერებელიც. მრავალი წლის მანძილზე არსებული დაპირისპირება საზოგადოებისათვის 21 აგვისტოს გაცხადდა, როცა კინოსტუდიის თანამშრომლების ერთმა ნაწილმა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, რეზო ესაძეს კაბინეტის კარი აუჭედა და ამით გამოხატა პროტესტი გენერალური დირექტორის (რეზო ჩხეიძის) თანამდებობის გაუქმების გამო.

დღესდღეობით, რეზო ესაძის კაბინეტი ისევ აჭედილია, კინოსტუდიაში დაუმორჩილებლობის კომიტეტი ბობოქრობს, რომლის წევრები ჩხეიძის ოპონენტების გამოჩენას ელიან და მათ არც მეტი, არც ნაკლები — კიბიდან უპირებენ დაგორებას.

ასეთ ვითარებაში ჭეშმარიტების დადგენა ძნელია, არც ჩვენ გვაქვს პრეტენზია მსაჯულის პოზიციაზე. ამ წერილში მხარეთა პოზიციის დაფიქსირებას და იმ მიზეზების გარკვევას შევეცდებით, რამაც კინოსტუდიის ცხოვრება მაჟორულ ტონალობაზე გადართო.

რეზო ჩხეიძის ხელდასხმით შექმნილმა სამეთვალყურეო საბჭომ გენდირექტორის თანამდებობა გააუქმა, რითაც კინოსტუდიის თანამშრომელთა რისხვა დაიტეხა თავს და ჩხეიძეც სახტად დატოვა.

**რეზო ჩხეიძე:** „გაოგნებული ვარ. რამ გადარია ეს ხალხი? ადამიანები, რომლებიც ჩემთან იყვნენ ჩახუტებულები და მამას მეძახდნენ, დღეს ჩემს წინააღმდეგ მტრულ ნაბიჯებს დგამენ. მიზეზს ჩემს თავში ვეძებ. ხან ვფიქრობ, იქნებ მათ უფრო უყვართ ქართული კინო, ვიდრე მე. ამ მდგომარეობას რომ ვუყურებ, ცეზარის ფრაზა მაგონდება — „შენც, ბრუტოს!“ ეს თქვა მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა მახვილი ჩასცა. ან მე ვარ დამნაშავე, ან კიდევ ჩემს წინააღმდეგ მოქმედებენ გარკვეული ინტერესებით შეპყრობილი ადამიანები. გამორიცხულია, მერაბ კოკოჩაშვილს მატერიალური ან რაიმე ქვენა ინტერესები ამოძრავებდეს, მაგრამ ის იმ კასტის გავლენის ქვეშაა, რომელსაც სურს ჩაკლას კინოსტუდია „ქართული ფილმი“, იმიტომ, რომ აქ ვერ ბატონობენ. აქ მბრძანებლობა მათ რეზო ჩხეიძის გამო ვერ მოახერხეს. ჩემს ადგილზე მათი ჭკუის კაცი, ან მათი „პეშკა“ რომ დაჯდეს, იმასააშენებენ.



**— თქვენი ოპონენტები აცხადებენ, რომ კინოსტუდიამ რეჟისორებთან შეუთანხმებლად გაყიდა რამდენიმე ფილმი და მათ ერთი თეთრიც არ მისცა.**

— თუ გაკეთდა ასეთი საქმე და ფილმი გაიყიდა, ამას ვინმე კერძო პირი ჩაიდენდა. ასეთი ბრალდება ჩემთვის გაუგებარია. ე. ი. ფილმები გავყიდეთ და ფული ჩვენ ავიღეთ?

**— როგორც ვიცი, სწორედ ეს იყო თქვენი ამჟამინდელი ოპონენტების განაწყენების ერთ-ერთი მიზეზი.**

— რამდენადაც ვიცი, მათ არ ჰქონიათ ჩემ მიმართ ეს პრეტენზია.

**დათო ურუშაძე, კინორეჟისორი:** „სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ საკუთრებაა არა მარტო სტუდიის უძრავ-მოძრავი ქონება, არამედ ის ფილმებიც, რომლებიც ჩვენთან შეიქმნა. ისინი სახელმწიფოს თანხით არის გადაღებული. გავიგე, რომ ბ-მა ელდარ შენგელაიამ პრეზიდენტს მოაწერინა ხელი დოკუმენტზე, რომლის თანახმად, რეჟისორებს 1990 წლამდე გადაღებული ფილმების საზღვარგარეთ გატანისა და გაყიდვის უფლება მიენიჭათ. ამ ფილმებიდან აღებული თანხა რამდენიმე ადამიანმა ჩაიჯიბა.

**რეზო ჩხეიძე:** „როდესაც ამ საკითხს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი იხილავდნენ, წინააღმდეგი წავედი. თუ რეჟისორები ფილმებს გაყიდდნენ, სტუდია შემოსავალს კარგავდა. სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ დამაარსებელმა, გერმანელმა, გვარად ფრომმა, შევარდნაძეს მისწერა, რომ ასეთი ნაბიჯი გამანადგურებელი იქნებოდა „ქართული ფილმისთვის“. როდესაც ის ჩვენთან თანამშრომლობას იწყებდა, ფიქრობდა, რომ გაყიდული ფილმებიდან კინოსტუდიას კაპიტალი ექნებოდა. გერმანიას 300 ფილმის შესყიდვა ჰქონდა განზრახული, მაგრამ ზემოხსენებული ფაქტის გამო ამ განზრახვაზე მათ ხელი აიღეს.

**— სანამ დაპირისპირება ასე გამწვავდებოდა, მეორე მხარესთან მოლაპარაკება არ გიცდიათ?**

— ორივე მხრიდან იყო პატარ-პატარა მცდელობები, მაგრამ ისინი თავიანთი საქციელით იმდენად ამორალურად გამოიყურებოდნენ, რომ ნდობას არ იწვევდნენ. მერე იყო და, ესაძემ საშინელი ცილისწამებებით სავსე წერილი გაუგზავნა პრეზიდენტს. ამის შემდეგ როგორ შეიძლებოდა მათთან თანამშრომლობა?

რეზო ჩხეიძის მხარემ ოპონენტებს სერიოზული კომპრომატი მოუძებნა. კინოსტუდიის ადვოკატი ასმათ ქარდავა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მაქინაციაში, უფრო სწორად, დოკუმენტის გაყალბებაში სდებს ბრალს: „17 სექტემბერს ჩატარდა აქციონერთა კრება, რომელსაც მეც ვესწრებოდი. კრებაზე, როგორც აქციების 2/3-ის მფლობელი, იმყოფებოდა ქონების მართვის სამინისტროს წარმომადგენელი ნუგზარ დვალი. დაისვა საკითხი, რომ კინოსტუდიის წესდება შესაბამისობაში მოეყვანათ კანონთან „მეწარმეთა შესახებ“. დაიგეგმა, რომ კონკრეტული ცვლილებები აქციონერთა მომდევნო კრებაზე გაკეთებულიყო. ცვლილებების მომზადება მე დამევალა. 17 სექტემბრის შვიდგვერდიანი ოქმი გატარდა რეგისტრაციაში და ნოტარიუსმა დაამოწმა. ახლა ირკვევა, რომ იმავე თარიღით სასამართლოში კიდევ ერთი, სამგვერდიანი ოქმია რეგისტრირებული, რომელშიც უკვე დაფიქსირებულია კონკრეტული ცვლილებები. 17 სექტემბრის კრებას წესდებაში ცვლილებები არ შეუტანია, ამიტომ ეს ოქმი არის ყალბი. ამ დოკუმენტის გაყალბებით კი დაინტერესებულნი არიან ბატონი რეზოს მოწინააღმდეგეები. ამ ყალბი ცვლილების თანახმად, დირექტორატის საქმიანობა შინაგანაწესით დაკონკრეტდა. წესდებით, სამეთვალყურეო საბჭოს აქვს გენერალური დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების უფლება. წესდებაში მომხდარი ცვლილე-



ბებისა და შინაგანაწესის საფუძველზე შეიქმნა ვითომ კანონიერი საფუძველი გენდირექტორის თანამდებობის გაუქმებისა“.

**რეზო ჩხეიძე:** „კრებაზე იურისტმა გოგსაძემ დასვა საკითხი, რომ წესდება კანონთან შესაბამისობაში მოგვეყვანა. ცალკეულ პუნქტზე არ გვისაუბრია. ეს წუთია, ტელეფონით ვესაუბრე ქონების მართვის სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ ნუგზარ დვალს. ვკითხე, იქნებ იყო ასეთი საუბარი და მე არ მახსოვს-მეთქი. ბ-ნი ნუგზარი ადასტურებს, რომ ცალკეული პუნქტი კრებაზე არ განხილულა. სასამართლოში გატარებულ მეორე ოქმში, რომელსაც ყალბს ვეძახით, პირდაპირ არის მუხლები მითითებული და აშკარად „პადლოგია“ გაკეთებული“.

**დათო ურუშაძე:** „მათ კანონის დარღვევით გამოსცეს ბრძანება, რომლის თანახმად, გენდირექტორის თანამდებობა გაუქმდა. ამ ნაბიჯმა სტუდიაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და ხალხმა მეორე დღეს ესაძის კაბინეტის კარი აჭედა. სამეთვალყურეო საბჭო აცხადებს, — რეფორმატორები ვართო. რეფორმა ის არის, რასაც ჩხეიძე აკეთებს. მისი ავტორიტეტის წყალობით მოხერხდა, რომ ესპანეთი 30 მილიონ დოლარიან კრედიტს გვაძლევს. ესაძე და მისი მომხრეების უმეტესობა ადრე გაიძახოდნენ, — ოღონდ ეს კრედიტი მოვიდეს და ბატონ რეზოსთან ჩოქვით მივალთო. ახლა კი, როდესაც ამ კრედიტის მიღება რეალური გახდა, ხელს უშლიან. ერთ ამბავს მოგიყვებით: იმ დროს, როდესაც ბატონი რეზო „დონ კიხოტს“ იღებდა, ესპანეთში ოდრი ჰეპბერნი ყოფილა. მისთვის ვიღაცას უთქვამს, — „ჯარისკაცის მამის“ ავტორი აქ იღებს ფილმსო. მსახიობი მისულა ბ-ნ რეზოსთან, მისალმებია და ხელზე მთხვევია. ამით გამოუხატავს აღტაცება მისი შემოქმედებისადმი. ახლა ასეთ ადამიანს ისეთ რაღაცას უკეთებენ, რომ ნერვიულობით მოკვდეს. ბ-ნი რეზო თავის დროზე წავა, მაგრამ იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, როგორ გავუშვებთ, როგორ ვეტყვით მადლობას იმის გამო, რაც გააკეთა. რატომ არის, რომ თანამშრომლები, რომელთაც 17 თვეა, ხელფასი არ აუღიათ, ისევ მას იცავენ და კარს უჭედავენ სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც ოქროს მთებს ჰპირდება? ბატონი რეზოს ადგილზე ნაკლებად პატიოსანი და ნაკლებად პატრიოტი ადამიანი რომ ყოფილიყო, დიდი ქონების პატრონი შეიქნებოდა. ბევრი კინოთეატრებში კაზინოებისა და მაღაზიების გახსნას სთავაზობდა, მაგრამ არ დასთანხმდა და ჩვენი ქონება შეგვინარჩუნა.

„ქართული ფილმის“ აქციების 1/3-ის მფლობელი კინოსტუდიაა, აქედან გამომდინარე, მისი თანამშრომლები აქციონერები არიან. ჩხეიძე აცხადებს, არავის აქვს უფლება, ხალხს თავისი ქონება წაართვასო. „რეფორმატორები“ კი ამ ხალხს ქუჩაში ერეკებიან.

სამეთვალყურეო საბჭოს სურს ძალაუფლების ხელში ჩაგდება, კინოცენტრის შექმნა. ამით ისინი ფინანსებს თავიანთ კერძო სტუდიებში წაიღებენ და ჩვენ არაფერს დაგვიტოვებენ. დღეს „ქართულ ფილმს“ ყველა თავისკენ ექაჩება. ჩვენს ინტერესებს მხოლოდ რეზო ჩხეიძე იცავს. ის არის გარანტი, რომ ჩვენი ქონება არ განიავდება, თუ ისიც „რეფორმატორების“ მხარეზე დადგა, მასაც წინააღმდეგობას გავუწევთ და კარს ავუჭედავთ“.

**დათო ნაცვლიშვილი** (კინორეჟისორი): „საინტერესოა, ჩხეიძის მოწინააღმდეგეები როგორ აპირებენ უფულოდ რეფორმის გატარებას. სამი თვის წინ რეზო ესაძე ბ-ნ რეზოს „მამას“ და „მშველელს“ ეძახდა. რამდენიმე დღის წინ კი შევიდა მის კაბინეტში და უთხრა, — 30 წელი მეზიზღებოდი და ახლა უნდა გითხრაო. ესაძეს ტვინში ნამცეცა ცახესის აზრები უტრიალებს, თავის ქმედებებზე პასუხს ვერ აგებს და ამხელა ტრადიციის მქონე კინოსტუდიას მას ვერ ჩავაბარებთ. ის თავისი ბუნებით ექსპრესიონისტია. ხელოვნებაში ეს კარგი მოვლენაა, მაგრამ ცხოვრებაში უვარგისია. ასეთი მოდერნისტული მიდგომა ორგანიზაციას ანგრევს.

მეორე მხარე არანაკლებ მკაცრია რეზო ჩხეიძის მიმართ. გიორგი შენგელაია კინოსტუდიის დირექტორს ფილმების — „ფიროსმანისა“ და „იყო შაშვი მგალობელის“ გაყიდვაში სდებს ბრალს.

**გიორგი შენგელაია:** „მალე დამტკიცდება, რომ ჩხეიძე ანგარებით მართავდა სტუდიას. ჩვენ გვჭირდება ნიჭიერი რეჟისორები, კარგი სცენარები და არა ისეთი „პადხალიმები“, რომლებიც მას ახვევია. ეს კინოსტუდია ჩემი მშობლების შექმნილია. ძველი კინოსტუდია დედაჩემის პირველი სამი ფილმით აშენდა, მაგრამ მე და ელდარი ამას არ ვიყენებთ. გეუბნებით, ჩხეიძე თავის თანამდებობას უანგაროდ არ იყენებს, საამქროებიდან პატარ-პატარა შემოსავლები აქვს.

**— გენერალური დირექტორის მომხრეები ფიქრობენ, რომ მის ადგილზე თქვენი კაცის მოყვანა გინდათ, რათა უკეთ მართოთ კინოსტუდია.**

— ან ერთი მხარის წარმომადგენელი იქნება, ან მეორის. ნეიტრალური საიდან მოვიყვანოთ? სტუდია ახალგაზრდებმა უნდა მართონ.

**— ჩნდება ეჭვიც, რომ თქვენ ჩხეიძის მიერ მოპოვებული 30 მილიონის ხელში ჩაგდება გსურთ.**



— ჩხეიძე ხალხს ატყუებს, რომ სტუდიაში 30 მილიონი დოლარი შემოვა. ეს ფული კი არა, სასაქონლო კრედიტია და ამ კრედიტში ესპანეთი ჩვენ აპარატურას გვაძლევს. ამ კრედიტს კი სამთავრობო გარანტია სჭირდება. ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, ამჟამად მთავრობა გარანტად არავის უდგება. პრეზიდენტმა ამ საკითხის შესწავლა ბასილიას დაავალა. ჩხეიძე კი ხალხს ეუბნება, რომ არის 30 მილიონის შანსი და მე და ელდარი ამ ფულს ვაკარგვინებთ.

**— ხალხი იმასაც ამბობს, რომ თქვენ უმადურად მოექეცით რეჟისორს, რომელსაც ბევრზე აქვს ამაგი.**

— არ არის სწორი. ჩხეიძე რომ არ ყოფილიყო, ესაძე ვერ გადაიღებდა ფილმებს? სად ჩემი „ფიროსმანი“, „ალავერდობა“ და სად მაგისი ფილმები. ჩვენ, ყველას, ჩვენი იდეოლოგია გვაქვს, მაგრამ ჩხეიძე იჩემებს, რეჟისორებს შევუწყვე ხელიო. ძალიან მაინტერესებს, როგორ უნდა შეეშალა ჩემთვის ხელი? ებლაუჭება იმას, რომ რაღაც ღვაწლი აქვს. კი ბატონო, მაგრამ 70 წლამდე მანდ ზიხარ, გადაჭამე ქვეყანა, დაიხურე ქუდი და წადი რა! მოუთმენელი კაცია. აღარ შეიძლება მისი ატანა. ძალიან ვეცდები, სასამართლოს გზით გავარკვიო, სად წავიდა 15 ათასი გერმანული მარკა, რომელიც კინოსტუდიას ეკუთვნოდა. გერმანელებმა სიბრიყვე გამოიჩინეს, რომ მას ეს თანხა მოწმის გარეშე გადასცეს.

**— უფრო კონკრეტულად აგვიხსენით რომელ თანხაზე საუბრობთ?**

— „ინტერფილმმა“ ფირმა „არტეს“ დაუდო ხელშეკრულება და მიჰყიდა ორი ფილმი — ჩემი „ფიროსმანი“ და ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი“. „ინტერფილმის“ წარმომადგენელმა 60 ათასი გერმანული მარკა გადასცა ფრომს (ადვოკატი, რომელიც ქართული ფილმების გაყიდვაზე მუშაობს), იმ იმედით, რომ ეს თანხა საქართველოში წამოვიდოდა. ეს ამბავი მაშინ გასკდა, როცა „ინტერფილმს“ გერმანიაში საგადასახადოდან მიადგნენ და ჰკითხეს, რატომ არ დაიბეგრა ეს ფილმებიო. ექვსი წელი მალავდნენ ამ ამბავს. ჩხეიძე იმდენად გაუმაძლარია, რომ ის 15 ათასი, რომელიც ფრომმა ქართული კინოსტუდიისთვის გაიმეტა, შინ წაიღო. გერმანელებს ბანკით უნდოდათ ამ თანხის გადმორიცხვა, მაგრამ ჩხეიძემ უთხრა, — აქ არეული სიტუაციაა, სჯობს, ფული ხელზე გადმოგვცეთო. მოწმე ყველაფერს წერს — „მეტეხი-პალასში“, ჩემს ნომერში 8 საათზე გადავეცი ჩხეიძეს და 1.200 მარკა ვთხოვე ჩემი მგზავრობის საფასურადო. დოკუმენტებში, რომლებიც გადმოგეცით, წერია, რომ პირს, ვინც ფილმების გაყიდვას ლიცენზიას უკეთებდა, 20 ათასი მარკა გადაეცა. ერთ-ერთ დოკუმენტზე თვითონ ჩხეიძის ხელმოწერაა.

მხარს ვუჭერ პოზიციას, რომ ჩხეიძე უნდა გადადგეს და, როგორც რეჟისორი, ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ კინოსტუდიაში მოისპობა მისი მართვის სტილი და კოლექტიური მმართველობა დამკვიდრდება. რა უნდა მოსთხოვო კაცს, რომელმაც გამსახურდიას ხელისუფლების დროს ლენინურ პრემიაზე უარი თქვა და დღეს, როგორც ამ პრემიის ლაურეატი ყოველთვიურად 150 ლარს იღებს.

**— გენდირექტორის მომხრეები თვლიან, რომ არასწორი იყო ფილმების გაყიდვის უფლების გადაცემა რეჟისორებზე. ამან კინოსტუდია გაალარიბა.**

— საბჭოთა პერიოდში ჩვენ მიერ გაკეთებულ ფილმებში იმის მიზერს ვიღებდით, რაც გვეკუთვნოდა. ფილმების გაყიდვის უფლება შევარდნაძემ პირველად ოთარ იოსელიანს მისცა. მერე ეს უფლება რამდენიმე რეჟისორმა მოვიპოვეთ. ფრომი რისი გამყიდველია, ჩვენ თვითონ მოვძებნეთ ხალხი, რომელიც ჩვენს ფილმებს ყიდის.

**ზაზა ურუშაძე, რეჟისორი:** (ბატონი ზაზა თავისი მოგვარისგან განსხვავებით, სულ სხვა პოზიციაზე დგას). „ერთი ადამიანის წყენა-არწყენას ხომ არ უნდა გადავაყოლოთ ქართული კინოს ინტერესები? მით უმეტეს, რომ კინოსტუდია ფეხსაცმელების ფაბრიკა არ არის. წესი, რომლითაც აქამდე ცხოვრობდა ქართული კინო, აღარ ვარგა. მით უმეტეს, დღეს ასე ჭირს დაფინანსება. თანხები რაციონალურად უნდა განაწილდეს და მიზნობრივად დაიხარჯოს ფილმებზე. გვინდოდა, რომ კინოსტუდიაში შემოსული ფული პირდაპირ ფილმებზე დახარჯულიყო და აქედან შემოსული თანხა შემდგომ წასულიყო მომსახურებასა და სტუდიის ხარჯებზე. გვინდოდა, ჩვენი ქონების გონივრულად გამოყენება, კინოთეატრების გაყიდვა და იჯარით გაცემა. ამ ფულს ჯიბეში არავინ ჩაიდებდა, თანხა „ქართული ფილმის“ გადარჩენას უნდა მოხმარებოდა. ყოველწლიურად 120 ათას ლარს ვიხდით ქონების გადასახადს და ეს ქონება გამოუყენებელია. როგორ აცხადებენ, რომ ჩვენ ქართული კინო არ გვიყვარს? მე ქართული კინოს მტერი ვარ და ვიღაც ფილმის დირექტორი ან ბუღალტერია ქართული კინოს მოამაგე? ოთარ იოსელიანმა უკეთ იცის, როგორ უნდა განვითარდეს ქართული კინო თუ სტუდიის მეეზოვემ? მჯერა, რეტროგრადული აზროვნება უკუგდებული იქნება და კოლექტიური მმართველობა გაიმარჯვებს.

**— არსებულ დაპირისპირებაში ბოლო დროს ამოტივტივდა ყალბი დოკუმენტი, რომელიც თქვენი მხარის სასიკეთოდ არის შეცვლილი?**

— ვინ იკადრებდა რაღაც დოკუმენტის შეთითხნას? ჩვენ ვართ პატარა ბავშვები თუ ჩვენი იურისტია სულელი? იმ კრებას მეც ვესწრებოდი. სასამართლოს რეესტრში გატარებულია, რომ წესდებაში ცვლილება მოხდა. გენდირექტორის მოხსნა სამეთვალყურეო საბჭოს წესდების გარეშეც შეეძლო, მაგრამ ბატონი რეზოსადმი ჩვენი დამოკიდებულების გამო გენდირექტორის სტატუსი გავაუქმეთ, ის დავტოვეთ ერთ-ერთ დირექტორად, შევუნარჩუნეთ მანქანა და გაზრდილი ხელფასი.

წარმოდგენა არა მაქვს, რატომ უნდა არსებობდეს 17 სექტემბრის კრების ორი ოქმი. ეს რეზო ჩხეიძეს ჰკითხეთ. ჩვენ გვადებს ხელს? მაშინ სასამართლოში იჩივლოს. ეს არგუმენტები სასაცილოა. თუ ასეთი ფალსიფიცირებული დოკუმენტი არსებობს, ეს ჩვენი დისკრედიტაციის მიზნით არის გაკეთებული. ამას არავინ დაიჯერებს. დაამტკიცონ, რომ ეს ჩვენ ჩავიდინეთ. რატომ არ ფიქრობს ბატონი რეზო იმაზე, რომ მას კინოსტუდიის საუკეთესო შემოქმედებითი ნაწილი, მისი ძველი მეგობრები დაუპირისპირდნენ. ჩხეიძის მმართველობის დროს ვერ შეიქმნა ბიურო, რომელიც ფილმების გაყიდვაზე იმუშავებდა. მან ვიღაც ადვოკატს მისცა ამის ლიცენზია და ამ კაცმა 260 ათასი მარკა მარტო ჰონორარად მოითხოვა, ე. ი. ის მეტ თანხას იღებს, ვიდრე ფილმების შემოსავალია. ერთხელაც არ ყოფილა მცდელობა, სერიოზულად ემუშავათ ფილმების გაყიდვაზე. ჩხეიძეს სიახლე არ აძლევს ხელს. მას ისევ ძველი სისტემა და ხის „ჩოტკების“ რაკა-რუკი უნდა კინოსტუდიაში.

P.S. ***რა გვეთქმის... მართალი გითხრათ, ტკივილს ტკივილი ემატება, როცა ის სენი, რასაც სრული გაუგებრობა და გაუცხოვება მოჰყვება, მოსდებია ყველა ქართველისათვის საყვარელ და სათუთ ორგანიზმს, რომელიც აქამდე სალი გვეგონა და რომელსაც „ქართული ფილმი“ ერქვა...***

***მართლაცდა, თქვენც, ბრუტუსებო?!***

***იზო რიკაძე***

# ვაჩუქოთ ერთმანეთს „ფეხები“, ვაჩუქოთ ერთმანეთს...


ეს შენობა აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა ომის ვეტერანთათვის


მარტოხელა მოპიკეტე და პოლიციელები


სოცუზრუნველყოფის თანამშრომელმა ზირაშვილს „ძველი პროთეზები“ გამოუტანა

საპროტესტო აქციების სხვადასხვა ფორმით, მათ შორის გზის გადაკეტვით, დღეს თბილისში ვერავის გააკვირვებ. სამწუხაროდ, თითქოს „მივეჩვიეთ“ კიდეც, რომ თავიანთი პრობლემებისკენ საზოგადოებისა თუ ხელისუფალთა ყურადღების მისაქცევად ხან ქალაქის ქუჩას გადაკეტავს ხოლმე მოქალაქეთა ჯგუფი და ხანაც ქვეყნის რომელიმე მთავარ ავტომაგისტრალს.

ტელევიზია და პრესაც ოპერატიულად ამცნობს ამის შესახებ საზოგადოებას. ხელისუფლებაც დაპირებებით მოთაფლავს მოპიკეტეებს და ამით მთავრდება ხოლმე ყველაფერი. რაღაც არ გამიგია, რომ ასეთ აქციას მოთხოვნათა სრულად შესრულება მოჰყოლოდეს როდესმე. სწორედ ამ მიზეზთა გამო თითქოს „გაუფასურდა“ პროტესტის ამგვარი ფორმა და „ნაკლებეფექტური“ გახდა.

მაგრამ იმას, რაც 24 აგვისტოს ყოფილი სოცუზრუნველყოფის სამინისტროს შენობასთან ვნახეთ, არ შეიძლება ყველაფერს მიჩვეული ჩვენი „გამობრძმედილი“ გულიც არ შეეძრა — აღნიშნული შენობიდან (მასში მომუშავენი ჯანდაცვის სამინისტროსთან გაერთიანების შემდეგაც ძველ ფუნქციებს ასრულებენ, უფრო ზუსტად — უნდა ასრულებდნენ) უფეხო მამაკაცი ფოფხვით გამოვიდა, მანქანების სავალ ნაწილს მიაღწია და იქ გაჩერდა. მოძრაობა შეწყდა, ინვალიდს ავტოინსპექტორები მისცვივდნენ ლანძღვა-გინებით და გზიდან გათრევა დაუპირეს, მაგრამ გადასაღებად გამზადებული ჩვენი ფოტოკამერის დანახვაზე შეჩერდნენ და ფოტოკორესპონდენტის მისამართით უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ერთ--ერთმა: „ამ ჟურნალისტებმა გაა... ეს საქმე“.

მარტოხელა მოპიკეტეს გავესაუბრეთ — აღშფოთებისა და უმწეობისაგან (არა ფიზიკური უმწეობისაგან) სუნთქვა ეკვროდა, საგარეჯოელი მალხაზ ზირაშვილი აღმოჩნდა. ცოტათი რომ დამშვიდდა გვითხრა:

— ჩემი ძმა აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე დაიღუპა. მეც მალე წავედი მოხალისედ. 1993 წელს, ერთ-ერთი ბრძოლისას ორივე ფეხი დავკარგე. რა თქმა უნდა, დიდი უბედურება იყო ჩემთვის. ვიბრძოდი და როცა ყველაფერი დამთავრდებოდა, მეგონა ქვეყანა იმდენად მაინც დამიფასებდა გარჯას, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა და მდგომარეობას შემიმსუბუქებდა — წესიერ პროთეზებს ვითხოვ, ან ინვალიდის ეტლს, სხვას არაფერს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ტანჯვაა ჩემთვის სიარული და მგზავრობა, ხარჯს რომ თავი დავანებოთ — ველარ დავთვალე მერამდენედ ჩამომიყვანეს კახეთიდან და ისევ სულ ტყუილად. არ ვიცი ეს ბიუროკრატიული სტრუქტურა და რა ვქნა — პარლამენტში მივედი პირველად, იქიდან ჯანდაცვის სამინისტროში გამგზავნეს, სამინისტროში მითხრეს — ეგ საკითხი სოციალურ უზრუნველყოფას ეკუთვნისო და აქეთ გამომიშვეს. აქ ჯერ შესასვლელში ამიგდეს მასხრად, ბოლოს „დამაკვალიანეს“ — მეთხუთმეტე სართულზე ადიო. მოვუტყუებივარ — იქ საერთოდ დაკეტილია ყველაფერი. მეცამეტეზე ჩამოვედი, იქიდან კიდევ ქვემოთ გამომიშვეს. ბოლოს და ბოლოს, მესამე სართულზე მითხრეს — ძალიან კარგი პროთეზები გაქვს, სხვას ეგეც ენატრებაო... მოვიხსენი, იქ დავუყარე და ქუჩაში გამოვვარდი. შეიძლება სისულელე ჩავიდინე, აღელვებული ვიყავი.

ამ დროს შენობიდან ვიღაც გამოვიდა და „ფეხები“ გამოიტანა. სოცუზრუნველყოფის თანამშრომელი აღმოჩნდა. ინვალიდს გაკიცხვა და ჭკუის სწავლება დაუწყო: „ვიბრძოდიო რომ ამბობ, მერე რა — მეც ვიბრძოდი. ხალხს კი არ უნდა აყვედრიდე მაგას!“ ყოფილ მეომარს თვალზე ცრემლი მოადგა, თავი ჩაღუნა... „დამრიგებლის“ წასვლის შემდეგ რის ვაივაგლახით მოირგო პროთეზები და ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ესენი თბილისის პროთეზების ქარხანაში გავაკეთებინე ადრე, კახოვკის ქუჩაზე. ზომაც არ აუღიათ წესიერად — არ მერგება. ისე მტკივა — ამას ისევ ფოფხვა მირჩევნია... ბოდიშს გიხდით, შეგაწუხეთ... და წავიდა...

იმას მივმართავ, ვისაც ევალება და ხელეწიფება:— ნუთუ ნატანჯი, ქვეყნისთვის ომის ქარცეცხლში გამოვლილი კაცი იმის ღირსი მაინც არ არის, რომ თუ მოთხოვნას ვერ შევუსრულებთ, ადამიანური მოპყრობა და დაფასება მაინც დაინახოს თქვენგან — ე.ი. სახელმწიფოსგან?! ბოლოს და ბოლოს, რაიმე დელიკატური ფორმით უარის თქმას რაღა უდგება წინ, რომ შეურაცხყოფილად არ იგრძნოს თავი და გრძელ გზაზე უქმად სიარულში არ ხარჯოს ფული და ენერგია საქართველოსთვის ნაომარმა კაცმა. და არც ის გვგონია, ერთი ნორმალური პროთეზის ხარჯი დაეტყოს ჩვენს სეკვესტრირებულ ბიუჯეტს.

**ზვიად გურული**

# სამარშრუტო ტაქსის მძღოლებისა და ავტოინსპექტორების „მეგობრობა“ ორი ლარი ღირს...

ამას წინათ სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას ერთი ჩვეულებრივი სცენის მომსწრე გავხდი — ყაზბეგის გამზირის სადარაჯოზე მდგარმა ავტოინსპექტორმა დიდი მონდომებით ჩაჰბერა სასტვენს და დაიწყო ნახევარსაათიანი პაუზა ჩვენი მგზავრობისა... მსგავს სიტუაციაში ალბათ, მგზავრთა უმეტესობა მოყოლილა. ისიც ბევრს შეუმჩნევია, კამათითა და ვაჭრობით ნერვებაშლილი მძღოლი რაოდენ აღელვებული მისჯდომია საჭეს და თითქმის აფექტურ მდგომარეობაში, ზედიზედ მოძრაობის წესი რამდენჯერმე დაურღვევია.

გამოუვალი სიტუაციები არ არსებობს. ის პოტენცია მაინც დევს, რომ თვითრეგულირების მექანიზმების შექმნას უწყობს ხელს. ერთ-ერთი სამარშრუტო ტაქსის ბოლო გაჩერებაზე მდგარ მამაკაცთან, სავარაუდოდ, მძღოლთან გამოლაპარაკება ვცადეთ. საუბარი აეწყო და ჩვენი რესპონდენტი, რომელმაც ამის შესახებ არა უწყოდა რა, მშვენიერი თანამოსაუბრე აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, იგი ე.წ. „დისპეტჩერი“, ანუ სამარშრუტო ტაქსების განრიგის მომწესრიგებელი გახლდათ. საუბარში, ცხადია, ავადსახსენებელ ავტოინსპექტორებსაც შევეხეთ.

— **ხშირად გაჩერებენ?**

— თქვენ რატომ ხართ დაინტერესებული ამ საკითხით? — კითხვაზე კითხვით მიპასუხა.

— **რამდენადაც ვიცი, რაღაც არაოფიციალური გადასახადივით გაქვთ, ლარი, თუ ორი ლარი..**

— კი, დღეში ორ ლარს ვუხდით ხოლმე პოსტებზე.

— **ყველა ინსპექტორს?**

— არა, ერთს, ესეც საკმარისია...

— **დანარჩენები არ გაჩერებენ?**

— კი გვაჩერებენ, მაგრამ ვეუბნებით, რომ ამა და ამ ადგილას გადავიხადეთ და გვიშვებენ. სჯერათ. იციან, რომ მძღოლი ტყუილს არ იტყვის.

— **კი მაგრამ, რისთვის უხდით?**

— აბა ისე უარესია, მიზეზს მოგიძებნის, გაგაჩერებს და მეტი დაგიჯდება.

— **ლიცენზიაში თუ იხდით რამეს?**

— არა, ზედმეტს არაფერს.

სიმბიოზი ორი სხეულის მშვიდობიანი თანაარსებობაა. ხშირად კორუფციაც სიმბიოზია — ასეა ამ შემთხვევაშიც. სამარშრუტო ტაქსის მძღოლებმა და ავტოინსპექტორებმა მეგობრობა შეძლეს და ეს მეგობრობა ორი ლარი ღირს. ხარჯიც ნაკლებია, ნერვების წყვეტაც...

ჩვენი თანამოსაუბრის სამარშრუტო ხაზის ნომერს, მიხვდით ალბათ, შეგნებულად არ ვასახელებთ.

**მაია გაბუნია**

# გურიის მაღალმთიან კურორტზე კი სუფთა ჰაერს ასევე ორ ლარად ჩაისუნთქავთ

„გურიაში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდა“ — ეს ცნობილი გამონათქვამი ალბათ იქაური ფირალების „დამსახურებად“ უნდა ჩავთვალოთ. დღეისათვის კი იუმორით განთქმულ ამ კუთხეში მოგზაურობა საფრთხეს ნამდვილად აღარ წარმოადგენს. თუ ჩოხატაურის რაიონიდან კურორტ ბახმაროსაკენ წახვალთ, გზად ნაბეღლავსაც გაივლით. ერთ დროს ეს ცნობილი დასასვენებელი ადგილი აღარ ფუნქციონირებს. პანსიონატი, რომელიც აქ მდებარეობს, დაცარიელებულია. შესაბამისად მოუვლელიც. უპატრონობისაგან, ასეთ პასუხს გაგცემენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ისე კი, უპატრონობას გურულები მხოლოდ ამის გამო არ უჩივიან. „კაცი კი გვყავს მთლად ზემოთ, მაგრამ..“ ერთ-ერთი იქაურის ამ სიტყვებს სხვაც ბევრი იმეორებს. „სიორიძეც ჩვენებურია, მამამისს კარგი ძეგლი დაუდგა, ისე კი...“ ესეც იმის დასტური გახლავთ, რომ „თავიანთი“ მაღალჩინოსნებისაგან ქველმოქმედებას გურულები დღემდე ელიან. რაც არ უნდა უცნაურად გეჩვენოთ, პატიაშვილს უფრო ემადლიერებიან— გზა ჩოხატაურიდან ბახმარომდე სწორედ მისი პირველკაცობის დროს დაუგიათ. ჩანს, არცთუ ცუდად, რადგანაც მგზავრობისას ე.წ. „იამკები“ ნამდვილად არ შეგაწუხებთ. თავად ბახმაროს შესასვლელთან კი აუცილებლად გაგაჩერებთ საგადასახადო ინსპექცია, რომელსაც აქ საგანგებო პოსტი აქვს. გადასახადი სულზე ორ ლარს შეადგენს. გურულები ამ გადასახადს მორჩილად იხდიან. თუ დაგაინტერესებთ და ჰკითხავთ, რისთვის? — თავდაპირველად მხრებს აიჩეჩენ, შემდგომ კი გიპასუხებენ: — „ჰაერისთვის..“

აქ ალბათ უცილობლად უნდა გავიხსენოთ მოსახლეობაში გავრცელებული გამოთქმა — მალე ალბათ სუნთქვაც აღარ იქნება უფასოო..

უცნაურია, რომ ადგილობრივთაგან, რომელნიც გადამხდელთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება, გადასახადის არსის გაგებას არავინ ცდილობს. „ჰაერისათვის“ გადასახადის დაწესება გურიაში ნორმალურად აღიქმება.

როგორც გაირკვა, აქ სუნთქვა მართლაც ფული ღირს და ამას ოფიციალურ საგადასახადო ენაზე საკურორტო მოსაკრებელი ეწოდება. ინსპექტორები ხალხთან თურმე ქვითარსაც წერენ ხოლმე, თანხა სად მიდის, ამის შესახებ მოსახლეობამ არაფერი უწყის. სუნთქავ, ესე იგი ეკოსისტემას ზიანს აყენებ — კეთილი ინებე და გადაიხადე! იხდიან კიდეც. შეი-



ძლება ისინიც კი, ვინც აქაურობას მართლა დიდ ზიანს აყენებენ — ერთ დროს უნიკალურ წიწვოვან ტყეში ხეების რაოდენობა იმდენად შემცირდა, რომ ტყეს ძნელად თუ უწოდებს კაცი. ეკოსისტემას ამაზე მეტად ვერც დააზიანებ...

P.S. ფერისცვალების დღეს, ბახმაროში გამართულ დოღს ყოფილი ფინანსთა მინისტრი და გურიის ყოფილი გუბერნატორი, მიხეილ ჭკუასელი და თბილისის პოლიციის ამჟამინდელი შეფი, სოსო ალავიძეც დაესწრნენ. დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ მათთვის იქ სუნთქვა უფასო იყო.

**მაია გაბუნია**

# როცა სიმართლეს პატრონი არ ჰყავს...

***რედაქციაში აღშფოთებული მკითხველი გვესტუმრა — ხუთი წელია დავდივარ და სამართალს ვეძებ. სადაც მივედი, ყველგან ყური და თვალი დაივსეს... თუ თქვენი იმედიც გამიცრუვდა, მე ვიცი, რასაც გავაკეთებო... სვეგამწარებულ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია, მაგრამ მანამდე ჩემი უფლებების შემლახველ რამდენიმე პოლიციელს წინ გავიმძღვარებო...***

გოგი ფაშალიშვილის გაჭირვებამ სიღნაღში ჩაგვიყვანა.

უბატონოდ გადარჩენილ ქიზიყში სიმართლეს ყოველთვის ჰყავდა პატრონი. ახლა მავნე ბაცილა გაჩენილა. თურმე სამართალდამცავები თავად უწყობენ ხელს უსამართლობასა და ბოროტმოქმედებას.

პოლიციისა და მოსახლეობის გათიშვა, დაპირისპირება იმ გულგრილობით და ხშირად არაპროფესიული დამოკიდებულებითაა განპირობებული, რომელსაც აქაური სამართალდამცავები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესის მიმართ იჩენენ, რისი დასტურიცაა ბოლო დროს გახშირებული კრიმინალური შემთხვევები. ლამის დღე არ გავა, რაიონში ბინა არ გატყდეს, საქონელი არ დაიკარგოს. ეგენი ერთმანეთთან არიან შეკრული, თვითონ პოლიცია აპარვინებს, — მითხრა ერთმა მოხუცმა. რამდენჯერმე დაზარალებულებმა თვითონ მიუთითეს ეჭვმიტანილზე, მაგრამ პოლიციამ ყური ერთხელაც არ შეიბერტყა.

ეს ტენდენცია ნათლად ჩანს ერთ კონკრეტულ მაგალითზე, რომლის გამო მოქალაქე გოგი ფაშალიშვილი უკვე ხუთი წელია გამუდმებით ჩივის, მაგრამ სამართალდამცავები და მათი მაკონტროლებლები შესაშურ ერთსულოვნებასა და „კოლეგიალობას“ იჩენენ და ყურად არ იღებენ გაჭირვებული კაცის ვაებას. სწორეცაა, აბა, ერთმანეთს ხომ არ დასჯიან?!



მაინც, რას ჩივის ფაშალიშვილი?

1995 წლის 1 მარტს, გამთენიისას, ფაშალიშვილს შინიდან ავტომანქანა „ნივა“ მოჰპარეს. მან ამის თაობაზე იმავე დილით აცნობა სიღნაღის რაიონის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორს ჯიმი ბეჟაშვილს და დაუმატა, — იმ ღამეს ჩემს მანქანასთან ორი ახალგაზრდა ტრიალებდაო. მათი ვინაობა და მისამართებიც მიუთითა ბეჟაშვილს, მაგრამ ამ უკანასკნელმა, დაზარალებულის თქმით, შეგნებულად გააჭიანურა დრო და მხოლოდ ორი კვირის შემდეგ, ისიც ფაშალიშვილის დაჟინებული მოთხოვნით და მისივე ბენზინით წავიდა სოფელ ხირსაში ეჭვმიტანილთა საძებნელად.

დათო გურაშვილმა და სოსო გუგიაშვილმა პოლიციაში მიყვანისთანავე დაზარალებულის თანდასწრებით აღიარეს ავტომანქანის გატაცება — „ნივა“ აზერბაიჯანში გავყიდეთო და მიუთითეს კიდეც ადგილი, სადაც სანომრე ნიშნები გადაყარეს.

ამ აღიარების საფუძველზე 1995 წლის 20 მარტს სიღნაღის პოლიციის საგამოძიებო ქვეგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ რატომღაც ეჭვმიტანილთა ახსნა-განმარტებები და დაკითხვის ოქმები არ გადაეგზავნა გამოძიებას. მოგვიანებით კი, ისინი საერთოდ „დაიკარგა“. გურაშვილმა და გუგიაშვილმა გამოძიების პროცესში უარყვეს ჩადენილი დანაშაული და ადრე მიცემული ჩვენებაც. ვინაიდან მათ მიმართ სხვა მამხილებელი მასალები „ვერ“ მოიპოვეს, პოლიციის უფროსის მოადგილის იური მილაშვილის უშუალო მითითებით ორივე გაათავისუფლეს.

მოგვიანებით, ეჭვმიტანილებს ახალი ახსნა-განმარტებები დააწერინეს, სადაც აღნიშნეს, რომ წინა ჩვენებაში დანაშაული აღიარეს... ფაშალიშვილის ზეწოლის გამო. რის შემდეგაც ქურდებმა უარი განაცხადეს ზარალის ანაზღაურებაზე, ხოლო დაზარალებულის ყურამდე მიაღწია ერთ-ერთის დედის მეზობლებში ნათქვამმა: რამდენჯერ უნდა ვუყიდო მანქანა, ხუთი ათასი დოლარი ხომ მოვიტანეთ პოლიციაშიო.

ყოველივე ამან, გიორგი ფაშალიშვილს საბაბი მისცა ეფიქრა, რომ პოლიციელებმა ქრთამი აიღეს და სწორედ ამ მოტივით დაიწყო ჩივილი სხვადასხვა ინსტანციაში, რაც, ცხადია, არ მოეწონათ პოლიციის თანამშრომლებს და სცადეს, როგორმე შეეჩერებინათ მათ მიერვე ინტრიგანად შერაცხუ-

ლი ფაშალიშვილი.

მეთოდები, უნდა ითქვას, რომ წმინდად პოლიციური იყო: ჯერ დაზარალებულის მეუღლეს, მძიმე ავადმყოფს აიძულებდნენ ეთქვა — თითქოს გოგი ფაშალიშვილი ნარკოტიკებით მოვაჭრეა და მანქანა კი არ მოსტაცეს, არამედ გაყიდაო. ფაშალიშვილს კი ხან ზეპირად უთვლიან, ხანაც წერილს უგზავნიან და აფრთხილებენ — თუ თავს არ დაანებებ ჩვენთან ჭიდილს, იცოდე, თავს წააგებ და მერე შენ თავს დააბრალეო. ხანაც ცდილობენ „შავი სამყარო“ დაუპირისპირონ.

პარალელურად, საბუთებს აწესრიგებენ და ყველა დაკითხვის ოქმს ანადგურებენ, მაგრამ... პირველად დაწერილი ახსნა-განმარტებითი ბარათები (დანაშაულის აღიარებით) შემთხვევით სეიფში ჩარჩა; ამ სეიფის ახალმა მეპატრონემ აღმოაჩინა და... არ გადამალა (ღმერთმა დაგვიფაროს ვფიქრობდეთ, რომ პოლიციაში პატიოსანი მუშაკი არ შეიძლება იყოს! — **ფ.ფ.**).

დაზარალებულის თქმით, ხუთწლიანი უშედეგო დავის შემდეგ, სიღნაღის პოლიციის უფროსის ყოფილმა მოადგილემ იური მილაშვილმა და ამავე პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ყოფილმა მოადგილემ, ინსპექტორმა ჯიმი ბეჟაშვილმა იგრძნეს რა, რომ მართლმსაჯულება მალე მაინც ფარდას ახდიდა მათ დანაშაულებრივ ქმედებას, ერთგვარ გარიგებაზე წავიდნენ დაზარალებულ ფაშალიშვილთან და ამ უკანასკნელს ავტომანქანის ყიდვას შეჰპირდნენ, რითაც ფაქტობრივად აღიარეს კიდეც თავიანთი დანაშაული. მაგრამ ეს გარიგება არ შედგა, რადგან ავტომანქანის შერჩევისას, როგორც ფაშალიშვილი ამბობს, „იაფად რომ გამოსულიყვნენ“ არც ცინიზმსა და არც მის აბუჩად აგდებას ერიდებოდნენ, რის გამოც დაზარალებულმა უკიდურესად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და ისევ პროკურატურას მიმართა.

კახეთის რეგიონალური პროკურორის აგულაშვილის მითითებით, სიღნაღის რაიონის პროკურატურამ მიმდინარე წლის 2 აგვისტოს, როგორც იქნა, აღძრა საქმე ფაშალიშვილის განცხადების საფუძველზე.

„საქმე აღიძრა ჯიმი ბეჟაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლით. რაც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თუმცა, იმის მიუხედავად, თუ რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო, ბეჟაშვილს თავისუფლების აღკვეთა არ ემუქრება, რადგან იგი უკვე ამნისტირებულია. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება დაკარგოს, სამსახურია და კიდევ, სავარაუდოა იმ ზარალის ანაზღაურებაც დააკისრონ, რაც მისმა დანაშაულებრივმა მოქმედებამ მიაყენა გოგი ფაშალიშვილს.

ვეჭვობ, თუ პროკურატურა და შემდეგ სასამართლო ისეთი გულმოდგინებით გამოიძიებენ და განიხილავენ აღნიშნულ საქმეს, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არ არის გამორიცხული, ამასობაში ისეთი ამნისტიაც გამოიცეს, რომლითაც, რაც აქამდე საქართველოში დანაშაული ჩადენილა, ყველა გამართლდეს. აი, მაშინ კი ყველა ბოროტმოქმედი და დაზარალებული, მკვდარი და ცოცხალი სიყვარულით გადაეხვევა ერთმანეთს და ჩვენი სანუკვარი ოცნება, საყოველთაო ეროვნული შერიგებისა, რეალობად იქცევა.

**ფირუზ ფურცელაძე**

# GPS კოსმოსიდან ზუსტ კოორდინატებს აფიქსირებს

მას, ვინც უახლესი მობილური ტელეფონებით „მარიაჟობას“ არის მიჩვეული, არ უნდა გაუკვირდეს, თუკი თბილისის ამა თუ იმ უბანში, უცხოელების ხელში ოდნავ მოზრდილ ტელეფონის აპარატს შეამჩნევს, რომელსაც მისი პატრონი 1-2 წუთი დაჟინებით უყურებს და შემდეგ ისე, რომ არც უხმარია, ჯიბეში იდებს.

ამ უცნაურ უცხოელებს, რა თქმა უნდა, არავითარი სატელეფონო საუბარი არ სურთ და მათ განკარგულებაში მყოფი ელექტრონული აპარატი შეიძლება საგანგებოდაც არის მიმსგავსებული მობილურ აპარატს. უბრალოდ, ეს უცხოელი თავის საქმეს აკეთებს. იგი მისთვის საჭირო ტერიტორიების უზუსტეს კოორდინატებს განსაზღვრავს კოსმოსური სანავიგაციო სისტემის, GPS-ის საშუალებით.

ზუსტად ერთი წლის წინ იუგოსლავიის ხელისუფლება პანიკამ მოიცვა, — ისე ზუსტად ხვდებოდა ამერიკული ბომბები და საავიაციო რაკეტები ამა თუ იმ სტრატეგიულ შენობას ბელგრადში, თითქოს ვილაც მიწიდან მართავსო. ასეთი ხალხი, რა თქმა უნდა, ვერ აღმოაჩინეს, სამაგიეროდ, მოგვიანებით იუგოსლავიის უშიშროების სამსახურში გაიხსენეს, რომ ომამდე ცოტა ხნით ადრე, უწყინარი უცხოელი ტურისტები საათობით დასეირნობდნენ ბელგრადის მთავრობის სახლის, ტელევიზიის, თავდაცვის სამინისტროს თუ სხვა სტრატეგიული პუნქტების ახლოს და ხელთ ჩვეულებრივი მობილური ტელეფონის მსგავსი აპარატები ჰქონდათ, რომლებიც საეჭვოდ არავის ეჩვენებოდა.

რასაკვირველია, სულაც არ გვინდა იმის თქმა, რომ დასავლეთი იუგოსლავიის გამეორებას საქართველოშიც აპირებს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყნის, ისევე როგორც დანარჩენი პოსტსაბჭოური ქვეყნების ძირითადი სტრატეგიული პუნქტების (პირველ რიგში კი, მოსკოვის) უზუსტესი კოორდინატები ფიქსირდება GPS-ის სისტემის მეშვეობით და ინახება სპეციალურ ფაილებში, პენტაგონში.

იუგოსლავიის ომში პენტაგონმა პირველად და ძალზე ეფექტურად გამოიყენა GPS-ის სისტემა. მათ ჩვეულებრივ ბომბებზე დაამაგრეს პატარა, მართვადი ფრთები და დაამონტაჟეს GPS-ის აპარატურა. მიზნამდე 24 კმ-ით დაშორებით ჩამოგდებული ეს JDAM-ის ტიპის მართვადი ბომბი პლანირებდა და იმართებოდა იმ კოორდინატების საშუალებით, რომლებიც მანამდე დაზვერვას ჰქონდა მოპოვებული. მიზანში მოხვედრის ალბათობა თითქმის 100%-ს აღწევდა. ფაქტობრივად, ეს გადატრიალებაა სამხედრო საქმეში, რადგან აღარ არის საჭირო ძალზე ძვირი დამიზნების სისტემები, რომლებიც თვითმფრინავებისა და რაკეტების ღირებულების ლომის წილს მოიცავს. ამასთან, თუკი ლაზერული და სატელევიზიო დამიზნების სისტემებზე უარყოფითად მოქმედებს ცუდი ამინდი, GPS ყოველგვარ სიტუაციაში ვარგისია. მარტო უბრალო შედარებაც კმარა — თუკი ჩვეულებრივი ამერიკული საავიაციო ბომბი Mk-82, რომელიც JDAM-ის პროგრამითაა გადაკეთებული (დაყენებული აქვს სამართავი ფრთები და GPS-ის აპარატურა) და პენტაგონს სულ 18 ათასი დოლარი უჯდება, მართვადი საავიაციო ბომბის, GBU-15-ის შესასყიდი ფასი 245 ათას დოლარს უტოლდება და თანაც ამ უკანასკნელის საბრძოლო ეფექტურობა ბევრად უფრო შეზღუდულია.

წლების მანძილზე, ამერიკელი სამხედროებისთვის განკუთვნილი GPS-ის სისტემის მიზნიდან აცილების ალბათობა 10 მ-ის რადიუსში მერყეობდა, ხოლო სამოქალაქო მომხმარებლისათვის ეს ციფრი სპეციალურად იყო გაუარესებული პლუს-მინუს 100 მ-მდე. ცოტა ხნის წინ თავად აშშ-ის პრეზიდენტმა ეს განსხვავება გააუქმა და დღეს ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია შეიძინოს GPS-ის აპარატურა, რომელიც ნებისმიერი ობიექტის კოორდინატებს უდიდესი სიზუსტით დაადგენს დედამიწის ნებისმიერ წერტილსა და ამინდში.

სხვათა შორის, GPS-ის აპარატურა დამონტაჟებულია საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის იმ კატარღაზე, რომლებიც საზღვარგარეთიდანაა მიღებული. თავად წარმოიდგინეთ, რა ძნელია ღია ზღვაში განსაცდელში ჩავარდნილი გემის აღმოჩენა. GPS-ის აპარატურის საშუალებით კი, გემის კაპიტანი უზუსტეს კოორდინატებს გადასცემს მაშველ გემებს, რაც სწრაფი გადარჩენის შანსს ზრდის.

ეს რაც შეეხებოდა GPS-ის სამოქალაქო დანიშნულებით გამოყენებას. სამხედროებისათვის კი ეს კოსმოსურ-სანავიგაციო სისტემა პირდაპირ უზარმაზარ აღმოჩენად იქცა — მაგალითად, მომავალში, ამერიკელ პილოტებს აღარ დასჭირდებათ საზენიტო რაკეტებისათვის თავის არიდება — თუკი ისინი JDAM-ს იუგოსლავიაში მიზნიდან



კოსმოსური ორბიტიდან დედამიწის ყველა ობიექტი კარგად მოჩანს.

24 კმ-ში უშვებდნენ, ახალი მართვადი ბომბის AGM-154-ის ჩამოგდება უკვე 65-70 კმ-ის დაშორებიდან შეიძლება, ხოლო მომავალი თაობის AGM-158-ისა კი მთელი 185 კმ-დან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკული „მოჩვენება“ B-2 ბომბდამშენს იმავე საქართველოს საჰაერო სივრციდან შეუძლია გაუშვას მართვადი ბომბი ჩრდილო კავკასიის რომელიმე სამიზნეზე ისე, რომ არც კი შევიდეს საზენიტო-სარაკეტო სისტემის C-300-ის მოქმედების ზონაში.

დღეს კი, ნებსით თუ უნებლიეთ, უნდა შევეგუოთ, რომ საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების (კანცელარია, პარლამენტი, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები და სხვა) უზუსტესი კოორდინატები GPS-ის სისტემის საშუალებითაა დაფიქსირებული და პენტაგონის კომპიუტერულ ფაილებში ინახება. ეტყობა, ვაშინგტონი ამას გარკვეული, მხოლოდ მისთვის ცნობილი მოსაზრებით აკეთებს.

„კურსკის“ სამაშველო სამუშაოების ეპოპეა, სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, უშედეგოდ დამთავრდა.

ფაქტობრივად, რუსეთის ხელისუფლებამ ნორვეგიელ მაშველებს დააკარგვინა 5-7 დღე, რომელიც საბედისწერო გამოდგა „კურსის“ ეკიპაჟისთვის. თუკი მოსკოვი საერთაშორისო დახმარებას 12 აგვისტოსვე კატეგორიულად მოითხოვდა, უკვე 14-15 აგვისტოსთვის (ან უფრო ადრეც) ნორვეგიელი მაშველები „კურსკის“ მე-9 ნაკვეთურს გააღებდნენ და ეკიპაჟის მცირე ნაწილს მაინც გადაარჩენდნენ.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა და შეიძლება ითქვას, არც მოხდებოდა, რადგან ძველი საბჭოთა აზროვნება კვლავაც ბატონობს კრემლის კედლებში.

თუმც სხვა ქვეყნის ხელმძღვანელობას რას ვერჩით, როდესაც იგივე (თუ უფრო უარესი) სჭირს საქართველოს ხელისუფლების დიდ ნაწილს — საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების კატარღა „ქუთაისი“ უკრაინისკენ „მიმავალმა“ შავ ზღვაში აბობოქრებულმა შტორმმა 16 საათი უზარმაზარ ტალღებზე ათამაშა, მისი ეკიპაჟი — სამ ათეულამდე ადამიანი — ყოველ წამში დაღუპვას ელოდა. განა მათ ექნებოდათ თავისი ხელისუფლების იმედი, რომელსაც არც სამაშველო გემები აქვს და არც საზღვაო ავიაცია? სამწუხაროდ, არა.

„კურსკის“ ტრაგედიაში კი პრეზიდენტი პუტინი თავისივე გარემოცვამ „იმსხვერპლა“ — სწორედ რუსეთის თავდაცვის მინისტრი, მარშალი იგორ სერგეევი არწმუნებდა ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს, რომ ატომური წყალქვეშა ნავის ავარიის ადგილზე მისი გამოჩენა სასურველი არ იყო და „კურსკის“ ეკიპაჟს თავად რუსი მეზღვაურები გადაარჩენდნენ ყოველგვარი დასავლური დახმარების გარეშე.

თუმცა ძალზე გაუგებარია, როგორ დაუშვა ასეთი დიდი პოლიტიკური შეცდომა პუტინმა, კაცმა, რომელსაც КГБ-ს საგარეო დაზვერვის რთული სკოლა აქვს გავლილი? ნუთუ ფედერალური უშიშროების სამსახურმა — ФСБ-მ მას სამხედროებზე უფრო კონკრეტული ინფორმაცია არ მიაწოდა ტრაგედიის ზუსტი სურათის წარმოსაჩენად?

ასეა თუ ისე, რუსეთის ხელისუფლებამ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ მისი ნდობა არათუ საზღვარგარეთ, არამედ საკუთარ ხალხსაც არ უნდა ჰქონდეს.

ამჟამად რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ბარენცის ზღვაში გამწარებით ეძებს რაიმე ხელჩასაჭიდს, რათა დაამტკიცოს თავისი ვერსია — „კურსკს“ რომელიმე დასავლური წყალქვეშა ნავი დაეჯახა და მიიმალაო, რითაც ცდილობს, ტრაგედიაზე პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე ისევ დასავლეთზე გადაიტანოს. თუმცა ამ ვერსიის განხილვისას დამოუკიდებელ სამხედრო ექსპერტებს ებადებათ ბუნებრივი კითხვა — „კურსკის“ მაქსიმალური წყალქვეშა წყალწყვა 24 ათას ტონას აღწევს და მსოფლიოში სიდიდით მესამე ადგილზეა რუსული „ტაიფუნებისა“ და ამერიკული „ოჰაიოების“ შემდეგ, მაგრამ „ტაიფუნიც“ და „ოჰაიოც“ სტრატეგიული დანიშნულების ატომურ წყალქვეშა ნავებს მიეკუთვნება, შეიარაღებულნი არიან 10-12 ათასი კმ ფრენის სიშორის მქონე სტრატეგიული ბირთვული რაკეტებით და ძალზე საეჭვოა, ერთმანეთის სანაპიროებს რამდენიმე ასეული კმ-ით მიახლოებოდნენ („კურსკის“ კატასტროფა კი რუსეთის ნაპირიდან 90 კმ-ის მოშორებით მოხდა).

სხვა, მრავალდანიშნულებიანი ამერიკული (თუნდაც „ლოს-ანჯელესის“ ტიპის) ან ინგლისური წყალქვეშა ნავები შეიძლება მართლაც ყოფილიყვნენ ბარენცის ზღვის იმ აკვატორიაში, მაგრამ წარმოიდგინეთ, მასზე 2-3-ჯერ მძიმე „კურსკთან“ შეჯახებისას, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ?! არადა, რუსეთის სამხედრო-საზღვაო დაზვერვამ დღემდე უცხო წყალქვეშა ნავის რეალური კვალი კატასტროფის ადგილზე ვერ აღმოაჩინა.

გარკვეულ შეშფოთებას იწვევს „კურსკის“ ორი ატომური რეაქტორი. როგორც მოსკოვი იუწყება, რეაქტორების გაჩერება ავტომატურად მოხდა, თუმცა არსებობს ძალზე დიდი საშიშროება, რომ მე-10, ბოლო ნაკვეთურში, რომელშიც ეს რეაქტორებია განთავსებული, ადრე თუ გვიან, ზღვის წყალი შეაღწევს და კოროზია დაშლის მეტალს, რაც საბოლოოდ ძალზე გაზრდის ბუნებრივ რადიაციულ ფონს ბარენცის ზღვის ამ მონაკვეთში.



წყალქვეშა სამაშველო ჰიდროკოსტიუმი ССП

„კურსკის“ 108 მ-ის სიღრმიდან მთლიანად ამოღება ძალზე რთული საქმეა. მისი ჰერმეტიულობა დარღვეულია და წყალი თითქმის ყველა ნაკვეთურშია შეღწეული, რის გამოც იგი ახლა უკვე არა 24 ათას ტ-ს იწონის, არამედ 5-7 ათასი ტონით მეტს. ამხელა წყალქვეშა ობიექტის ამოღება დღევანდელი ტექნიკური საშუალებებით შეუძლებელია. ახლა განიხილება ერთ-ერთი ვარიანტი — სპეციალური პონტონების დახმარებით „კურსკი“ გრუნტიდან ნელ-ნელა წამოსწიონ და წყალქვეშა ბუქსირებით მცირესიღრმიან გრუნტზე გადაიყვანონ.

ყველაზე პერსპექტიული მაინც მე-10, რეაქტორული ნაკვეთურის ამოღება და დამარხვაა, რადგან ყველაზე დიდ საშიშროებას დღეს სწორედ ის წარმოადგენს. საბედნიეროდ, „კურსკის“ არც ერთ 24 ტორპედოს და ამდენივე ფრთოსან რაკეტას ბირთვული ქობინი არ ჰქონდა, რაც 1992 წლის მოსკოვ-ვაშინგტონის გარიგების თანახმად, ყველა წყალქვეშა ნავიდან მოიხსნა, რა თქმა უნდა, გარდა სტრატეგიული რაკეტებით აღჭურვილი ნავებისა.

დაბოლოს, „კვირის პალიტრას“ არ შეუძლია, არ გამოხატოს გაკვირვება — „კურსკის“ ეკიპაჟის გადარჩენილმა ნაწილმა (ავარიის მომენტში ყველა ერთდროულად არ დაიღუპებოდა) რატომ არ გამოიყენა სპეციალური სამაშველო აღჭურვილობა ССП. ეს ჰიდროკოსტიუმი და ინდივიდუალური სასუნთქი აპარატი სწორედ წყალქვეშა ავარიებისთვისაა განკუთვნილი და საშუალებას აძლევს წყალქვეშა ნავის ეკიპაჟს 100 მ-ის სიღრმიდან თავადვე ამოცუროს ზღვის ზედაპირზე. თუკი ეკიპაჟის წევრი ვერ ახერხებს წყალქვეშა ნავის ლუკის გაღებას, მაშინ სასუნთქ აპარატში არსებული ჟანგბადის მარაგი 2,5 სთ-ს ეყოფა, ხოლო ჰიდროკოსტიუმი მეზღვაურს 6 სთ-ის მანძილზე ცივ წყალში ყოფნისას სხეულის გადაცივებისგან იცავს. ССП „კურსკის“ ეკიპაჟის თვითგადარჩენის საუკეთესო საშუალებას იძლეოდა, თუმცა ეს ვარიანტი არ იქნა გამოყენებული. შესაძლოა, მეზღვაურებს ამის საშუალება არც მიეცათ.

## ატომური კატასტროფების ისტორიიდან

დღემდე მსოფლიოს წყლებში 6 ატომურძრავიანი წყალქვეშა ნავი იყო ჩაძირული — ორი ამერიკული და ოთხიც საბჭოთა. პირველი კატასტროფა ამერიკულმა ატომურმა წყალქვეშა ნავმა „THRESHER“-მა 1963 წლის 10 აპრილს განიცადა აშშ-ის სანაპიროსთან ატლანტის ოკეანეში (მილსადენის გასკდომამ გააძნელა ნავის ამოყვინთვა), რომლის დროსაც ეკიპაჟის 129 წევრი დაიღუპა. ნავი 2.600 მ-ის სიღრმეში გრუნტზე ძევს და მისი კორპუსი მსხვილ ნაწილებადაა დაშლილი. მეორე ადგილი ამ საზარელ კატასტროფებში ისევ ამერიკულ ფლოტს უკავია — 1968 წლის 22 მაისს ატომური „SCORPION“-ი აზორის კუნძულების სიახლოვეს 3.600 მ-ის სიღრმეში ჩაიძირა. კატასტროფა აფეთქებამ გამოიწვია. დაიღუპა 94-ივე მეზღვაური. ნავის შეიარაღებაში იყო ორი ბირთვულქობინიანი ტორპედო „ასტორი“.

ორ წელში კი ატომური კატასტროფების ესტაფეტა უკვე საბჭოთა კავშირმა გააგრძელა. 627A-პროექტის საბჭოთა ატომურმა წყალქვეშა ნავმა K-8-მ ავარია განიცადა ბისკაისკის სრუტეში — მის ბორტზე ხანძარი 1970 წლის 8 აპრილს გაჩნდა, მაგრამ 11 აპრილამდე მისი ლიკვიდაცია ვერ მოხერხდა. ეკიპაჟის ნაწილმა თავს უშველა, მაგრამ 52 კაცი მაინც დაიღუპა. ნავი 4.680 მ-ის სიღრმეზეა ჩაძირული.

1986 წლის 6 ოქტომბერს ბერმუდის კუნძულების ჩრდილოეთით ჩაიძირა 667A-პროექტის საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავი K-219. მის ერთ-ერთ შახტში რაკეტა აფეთქდა. ნავმა მოასწრო ამოყვინთვა და ეკიპაჟის ევაკუაცია, მაგრამ 4 მეზღვაური მაინც დაიღუპა. ეს წყალქვეშა ნავი ამჟამად 5.000 მ-ის სიღრმეშია ჩაძირული და პრინციპში მთელი მსოფლიოსთვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს, რადგან მის ბორტზე 2 ატომური რეაქტორის გარდა, კიდევ 16 სტრატეგიული ბალისტიკური რაკეტა დარჩა თავისი ბირთვული ქობინებით.

1981 წელს თავად საბჭოთა მეზღვაურებმა ზღვაში ჩაძირეს 645-ე პროექტის ატომური წყალქვეშა ნავი K-27, მას შემდეგ, რაც მისი შეკეთება ვერ მოახერხეს.

1989 წლის 7 აპრილს ნორვეგიის ზღვაში, ხანძრის შემდეგ, 1.685 მ სიღრმეზე ჩაიძირა 685-პროექტის საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავი K-278 „Комсомолец“-ი, დაიღუპა 42 კაცი. მის ბორტზე ორი ბირთვულქობინიანი ტორპედო დარჩა.

„კურსკის“ კატასტროფა (2000 წლის 12 აგვისტო) ერთ-ერთ ყველაზე მძიმედ ითვლება (დაიღუპა 118 ადამიანი), თუმცა თავად ნავი სულ 107-108 მ სიღრმეზეა, რამაც ერთი მხრივ უნდა გააადვილოს მისი ნაწილობრივი (ატომური რეაქტორების მაინც) ამოღება, თუმცა, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მცირე სიღრმეში უფრო მალე აიწევს რადიაციული ფონი, თუკი ატომური რეაქტორების ნაკვეთურის ჰერმეტიულობა საბოლოოდ დაირღვევა.

## მკითხველის სვეტი

# «კალაშნიკოვის» მზე ჩაესვენება?!

АН-94 „АБАКАН“-ი თავის დროზე ძალზე გასაიდუმლოებული იყო. ასეთი გასაიდუმლოება კი იმით იყო გამოწვეული, რომ შიფრის მიღმა იმალებოდა ახალი, მასობრივი ავტომატის შექმნის იდეა, რომელიც ყველასთვის კარგად ცნობილ „კალაშნიკოვს“ 1,5-2-ჯერ მაინც აჯობებდა ეფექტურობით.

„აბაკანის“ პროგრამაზე კონკურსი საბჭოთა თავდაცვის სამინისტრომ ჯერ კიდევ 1979 წელს გამოაცხადა, რაც ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ საბჭოთა გენერალიტეტს აღარ აკმაყოფილებდა „კალაშნიკოვების“ სროლის სიზუსტე — მისგან ავტომატური ჯერით სროლისას მიზნის დაზიანების ალბათობა ძალზე მცირეა.

ასეთი ნაკლი „კალაშნიკოვის“ ძირითად მოდიფიკაციებს 7,62 კალიბრის AK-47-ს, AKM-სა და 5,45 მმ კალიბრის AK-74-ს ახასიათებს. საბჭოთა გენერლებს კი სურდათ, რომ ახალ ავტომატს, პირველ რიგში, სწორედ ეს მაჩვენებელი ჰქონოდა გაუმჯობესებული.

„აბაკანის“ კონკურსში არანაკლებ რვა ცნობილმა კონსტრუქტორმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა შორის იყვნენ კალაშნიკოვი (მიხეილ კალაშნიკოვის შვილი), სტეჩკინი, აფანასიევი, კორობოვი, ნიკონოვი და სხვ.

საგამოცდო კონკურსმა თითქმის 10 წელი გასტანა და ბოლო ტურში კალაშნიკოვის შვილისა და ნიკონოვის ავტომატები გავიდნენ, მხოლოდ 1994 წელს გამოცხადდა გამარჯვებულის გვარი — ნიკონოვი, მისი АН-94 „АБАКАН“-ით.

თუმცა მას შემდეგ 6 წელი გავიდა და АН-94-ს დღესაც არ შეუცვლია რუსეთის არმიაში „კალაშნიკოვი“. ეტყობა, კიდევ დიდხანს ვერ შეცვლის, რადგან ამ პროცესს უზარმაზარი თანხები სჭირდება, რისი შესაძლებლობაც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დღეისათვის არა აქვს. როგორც ამბობენ, ნიკონოვის АН-94 იმ რაოდენობითაა გამოშვებული, რომ მხოლოდ ერთი პოლკის გადასაიარაღებლად თუ ეყოფათ.

მაინც რით გამოირჩევა АН-94, რომ ლეგენდარულ „კალაშნიკოვებს“ ამჯობინეს თავად რუსებმა?

ვისაც „კალაშნიკოვით“ უსვრია, შეამჩნევდა, რომ მას უკუცემის იმპულსი საკმაოდ ძლიერი აქვს, რაც ავტომატური სროლის დროს სამიზნის ზუსტად „დაჭერას“ ძალზე ართულებს. ამაში გარკვეულ უარყოფით როლს ის გარემოებაც თამაშობს, რომ ლულის სიმეტრიული ღერძი არ ემთხვევა „კონდახისას“, რის გამოც ავტომატის ლულა ზევით იწევა.

АН-94-ში კი ნიკონოვმა მთლიანად შეცვალა ავტომატური სროლის პრინციპი, რომელიც უკუდარტყმის იმპულსის დაგროვებაზეა აგებული. ჩვენი მკითხველისთვის გასაგებად რომ განვმარტოთ, ვეცდებით, რაც შეიძლება მარტივად ავხსნათ: ავტომატის ლულა და კოლოფი ლაფეტზეა დამაგრე-



АН-94 „АБАКАН“

ბული. პირველი გასროლის შემდეგ იგი უკან იწყებს სვლას და უკუდარტყმის დროს ერთგვარად აჭიანურებს, ამ პერიოდში გასროლილი ტყვიის ჰილზის ექსტრაქციის (გარეთ გადმოგდება) შემდეგ, მის ადგილს ახალი ვაზნა იკავებს და სწრაფი ტემპით ხდება მისი გასროლაც. მოძრავი ნაწილები მხოლოდ მეორე გასროლის შემდეგ ასწრებს სულ უკანა პოზიციაში გადასვლას და ორივე გასროლის გაერთიანებულ იმპულსს მსროლელი ერთდროულად აღიქვამს. შემდგომი სროლა კი ჩვეულებრივი ტემპით გრძელდება. ფაქტობრივად, ნიკონოვმა მსროლელს საშუალება მისცა, პირველი ორი გასროლა ყოველგვარი ხელისშემშლელი ფაქტორის (უკუდარტყმის იმპულსები) გარეშე განეხორციელებინა. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ბრძოლაში ყველაზე მთავარი მაინც პირველი გასროლებია, რომლებიც ჩვეულებისამებრ, მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელია, ხოლო სროლის გაგრძელების შემთხვევაში (თუკი პირველი ტყვიები ასცდა), როგორც წესი, იგი ასწრებს რეაგირებას და იმალება.

ნიკონოვის АН-94 ბევრად უფრო პროგრესულია, ვიდრე „კალაშნიკოვი“. თუმცა, ამასთანავე, რთული კონსტრუქციისაც. სწორედ ამიტომ, რუს სამხედროებს ძალზე აეჭვებთ, რომ ახალ ავტომატებს რიგითი ჯარისკაცები ეფექტურად გამოიყენებენ ჩეჩნეთში — „აბაკანი“ უფრო პროფესიონალებისთვისაა განკუთვნილი. ამასთანავე, მას დარჩა ის ძირითადი ნაკლი, რაც AK-74-საც ახასიათებს — მაღალიმპულსური 5,45 მმ კალიბრის ტყვია, რომელიც, მართალია დიდი საწყისი სიჩქარით — 900 მ/წმ-ით გამოირჩევა, მაგრამ წინაღობის სუსტი გადალახვის უნარი აქვს. ხის პატარა ტოტებიც კი მისი ფრენის მიმართულებას მკვეთრად ცვლის. ეტყობა, ამიტომაცაა, რომ ჯერ ავღანეთში, ახლა კი ჩეჩნეთში რუსი სამხედროები კვლავ ძველ — 7,62 მმ კალიბრის AKM-ებს ირჩევენ.

*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# XX საუკუნის უდიდესი აფერა

***პატარა ქალაქი გრინვიჩი კონექტიკუტის შტატში მდებარეობს. გასული წლის 4 მაისამდე სწორედ იქ ცხოვრობდა ერთი უცნაური ადამიანი, 48 წლის მარტინ ფრენკელი, რომელსაც მწვანეში ჩაფლული, ოთხ მილიონ დოლარად შეფასებული სახლი ჰქონდა. 16 თვის წინ ფრენკელი მოულოდნელად გაუჩინარდა, აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ და ინტერპოლმა კი განაცხადეს, რომ ამ კაცის სახელი XX საუკუნის უდიდეს აფერას უკავშირდებოდა...***

გრინვიჩელმა დეტექტივმა ჯეიმს უოლტერსმა მარტინ ფრენკელი 1997 წლის აგვისტოში გაიცნო. მაშინ პოლიციის განყოფილებამ შეტყობინება მიიღო, რომ ფრენკელის ბინაში თავი ჩამოიხრჩო 22 წლის ქალიშვილმა ფრენსის ბერჯმა. სახლის პატრონის განცხადებით, მან ფრენსისი რამდენიმე თვის წინ გაიცნო: „შემდეგ ერთად ვცხოვრობდით, მაგრამ მალე ბერჯი საშინლად გასუქდა და დამახინჯდა. შევთავაზე, ჩემგან წასულიყო. ფრენსისი დეპრესიაში ჩავარდა, მერე კი თავი ჩამოიხრჩო“. სისხლის სამართლის საქმეში დეტექტივმა უოლტერსმა სწორედ ასე ჩაწერა: „სიკვდილის მიზეზია თვითმკვლელობა“. მას არ ჰქონდა საფუძველი შემთხვევისთვის მკვლელობის კვალიფიკაცია მიენიჭებინა, თუმცა, როგორც მსგავსი ამბების დროს ხდება-ხოლმე, ფრენკელის შესახებ პოლიციამ გარკვეული ინფორმაცია მაინც მოაგროვა.



**მარტინ ფრენკელის უკანასკნელი ფოტო (ამის შემდეგ მას ფოტო არ გადაუღია)**

როგორც გაირკვა, მარტინ ფრენკელმა ადრე მიატოვა სკოლა, თუმცა, ამის მიუხედავად, იოლად ჩააბარა ტოლედოს უნივერსიტეტში და წარმატებითაც დაამთავრა იგი. რას სწავლობდა ეს ადამიანი უნივერსიტეტში, უცნობია. სამართალდამცავები ამაოდ ცდილობდნენ გაერკვიათ, რომელი ფაკულტეტი დაამთავრა მარტინმა — ცნობები ამის შესახებ უნივერსიტეტის არქივიდან რამდენიმე წლის წინ გამქრალიყო.

გრინვიჩში ფრენკელი 1993 წელს დასახლდა. 16-ოთახიანი სახლის ორ ოთახში თავად ცხოვრობდა, დანარჩენი ფართი კი მისი კომპანიის „ლიბერთი ნეიშნლ სექიურითის“ თანამშრომლებს ეკავათ.

სახლის პატრონი მეტად ორიგინალური კაცი ბრძანდებოდა. მისი პირადი მზარეულის თქმით, ფრენკელი მუდამ მოითხოვდა, ხილის წვენი სამჯერ გაფილტრეთ და მხოლოდ ამის შემდეგ შემოიტანეთ სუფრაზეო, თევზის კერძი კი მხოლოდ თევზის დაჭერის დღეს უნდა მომზადებულიყო. მარტინის საყვარელი კერძი იყო პიცა, თუმცა მას იმიტომ კი არ მიირთმევდა, რომ მოსწონდა — ამ კერძით ვერ მომწამლავენო, აცხადებდა და ერთხელ მზარეულს უამბო, შენს წინამორბედს ჩემი მოწამვლა სურდა და ცხიმში რაღაც შხამი შეურიაო. ფრენკელის ერთ-ერთი პირადი მცველის აზრით, ეს სისულელე იყო, უბრალოდ, ბოსს დღენიადაგ ელანდებოდა, რომ მასზე ვიღაც ნადირობდა.

მარტინის ახირებული ხასიათის მიუხედავად, მისი ხელქვეითები უსიტყვოდ ასრულებდნენ შეფის ბრძანებებს, რადგან ფრენკელი უზომოდ დიდი სიმდიდრის პატრონი ბრძანდებოდა და ფირმის თანამშრომლებს არასოდეს უთვლიდა ფულს. მარტინის მძღოლი იხსენებს: „ერთხელ, თანხა ვთხოვე — მანქანის ავზი ბენზინით უნდა ამევსო და ასი დოლარი მჭირდებოდა. მისტერ ფრენკელმა 2 ათას დოლარიანი შეკვრა მომიგდო, ხურდა შენთვის დაიტოვეო“.

მეზობლებთან იგი საერთოდ არ ურთიერთობდა. ექვსი წლის მანძილზე მას მხოლოდ ერთმა ადგილობრივმა მამაკაცმა მოჰკრა თვალი და თანაც ისე, რომ „უცნაური მეზობლის“ გარეგნობა კარგად ვერც კი გაარჩია. „თუ არ ვცდები, საშუალო ხნის უნდა იყოს. გამხდარია, სათვალეს ატარებს. ჯინსის შარვალი და შავი მაისური აცვია. წარმოდგენა არ მაქვს, რა საქმიანობას ეწევა, მაგრამ დარწმუნებული ვარ — მილიონერია“, — განუცხადა მან პოლიციელებს. აი, სულ ეს იყო ცნობილი საუცხოო ადგილ-მამულის მფლობელის შესახებ.

დეტექტივ უოლტერსისა და ფრენკელის მეორედ შეხვედრა მას შემდეგ მოხდა, რაც მარტინის მეზობლებმა პოლიციაში საჩივარი შეიტანეს. ისინი დიდხანს იტანდნენ კარჩაკეტილი მილიონერის ხუშტურებს, მაგრამ როცა ფრენკელმა საერთო გზაზე ჭიშკარი ჩამოკიდა და იქვე თავისი დაცვაც დააყენა, მეზობლებს მოთმინების ფიალა აევსოთ. ეს გასაგებიც იყო — საკუთარ სახლში მისასვლელად მათ უცნობი მეზობლის დაცვისთვის საბუთები უნდა წარედგინათ.

პოლიციამ უმალ დააკმაყოფილა აღშფოთებული მოსახლეობის პროტესტი, ჭიშკარი ჩამოხსნა და თან მარტინის თაობაზე დამატებითი ინფორმაციაც მოიპოვა — ეს კაცი საკუთარი უსაფრთხოებისთვის მილიონებს ხარჯავდა. მის სამფლობელოს გარს ერტყა ექვსი მეტრი სიმაღლის გალავანი, რომელზეც უამრავი ვიდეოკამერა იყო დამონტაჟებული. ფრენკელის ორმეტრიანი მცველები 24 საათის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს მონიტორებს და უცხო პირის გამოჩენისთანავე მზად იყვნენ, წამებში გაეუვნებელეყოთ მომხდური.

თავად ბოსი ძალზე იშვიათად ტოვებდა აპარტამენტებს. ამ შემთხვევაში მას 6-7 პირადი მცველი უმშვენებდა გვერდს. მძღოლი ჯავშნიან მანქანას ზედ სახლის კართან აჩერებდა-ხოლმე. მარტინი სწრაფად ხტებოდა ავტომობილში და სამი მანქანისგან შემდგარი კოლონა გიჟური სიჩქარით ტოვებდა რეზიდენციას.

მილიონერი, როგორც წესი, სპეციალურად მისთვის გამზადებული ლიმუზინით დაბრძანდებოდა. თავდაპირველად, როცა ეს ავტომანქანა მძღოლმა მაღაზიიდან მოუყვანა, ფრენკელს უკმაყოფილებისგან სახე მოეღრიცა — არ მომწონს, სალონი მოკლეა და დააგრძელონო...

ავტოქარხნის ხელმძღვანელობამ მხრები აიჩეჩა, თუმცა მილიონერ კლიენტს უარი არ უთხრა. ლიმუზინი შუაზე გადახერხეს და შუაში რკინის კარკასი ჩაუდგეს. საბოლოოდ, სალონი 30 სმ-ით დაგრძელდა და მარტინის გემოვნებაც დაკმაყოფილდა.

ფრენკელს იმდენად ეშინოდა თავდასხმისა, რომ უსაფრთხოების მიზნით 2 მილიონ დოლარად შეიძინა საკუთარი მამულის გვერდით მდებარე სახლი, რომელიც მეზობელმა გასაყიდად აუქციონზე გამოიტანა. ამ სახლში მარტინს ერთხელაც არ შეუდგამს ფეხი. იქ მისი რამდენიმე მცველი ცხოვრობდა და თვალყურს ადევნებდა, რომ ამ მხრიდან ფრენკელს საშიშროება არ შეჰქმნოდა.

მილიონერის კარ-მიდამოს ხშირად სტუმრობდნენ მანდილოსნები. მარტინი მათ საგაზეთო განცხადებებით პოულობდა და დროის სატარებლად თავისთან პატიჟებდა. იყო შემთხვევები, როცა მის სახლში მყოფ საყვარელთა რაოდენობა 20-ს აჭარბებდა. ზოგიერთი ფრენკელის ფირმის თანამშრომელი ხდებოდა და იქ კარგა ხნით მკვიდრდებოდა, სხვებს კი ჰარამხანის პატრონი შინ მხოლოდ რამდენიმე დღით ტოვებდა და მერე გარეთ აგდებდა. მანდილოსნებს შორის პირველობისთვის ნამდვილი ომი იყო გაჩაღებული და საქმე ზოგჯერ ხელჩართულ ბრძოლამდეც კი მიდიოდა. ამის შემდეგ ფირმის თანამშრომლები სასწრაფო დახმარების მანქანას იძახებდნენ და ნაცემ ქალბატონებს საავადმყოფოში ისტუმრებდნენ.

მარტინის საყვარელი ადგილი საკუთარი კაბინეტი იყო. 130 კვ. მ. ფართის ოთახი ფრენკელმა უახლესი ტექნიკით, ტელევიზორებითა და კომპიუტერებით აავსო. საერთო ჯამში მას იქ ორმოცამდე ეკრანი შეჰყურებდა. მარტინი ვიდეომაგნიტოფონებზე იწერდა თითქმის ყველა საფინანსო გადაცემას და ქვეშევრდომებს ხშირად უმეორებდა, ჩემ გარდა ვერავინ წარმოიდგენს, ამ ჩანაწერების სახით რამხელა სიმდიდრე გამაჩნიაო.

კაბინეტში ის, პრაქტიკულად, მთელ თავის დროს ატარებდა, თავდაუზოგავად მუშაობდა და დღეში მხოლოდ ორჯერ, თითო საათით ისვენებდა. ამ დროს ჰარამხანიდან ერთ-ერთ ქალბატონს ირჩევდა და მასთან ერთად საძინებელ ოთახში იკეტებოდა. შემდეგ კვლავ და კვლავ — ტელევიზორები და კომპიუტერები... დღე-ღამის განმავლობაში ის თითქმის 16 საათი მუშაობდა.

ერთ მშვენიერ დღეს ფრენკელის სახლში სახანძრო სიგნალიზაცია ჩაირთო. ორი სახანძრო მანქანა იქ რამდენიმე წუთში მივიდა, მაგრამ რაზმის წევრებმა ვერც ცეცხლი შენიშნეს სადმე და ვერც კვამლი. ზარი დარეკეს, კარი არავინ გააღო. მეხანძრეებმა გადაწყვიტეს, გაეგოთ სიგნალიზაციის გამომწვევი მიზეზი, კარი შეამტვრიეს და ბინაში შეიჭრნენ. იქ არავინ დახვდათ.

სახლი, როგორც ჩანს, სასწრაფოდ მიეტოვებინათ. თორმეტ უზარმაზარ ოთახში 100-ზე მეტი ჩართული კომპიუტერი იდგა. მოციმციმე ეკრანებზე განუწყვეტლივ გადმოსცემდნენ ინფორმაციებს აქციებისა და ვალუტის კურსის შესახებ, სხვა ფინანსურ ცნობებს. სიგნალიზაციის ჩართვა ბუხარში დანთებულ ცეცხლს გამოეწვია. იქ ჯერ კიდევ იწვოდა რაღაც ქაღალდები. მეხანძრეებმა პოლიცია გამოიძახეს. მათაც დაუყოვნებლივ გაჩხრიკეს სახლი და არაერთი საინტერესო რამ აღმოაჩინეს.

მარტინის კაბინეტში რამდენიმე ასტროლოგიური რუკა ეკიდა. იქვე, საწერ მაგიდაზე ეგდო ფურცელი, რომელზეც ფრენკელის ხელით ეწერა: „ასტროლოგისთვის დასასმელი კითხვები — მივატოვო თუ არა სახლი? ჩამსვამენ ციხეში? გამცემენ თუ არა თანამშრომლები? რა ვუყო მილიარდებს?“

„მილიარდები?! — გაიოცეს პოლიციელებმა. — ალბათ, ამ ვილაში უზარმაზარ ფინანსურ მაქინაციებს აწარმოებდნენ“. მათ გამოძიების ფედერალურ ბიუროს მიმართეს. გფბ-ს აგენტებმა მალევე დაადასტურეს პოლიციის ეჭვები და რამდენიმე დღის შემდეგ განაცხადეს, ამ სახლში საუკუნის თაღლითობაა ჩადენილიო.

მარტინ ფრენკელის მიერ მოპარულმა ფულმა ნულების სიმრავლით ყველა გააოცა. ათასგვარი აფერის საშუალებით, რომელსაც გფბ-მ დღემდე ვერ გაუგო თავი და ბოლო, ამ კაცმა 4 მილიარდამდე დოლარი მიითვისა!

გაქცეულ აფერისტზე ძებნა გამოცხადდა, თუმცა სამართალდამცავებმა კარგა ხანს ვერ მოიპოვეს ძებნისთვის აუცილებელი რამ — დამნაშავის ფოტოსურათი. ბოლოს, როგორც იქნა, იშოვეს. ერთ ფოტოზე 13 წლის ფრენკელი იყო აღბეჭდილი, მეორეზე — 24-ის. სხვა სურათი ბუნებაში საერთოდ არ არსებობდა. თანაკლასელთა თქმით, მარტინს პათოლოგიურად სძულდა ფოტოსურათების გადაღება. რატომ? ნუთუ, იგი ჯერ კიდევ ბავშვობაში ემზადებოდა საუკუნის აფერისთვის?

მარტინ ფრენკელის საქმიანი კარიერა 1985 წელს დაიწყო. მშობლიურ ქალაქ ტოლედოში ის პატარა საბროკერო ფირმაში მოეწყო, მაგრამ უშუალო ხელმძღვანელმა ჯონ შულტმა „უნიჭო და უსაქმური“ ხელქვეითი სამსახურიდან ძალიან მალე დაითხოვა. მარტინი ფირმიდან წავიდა და თან შულტის ცოლიც გაიყოლა. მასთან ერთი კვირა იცხოვრა და შემდეგ გააგდო. ამით ჯონ შულტს სამაგიერო გადაუხადა — ოჯახი დაუნგრია.

ამ ამბის მერე ფრენკელმა კიდევ რამდენიმე ფირმაში სცადა ბედი, მაგრამ „უნიჭოსა და უსაქმურს“ დიდხანს არსად აჩერებდნენ. 1992 წელს თაღლითობისთვის ბროკერის ლიცენზია ჩამოართვეს და იგი იძულებული შეიქნა, გრინვიჩში გადასახლებულიყო, სადაც ყალბი საბუთებით სცადა სამსახურში მოწყობა. ორკვირიანი ამაო ძებნის შემდეგ, განაწყენებული მარტინი ერთოთახიან ნაქირავებ ბინაში ჩაიკეტა და დაიწყო ფიქრი, თუ როგორ ევნო იმ ფირმებისთვის, რომლებიც მას სამუშაოდ არ იღებდნენ. გეგმა სულ რამდენიმე დღეში შეიმუშავა და მის განხორციელებას შეუდგა.

თავდაპირველად, კომპიუტერი შეიძინა და საბროკერო და სადაზღვევო კომპანიებთან არარსებული დაწესებულების სახელით მოლაპარაკებები წამოიწყო. გაუგებარია როგორ, მაგრამ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მარტინმა ამ კომპანიებისგან თითქმის 30 ათასი დოლარი მიიღო. ფრენკელმა ამ თანხით პატარა ოფისი იქირავა, კიდევ რამდენიმე კომპიუტერი იყიდა, სამი თანამშრომელი აიყვანა და საქმიანობა განაგრძო. გამომძიებლებისთვის უცნობია, რა მექანიზმებით მოახერხა მარტინმა ცნობილი კომპანიებისგან რამდენიმე მილიონი დოლარის მიღება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ამ ადამიანმა მართლაც უამრავი ადამიანი გააცურა და მითვისებული თანხით ოთხმილიონიანი სახლი და აპარატურა შეიძინა.

გადის ერთი წელი და ფრენკელის საბანკო ანგარიშზე უკვე 600 მილიონი დოლარია. გფბ დღემდე თავს იმტვრევს კითხვაზე, თუ როგორ გააბრიყვა მარტინმა მსოფლიოში სახელგანთქმული რამდენიმე სადაზღვევო კომპანია, რომლებმაც აფერისტს ამდენი ფული გადაურიცხეს.



**ამ სახლში XX საუკუნის უდიდესი აფერა განხორციელდა.**

სპეციალისტთა ვარაუდით, ბროკერულმა საქმიანობამ მას საშუალება მისცა შეემუშავებინა სპეციალური ბიზნეს-სქემები, რომელთა ამოცნობაც ექსპერტებისათვის უდიდეს საიდუმლოს წარმოადგენს და არ არის გამორიცხული, რომ ამ ამოცანის ამოხსნის შემთხვევაში სადაზღვევო სისტემაში ძირეული ცვლილებები იქნება შეტანილი.

ფრენკელი ჩინებული ბიზნესმენი აღმოჩნდა. მოპოვებული მილიონებით მან აქციები შეიძინა, შემდეგ კი, ალბათ, მხოლოდ მისთვის ცნობილი მანიპულაციების საშუალებით 20-მდე ქვეყნიდან დაახლოებით მილიარდი დოლარი მიიღო, რომელიც სხვადასხვა წარმოებასა და ბანკში დააბანდა.

ამ დროისათვის მან დააარსა „წმინდა ფრანცისკის ფონდი“, რომელიც თითქოსდა ღარიბ და ავადმყოფ ბავშვთა დასახმარებლად მოღვაწეობდა. სინამდვილეში, ფონდის საშუალებით, იგი ფულს „ათეთრებდა“. „წმინდა ფრანცისკის ფონდისთვის“ ავტორიტეტი რომ აემაღლებინა, მარტინმა დირექტორთა საბჭოს სიაში რამდენიმე ცნობილი პიროვნების გვარი ჩაწერა. მათ შორის იყვნენ ამერიკის ყველაზე პოპულარული ტელეწამყვანი უოლტერ კრონკაიტი და მსოფლიოში აღიარებული მენეჯერი იაკოკა. კრონკაიტსა და იაკოკას წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ვიღაც ფრენკელის ფონდის დირექტორები იყვნენ.

1997 წელს მარტინი ბიზნესს აფართოებს და კავშირს ვატიკანთან ამყარებს. მალე მასთან სტუმრად რომის პაპთან დაახლოებული კარდინალი ჩადის. გრინვიჩის სახლის მფლობელის თაობაზე მას საუცხოო შთაბეჭდილება ექმნება — მასპინძლის კარადები გაჭედილია კათოლიკური ლიტერატურით, თავად ფრენკელს კი ბიბლიიდან ციტატები მოჰყავს და წამდაუწუმ ამბობს, გაჭირვებულ ბავშვებს ორი მილიარდით უნდა დავეხმაროო. ვატიკანის წარმომადგენელმა გრინვიჩში ერთ დღე დაჰყო და მერე დაუყოვნებლივ რომს გაემგზავრა, რათა პაპის გარემოცვისთვის ამ „საოცრად კეთილშობილი კათოლიკეს“ შესახებ ეამბნა.

კარდინალი, რა თქმა უნდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ „ჭეშმარიტი კათოლიკე“ სინამდვილეში ორთოდოქს-ებრაელთა ოჯახში იყო გაზრდილი და მისი მამა ტოლედოს სინაგოგის ერთ-ერთ თავკაცად ითვლებოდა. უწინ მარტინი ყოველ შაბათ დღეს დადიოდა სინაგოგაში, თუმცა მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც საკუთარი ფინანსური იმპერიის შექმნას შეუდგა, ლოცვას საერთოდ დაანება თავი. რაც შეეხება ქრისტიანულ ლიტერატურას, ეს წიგნები ფრენკელმა კარდინალის ვიზიტის წინა დღეებში შეიძინა, რათა სტუმარი სათანადოდ გაებრიყვებინა.

ვატიკანის მხარდაჭერა მაქინატორმა მშვენივრად ჩასვა საკუთარ სქემაში და მალე მისმა კაპიტალმა 4 მილიარდ დოლარს მიაღწია. ღარიბ-ღატაკი და უმუშევარი მარტინ ფრენკელი სულ რაღაც 5 წელიწადში ამერიკის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად იქცა.

განგაშის პირველი სიგნალი გასული წლის აპრილში გაისმა. აუდიტორებმა, რომლებიც მისისიპის შტატში მდებარე ერთ მსხვილ სადაზღვევო კომპანიას ამოწმებდნენ, ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ კომპანიას საკმაოდ მსხვილი თანხა ჰქონდა გადარიცხული ვინმე მარტინ ფრენკელის ფირმა — „ლიბერთი ნეიშნლ სექიურითისთვის“. საგადასახადო ინსპექციამ ფირმის მისამართი დაადგინა და ფრენკელს შეტყობინება გადაუგზავნა, თქვენთან შეხვედრა გვსურსო. ორ დღეში ბარათი უკან დაბრუნდა. მისისიპელი ინსპექტორები ახლა თავადვე ეახლნენ ფრენკელს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მითითებულ მისამართზე მსგავსი ფირმა არასოდეს ყოფილა. ინსპექტორები დარწმუნდნენ, რომ რაღაც გიგანტური მაქინაციის კვალს ადგნენ.

ამასობაში ფრენკელიც მიხვდა, რომ საქმეები აერია და გასაქცევად მოემზადა. სასწრაფოდ დაითხოვა თანამშრომლები და მრავალრიცხოვანი საყვარლები. შემდეგ ბუხარში მნიშვნელოვანი დოკუმენტები დაწვა და კერძო თვითმფრინავით რომში გაემგზავრა. იქ მისი კვალი დიდი ხნით დაიკარგა.

თაღლითი მილიარდერის გაუჩინარებიდან წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ამერიკისა და ევროპის სამძებრო უწყებები დღემდე ამაოდ ცდილობენ მისი ადგილსამყოფელის დადგენას. მაძებრები თვლიან, რომ ფრენკელი ხშირად იცვლის გარეგნობას, საბუთებს და სხვადასხვა ქვეყანას აფარებს თავს. ის მეტად ფრთხილია და ბანკებში შეტანილი მილიარდების ხელის ხლებას ერიდება, რადგან დარწმუნებული არ არის, იცის თუ არა პოლიციამ ამა თუ იმ ანგარიშის შესახებ. დღეისათვის ცნობილია, რომ მარტინს თან „მხოლოდ“ ათიოდე მილიონი დოლარი და ბრილიანტების საუცხოო კოლექცია აქვს.

1999 წლის აგვისტოში ის მოულოდნელად ლონდონში გამოჩნდა. სქოთლენდ-იარდმა შეტყობინება მიიღო, რომ ვინმე დევიდ როსი გვარიანი თანხის სანაცვლოდ ყალბი პასპორტის შეძენას ცდილობდა. ინფორმატორთა განცხადებით, როსი გარეგნულად ძალიან ჰგავდა ძებნილ ფრენკელს. საქმეში მაშინვე ჩაერთო ინტერპოლი და გფბ. მარტინთან კავშირზე მათ თავიანთი აგენტი გაიყვანეს. ეს უკანასკნელი ტელეფონით დაუკავშირდა როსს და აცნობა, რომ თანახმა იყო ხუთასი ათასი გირვანქა სტერლინგის საფასურად პასპორტი და კერძო თვითმფრინავი ეშოვა, რომელიც მას კვიპროსში ჩაიყვანდა. როსი პირობას დათანხმდა და აგენტს შეხვედრის დრო და ადგილი დაუნიშნა.

ამასობაში მაძებრები დარწმუნდნენ, რომ დევიდ როსი მართლაც მარტინ ფრენკელი იყო. თაღლითი აგენტს ორი დღის შემდეგ, ლონდონის გარეუბანში მდებარე რესტორანში უნდა შეხვედროდა. დაიგეგმა ოპერაცია. რესტორანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ათობით დეტექტივი ჩასაფრდა. მიმდინარეობდა ფარული ვიდეოგადაღება. ძებნილი თითქოს უეჭველად უნდა გაბმულიყო მახეში, მაგრამ უკანასკნელ მომენტში, როცა აგენტი რესტორანში შევიდა და მაგიდას მიუჯდა, მოულოდნელად, მისი მობილური ტელეფონი აწკრიალდა:

— გამარჯობათ. მე დევიდ როსი ვარ. სამწუხაროდ, თქვენი დახმარების მიღება აღარ შემიძლია. დილით ჩემს ასტროლოგიურ რუკას დავხედე და ვარსკვლავებმა ცუდი დღე მიწინასწარმეტყველეს...

***გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ... ჰეცი, ჰიტლერა!

### (მოხუცი პარმენას ნაამბობი)



სწორედ იმ წელს (1933), როცა ჰიტლერი რაიხსკანცლერი გახდა, პარმენას „გონჩის“ ჯიშის ლეკვი აჩუქეს.

ჰიტლერის საპატივცემულოდ ლეკვს „ჰიტლერა“ დაარქვა. ჰიტლერა მალე ჩინებული მონადირე ძაღლი დადგა.

პარმენა 1939 წლამდე, ზამთარ-ზაფხულ, ჰიტლერასთან ერთად წარმატებით ნადირობდა.

1939 წელს, ბედის ირონიით, დაიბარეს სადაც ჯერ არს და... საბჭოთა კავშირის მეგობარი სახელმწიფოს მეთაურის შეურაცხყოფისთვის 3 წლით თეთრ დათვებზე „სანადიროდ“ გაუშვეს.

1941 წლის 22-მა ივნისმა პარმენას ამნისტია მოუტანა.

1943 წლის ზაფხულში, იმ რაიონის ტერიტორიაზე, სადაც პარმენა ცხოვრობდა, შავი ზღვის საჰაერო დაცვამ გერმანული მზვერავი თვითმფრინავი ჩამოაგდო. ვერავინ გაიგო, ეკიპაჟის წევრები ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. სასწრაფოდ შეკრიბეს რაიონის ცნობილი მონადირეები, ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი და გაუშვეს ტყეებში გერმანელების საძებრად. მათ შორის პარმენაც იყო.

მიდის პარმენა ტყეში, წინ ჰიტლერა მირბის და გაფაციცებით ეძებს გერმანელს. უცებ ძაღლი ერთ გაუვალ ეკალბარდში შევარდა. პარმენამ ეს რომ დაინახა, — ჰეცი, ჰიტლერაო, ატეხა ყვირილი. თურმე იმ ეკალბარდში ერთი მფრინავი იყო დამალული. რომ გაიგონა, ჰეცი, ჰიტლერაო, იფიქრა, მეორე მფრინავი მეძებსო და იქიდან „ჰაილ, ჰიტლერის“ ძახილით გამოვარდა. პარმენამ ტყვე მფრინავი დანიშნულებისამებრ ჩააბარა.

ამ ამბავს გაზეთი „პრავდა“ გამოეხმაურა. ჰიტლერას ფოტო პირველ გვერდზე გამოჭიმეს და ძაღლის და მისი პატრონის გმირობის ამბავი სულ წვრილ-წვრილად დაბეჭდეს...

იმ ფოტოს პარმენა სიკვდილამდე სათუთად ინახავდა.

***ლევან სამსეიშვილი***

# ექთანი



ავად გავხდი და საავადმყოფოში დამაწვინეს. პალატაში ჩემ გარდა ორი ბიჭი იწვა. სამივეს ტკივილები გვაწუხებდა, მაგრამ იმ წუთში, როდესაც ჩვენთან ძალზე სიმპათიური ექთანი დარეჯანი შემოვიდოდა, ყველაფერი გვავიწყდებოდა. დარეჯანი, სილამაზის გარდა, ენაკვიმატობითაც გამოირჩეოდა.

ერთხელ, როცა დარეჯანი მორიგი ნემსის გასაკეთებლად შემოვიდა, ჩემ გვერდით მწოლიარე ბიჭმა უთხრა:

— დარეჯან ექთანო, სულ შენ რომ გვიკეთებ ნემსს, ერთხელ ჩვენც რომ გაგიკეთოთ, რა იქნება?

— კი ბატონო, მაგას დაგამადლით? გამიკეთეთ, ოღონდ, ამ პირობით: მე 45 წუთი ვასტერილებ ნემსებს, თქვენ კი 15 წუთი მაინც გაასტერილეთ თქვენი ნემსი და, მოგიკვდეთ ჩემი თავი!

***გელა ბერაძე***

# —ასორტი რა არის?!



საშინლად ცხელა. „ლაგუნა-ვერეზე“ შევაფარეთ თავი... თან ჩემი პატარა ძმისშვილი მახლავს. ძალიან მოილხინა, იცურავა, იხტუნავა, გალაღდა... გაიხედ-გამოიხედა და გამაგრილებელი წყლებისკენ დაიძრა...

თვალი გავადევნე. მის წინ სხვა მისი ტოლი ბიჭი დგას — რაღაცას საუბრობენ. ლუკა ფულს უწვდის გამყიდველს, ვხედავ გაკვირვებულ სახეს — ქალი რაღაცას ეკითხება — ლუკა უმეორებს... არა, რაღაც ხდება...

ბოლოს, როგორც იქნა, დალია წვენი და მოდის ჩემკენ... იცინის, კვდება სიცილით და მიყვება:

— იმ ბიჭმა უთხრა — ასორტი დამისხიო — ასორტი რა არის-მეთქი? — რა და — ყველაფერი ერთადო... მეც მომინდა... ფული რომ მივაწოდე, „ასორტი“ დამავიწყდა და „ყველაფერი“ მომეცი-მეთქი, ვუთხარი...

წინა სცენა (გაკვირვებული გამყიდველი) გასაგები გახდა.

***მამიდა***

# თედო დადია



ჩემს მეზობელს, ტანდაბალსა და ჩაპუტკუნებულ თედო დადიას (გვარი არ გეგონოთ, ამ სიტყვას ხშირად ხმარობდა და შეერქვა) ახალგაზრდობაში „პოვრად“ უმუშავია გემზე. ამბობდნენ, თურქეთშიცაა ნამყოფიო.

გულკეთილმა და მუდამ მომღიმარე კაცმა ოთხი ცოლი გამოიცვალა. მეორე თუ მესამე ცოლად ტიმოშენკოს ქალი ჰყოლია. მის ხსენებაზე სიბერეშიც მთვარესავით გაიბადრებოდა. ქალებში ასე გაწაფულ კაცს უამრავი შვილი და შვილიშვილი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ ბუნებამ მხოლოდ ერთი ვაჟიშვილი მისცა და ისიც რუსეთში „საგასტროლოდ“ იყო გადაკარგული.

ასე რომ, უკვე ასაკში შესულმა და მარტოხელა თედო დადიამ მეხუთედ გადაწყვიტა დაოჯახება. დატრიალდა მაჭანკალი და შორეულ სოფელ მიწიეთში სადედოფლოც გამოუძებნა. თედომ ეს ამბავი თავის მეზობელს, ტანადობით, კაიკაცობითა და თამადობით განთქმულ ვანოს გაანდო. ორ დღეში მაყრიონი მიწიეთში შეჯირითდა და პატარძალიც მოიტაცეს. ნეფე-დედოფალი ერთმანეთს არ იცნობდა (მაჭანკალი რას არ მოიფიქრებს). თედოს ოჯახში მეზობლებმა მშვენიერი საქორწილო სუფრა გაშალეს. თამადობითა და სიტყვა-პასუხით განთქმულმა ვანომ, თავბრუ დაახვია ჟენიკა-პატარძალს. ნიკაპამდე ჩამოქნილ ულვაშებზე ხელი გადაისვა, ბოლო სამლიტრიანი ყანწი სულმოუთქმელად დაცალა და კუჩხი ბედინერი დააგუგუნა.

თედო მეზობლების დაშლას და დაღამებას ელოდა. პატარძალი კი სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა. როცა ვანო ოჯახს დაემშვიდობა და ჭიშკრიდან გავიდა, მაშინ მიხვდა ქალი, რომ ეს ოცნების მამაკაცი, მისი მომავალი მეუღლე კი არა, ოჯახის მეზობელი და მეგობარი იყო.

რაღა ექნა ჟენიკას, თავი მორცხვად დახარა და ახითხითებულ თედოს ჩაეხუტა.

***გუჯა ლელაძე, გარახა***

# თანაგრძნობა



ჩემი საყვარელი მეგობარი და კოლეგა ბაბი ონიანი ერთ-ერთი უნიჭიერესი პიროვნებაა იმ მანდილოსნებს შორის, ვის გვერდითაც ოდესმე მიმუშავია. ღრმად განსწავლულ ქართველოლოგსა და ენათმეცნიერს კალამი ხომ უჭრის და უჭრის, იუმორის გრძნობითაც გამოირჩევა.

ერთხელ, ის იყო, სტატიის წერას მოვრჩი და კმაყოფილმა, ჩემდა უნებურად, რომელიღაც მელოდიის ღიღინი დავიწყე. ბაბიმ გაზეთის სწორებას თავი ანება, გულდასმით დამაკვირდა და სერიოზულად მკითხა:

— ასლან, გტკივა რამე?

სიცილისგან ჩავბჟირდი, ჩემი სმენის პატრონს მართლაც რა მემღერებოდა?!..

***ასლან კორძაია***

# ხუმრობს ჯანთ ონიანი



მთვრალი სვანი (არ ვიგონებ, ჩემი მეზობელია) ინსპექტორმა გააჩერა. იგი მანქანიდან ძლივს გადმოვიდა. ინსპექტორს გულზე თავიძლის სურათი ეკიდა. სვანს სურათი მისი გარსი დაცვლილი ახლობლის ეგონა და წესრიგის დამცველს შეეხვეწა:

— მაგის სულს გაფიცებ, ნუ დამაჯარიმებ!..



ძგვიბიმ შემომჩივლა, — სკლეროზი შემომეჩვიაო. — რაზე ატყობ-მეთქი, ვკითხე. — რაზე და, ცოლს რომ მოვეფერები, მავიწყდება და ისევ „სპალნაში“ მიმყავს. სულ ასე ვარ ამ ბოლო დროს, 30 კილოზე დავიყვანე ქალიო.

მეზობელი ქალი — ნაზიკო გვისმენდა და შეწუხებულმა გვითხრა:

— რა ვიცი, ჩემს ქმარს, ეტყობა, უკუღმა დაემართა „სკლეროზი“, გაზის ბალონივით მიდევს გვერდში მთელი ღამე.

ჭიჭიკია ექიმთან მივიდა.

— ექიმო, თავში აგური დამეცა, მე... მე... მეტყობა რამ... რამ... რამე?

— გეტყობა, ჭიჭიკია, აბა, არ გეტყობა.?





შეწუხებული ოსი ექიმთან მივიდა და შესჩივლა:

— უკან საცერივით გავდივარ, სენი წილიმე, იქნებ მიშველო რამე.

ექიმმა უთხრა:

— აბა, შარვალი ჩაიწიე!

ჩაიწია შარვალი ოსმა და ექიმმა უთხრა:

— იცი, რას გეტყვი? საცერივით კი არა, რომ ჯდები, ეს „სეტკა“ მაიკა ზევით აიწიე.



ქუთაისის აეროპორტში „ბოინგი“ დაფრინდა. ამაოდ ელოდნენ მგზავრები „ტრაპს“, ვერსად იპოვეს, გაიკითხ-გამოიკითხეს, რა იქნა, ნეტავიო.

— აეროპორტის უფროსმა წაიღო ადესის მოსაკრეფადო, — წამოსცდა ვიღაცას.

მიხო და მიტო ვერტმფრენის პილოტები იყვნენ. მალე ორივე ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

კატასტროფის მიზეზს იკვლევდნენ და შავ ყუთს მიაკვლიეს. მოისმინეს ასეთი ჩანაწერი:

— მიტო, ეგ რაა, თავზე რომ ღრიალით დაგვტრიალებს?

— ვენტილატორია, მიხო, შე ვირო, შენა.

— გამორთე, მაგი დედა ვატირე, არ გაგვაციოს.

— კარგი, ძმაო!..



**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.**

რას წერენ ჩვენზე...

# ხელიდან გასხლეტილი ამიერკავკასია

იალტის წარუმატებელმა დსთ-ის სამიტმა ხარისხობრივად ახალი კორექტივები შეიტანა თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიასა და, კერძოდ, ამიერკავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებში. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ამიერკავკასიის სამი დედაქალაქის მოსკოვთან ურთიერთდამოკიდებულების ამჟამინდელმა ეტაპმა, კვლავ დაასუსტოს რუსეთის გავლენა ამ რეგიონში. ეტყობა, რუსეთმა ვერ გამოიყენა ძლიერი და ახალგაზრდა პრეზიდენტის ფაქტორი თავისი იმიჯის ასამაღლებლად. მოსკოვმა მაინც ვერ შეძლო „რეგიონული ბროკერის“ როლის შესრულება, რომლის პოზიციაზეც დამოკიდებული იქნებოდა ურთიერთობების განვითარების ხასიათი მთელ კავკასიაში. სამწუხაროდ, არავითარი პოზიცია რუსეთისა არ ჩანს.

იალტის „კავკასიური ოთხეულის“ შეხვედრა გადაიდო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსკოვმა კვლავ ვერ შეძლო რუსეთის იმპერატივი დაემყარებინა სამხრეთ კავკასიაში უშიშროების საერთო რეგიონული სისტემის ფორმირებაში. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთს დღემდე არ დაუფიქსირებია ამ ჰიპოთეზური სისტემის სტრუქტურაზე თავისი თვალსაზრისი, თუმცა მიაჩნიათ, რომ ჩრდილო ოსეთის პრეზიდენტის, ალექსანდრ ძასოხოვის ფორმულა, რომელსაც საფუძვლად უდევს ე.წ. კისლოვოდსკის ფორმატი, ნათლად გამოხატავს მოსკოვის ინტერესებს. ამ გარემოებამ, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, შესაძლოა ახალი გაურკვევლობა შეიტანოს კრემლის საგარეო პოლიტიკურ კურსში (ამიერკავკასიის რეგიონში) და მორიგი ტალღა ააგოროს რუსეთისგან ამ რეგიონების ჩამოსაშორებლად. სარწმუნო წყაროების აზრით, მოსკოვი ახლო მომავალში ინიციატივის „წაგლეჯის“ ფაქტის წინაშე დადგება. „კავკასიური ოთხეულის“ შეხვედრის ორგანიზებას მეზობელი საქართველო აპირებს. ზოგიერთი მონაცემით, რუსეთის დიპლომატია არ იქნება ედუარდ შევარდნაძის გეგმის — თბილისში რეგიონული ფორუმის ჩატარების წინააღმდეგი. ამ შეხვედრის ადგილმა, შესაძლოა, ფორმატის 3+1 — აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და რუსეთი — ეფექტურობა გაზარდოს. მაგრამ რუსეთის ინტერესებისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს ამ ფორმატის შესაძლო გაფართოება, რაც „ოთხეულის“ დეგრადაციას ნიშნავს. გამორიცხული არ არის, რომ თბილისში, კავკასიურ ფორუმზე, ისეთ „დაინტერესებულ მხარეებს“ მიიწვევენ, როგორიცაა თურქეთი, აშშ და ევროკავშირი. რეგიონალიზმის პრინციპის თანახმად, თბილისში, შესაძლოა, ირანის წარმომადგენლებიც აღმოჩნდნენ. ცხადია, რომ ამ პროგრამის რეალიზაცია, რომელიც ობიექტურად შეესატყვისება საქართველოს გეოპოლიტიკურ და რეგიონულ ამბიციებს, რუსეთს „მეორე ეშელონის რეგიონული სახელმწიფოს“ რანგში გადაიყვანს (თურქეთისა და ირანის დონეზე). ასეთი პერსპექტივა, ბუნებრივია, რუსეთის გავლენის დასუსტებას ნიშნავს „ხელიდან გასხლეტილ“ ამიერკავკასიაში.

მიუხედავად სამიტის წარუმატებლობისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი. პუტინი ყირიმში ჩამოსულ ყველა პრეზიდენტს შეხვდა, გარდა რობერტ ქოჩარიანისა — სომხეთის ლიდერისა — რუსეთის ერთადერთი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირისა ამიერკავკასიის რეგიონში. სარწმუნო წყაროების თანახმად, სომხეთის მხარეს ადრე ოფიციალურად უთხოვია მოსკოვისთვის მსგავსი შეხვედრის მოწყობა.

***ნეზავისიმაია გაზეტა №156***

# ელჩიბეის დაკრძალვიდან ალიევი ძლივს გაიყვანეს... სამშვიდობოს!



22 აგვისტოს, ანკარის სამხედრო ჰოსპიტალში გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, პროსტატის კიბოს დიაგნოზით 62 წლის ასაკში გარდაიცვალა აზერბაიჯანის ექსპრეზიდენტი აბულფაზ ელჩიბეი! ბაქოში გადასვენებულ ელჩიბეის ცხედართან გამოსათხოვებლად ათიათასობით ადამიანი მივიდა. დაკრძალვის დღეს მისი ხსოვნისადმი გამართული გრანდიოზული ცერემონიალი მოგვიანებით ოპოზიციის საპროტესტო მიტინგში გადაიზარდა! დასავლეთის საინფორმაციო საშუალებების ბაქოელი კორესპონდენტების ცნობით, როდესაც პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ელჩიბეის ხსოვნისადმი გამართულ ცერემონიალზე მასთან გამოსათხოვებლად მივიდა, 50 ათასამდე ადამიანმა „ყიჟინა“ დასცა. საპროტესტო შეძახილები მას არც იმ შენობაში მოჰკლებია, სადაც ელჩიბეის ცხედარი იყო დასვენებული. ალიევი იძულებული გახდა, სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას, რაც არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა. მისი დაცვა დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა მუჯლუგუნებით გაერღვია შენობის წინ შეკრებილი ხალხი და პრეზიდენტი სამშვიდობოს გაეყვანა...

ჰეიდარ ალიევმა აბულფაზ ელჩიბეი პრეზიდენტის პოსტზე 1993 წელს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შეცვალა. თავად ელჩიბეი აზერბაიჯანის ხელისუფლების სათავეში 1992 წლის ივნისში თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების გზით მოვიდა (იგი აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ლიდერი იყო) და ენერგიულად იბრძოდა რუსეთის გავლენის მოსპობის წინააღმდეგ. სწორედ მას უნდა უმადლოდნენ აზერბაიჯანელები და იქნებ კავკასიელებიც, რომ აზერბაიჯანში აგერ უკვე 8 წელიწადია რუსი ჯარისკაცის ჭაჭანებაც არ არის. შესაბამისად, კასპიის ნავთობისა და გაზის „საუკუნის პროექტების“ რეალიზაციის დაწყებამ ძირეულად შეცვალა რეგიონში დიდი სახელმწიფოების ძალთა ბალანსი დასავლეთის და კავკასიის ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების სასარგებლოდ!

ელჩიბეიმ თურქული სახელმწიფო მოდელის დამკვიდრება სცადა. ამასთან, მისი მმართველობის დროს აზერბაიჯანმა ყარაბაღში დიდი მარცხი განიცადა, ხოლო პოლკოვნიკ ჰუსეინოვის სამხედრო ამბოხის შემდეგ ელჩიბეიმ პრეზიდენტის ძალაუფლება ჰეიდარ ალიევს გადააბარა, რათა თავიდან აეცილებინა სამოქალაქო ომი, თავად კი მშობლიურ ნახჭევანს დაუბრუნდა, სადაც ბოლო დრომდე უაღრესად მოკრძალებულ პირობებში ცხოვრობდა... აზერბაიჯანის საკითხებში ამერიკელი პოლიტიკური ექსპერტის, თომას გოლცის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ (ეს ის თომას გოლცია, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტით მოტოციკლებით დაწყებულ გადარბენას ხელმძღვანელობს და ამ იდეის ავტორია), ელჩიბეი არაერთგვაროვანი პიროვნება და ფიგურა იყო, მაგრამ მისი წვლილი აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში დიდი და უდავოა!

***უცხოეთის სააგენტოების მიხედვით***

# დუმაში ჩეჩენი მილიციელი შევა



ჩეჩნეთის საარჩევნო კომისიამ გოსდუმის დეპუტატის არჩევნების შედეგები გამოაქვეყნა. გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების ასოციაციის პრეზიდენტმა გენერალ-მაიორმა ასლამბეკ ასლახანოვმა. მან ხმების 31% მოაგროვა და თავის მთავარ კონკურენტს მოძრაობა „ადამალის“ („ადამიანობა“) ლიდერს ადამ დანიევს 12%-ით გაუსწრო.

ასლამბეკ ასლახანოვის სახელი ჯერ კიდევ 1988 წელს გახდა ცნობილი. ამ წელს მინვოდის აეროპორტში 40 მძევალი იქნა აყვანილი და მათი გადარჩენის მიზნით, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარმა ინსპექტორმა თავის თავზე აიღო ტერორისტებთან მოლაპარაკების მისია და გატაცებულ თვითმფრინავში ავიდა. მძევლები გაათავისუფლეს, ასლახანოვი კი ოპერაციის წარმატებით ჩატარებისთვის ორდენით „მამაცობისთვის“ დააჯილდოეს.

მილიციაში ასლახანოვმა 30 წელზე მეტხანს იმსახურა. 1992 წლიდან იგი ხელმძღვანელობს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა ასოციაციას. ეს ასოციაცია მფარველობას უწევს იმ მეწარმეებს, რომლებიც უარს ამბობენ ბანდიტების „კრიშისთვის“ ფულის გადახდაზე. ასლახანოვის მოკვლა 7-ჯერ უნდოდათ. მან ჩეჩნეთში რუსეთის არმიის პირველად შეჭრა გააკრიტიკა: „არმიის სასტიკი და უგუნური მოქმედების შედეგად, იმ ჩეჩნებმაც კი, რომელთაც გულწრფელად უნდოდათ დუდაევის რეჟიმს ბოლო მოღებოდა, ხელში იარაღი აიღეს.“ ასლახანოვის აზრით, დღეს სიტუაცია ჩეჩნეთში არ შეცვლილა. „მოსკოვმა კონფლიქტის მოსაგვარებლად ძალას მიმართა. ამან საპირისპირო შედეგი გამოიღო. კონფლიქტი გაიწელა. დღეს მასში ჩათრეული ყველა მხარისთვის აუცილებელია მოლაპარაკება“ — განუცხადა მან გაზეთ „კომერსანტს“. ასლახანოვი მხარს უჭერს ჩეჩნეთში ჰუმანიტარული დახმარების ჩატანის გაკონტროლებას და მოითხოვს, საომარი მოქმედებების გამო, რესპუბლიკიდან წასულებისთვის ლტოლვილის სტატუსის კანონით განსაზღვრას.

დუმის მანდატის მსურველ პრეტენდენტთა შორის ასლახანოვი არ ფიგურირებდა. სამხედროების სიმპათია „Единство“-ს ადგილობრივი განყოფილების ლიდერის, ლეჩი მაგომადოვის მხარეს იყო. ასლახანოვის გამარჯვებაში მთავარი როლი ითამაშა ჩეჩენი დიასპორის ფინანსურმა და ახმად კადიროვის ორგანიზაციულმა მხარდაჭერამ. ამ უკანასკნელს ნამდვილად არ უნდოდა, რომ დუმაში რესპუბლიკის წარმომადგენელი მისი მოადგილისა და ოპონენტის მოკავშირე ყოფილიყო.

***კომერსანტი №155***

# სომხეთი მზად არის ნატოსთან სათანამშრომლოდ



პოლიტიკურ საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის კლაუს-პეტერ კლაიბერის მიწვევა გამოწვეული იყო ერევნის სურვილით, გაექარწყლებინა ბრიუსელში გაჩენილი ტენდენცია, რომლის მიხედვით, სომხეთი თითქოსდა ჩამორჩება თავის მეზობლებს ნატოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მონაწილეობაში.

ერევანში სომხურმა მხარემ წარადგინა 2000-2001 წლებში ნატოსთან სომხეთის ინდივიდუალური პარტნიორობის საბოლოო ვარიანტი. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნის თქმით, პროგრამამ ნატოელთა გაკვირვება გამოიწვია:

თუ პროგრამის — „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ — პირველ წელს (1997 წ) სომხეთი ნატოს მხოლოდ 11 ღონისძიებაში მონაწილეობდა, ახლა დაგეგმილი აქვს 75 ღონისძიებაში მონაწილეობა.

გარდა ამისა, სომხეთი ფიქრობს, გაეროს გენერალურ მდივანთან ხელი მოაწეროს შეთანხმებას გაეროსთვის სამშვიდობო ბატალიონის გადაცემის თაობაზე. იმავე წყაროს განმარტებით, ეს იმას ნიშნავს, რომ გაეროს უსაფრთხოების საბჭოს (რომელშიც რუსეთიც შედის) გადაწყვეტილებით, სომეხი სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობას მიიღებენ სამშვიდობო ოპერაციებში, მაგრამ გადაწყვეტილებას — გაგზავნონ თუ არა ბატალიონი, ერევანში მიიღებენ: ეს სამშვიდობო ბატალიონი არ დაემორჩილება ნატოს, თუმცა შემდგომში გამორიცხული არ არის, რომ სომხეთი მონაწილეობას მიიღებს ნატოს მიერ წარმოებულ ოპერაციებში.

ამ ბატალიონის შექმნა საკმაოდ რთული საქმეა, პირველ ყოვლისა, ფინანსური თვალსაზრისით. ქართველ და აზერბაიჯანელ მშვიდობისმყოფელთა კონტინგენტს თურქეთი აფინანსებდა.

სომეხი მაღალჩინოსნის თქმით, ნატოელებს პირდაპირ განუცხადეს, რომ კავკასიაში პოლიტიკური ალიანსის დასაბალანსებლად ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანას შეუძლია დააფინანსოს და მოამზადოს სომხური ბატალიონი — ასეთია მაგალითად, საბერძნეთი, რომელიც რუსეთის შემდეგ სომხეთის მეორე პარტნიორია თავდაცვის დარგში. კლაუს კლაიბერის აზრით, დამხმარე უნდა იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყანა.

სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატმა ხაზგასმით აღნიშნა, ნატოსთან თანამშრომლობის განვითარებას ხელს არ უშლის ის, რომ სომხეთი დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების წევრიაო.

***არგუმენტი ი ფაკტი №34***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— შეიძლება თუ არა ბავშვების საძინებელ ოთახში მოეწყოს ხატების კუთხე?**

— არათუ შეიძლება, აუცილებელია, ბავშვების საძინებელ ოთახში იყოს ხატი ან, რაც მთლად უმჯობესია, ხატების კუთხე.

მართლმადიდებელ ოჯახებში ძველთაგანვე არსებობდა ტრადიცია, — ბავშვის საწოლის თავზე მისი მფარველი წმინდანის ხატი ეკიდა. პატარებს სულ მცირე ასაკიდან აჩვევდნენ ხატთან დამოკიდებულებას: მასთან მოწიწებით მიახლოებასა და მთხვევას.

**— ჩემს სამსახურში (საავადმყოფოში) ვიღაცამ მოიტანა და დატოვა (თუ დარჩა) ადამიანის ნამდვილი თავის ქალა. მე არ შემიძლია მისი გადაგდება. რაღაცნაირად მეცოდება კიდეც. როგორ მოვიქცე, დავმარხო სასაფლაოზე?**

— ხსენებული თავის ქალის მიმართ უდიერად მოპყრობა ან მისი გადაგდება არაფრით არ შეიძლება. აუცილებელია მისი მოკრძალებით დამარხვა.

**— ჩემმა მეუღლემ მონათლა გოგონა მაშინ, როდესაც თვითონ არ იყო მონათლული. როგორ უნდა მოვიქცეთ?**

— რაც მთავარია, ბავშვი ითვლება მონათლულად. მისი ნათლია თვითონ მღვდელია. თქვენი მეუღლე ნათლიად არ ითვლება, თუმცა ნათლისღების შემთხვევაში, შეუძლია იზრუნოს ბავშვის სულიერი განვითარებისათვის.

**— ქუჩაში ვიპოვე ნალი. გამიგია, რომ მას ბედნიერება მოაქვს მპოვნელისათვის. მივიტანე სახლში და სახლის კარზე დავამაგრე. სწორად მოვიქეცი თუ არა?**

— თქვენ არ მოიქეცით სწორად, რადგან ნალსა და ოქროს არ მოაქვს ბედნიერება ოჯახისთვის. ოჯახური ბედნიერება დაკავშირებულია უფლის სიახლოვესა და მისი მცნებების აღსრულებასთან. ნალის გაფეტიშება არის წარმართული ჩვეულება და მას ბედნიერების ნაცვლად, ბევრისათვის განსაცდელი მოუტანია. თუ გნებავთ დაცული იყოს თქვენი ოჯახი, ნალის მაგივრად ნაკურთხი ჯვარი იქონიეთ შინ.

**— გთხოვთ გვიპასუხოთ, რატომ არის მიღებული ქრისტეშობის დღეს ღორის დაკვლა და ღორის ხორცის მირთმევა?**

— ეს ხალხური ტრადიციაა, რომელსაც რელიგიური დატვირთვა არ გააჩნია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ რიტუალი დაკავშირებულია შობა დღის გახსნილებასთან.

**— გარდა მორალური სასჯელისა, სხვა რა სასჯელს მივიღებ, რომ დავწვა და გავანადგურო ჩემი კუთვნილი ქონება, რომელიც არ მინდა დარჩეს ჩემს უღირს შვილს?**

— თქვენ გულძვირად ხართ შვილის მიმართ და ამ მდგომარეობას დიდი სატანჯველი მოაქვს. იმისათვის, რათა აქვე, ამიერ ცხოვრებაში არ დაიწყოს თქვენთვის ჯოჯოხეთი, უპირველესად საჭიროა, მხურვალედ ილოცოთ შვილისთვის, რომ იგი კეთილგონიერი გახდეს და თქვენც განთავისუფლდეთ ამ დამთრგუნველი გრძნობისაგან.

**— როგორ უყურებს ეკლესია განძის მიწაში დამმარხველს, ეთვლება თუ არა ეს ცოდვად? როგორ უნდა მოიქცეს განძის მპოვნელი? რამდენი უნდა შესწიროს გაჭირვებულებს და ეკლესიას, რომ მართალი იყოს ღვთის წინაშე?**

— პირველ რიგში, საჭიროა, დადგინდეს განძის წარმომავლობა. თუ ის საეკლესიო სიწმინდეა, სრულად უნდა დაუბრუნდეს ეკლესიას. თუ განძს სხვაგვარი წარმოშობა აქვს, მპოვნელს შეუძლია მისი გარკვეული ნაწილი შესწიროს ეკლესიას და გაჭირვებულებს.

**— მიცვალებულზე იტყვიან: „ნათელში ამყოფოს ღმერთმა“. ამბობენ სხვა ფორმითაც: „ღმერთმა გაანათლოს“. შინაარსობრივად ალბათ ეს სიტყვები სხვადასხვა მნიშვნელობისაა თუ ერთსა და იმავეს ნიშნავს?**

— ამ სიტყვებით უფლის წინაშე ვითხოვთ, რომ ადამიანი იყოს იქ, „სადაც მართალნი განისვენებენ“, ანუ მიეახლონ ღვთის ნათელს. ორივე გამოთქმა ერთი და იმავე მნიშვნელობისაა.

**— მართლმადიდებელს ჩაეთვლება თუ არა ცოდვაში „ყურანის“ წაკითხვა შემეცნებითი მნიშვნელობით?**

— მართლმადიდებელს, რომელიც მტკიცედ დგას სარწმუნოებრივ აღმსარებლობაში, მოძღვრის კურთხევითა და შემეცნების თვალსაზრისით, შეუძლია გაეცნოს განსხვავებული რელიგიური კონცეფციების ლიტერატურას.

**— ოჯახს აქვს გაკეთებული ჯადო. როგორ მოვიქცეთ მის ასახსნელად?**

— იმისათვის, რათა ჯადომ არ იმოქმედოს ოჯახზე, პირველ რიგში, საჭიროა ოჯახის წევრებმა დაიწყონ ეკლესიური ცხოვრება: ჰყავდეთ მოძღვარი, ამბობდნენ აღსარებას, მიიღონ წმინდა ზიარება. ამასთანავე, აუცილებელია მღვდელმსახურს აკურთხებინონ ბინა, სადაც ისინი ცხოვრობენ.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 28*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



სამი წლის ელენე ზის პიანინოსთან და უკრავს. პიანინოს სამი პედალი აქვს. ორ პედალს ფეხი რომ დააჭირა, მერე ბაბუას ეკითხება:

— ბაბუ, ჩვენთან სამფეხიანი ვინ დადის?

***

თეონა თაფლს მიირთმევს და ბებიას ეკითხება:

— ბებო, ფუტკრები იმ ფულს რას უშვრებიან, თაფლში რომ ვუხდით?

***

პაპანაქება სიცხეა. სამი წლის გიო ყურადღებით ათვალიერებს გიორგი ლეონიძის ძეგლს და დედას ეკითხება:

— დედიკო, ამ კაცს არ სცხელა, პალტოში რომ გახვეულა?

***

4 წლის ბონდო ყავლაშვილს ფეხსაცმელი უკუღმა აცვია. ბაბუა შენიშვნას აძლევს. ბიჭუნა იხდის, ხელახლა იცვამს და კმაყოფილი აცხადებს:

— ჰა, ბაბა, ახლა ხომ კუღმა მაცვია.

***

პაპა აივნიდან შემოვიდა ოთახში და ხელების ფშვნეტით თქვა: — უჰ, ძალიან ცივა. მე აფრიკაში უნდა ვცხოვრობდე, რომ არასოდეს შემცივდეს.

სამი წლის გიორგიმ გაოცებით შეხედა:

— პაპა, მერე, შენ რომ ზანგი იქნები?

***

— რას ქსოვ მამიდა? — ეკითხება უჩა თავის ფეხმძიმე მამიდას.

— რას და, წინდებს, პატარა ბაისათვის.

— მერე, როგორ ჩააცმევ, უნდა ჩაყლაპო? — უკვირს უჩას.

***

სამი წლის ზაზა ეკითხება დედას:

— დედიკო, შენ რომ პატარა იყავი, ჩვენი დედა ვინ იყო?

## გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით

II



## III მოძებნეთ საერთო დასასრული ათივე სიტყვისთვის




## IV სახალისო ამოცანები

ა) ვინც ზრდილია, დამჯერე, ბეჯითი და მარდია, ასეთ ბავშვზე ამბობენ, დედის გულის ....

ბ) ოთხი ფეხით ძლივს დადის, ზურგზე ადგას ბაკანი, ქათამივით კვერცხსა დებს, თუმც არ იცის კაკანი.

1) ბაყაყი მყაყე ჭაობში ბაყბაყდევივით ბაყბაყებს.

2) ჩემი თხაი რქაგრეხილი, შენსა თხასა რქაგრეხილსა, რას ერჩოდა, რას ებრძოდა, რას ერქაგრეხილებოდა.

## V შეამოწმეთ თქვენი ინტელექტი

1. სურათი „საიდუმლო სერობა“ ეკუთვნის?

ა) რაფაელს; ბ) მიქელანჯელოს; გ) ლეონარდო და ვინჩის; დ) მონეს.



2. გიორგი სააკაძის დაღუპვის ადგილი:

ა) მარაბდა; ბ) ტაშისკარი; გ) მარტყოფი; დ) ოსმალეთი.

3. ქ. თბილისში ვახტანგ გორგასლის ქანდაკების ავტორი:

ა) ე. ამაშუკელი; ბ) მ. ბერძენიშვილი; გ) ი. ოქროპირიძე.

## I კროსვორდი



**შვეულად:** 1. ხილი, რომელიც ადამიანს „აქლიავებს“; 2. კატა ვერ შესწვდა ... პარასკევია დღესაო; 3. უდაბნოს ბინადარია, კუზში აქვს წყლისა მარაგი; 4. ცხენის შვილი; 5. ის, რასაც კარიესი ემუქრება; 7. ცრემლმდენი ბოსტნეული; 9. სააღდგომო კვერცხების შესაღები მცენარე; 10. სააღდგომო ნამცხვარი.

**თარაზულად:** 4. ყვავს .... გააგდებინეო (ანდ.); 6. მოუსვენარი, ანცი, ...; 8. ღამით მანათობელი მფრინავი მწერი; 10. მიდი .... მიდი მალე, დაუბნელე შენს მტერს თვალი (სიმღ. მულტფ.); 11. მლაშეა, წყალშიც იბადება, წყლისა ეშინია; 12. ნაცარქექიას მეტოქე; 13. მაგიდის განუყრელი მეგობარი; 14. მძიმეწონიანი ხორთუმა ცხოველი.

## იპოვეთ 15 განსხვავება



## გამაფერადე ფერადი ფანქრებით

შეაერთეთ წერტილები თანმიმდევრობით და თავად მიხვდებით, რასაც მიიღებთ.



## მოთხრობა-გამოცანა

### შოთა რუსთაველის გონებამახვილობა

მწერალი დავით კასრაძე ძველი ლეგენდის მიხედვით გვიამბობს: თამარის მეფობის დროს დიდუბეში სახალხო ასპარეზობა მოეწყო. ნაირ-ნაირი გართობა-თამაშობა გაიმართა. საგანგებოდ ამ ასპარეზობისთვის უმაღლესი ჯილდო — ოქროს გვირგვინი — თამარ მეფემ დააწესა. მას მიიღებდა ის, ვინც თამარის ხელში დაჭერილ ვაშლს ისრით გაკვეთდა.

დიდებულები შეწუხდნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ: არც მეფის სიტყვის გატეხა შეიძლებოდა და ვერც ერის სათაყვანებელ ხელმწიფეს ჩააგდებდნენ ხიფათში. დიდი უხერხულობა ჩამოვარდა. მდგომარეობა სულმნათმა შოთა რუსთაველმა გამოასწორა, რომელმაც ზუსტად და სრულიად უსაფრთხოდ შეასრულა თამარ მეფის დავალება. გამოიცანით, როგორ მოიქცა რუსთაველი?

**წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:** *ნინო ტომარაძემ, სოფიკო გძელიშვილმა, თათია ჯღარკავამ, ხვთისო იმერლიშვილმა, გვანცა ბუაძემ, ქეთინო ჩომახიძემ, ნატო ნატრიაშვილმა, ანი და ქეთი ესაკიებმა, ციაკო გეთიამ, გიორგი და ლაშა სამხარაძეებმა, ხატია ხატიაშვილმა, ეკატერინე შამათავამ, ლელა ოჩხიკიძემ, ნინო ხაჭაპურიძემ, ლუკა ფერაძემ, სალომე სანდაძემ, ლაშა ართილაყვამ, გიორგი მელქაძემ, თამუნა მარკოზაშვილმა, თეონა გოგაძემ, ლიკა, ჯაბა და გელა ქოჩიშვილებმა, ნინო და ეკა ლორთქიფანიძეებმა, ელა გვერდელაშვილმა, ხათუნა ჩომახიძემ და გიორგი გვერდელაშვილმა. სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრი მცდარი პასუხი მივიღეთ, რომელთა ავტორებსაც მიაჩნიათ, რომ ლოკოკინა 10 დღეში მიაღწევდა ხის კენწეროს.*

**სწორი პასუხი კი ასეთია:** მიაღწევს მერვე დღეს, ვინაიდან შვიდი დღის განმავლობაში ლოკოკინა გაივლის ზევით შვიდ მეტრს, ხოლო მერვე დღეს, როცა დარჩენილ სამ მეტრსაც გაივლის, უკვე ხის კენწეროზე იქნება.

## VI თავსატეხი

მოცემულია ცხრა კვადრატი. თითოეულ კვადრატში ჩაწერეთ ციფრი 1-დან 9-მდე ისე, რომ ვერტიკალურად, დიაგონალურად და ჰორიზონტალურად მათი ჯამი 15-ს უდრიდეს. გახსოვდეთ, რომ თითოეულ უჯრედში ჩაწერილი ციფრი არ უნდა განმეორდეს.

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ მიუთითოთ რუბრიკა „საბალდო-სალაღო“

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

# ვინ იქნება შსს-ს მინისტრი?



**— შემიძლია ნებისმიერი რამე დავაბრალო და მოწმეებიც მოვიყვანო, დაწყებული ქონების მართვიდან, უშიშროების სამინისტროთი დამთავრებული...**

გადეპუტატებული პოლიციის გენერალ-მაიორის ზურაბ ჩხაიძის შსს-ში დაბრუნებამ საფუძველი განუმტკიცა ხმებს — კახა თარგამაძე შესაძლოა მისმა პირველმა მოადგილემ შეცვალოსო. თავად ზურაბ ჩხაიძე გავრცელებულ ხმებს პროვოკაციას უწოდებს. როგორც მისივე ქვეშევრდომები საუბრობენ, იგი თარგამაძისგან განსხვავებით, უფრო კომუნიკაბელურია და ადამიანებსა და კლანებს აშკარად არც გადაიკიდებს და არც შეებრძოლება. მისი მეთოდი ალბათ სიცილით ძირის გამოთხრა უფრო იქნება.

აღსანიშნავია, რომ შს მინისტრის პოსტზე ის არ არის ერთადერთი კანდიდატურა (შესაძლო ვარიანტებად კობა ნარჩემაშვილსა და სოსო ალავიძესაც ასახელებენ). საბოლოოდ ყველაფერს შევარდნაძე გადაწყვეტს. ვინც არ უნდა გახდეს შს მინისტრი, ცხადია, რომ ის პოლიტიკურ დაფაზე პრეზიდენტის მხედარი იქნება. ჯერჯერობით, ხელისუფლების კულუარებში მხოლოდ იმაზე საუბრობენ, რომ შსს-ს ახლანდელი მინისტრი პრეზიდენტის ოჯახში გავლენის სფეროებისთვის დაწყებულ ომს „შეეწირა“, ანუ ის იმის გვერდით არ აღმოჩნდა, ვისაც შევარდნაძის უფრო მეტი წყალობა ერგო. თუ ეს ასეა, პრეზიდენტს თამაშში აუცილებლად დასჭირდება ახალი მხედარი. თუ ზურაბ ჩხაიძის გურულობას არ მივიღებთ მხედველობაში, ის პრეზიდენტის გუნდთან არასდროს ასოცირდებოდა. ყოველთვის ახერხებდა დამოუკიდებელი სამართალდამცავის იმიჯის შენარჩუნებას, თუმცა, როგორც ამბობენ, მას პრეზიდენტის და მისი ოჯახის გამარჯვებული ფრთის, არაერთი დაკვეთა აქვს შესრულებული, ეტყობა კარგადაც.

***— ბატონო ზურაბ, დეპუტატობამ რით ვერ მოგხიბლათ?***

— ძალიანაც მომხიბლა. მაგრამ შს მინსიტრის წინადადებას დავთანხმდი. ვფიქრობ შესაძლებლობების რეალიზებას აქ უფრო მეტად შევძლებ.

***— ამბობენ, თქვენი ფუნქცია იყო არჩევნებში ხელი შეგეშალათ ზვიად ცეცხლაძის გამარჯვებისთვის. ამ მისიის წარმატებით შესრულებისთვის ჯილდოც შესაფერისი მიიღეთ — შს მინსიტრის პირველი მოადგილეობა!***

— ზვიად ცეცხლაძე რომ იყო კანდიდატი და გამარჯვების დიდი შანსიც ჰქონდა, იმიტომ გადავდგი ეს ნაბიჯი, თორემ ქვემსუბუქი წონის უცნობი რომ ყოფილიყო წარდგენილი — თავსაც არ შევიწუხებდი. რაც შეეხება დაფასებას და ჯილდოს... შეიძლება ამ ნაბიჯის გარეშეც ისე განვითარებულიყო მოვლენები, როგორც ახლა. დეპუტატობამდე შსს-ში საკმაოდ მაღალი თანამდებობა მეკავა და ალბათ, არც უპერსპექტივო კაცად ვითვლებოდი...

***— სერიოზული წყაროები ამტკიცებენ, რომ მალე კახა თარგამაძის პოსტზე შეიძლება თქვენ გიხილოთ.***

— ასეთი წესით შეიძლება თქვენს ამ თანამდებოაბზე მობრძანებაზეც ვიმსჯელოთ.

***— ნუ იქნებით ასეთი თავმდაბალი. გამორიცხულია ოდესმე ამ თანამდებობაზე მიხილოთ, რასაც თქვენზე ვერ ვიტყვით და თქვენ რატომ გამორიცხავთ ამას?***

— მე არაფერს გამოვრიცხავ, რადგან ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. კახა თარგამაძე რომ არის მინსიტრი, სწორედ იმიტომ დავბრუნდი შსს-ში.

***— საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, შსს-ს ეზოდან წამალს (ნარკოტიკს) პოლიციელები თავად ჰყიდიანო. ამის შესახებ რას გვეტყვით?***

— ეს ჭორია. ამის მთქმელს შსს-ს დისკრედიტაცია სურს. გადავხედოთ სტატისტიკას — არ კლებულობს, პირიქით, მატულობს ამოღებული ნარკოტიკებისა და რეალიზატორთა დაკავების რაოდენობა.

***— იმასაც ამბობენ, პოლიციელები და ნარკოტიკების გამსაღებლები ფულს ერთად აკეთებენო, ნამდვილ რეალიზატორებს პოლიცია მფარველობს, სამაგიეროდ, იჭერენ საწყალ ნარკომანებს, რომელთაც რეალიზატორობის მუხლით ასამართლებენ და შსს-ც გეგმას მათ ხარჯზე ასრულებსო.***

— არ გეწყინოთ, მაგრამ ძალიან ზოგადი წარმოდგენა გაქვთ შსს-ზე. რასაც თქვენ ამბობთ, უბრალოდ, მოარული ხმებია.

***— უარყოფთ, რომ პოლიციელებს და ნარკოტიკების მსხვილ რეალიზატორებს ერთმანეთთან კუდები აქვთ გადაბმული?***

— ოპერიტიულ მუშაკებს კონტაქტები შეიძლება ჰქონდეთ „ბარიგასთანაც“, შემსყიდველთანაც და გადამყიდველთანაც, მაგრამ გამორიცხულია ოპერატიულ მუშაობაზე რაღაც დანაშაულებრივი ფინანსური პირამიდა იყოს აგებული. პოლიციელთა მხრიდან ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულობები ხდება, მაგრამ მათ ჩვენვე ვავლენთ.

***— და, რამდენი ასეთი თანამშრომელი გყავთ გამოვლენილი?***

— ვერ გეტყვით, რომ ეს ციფრი განსაკუთრებულად დიდია, მაგრამ სჯობდა, საერთოდ არ ყოფილიყო. სხვაგან შეიძლება უარესი მდგომარეობაცაა, მაგრამ რაკიღა ისინი თავის დამნაშავეებს ისე არ ებრძვიან, როგორც ჩვენ, არ ჩანან.

***— გინდათ თქვათ, რომ ოპერატიული მუშაკები, რომელთაც წელიწადზე მეტია, ხელფასი არ აუღიათ, პატიოსნად შრომობენ? მათგან გამიგონია, — ბავშვებს შიათ და რა ვქნათო! ეს ადამიანები თავს ხომ ირჩენენ, თანაც საკმაოდ კარგადაც.***

— ეს რომ უდიდესი პრობლემაა, ჩვენ ამაზე ყველაზე მეტს ვსაუბრობთ. შს მინისტრმა ამას წინათ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, — პოლიცია ლამის არის, თვითდაფინანსებაზე გადავიდესო. განსაკუთრებით ავტოინსოექციას გულისხმობდა. როცა თანამშრომლებს მუშაობის ელემენტარულ პირობებს ვერ უქმნი, ძალიან ძნელია რაიმე მოსთხოვო. ყველა წმინდანი ვერ იქნება... მაგრამ თითქოს შსს-დან წამალს ჰყიდიდნენ, „ბარიგასთან“ იყვნენ შეკრულნი, ცილისწამებაა. ეს რომ „აწყობილი სისტემა“ იყოს, საზოგადოებას ხომ მაშინვე შეეტყობოდა. სიტუაცია რომ კონტროლს ექვემდებარება, ამას ვერ ამჩნევთ? ქვეყანაში, რომელშიც არ არის საზღვარი, საბაჟო, ყველა გზა შემომავალი და გამავალია, არავინაა გამკითხავი, შსს-ს ტექნიკა კი არა, ძაღლი რომ ძაღლია, იმის შენახვის თავიც არა აქვს და მიუხედავად ამისა, ვახერხებთ ნორმალური კრიმინოგენული სიტუაციის შენარჩუნებას.

***— საზოგადოება პოლიციას „გამხედრიონებულ პოლიციას“ უწოდებს იმიტომ, რომ ადრე თუ მცირე მეწარმეებსა და ბიზნესმენებს ისინი აწერდნენ ფულს, დღეს პოლიცია აწერს...***

— ეს არ არის საზოგადოებრივი აზრი და ნუ შექმნით ასეთ აზრს, ეს საზოგადოებისთვისვეა ცუდი. გეკითხებით, ნაკლები ფაქტებია სხვა მაკონტროლებელი ორგანოებიდან ბიზნესმენების შევიწროებისა? რა, გინახავთ, რომ პოლიციელმა იარაღით შეაყენა რომელიმე მცირე ბიზნესის წარმომადგენელი?

***— იმ მომენტში არ სჭირდება იარაღი. მივა და ბიზნესმენს წილს მოსთხოვს, უარს ვინ გაუბედავს? მაშინვე ხომ მიუხურავენ ბიზნესს, თუ საერთოდ არ დაიჭირეს, და აუცილებლად „კანონიერ“ საფუძველზე.***

— სამწუხარო ფაქტია, გეთნხმებით, რომ ბიზნესში ძალიან ბევრი ადამიანი, არასრულყოფილი საგადასახადო კოდექსის გამო, იძულებულია, თავისი საქმიანობა დანაშაულებრივად წარმართოს. როცა ამას პოლიციელი ხედავს, არ გამოვრიცხავ, რომ ცდუნებას ვერ გაუძლოს. ეს ხდება არა იმიტომ, რომ პოლიციელია ცუდი და შსს-ს სისტემაა კორუმპირებული, არამედ საკანონმდებლო ბაზაა მოუწესრიგებელი. სრულიად ახალი და პატიოსანი ადამიანები რომ მოიყვანოთ პოლიციაში, თუ საკანონმდებლო ბაზა მისცემს ამის საშუალებას, ისინიც ეცდუნებიან.

***— უარყოფთ, რომ პოლიციაში თანამდებობაზე მოსახვედრად კონკრეტული ტარიფებია დაწესებული? მაგალითად, რაიონის ქვეგანყოფილების უფროსობა 8-12 ათას დოლამდე ღირს, გააჩნია რაიონს.***

— უი, მართლა? რა იაფად შეგიფასებიათ...

***— სამმართველოს უფროსობა 30-50 ათას დოლარამდე... მე პირადად ვიცნობ ადამიანს, რომელიც ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსობაში 50 ათას დოლარს იხდიდა და ის ამ თანამდებობას მიიღებდა, ფული რომ დროზე ეშოვა.***

— თუ ამის გამკეთებელი ადამიანები არსებობენ, არ ვიცი, როგორი წესით უნდა ამოიშანთონ ისინი ჩვენი საზოგადოებიდან, თუ არსებობენ... თქვენ შეგიძლიათ დაუშვათ, რომ მინისტრმა თანამდებობაზე ადამიანის დანიშვნაში ფული აიღოს?!

***— რაღა დაგიმალოთ და, ხალხი სწორედ ამაზე ლაპარაკობს დაბეჯითებით.***

— ვერასოდეს დავიჯერებ, რომ ამას შეიძლება ჩვენი სამინისტროს ხელმძღვანელი აკეთებდეს.

***— თქვენ გამორიცხავთ, რომ შსს-ში ასეთი გარიგებები ხდება?***

— მე ვერაფერს გამოვრიცხავ, ჩვენ ისეთ რეალობაში ვცხოვრობთ, ყველაფერი შესაძლებელია. მაგრამ თითქოს შსს-ში თანამდებობის მისღებად რაღაც ტარიფებია დადგენილი, გამორიცხულია.

***— მაშინ საიდან მოდის ეს მონაცემები?***

— ვერ გეტვით. სხვათა შორის, ჩვენ ბევრი ფაქტი გვაქვს გამოვლენილი, როცა ვითომ პოლიციის, პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირებზე გადასაცემად თანხებს ძალავდნენ გარკვეულ პირებს. ახლახან დავაკავეთ ქალბატონი, მგონი ჩხეიძეა, რომელიც პოლიციელს ძალავდა ფულს, — თანამდებობაზე დაგანიშნავო. ჩვენ ასეთ საქმეებს თაღლითობის მუხლის კვალიფიკაციას ვაძლევთ. არ გამოვრიცხავ, რომ ისეთი არაკაცებიც გვერიოს, რომლებიც ამგვარ რამეებს აკეთებენ, მაგრამ მსგავსი დანაშაულებრივი სისტემის არსებობა გამორიცხულია.

***— როგორ ხდება თქვენთან პირის თანამდებობაზე დანიშვნა?***

— რაიონის პოლიციის უფროსს თანამდებობაზე სამმართველოს უფროსის წარდგინებით ნიშნავს მინისტრი, თუ რაიონის პოლიციის უფროსის დანიშვნაში ფულს იღებს სამმართველოს უფროსი და ამაში მინისტრია გარეული, მაშინ მე ბაზარზე ჩამოკიდების მეტი აღარაფერი დამრჩენია. გამორიცხულია ასეთი რამ. მაგრამ ვერ გამოვრიცხავ დაბალ საფეხურებზე ასეთი ფაქტები ხდებოდეს.

***— დიდი თანამდებობები შსს-ში არ იყიდება, დაბალზე კი თავს ვერ დებთ, არა?***

— რაც უფრო მაღალია რანგი, მით ნაკლებია ამის ალბათობა.

***— ან უფრო მეტია ფასი...***

— თუ გინდათ, რომ ასე იყოს, თქვენი ნებაა. საქმეგამოლეულების მეტი რა არის. ასე შემიძლია ნებისმიერი რამე დავაბრალო და მოწმეებიც მოვიყვანო, დაწყებული ქონების მართვიდან, უშიშროების სამინისტროთი დამთავრებული, მაგრამ, როგორც ყოველთვის, დღესაც, პოლიციაა მიზანში ამოღებული.

***— ქუთაისში 15-16 წლის მოზარდებში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ 80%-ს ქურდობა სურს, 20%-ს პოლიციელობა.***

— 20%-ს რომ სურს პოლიციელობა, ამის მთავარი მიზეზი სწორედ მასმედიის ცილისმწამებლური კამპანიაა.

***— ამასაც ჩვენ ნუ დაგვაბრალებთ. სოციოლოგების აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ რეგიონში მხოლოდ ქურდები და პოლიციელები ცხოვრობენ ადამიანურად, ანუ აქვთ ფული... ცოტა არაკორექტული შეკითხვაა, მაგრამ ხელფასი რამდენი გაქვთ?***

— 300 ლარზე ცოტა მეტი.

***— რამდენ რამეზე გყოფნით „300 ლარზე ცოტა მეტი“?***

— რომ გითხრათ, კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს-მეთქი, არ იქნება მართალი. ძალიან ცოტაზე მყოფნის.

***— მანქანა თუ გყავთ?***

— 1993 წელს გამოშვებული „მერსედესი“.

***— 300 ლარი თვეში მარტო თქვენი მერსედესის შენახვას არ ეყოფა (თანაც ცოტა მოძველებულიც ყოფილა), არ მითხრათ, იმ „ცოტა მეტით“ ვარჩენ ოჯახსო. მართლა როგორ გყოფნით 300 ლარი?***

— რატომ გგონიათ, რომ მყოფნის?

***— ე.ი. სხვა შემოსავლებიც გაქვთ?***

— მე, ჩემო კარგო, 25 წელია ვმუშაობ. როცა კანონი ამას არ მიკრძალავდა, გარკვეული, დავარქვათ „ბიზნესი“, რაკი ასეა მოდაში, მქონდა.

***— მაინც რა ბიზნესი?***

— კონკრეტული მიმართულება გაინტერესებთ?

***— რა თქმა უნდა.***

— ამის დაკონკრეტების აუცილებლობას ვერ ვხედავ იმიტომ, რომ ამ საქმეზე სხვა ადამიანები მუშაობენ დღეს და არ მინდა, უხერხულობა შევუქმნა. გარწმუნებთ, კანონით მინიჭებული უფლებების ზღვარს არასოდეს გადავცდენილვარ.

***— სიგარეტის ბიზნესთან თქვენს მჭიდრო წილობრივ ურთიერთობებზე ბევრს ლაპარაკობდნენ.***

— ასე ჭორად — მე ორჯერ დამაცოლშვილეს და დიდი ღვინის ბიზნესიც კი მქონია.

***— გინდათ თქვათ, რომ სიგარეტთან და ღვინოსთან შეხება არ გქონიათ?***

— მქონდა, როგორც სამართალდამცავს იმ ადამიანებთან, ვინც სამართალს არღვევდა. საერთოდ, ერთი რამ უნდა გითხრათ — ისეთ წარმოდგენას ქმნით, თითქოს შსს არის კორუფციისა და მექრთამეობის კერა. ეს არ არის შსს-ს დაავადება, ხალხო. ეს საზოგადოების დაავადებაა. არა მარტო უწყებებში, სახელისუფლებო შტოებშიც, ყველგან ერთნაირი მდგომარეობაა. ჩვენ ერთი საზოგადოების ნაწილი ვართ. არ შეიძლება ხუთი თითიდან ერთი იყოს მძიმედ დაავადებული და სხვებზე არ გადავიდეს დაავადება, მით უმეტეს, თუ მას თითქმის საუკუნის ისტორია აქვს.

***— მერე, ვინ უნდა ებრძოლოს ამ დაავადებას, თუ ყველა თითი დასნეულებულია?***

— ყველამ ერთად უნდა დავიწყოთ საქმის კეთება. კარგა ხანია, ამის დრო დადგა. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ცხოვრების ნორმალური პირობები, რათა პატიოსნად იცხოვრონ, ისე, როგორც ნორმალურ ქვეყნებში.

P.S. კორუფცია რომ ქვეყანას ანგრევს, ამას ყველა გეტყვით. თუმცა, როგორ უნდა ვებრძოლოთ ან ვინ უნდა ებრძოლოს, ამაზე კონკრეტული პასუხის გაცემა ყველას უჭირს. აქამდე კორუფციასთან ბრძოლა სამართალდამცავების საქმე იყო. დღეს კი სამართალდამცავები და არა მარტო ისინი, აცხადებენ, რომ კორუფციასთან საბრძოლველად საკმარისი არ არის ვიღაცების დაჭერა, ამისთვის საჭიროა სერიოზული საკანონმდებლო ბაზა, საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და ა.შ. რა თქმა უნდა, როცა ხუთი თითიდან ყველა დაავადებულია, გაჯანსაღების პროცესი ზოგადად უნდა დაიწყოს ყველასთვის, მაგრამ მაინც მთავარი ფუნქცია სამართალდამცავებს ეკისრებათ, ანუ ისინი, ის შედარებით ჯანმრთელი თითი უნდა აღმოჩნდნენ, რომელსაც პირველს შეეტყობა გაჯანსაღება და ამოძრავდება. სხვაგვარად მართლაც შესაძლებელია ხვალ ავადმყოფი ხელი მოსაჭრელიც გახდეს.

***ეკა ჯანაშია***


## თბილისის დამოუკიდებალი უნივერსიტეტი „აჭარა“

იწვევს სასწავლებლად 2000–2001 სასწავლო წლისათვლის აბიტურიენტებს დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხო ენები; 3. ჟურნალისტიკა (ტელეწამყვანი, ტელედიქტორი); 4. ისტორია, სამუზეუმო საქმე, ძეგლთმცოდნეობა; 5. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; 6. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 7. იურიდიული: სამართალმცოდნეობა, საბაჟო საქმე; 8. საგარეო პოლოტიკა და დიპლომატია; 9. საგარეო ეკონომიურ ურთიერთობათა ორგანიზაცია; 10. ფინანსები და კრედიტები; 11. სამრეწველო საქონელმცოდნეობა კომერსანტი და ექსპერტი; 12. სასურსათო საქონელმცოდნე კომერსანტი და ექსპერტი; 13. ღვინის წარმოების ტექნოლოგ-მენეჯერი; 14. ხორცისა და რძის წარმოების ტექნოლოგ-მენეჯერი; 15. პურ-პროდუქტებისა და საკონდიტრო მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი; 16. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება.

● უნივერსიტეტის ყველა სპეციალობაზე ჩარიცხვა მოხდება უგამოცდოდ, სწავლის ხანგრძლივობა - 5 წელი.

● სწავლის პერიოდში სტუდენტები თავისუფლდებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან.

● სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გაივლიან, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთის (გერმანია, თურქეთი) სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში, უნივერსიტეტს აქვს უფასო მოსამზადებელი კურსები.

**თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „აჭარასთან“ არსებული სამედიცინო კოლეჯი აცხადებს 2000–2001 სასწავლო წლისათვის მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:**

1. სამეანო საქმე; 2. ორთოპედიული სტომატოლოგია; 3. მედდის საქმე; 4. ჰუმანიტარული; 5. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ანალიზი და კონტროლი.

კოლეჯის ყველა სპეციალობაზე ჩარიცხვა მოხდება უგამოცდოდ. სწავლის ხანგრძლივობა: 9 კლასდამთავრებულთათვის – 3 წელი, 11 კლასთამთავრებულთათვის – 2 წელი.

წარჩინებული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას, დევნილებსა და მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს აქვთ შეღავათი.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს უფასოდ ემსახურებათ ექიმი.

უნივერსიტეტს ჰყავს უმაღლეს ლიგაში მოთამაშე მინიფეხბურთის გუნდი „აჭარა“ და მხატვრული თვითშემოქმედების დასი.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივნისიდან (10–17 სთ–მდე), ყოველდღე, გარდა კვირისა. სწავლა — 18 სექტემბრიდან

მის: თბილისი, ვარდისუბნის ქ. №8,
133-ე საშუალო სკოლის შენობა, მ. „ღრმაღელესთან“
☎ 61-21-80; 67-87-78; 68-08-62; 899-55-22-88

## თარაზულად:



7 ყველაზე ცნობილი ჩოგბურთელების ცნობილი მწვრთნელი



8 ქალი, რომელიც თხოვდება



10 ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი



11 კანის გაღიზიანების სპეციფიკური შეგრძნება, რაც იწვევს გაღიზიანებული ადგილის ფხანას



12 სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეხამება



17 მუზეუმი, სურათის ადგილსამყოფელი



18 კრისტალური ქანი, რომელიც დედამიწის ქერქში ყველაზე მეტად არის გავრცელებული



19 საღამოს კოსტიუმის ნაირსახეობა



20 სიუჟეტის განსაკუთრებით დახლართული და დაძაბული განვითარება



21 (შაქარი)



25 საქალაქო ტრანსპორტის სახე



26 ფლორენციული ოქროს ან ვერცხლის ფული ძველად



27 სტატიკური მოქმედების მანქანა, რომლის დანიშნულებაა მასალის წნევით დამუშავება



30 (გულ-მკერდი)



33 წვრილი ჯაჭვი



34 საბრძოლო ასპარეზობა



35 ქალაქის სწორი და ფართო ქუჩა



36 ტყუპების დამახასიათებელი თვისება

## შვეულად:



1 კორიდის მონაწილე



2 პრიზის სახელწოდება, რომლისთვისაც იბრძვიან ნაციონალურ ჰოკეის ლიგაში



3 ოჯახში დამზადებული ლუდის სახეობა





4 სხვადასხვა ღირებულების საფოსტო ნიშანი



5 კედლის მოხატვის ტექნიკა



6 ჯეკ ლონდონის მიერ აღწერილი ოქროს საბადოებით მდიდარი რაიონი



9 (მწერი)



13 ბუნებრივი წყლის ნაკადი



14 თევზის სახეობა



15 მისაბაძი ნიმუში



16 (სურ. ვოინიჩი) ყველაზე ცნობილი, 1897წ. დაწერილი რომანი



22 ბრტყელფირფიტიანი გრამოფონის გამომგონებელი



23 (ხმიანობა)



24 ხელოვნების დარგი

28 შტემპელი, რომელზეც ამოტვიფრულია დაწესებულების ოფიციალური სახელწოდება



29 ქალაქი შვეიცარიაში, მრავალი კონფერენციებისა და შეხვედრების ადგილი



31 ორკაციანი ანსამბლი



32 ბალახოვანი მცენარე, რომელსაც განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდნენ წარსულში რომაელები და ბერძნები

КРОСВОРДИ ШЕАДГИНА

კროსვორდი შეადგინა *რამაზ ალანიამ*

**„კვირის პალიტრა“ №34 კროსვორდის პასუხები:** **თარაზულად:** 7. რომაშინი; 8. პოლემიკა; 10. ოსპი; 11. დანელია; 12. ეული; 17. ერბო; 18. დიადემა; 19. ისლი; 20. სხვენი; 21. ტრიუმო; 25. ლაიბ; 26. ოკროშკა; 27. ნოხი; 28. ბინა; 30. პარკუჭი; 33. მაჯა; 34. შტურვალი; 35. აღსარება.

**შვეულად:** 1. ბოქსიორი; 2. ზარი; 3. ანძა; 4. ბოდი; 5. ამწე; 6. სკალპელი; 9. ბეჭედი; 13. სომხებს; 14. პიკნიკი; 15. ამერიკა; 16. ნიუმენი; 22. დანტისტი; 23. „კოდაკი“; 24. ოხუნჯობა; 29. აცრა; 31. ასლი; 32. ჭალი; 33. მორი.

## ბინები

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 500$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

სასწრაფოდ და ძალიან იაფად! აგარაკი, ლილოს ბაზრობის მახლობლად, მდინარე ლოჭინის პირას, 800კვმ მიწის ფართი დიდი ხეხილით და ტალავერით, სახლი რკ. კარით, აივნით და ორი სარდაფით, დასალევი წყალი და ტრანსპორტი უპრობლემოდ. ფასი 3500$. ტ: 30-30-16.

## მილოცვა

ხათუნა ნიშნიანიძეს და კოკა ჟღენტს ვულოცავთ ქალიშვილის შეძენას, ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს და სიხარულს. მამიდაშვილები.

საყვარელ დედას და ძვირფას მეუღლეს თიკო გელბახიანს. გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყველაფერს კარგს შენს ყველა კეთილისმსურველთან ერთად. შენი საყვარელი ქმარ-შვილი.

ჩემს ძვირფას და სანატრელ შვილებს – მანანა ბენდელიანს, ლალი ძიძარიას, გივი გოგობერიშვილს და თამრიკო ბენდელიანს ვულოცავთ შესაბამისად დაბადების დღეებს 2, 5, 15 და 23 სექტემბერს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერ ცხოვრებას ოჯახებში. ყორა და ბეყანი ოჯახებით. თბილისი, გლდანის V მ/რ-ის ბაგა-ბაღი №140

ლელა, ჩემო პირველო და უკანასკნელო სიყვარულო! გილოცავ დაბადების დღეს 30 აგვისტოს, გისურვებ ჯანმრთელობას, სიყვარულს, ბედნიერებას, გამრავლებას, ულევ სიხარულს. უსაზღვრო სიყვარულით გივი.

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR. პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. დაგვირეკეთ ტ: 95-64-18; 96-07-81.

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ერთჯერადი ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ვაკეთებ რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას. სამეულებზე, არაბულ ტახტებსა და სკამებზე ზამბარიანი ლეიბების დარბილება-გადაკვრა-განახლებას. აგრეთვე ვამზადებ ახალ სამეულებს შეკვეთით. ტელ: 95-72-98

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20. ნოდარი

COMPUTER COMPANY PULSAR – კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაცია. დაგეხმარებით კომპიუტერის გაყიდვაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 მაღ „პულსარი"

დაგიმზადებთ დიდი სიმძლავრის ცვლადი ძაბვის სტაბილიზატორებს. ტ: 64-38-23; 897 57-53-62.

გაგიკეთებთ რბილი ავეჯის რესტავრაციას, ვცვლით შალითებს სამეულებზე, ვაწარმოებთ არაბული ტახტების, ყველანაირი სახის სკამისა და სხვა რბილი ავეჯის აღდგენა-განახლებას. ტ: 95-37-61 მევლუდი, ვალერი.

სილამაზის სალონი „პოდიუმი 777" თმის მოდელური შეჭრა კატალოგების მიხედვით 5-7 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5-7 ლარი; შეღებვა („ველლა") – 12 ლარი; ქიმიური დახვევა-გასწორება – 20 ლარი; მელირება – 5-6 ლარი; პერი – 15-26 ლარი; საბანკეტო და საქორწინო ვარცხნილობა – 20 ლარი. თქვენ მოგემსახურებათ სტილისტი ირა გურჯიანი. მის. აღმაშენებლის №113. (პოლიციის უკანა ეზოში). ტ: 95-08-83; 68-28-17 (ბინა); 899 57-46-40. მიღება წინასწარი ჩაწერით.

პროფესიონალი ხელოსნები ვასრულებთ სამღებრო-სარემონტო (კოსმეტიკურ) სამუშაოებს. ვაგებთ პარკეტს, ვაკეთებთ მოხვეწას, სწრაფად, იაფად, ხარისხიანად, გარანტიით. ტ: 60-08-05 ბექანი; 98-46-94 (20 საათის შემდეგ) ვახტანგი.

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ლიც. 2334. ტელ: 96-62-58; 97-47-24

მეჭეჭებისა და სხვა ნორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ლიც. №0960 ტელ: 95-83-54

ვარჩენ ძვლის და კანის ჩირქოვან ინფექციურ დაავადებებს: ოსტეომიელიტი, ბეწვის ჩაზრუნება, დაჩირქებული ნაოპერაციევი, ფრჩხილი, ნაწიბური, გემატომა, მენისკი (ანთებით პროცესში), ძირმაგარა, მასტიტი, წითელი ქარი, ქიმიური ნივთიერებით და შხამიანი მწერებით, კანში შეჭრილი ინფექცია და სხვა. ტ: 68-43-10; ლიც. №01-3-106.

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## განათლება

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე: 1. სამართალმცოდნეობა (იურისტ-ეკონომისტი); 2. ეკონომიკური (ეკონომისტ-იურისტი); 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან III კურსზე. ფასი 200-250 ლარი. მის: თოფურიას ქ. №12, ვაჟა-ფშაველას მე-4 კვარტალი, №128-ე საშ. სკოლა. ტელ: 32-82-60; 32-06-97 (საღამოს)

გერმანიაში კვალიფიკაციაგავლილი ახალგაზრდა მასწავლებელი სპეციალური მეთოდით შეასწავლის გერმანულ ენას. ტ: 39-24-74.

## იყიდება

კეთილმოწყობილი ბენზინგასამართი სადგური წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, 110ტ ტევადობის ჭურჭლით, 5 ჩამოსასხმელი სვეტით, მაღაზიით, კაფე-რესტორანი თავისი კაპიტალური ფაცხებით და სხვა სათავსოებით, კეთილმოწყობილი, პრივატიზებული. ტელ: 98-98-93; 899 51-49-93.

1) ნიჟარების („რაკუშკების") ფარდა (1.20X2.00). ფასი 130 ლარი; 2) ძველებური, ბრინჯაოს ჭაღი მძივებით. ფასი 250 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

ლეო ტაქსილი (წმინდა ბუნაგი, სახალისო ბიბლია და სახარება), 3 წიგნი – 10 ლარი; ათას ერთი ღამე, 3 ტომი (რუსულად) – 6 ლარი; ; პუშკინი (1899 წ.), რუსულად – 15 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

## შევიძენ

შევისყიდით გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

### პაატა გოცაძის გახსენება



ღვთისმშობლის მიძინების დღეს, 28 აგვისტოს, ხუთი წელი შესრულდა, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი. ნაადრევად წახვედი ჩვენგან და სულში დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი, რომელიც გაუსაძლისი იქნება შენი პატარა ოჯახისათვის სიცოცხლის ბოლომდე.

ბავშვები – ნინო და სოსო, მაშინ პატარები იყვნენ, ახსოვთ როგორ გიხაროდა მათთან ყოფნა, როგორ ეფერებოდი, ეალერსებოდი და გულში იკრავდი. ახლა გაიზარდნენ, უფრო ენატრებათ შენი მოფერება. შენი სიყვარულითა და სიხარულით გაჯერებული გამოხედვა.

შენ მუდამ დარჩები შენს ოჯახში, როგორც მოსიყვარულე მამა და მეუღლე.

ილოცოს შენმა სპეტაკმა სულმა შენი ოჯახისათვის, ჩვენ კი ვიდრე ვართ, მუდამ ცოცხლად მოგიხსენიებთ.

*ნანა გაფრინდაშვილი*

### თემურ ჭავჭავაძის გახსენება



ძვირფასო მამა, 28 აგვისტო შენი დაბადების დღეა, რომელსაც მეორედ ვხვდებით უშენოდ. მარიამობის დღეს დაბადებულს, მარიამ ღვთისმშობელი გფარავდა ყოველთვის. ვაი, რომ... იმ ავადსახსენებელ დღეს ვერ დაგიფარა... წახვედი და დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი. ძნელია უშენობა, მამა...

სიყვარულით, დიდი ტკივილითა და ცრემლებით მოგილოცავთ დაბადების დღეს.

იძინე მშვიდად. ღვთისმშობლის მადლი გინათებდეს გზას სამარადისო სასუფეველში.

*შენი საყვარელი ოჯახი*

### ნოდარ ყავლაშვილის ხსოვნას



ჩვენო ძვირფასო ნოდარ, 21 აგვისტოს ერთი წელი შესრულდა, რაც მოულოდნელად, უდროოდ წახვედი ამქვეყნიდან და დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი, უსაზღვრო მწუხარება, გაუსაძლისი მონატრება.

ყოველდღე დაგტირის მოხუცი დედა, ვაჟკაცო კაცო. შენს სახელს არ უწერია დავიწყება. შენი მეუღლე და შვილები, სიძეები და შენი საყვარელი შვილიშვილები ყოველთვის სასოებით მოგიგონებენ. უფალს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, კეთილი სული.

*შენი ოჯახი*

### გრიშა (ბიძინა) მეტრეველის გახსენება



რაც შენ წახვედი და მარტო დამტოვე ოთხ კედელშუა, უკვე მიილია ყოველდღე ცრემლიანი და ძალზე ტკივილიანი ერთი წელი. აქამდე, ჩემო იმედო, ჩემო სიხარულო და ჩემო ძვირფასო, ახლა კი დაუსრულებელო მწუხარებავ და მოურჩენელო ტკივილო. შენი სურათების ალბომი ყოველდღე მაგონებს ჩვენს განვლილ ტკბილ ცხოვრებას, რომელიც ბოლომდე არ შემარჩინე. შენი ადრე წასვლით დაცარიელდა შენი სახლი უშენოდ. ახლა ჩემს სიცოცხლეს აზრი არა აქვს. არც დაღამება მინდა და არც გათენება, შენ რომ ჩემთან არ ხარ და მიწის ქვეშ წევხარ. სულ შენს სურათებს და ტანსაცმელს დავტირი, გეძებ ყველგან და ყოველთვის, ჩემო ბიძი. ასე მგონია, ან აგერ შემოაღებ კარს და ან აგერ. სულ შენი ფეხის ხმა მელანდება და შენი დაძახება. ძალიან მიჭირს უშენობა, ჩემო კარგო. ყველაფერს ეტყობა, შენი ხელი რომ არ ხვდება. ამბობენ, „დრო მკურნალიაო", მაგრამ ჩემთვის ეს ასე არ არის. ყოველიდღე ერთიმეორეზე უარესი ტკივილიანია, ჩემო ბიძი, ვერ ვეგუები უშენობას. სულ გელოდები, მენატრები ძალიან. არასდროს დამავიწყდება შენი უკანასკნელი ამოსუნთქვა და სიცოცხლის მავედრებელი თვალები, რომლებიც უკანასკნელ წუთებში შველას მთხოვდნენ. მე კი სულ ახლოს ვიდექი შენთან და ვერაფრით დაგეხმარე, ვერ გიშველე, ჩემო სიცოცხლე. როგორ გაგიმეტა ღმერთმა სასიკვდილოდ შენისთანა უბოროტო კაცი, როგორ დაგვაშორა. ყოველთვის ერთმანეთის იმედი გვქონდა, მაგრამ მე ვერ გაგიმართლე, ვერ გიხსენი ავადმყოფობისგან.

ჩემო ბიძი, მჯერა, რომ შენი კეთილი სული ადგილს დაიმკვიდრებს ზეციურ სასუფეველში. ნათელში მეყოლები, ჩემო ძვირფასო, ჩემო ყოველ წუთს ტკბილად მოსაგონარო და საფიცარო ბიძი.

*მეუღლე თამარი*

### ზურა ჯოხაძის ხსოვნას



22 აგვისტოს შენი დაბადების დღეა. 24 წელი შეგისრულდებოდა. ღმერთო, რამდენი ასეთი მწარე დღე უნდა გამითენო?

ვაი, უბედურ შენს დედას, 23 წლის ულამაზესი ვაჟკაცი რომ მიწას მიგაბარა. ვეღარ ვძლებ, შვილო, უშენოდ, უსაზღვროდ მენატრები, შენ ხომ ბოროტების მსხვერპლი გახდი. წახვედი და დაგვიტოვე მხოლოდ სევდა და ნაღველი...

„გული ატკინე ყველას და
ტკივილი ჩამრჩა მკერდში
ვერ დაგთმობ, ჩემო ვაჟკაცო,
ვერა, ვერ ჩაგთვლი მკვდრებში".

ჩემო ზურა, გილოცავ დაბადების დღეს და ღმერთს შევთხოვ მოგანიჭოს ზეციური სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი სული. მიყვარხარ და უსაზღვროდ მენატრები.

*შენი უბედური დედა*

### გიგლა (ომარ) ჯვარელიას ხსოვნას



25 აგვისტოს 65 წელი შეგისრულდებოდა... გილოცავთ დაბადების დღეს და ღმერთს შევთხოვთ მოგანიჭოს ზეციური სასუფეველი, ნათელში ამყოფოს შენი სული.

წმინდა სანთლებით მოვალთ შენს საფლავზე, ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის. გვიყვარხარ უსაზღვროდ და გვენატრები, ჩვენო საყვარელო ბაბუ!

*შვილიშვილები ქეთინო და გიგა*

### თენგიზ გოჩელაშვილის ხსოვნას



24 აგვისტოს შვიდი წელი გახდა, რაც უშენოდ ვცხოვრობთ. უთქმელად, ჩუმად წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე დიდი ტკივილი, მონატრება და წუხილი იმის გამო, რომ შენ კიდევ უნდა გეცხოვრა ამქვეყნად. გაგეხარა შენი საყვარელი ოჯახით და შვილიშვილებით თამარით და მარიამით, რომლებიც შენს შემდეგ დაიბადნენ და არ გეღირსა მათი ნახვა. მაგრამ შენ მაინც ჩვენთან ხარ. ამას ვგრძნობთ ყოველთვის, შენი კეთილი სული არ ტოვებს შენს საყვარელ ოჯახს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო საყვარელო, თენგო ბაბუ.

*შენი ოჯახი*






*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

CMYK

# მიშელი _ დემონი და ანგელოზი

***ამერიკულმა ჟურნალმა „PEOPLE“-მა მსოფლიოს 50 ულამაზეს ქალთა შორის კინოვარსკვლავი მიშელ პფაიფერი უკვე მეექვსედ დაასახელა. დაგვერწმუნებით, რომ 40 წელს გადაცილებული ქალისთვის ეს დიდი მიღწევაა.***



***დოსიე:*** *მიშელ პფაიფერი დაიბადა 1957 წლის 29 აპრილს, კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-ანეში, კონდენციონერების გამყიდველისა და დიასახლისის ოჯახში. სწავლობდა სასამართლო საქმის წარმოებას, სტენოგრაფიას, სამსახიობო ხელოვნებას. გადაღება დაიწყო სარეკლამო ფილმებში, დიდი ხანი არ არის, რაც ყველა მათგანი გამოისყიდა და გაანადგურა. იყო ალ პაჩინოს, ჯონ მალკოვიჩის, მაიკლ კიტონის, ქევინ კოსტნერის, ველ კილმერის საყვარელი, 7 წელი იცხოვრა პირველ ქმართან — მსახიობსა და რეჟისორთან პიტერ ჰარტონთან. ამჯერად მისი მეუღლეა პროდიუსერი დევიდ კელი. მათ ჰყავთ ორი შვილი — 5 წლის ჯონ-ჰენრი და 8 წლის ნაშვილები გოგონა კლაუდია-როზი. მიშელი და მისი ქმარი შედიან შოუბიზნესის ყველაზე მდიდართა ათეულში (შემოსავალი — 135 მლნ დოლარი).*

*უყვარს უწმაწური სიტყვები, მამაკაცის პიჯაკები (არმანის ფირმისა) და კატა... ვერ იტანს კოსმეტიკას, მაღაზიებს და თავის თმას.*

*გამორჩეული ფილმები: „ნაიარევი სახე“, „მაფიაზე დაქორწინებული“, „სახიფათო კავშირები“, „ისთვუდელი ჯადოქრები“ და სხვ.*

**— მიშელ, სკოლაში უცხოპლანეტელს გეძახდნენ. არამიწიერი სილამაზისთვის ხომ არა?**

— არა. სახის მანჭვის საოცარი ნიჭის გამო. 13 წლამდე ქათმის ფეხებას მეძახდნენ. კლასში ყველაზე გრძელი და დაგრეხილი ვიყავი. 20 წლამდე შარვალი არ გამიხდია — ფეხებს ვმალავდი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემი მომხიბვლელობა ფოტოგრაფის ხელოვნება უფროა... არასოდეს ვმეგობრობდი ტუტრუცანა, ქარაფშუტა, დაზმანულ გოგონებთან — არადა, სწორედ ისინი ხიბლავდნენ ბიჭებს. მიუხედავად მამაჩემის სასტიკი წინააღმდეგობისა, კინომსახიობობისთვის ვემზადებოდი. მაგრამ გაჭირვებამ სკოლა მიმატოვებინა და სუპერმარკეტში დავიწყე მუშაობა მოლარედ...

**— და იქ გამოიჩინეთ სიმამაცე — სანამ მაღაზიაში შემოჭრილი ბანდიტები იარაღს დაადრობდნენ, მანამ დააჭირეთ თითი საგანგაშო სიგნალს...**

— მე საოცარი ყნოსვა მაქვს, მათ კი შიშის სუნი ასდიოდათ. დამტკიცებულია, რომ ადამიანის შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები აღგზნების მომენტში გამოიმუშავებენ განსაკუთრებულ ფერმენტს, რომელიც სპეციფიკურ სუნს ტოვებს.

**— მშიშარა არ ყოფილხართ, შინ კი 260 ათას დოლარიანი დამცავი სისტემა დააყენეთ, რატომ?**

— 1993 წელს ვიშვილე მულატი გოგონა. ახლა ვიღაცები გამომეცხადდნენ და მიმტკიცებენ — კლაუდია-როზი ჩვენი შვილიაო. მემუქრებიან — მოგტაცებთო. მე და ჩემმა ქმარმა, ყოველი შემთხვევისთვის, სიფრთხილე გამოვიჩინეთ.

**— ამბობენ, ქმართან უსიამოვნება გქონიათ სერიალების სუპერვარსკვლავ კალიტა ფლოკჰარტის გამო — დევიდ კელიმ თქვენთვის განკუთვნილი როლი მას მისცა...**

— ეგ ტყუილია! ჩემი ქმარი ბიზნესმენია და შესანიშნავად იცის, პროექტის წარმატებას ვინ სჭირდება. ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. ყოველ თავისუფალ დროს ბავშვებს ძიძას ვუტოვებთ და სადმე მივემგზავრებით.

**— მაშ, წარსულს ჩაბარდა თქვენი რომანები პარტნიორებთან?**

— მე მიყვარს მსახიობები. მათ საოცარი ხიბლი აქვთ, მაგრამ რაღაც სიმძიმეც ახლავთ, თითქოს სულში დემონი უზითო. დევიდი კი მსახიობი არ არის. ამით ყველაფერია ნათქვამი. ოჯახი ერთადერთია, რომელსაც შემიძლია სიცოცხლე შევწირო.

**— თქვენ ითამაშეთ ჯაშუშურ თრილერში „რუსული სახლი“. რა შთაბეჭდილება დატოვა სანქტ-პეტერბურგში მუშაობამ?**

— სანქტ-პეტერბურგში ჩემმა პარტნიორმა, შონ კონერმაც კი ვერ მიაღწია იმას, რომ რუსი მსახიობებისთვისაც ისეთივე სადილი მიერთმიათ, როგორსაც ჩვენ გვახლებოდით.

**— ო, თქვენ კი იცით ჭამის ყადრი. თქვენი წიგნი, სასარგებლო კერძების შესახებ, „მიშელი — კინოსთვის“, ბესთსელერი გახდა.**

— მართალია, იქ ვერ ნახავთ დახვეწილი კერძების რეცეპტებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრს შეუწყობს ხელს მიმზიდველობის შენარჩუნებაში.

**— ამბობენ, რომ პლასტიკური ოპერაციების კაბინეტის ხშირი სტუმარი ხართ...**

— კინოსა და ტელევიზიაში მომუშავეთაგან ყველა, ვინც 25 წელიწადს გადასცილდა, ამ კაბინეტს გვერდს ვერ აუვლის. მე მხოლოდ ტუჩები შევისწორე, ისიც ტრავმის შემდეგ...

***ექსპრეს-გაზეთა №23***

# დიდი მსახიობი და დიდი ზავში

ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდ მსახიობს **ანატოლი პაპანოვს** იგონებს რუდოლფ ფურმანოვი, ერთ დროს მისი თანამშრომელი და მეგობარი.

— პაპანოვის პუნქტუალურობაზე ლეგენდები დადიოდა... პანიკურად ეშინოდა სპექტაკლზე დაგვიანებისა, მთელი დღე ემზადებოდა საღამოს წარმოდგენებისავის. ამიტომ უარს ამბობდა საკონცერტო გამოსვლებზე, ფილმების გახმოვანებაზე და ა.შ. მხოლოდ თეატრზე ჰქონდა მიპყრობილი გულისყური. სპექტაკლის შემდეგ არაქათგამოცლილი იყო და ავტოგრაფების მთხოვნელები ძალზე აღიზიანებდა. საერთოდ, პოპულარობა აფრთხობდა. საგანგებოდ „ინიღბებოდა“ კიდეც: შავ სათვალესა და თვალებზე ჩამოფხატულ კეპს ატარებდა. გატაცებით აგროვებდა წიგნებს. სადაც არ უნდა ჩავსულიყავით, — აუცილებლად მოითხოვდა წიგნების მაღაზიაში წაყვანას (მაშინ კარგი წიგნი დეფიციტი იყო). განსაკუთრებით, ლექსების კრებულები უყვარდა. პოეზია უყვარდა, როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე. ბრწყინვალედ კითხულობდა პუშკინის „სპილენძის მხედარს“, აღმერთებდა პუშკინს, ტიუტჩევს.

ერთი საოცარი თვისება ჰქონდა, სხვათა შორის, იშვიათი მსახიობის პროფესიისათვის — სხვისი წარმატებით აღფრთოვანება, გახარება შეეძლო. ეს მხოლოდ ძლიერ და კეთილ ადამიანებს ძალუძთ. მახსოვს, როგორ უბრწყინავდა თვალები, როცა ალისა ფრეინდლიხის, ვალერი ზოლოტუხინისა და სხვათა გამოსვლებს უყურებდა სცენაზე. ერთხელ კი, მატარებელში, ბავშვური აღტაცებით უხსნიდა ევგენი ლეონოვს: „ჟენია, შენ დიდი მსახიობი ხარ! ჩემზე უკეთესი! ისე, როგორც შენ თამაშობ, ვერასოდეს შევძლებ, ჟრუანტელი მივლის ხოლმე!“

სამხატვრო საბჭოებზე, სადაც ზოგიერთები შემთხვევას არ გაუშვებდნენ ხელიდან, რომ ვინმე არ გაეკრიტიკებინათ, პაპანოვი ყველას აქებდა. მან სხვებზე უკეთ იცოდა აქტიორული პროფესიის სირთულეები. ერთხელ იხუმრა: ყველაზე საუკეთესო ამქვეყნად ჩვენი პროფესიაა, უკეთესს ვერ მოიგონებს კაცი, გაუთავებლად თამაში და რეპეტიციები რომ არ გვჭირდებოდესო. ეს გამონათქვამი ნამდვილად რეპრიზად იქცა და მას მერე ბევრი მსახიობი იყენებდა კონცერტებზე.

აშშ-ში რომ ჩავიდნენ, ჩვენმა მსახიობებმა თურმე პირი დაალეს და ქებადიდებას ასხამდნენ ყოველივე ამერიკულს. პაპანოვის მეუღლემ ნადეჟდა კარატაევამ პროტესტის ნიშნად წამოიძახა: „აქ ხორციანი ღვეზელი 1 დოლარი ღირს, ჩვენთან კი 10 კაპიკი!“ ანატოლი დმიტრიევიჩს მშვიდი, ალერსიანი ტონით დაუჭერია მხარი ცოლისათვის: „რა თქმა უნდა, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ქუჩაში ნაყიდი ხორციანი ღვეზელის შემდეგ, ჩვენთან მკურნალობა უფასოა, მაშინ ყველაფერი შესანიშნავადაა“.

სატირის თეატრის უხუცეს მსახიობზე, ტუსუზოვზე ხუმრობაც მისი „შემოქმედებაა“. ტუსუზოვი 90 წლის ასაკშიც კი მკაცრ დიეტას იცავდა, ხორცს არ მიირთმევდა. ასეთ ასაკში ამგვარი ზრუნვა ჯანმრთელობაზე პაპანოვს ღიმილს ჰგვრიდა და ერთხელ იხუმრა, — სიკვდილის კი არ მეშინია, არამედ იმისა, რომ საპატიო ყარაულში ტუსუზოვი დადგებაო...

თითქოს იწინასწარმეტყველაო — 65 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ საპატიო ყარაული კი მართლაც არ ყოფილა. პეტროზავოდსკში იღებდნენ ფილმში „53 წლის ცივი ზაფხული“. სატირის



თეატრს წინ გასტროლები ელოდა რიგაში. ამიტომაც მოსკოვში დროზე ადრე ჩავიდა. დასი, მისი მეუღლეც რიგაში იყო. ბინაში მარტო იყო, ბანაობა გადაუწყვეტია, ცივი წყლის ონკანი მოუშვა... სწორედ მაშინ დაემართა ინფარქტი... დაკრძალვის დღეს, 11 აგვისტოს „ალუბლის ბაღი“ უნდა ეთამაშათ. პაპანოვი გაევის როლს ასრულებდა, მირონოვი — ლოპახინისას. სანაცვლოდ, მირონოვის შემოქმედებითი საღამო დანიშნეს, ამიტომ ანდრეი დაკრძალვას ვერ დაესწრო — ტელეფონით მიუსამძიმრა მის მეუღლეს. როცა ყურმილი დადო, წინასწარმეტყველურად უთქვამს: „ვინ არის შემდეგი? იქნებ — მე?“ მართლაც, ეს საღამო, რომელიც ანდრეის, ძალაუნებურად, პაპანოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოუვიდა, მისთვის უკანასკნელი შეიქნა. რამდენიმე დღის შემდეგ მირონოვი სცენაზე გარდაიცვალა, როცა საყვარელ როლს ასრულებდა. ანდრეის დაკრძალვაზეც არ ყოფილა მისი ბევრი კოლეგა — რიგაში გასტროლები გრძელდებოდა...

პაპანოვი უპრეტენზიო კაცი იყო — არ უყვარდა ხმაურიანი თავყრილობები, შეკრებები, ბანკეტები. როცა გასტროლებზე ყოფნისას რესტორანში წასვლას დავაპირებდით, ყოველთვის თავს დაიძვრენდა — ნომერში წიგნის კითხვას ამჯობინებდა.

***კალეიდოსკოპი №32***

# ვუდი — „შერეკილი ამერიკელი“



ვუდროუ ტრეისი ჰარელსონი 1961 წლის 23 ივლისს დაიბადა. როცა 7 წლისა შეიქნა, რადიოთი შეიტყო, რომ მამამისი ჩარლზ ჰარელსონი წიგნებით მოვაჭრე კი არა, ავტორიტეტული განგსტერი — შეკვეთილი მკვლელობების ოსტატი იყო. მამის „გმირობათა“ გამო არაერთხელ გაქცეულა შინიდან, რას აღარ სჩადიოდა და ბოლოს, პოლიციამ მეთვალყურეობა დაუწესა, მერე „ფსიქიკური გაუწონასწორებლობის“ დიაგნოზით სპეცინტერნატში მოათავსეს...

სწავლაში წარმატებებისათვის ეკლესიამ სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდია დაუნიშნა და ვუდიც თეატრალური ხელოვნების კოლეჯში შევიდა. ალკოჰოლისადმი მიდრეკილებამ და მერყევმა ფსიქიკამ მთელი ძალით იჩინა თავი. 1983 წელს პოლიციამ დააპატიმრა, როცა შუაგულ ტრასაზე თავდავიწყებით ცეკვავდა. ციხისკენ მიმავალი ავტობუსიდან გადმოხტა, მაგრამ გაქცევის მაგივრად გაჩერდა და... ახარხარდა. პოლიციელებმა ისევ ავტობუსში შეგდება რომ დაუპირეს, გაცოფებული იქით დაერია მათ.

თეატრალური კარიერა ნარ-ეკლით ჰქონდა მოფენილი. 17-ჯერ მოხსნეს ამა თუ იმ როლიდან. წარმატებას დრამატურგ ნილ საიმონს უნდა უმადლოდეს. ცოლიც შეირთო, თავისი მფარველის ქალიშვილი ნენსი. ქორწინება სულ ათ თვეს გაგრძელდა. პარალელურად რომანები ჰქონდა გლენ კლოუზთან, ბრუკ შილდსთან, ქეროლ ქეინთან... ყველაზე დიდხანს საკუთარი ასისტენტი ლორა ლორი შემორჩა.

მალე კონტრაქტი დაუდეს რვა სეზონის მანძილზე. ტელესერიალმა „Cheers“ პრესტიჟული პრემია „ემიც“ მოუტანა. შემდეგ თეატრს მიუბრუნდა და თავად დადგა რამდენიმე სპექტაკლი. ერთ მშვენიერ დღეს კი პროდიუსერებს აუხირდა და ლოს-ანჯელესს მიაშურა.

ჰოლივუდში კინოკომედიების დედოფალმა გოლდი ჰოუნმა მიაქცია ყურადღება. სუპერვარსკვლავს პირდაღებული შესცქეროდა თურმე და სწორედ მაშინ წარმოუთქვამს „ისტორიული“ ფრაზა: „აი, მესმის მკერდი!“ ეს ბრიყვული შეძახილი გამოიყენეს იმ ფილმში, რომლის სინჯებზეც მაშინ იყო მისული ჰარელსონი. 1989 წელს რეჟისორმა ბრაიან დე პალმამ მიიწვია თავის სასტიკ დრამაში „სამხედრო დანაკარგები“, რომელიც ვიეტნამის ომის პერიოდს აღწერს. აქ ვუდიმ ეპიზოდში ითამაშა, მაგრამ იგი მისთვის ტრამპლინი აღმოჩნდა. 1990 წლიდან მუდმივად იწვევენ საერთაშორისო რეზონანსის მქონე ფილმებში.

1992 წელს სპორტულმა კომედიამ „თეთრებმა ხტომა არ იციან“ ვუდი ჰარელსონი ისეთ სიმაღლეზე აისროლა, რომ ფიქრშიც ვერ წარმოიდგენდა. 5 წლის მანძილზე მისი სახელით იყო აჭრელებული მოდური ჟურნალ-გაზეთები. ედრიან ლაინის ფილმისთვის კი „უხამსი წინადადება“ MTV-ის პრემია „ეკრანზე საუკეთესო კოცნისათვის“ დაიმსახურა. ამ ფილმში პარტნიორობას დემი მური უწევდა.

ამასობაში, ოლივერ სთოუნი თავისი სუპერპროექტისათვის „პირწავარდნილი მკვლელები“ მსახიობს ეძებდა. ჰარელსონი რომ ნახა „უხამს წინადადებაში“, მაშინვე გადაწყვიტა, „შიზოჰუმანოიდ“ მიკის როლი მისთვის ზედგამოჭრილიაო. მართლაც, ამ ფილმის გამო ვუდიმ ჟურნალ-გაზეთებში ისეთი „ხოტბა“ დაიმსახურა, როგორიცაა „საზოგადოების №1 მტერი“. მაყურებელს მისი სახით მართლაც პირწავარდნილი მკვლელი მოევლინა, ხოლო მსახიობმა კი სკანდალური პოპულარობა და უდიდესი ჰონორარები მოიპოვა. დღეს მას კოსტა-რიკაში სახლი და 800 აკრი ჯუნგლი აქვს. ადგილობრივი მკვიდრნი „შერეკილ ამერიკელს“ ეძახიან. ასევე იხსენიებენ აშშ-იც.

სხვადასხვა აზრი არსებობდა მარიხუანას ლეგალიზაციისათვის მისი აქტიური საქმიანობის შესახებ — ევროპაში ამას მოდისათვის გაღებულ ხარკად მიიჩნევდნენ, ამერიკაში — დაუშვებლად. მალე „თემა“ შეიცვალა და „გამწვანდა“. რამდენჯერმე დააპატიმრეს კიდეც ახალგამომცხვარი ეკოლოგიის დამცველი.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტისა და კინოკრიტიკოსის ნენსი ზელტცერის აზრი: „ვუდის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ამერიკის მკვიდრს და მისი წეს-ჩვეულებების მცოდნეს, არანაირი საზოგადოებრივი იმიჯი არ აქვს. ამის გარეშე კი წარმოუდგენელია ძვირად ღირებული მსახიობი. სამწუხაროდ, ჰარელსონის ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, ეს სიტუაცია გამოუსწორებელია. თუ იგი, ასე ვთქვათ, კარგი გახდება, აღარავის აღარ დასჭირდება“. სხვათა შორის, ეს პროგნოზი არ გამართლდა. და ეს მოხდა კიდევ ერთი რევოლუციის წყალობით ამერიკულ კინოში — ეს გახლდათ ფილმი „ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ“ ამერიკამ კიდევ ერთხელ აჩუქა თავის „ოცნებათა ფაბრიკას“ ბიოგრაფია კაცისა, რომლის როლის შესრულება მხოლოდ ვუდის შეეძლო. თავის სამუშაოს, ძალზე სახიფათოს არა მარტო მსახიობისათვის, არამედ ნებისმიერი ამერიკელისათვის, ასეთი კომენტარი გაუკეთა ვუდიმ: „როცა ჩემთან მოვიდნენ, უკვე ველოდი, რომ მორიგი ქუჩის დებილის ან დეგენერატის როლს შემომთავაზებდნენ...“

„ლარი ფლინტის“ შემდეგ, რომელმაც ბერლინის კინოფესტივალზე „ოქროს დათვი“ დაიმსახურა, ვუდი უკვე თავად ირჩევს როლებს. კარიერაში ახალი ეტაპის დადგომამ განაპირობა მისი თანხმობა ჟურნალისტის როლზე, რომელიც ინგლისელებმა შესთავაზეს. ფილმი „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სარაევოში“ კანის 50-ე ფესტივალზე წარადგინეს. მიუხედავად იმისა, რომ მას სენსაცია არ მოუხდენია, ვუდიმ თავისი ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი გამარჯვება მოიპოვა — მან დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ ყველა სახის კინოგმირის განსახიერება შეუძლია.

1998 წელს, როგორც იქნა, იქორწინა ზემოხსენებულ ლორა ლორისთან, რომელთანაც დღესაც ბედნიერად ცხოვრობს.

აი, ასე დახეტიალობს მეცხრე მუზის, კინოს ლაბირინთებში „მარადიული ბიჭი“ ვუდი, რომელსაც ერთთავად გახეხილი ჯინსი, ამერიკისდროშიანი შელანძღული მაისური აცვია და მნახველს შერეკილ შინაურს მოაგონებს.

***კალეიდოსკოპი №32***




# ეკონომიკური საბჭო — მინისტრთა კაბინეტისთვის?



მას შემდეგ, რაც გახშირდა ლაპარაკი მინისტრთა კაბინეტის შექმნის თაობაზე, პრეზიდენტის მიერ შექმნილმა ეკონომიკურმა საბჭომაც გარკვეული დატვირთვა შეიძინა.

რეკომენდაციები, რომლებიც 1 ნოემბრამდე უნდა წარუდგინოს საბჭომ შევარდნაძეს, შეიძლება პრეზიდენტის ახალი ეკონომიკური პროგრამის საფუძველი გახდეს. ეკონომიკურ საბჭოს კი პრეზიდენტმა, ცოტა ხნის წინ, მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისთვის, მისგან შერისხული ლევან გაჩეჩილაძე ჩაუყენა სათავეში. არის თუ არა ყოველივე ეს ლოგიკური? ალბათ არის, თუკი მინისტრთა კაბინეტის იდეა უკვე პრეზიდენტსაც მოსდის თვალში.

რა როლი შეუძლია ითამაშოს ეკონომიკურმა საბჭომ ამ საკითხში?

საბჭოს წევრები მთავრობის გუნდური პასუხისმგებლობის დაყენებას და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებას მოითხოვენ. თუმცა დავით გამყრელიძეს ეეჭვება, რომ არსებულ ვითარებაში მათ რაიმე გუნდური პასუხისმგებლობის დაკისრება შეძლონ მთავრობაზე და მიაჩნია, რომ ამ საკითხის განხორციელებას მაინც მინისტრთა კაბინეტი და კაბინეტური სისტემა სჭირდება.

— ეს არის სწორედ ის პრინციპი, როდესაც მთავრობა ერთიანად იღებს პასუხისმგებლობას და ერთიანად გადადგება პარლამენტის მხრიდან უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში — ამბობს დავით გამყრელიძე.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მხარს ბატონი ნიკო ლეკიშვილიც უჭერს, რომელიც ეკონომიკური საბჭოს სახით საკმაოდ გავლენიან და ძლიერ დასაყრდენს იძენს, რადგან მისი თავმჯდომარე და საბჭოს წევრთა გავლენიანი ნაწილი ლეკიშვილის გუნდში მოიაზრებიან. თავისთავად ცხადია, თუ ახალშექმნილი საბჭო ეკონომიკის მთავარ განმსაზღვრელ სუბიექტად იქცევა, ლეკიშვილის გუნდი პარლამენტის ნაცვლად თავის გავლენას აღმასრულებელ ხელისუფლებაში გააძლიერებს. საამისოდ ბრძოლა ლეკიშვილის გუნდმა კარგა ხანია დაიწყო.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ, პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ, ბატონი ნიკო უმრავლესობის ლიდერის თანამდებობას დაუბრუნდა. როგორც პრეზიდენტი ამბობს, — ნიკო ლეკიშვილი საჭირო კაცია ამ პოსტზე. თუ ამ მოვლენას მინისტრთა კაბინეტის სექმნის იდეის ჭრილში განვიხილავთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი ცვლილებებისთვის საჭირო ხმის ორი მესამედისთვის აუცილებელია უმრავლესობის ერთსულოვნება. ბატონი ნიკო კი, თავისი გაწონასწორებული პოლიტიკით, ამ მხრივ ერთობ სასურველი კანდიდატურაა.

ეკონომიკური საბჭო საკმაოდ გავლენიანი სუბიექტი ხდება პრეზიდენტის მხარდაჭერისა და ნიკო ლეკიშვილის გამო. ასე რომ, ერთ-ერთი სერიოზული ბერკეტი ყალიბდება მინისტრთა კაბინეტის იდეის განსახორციელებლად.

ეკონომიკურ საბჭოსთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ მის თავმჯდომარეს, ბატონ **ლევან გაჩეჩილაძეს**.

**— ბატონო ლევან, რა მიზანს ისახავს ახალშექმნილი ეკონომიკური საბჭო?**

— რამდენიმე ძირითადი მიმართულებაა. პირველ რიგში, ეს არის ჩვენი ხედვა, თუ როგორ უნდა გამოვიდეს ქვეყანა არსებული ეკონომიკური კრიზისიდან, როგორც ბიუჯეტთან, ისევე საკადრო პოლიტიკასთან მიმართებაში. ამასთან, საჭიროა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების რესტრუქტურიზაცია ეკონომიკური საკითხების კუთხით და, შინაადმინისტრირების გაძლიერებასთან ერთად, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საკანონმდებლო უზრუნველყოფა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ამ საბჭოს კიდევ ერთი მთავარი დატვირთვა: პრაქტიკულად, იგი უნდა გახდეს ხიდი პრეზიდენტსა და სამეწარმეო გარემოს შორის. ერთხელ და სამუდამოდ უნდა განისაზღვროს, რომ მეწარმე არის მთავარი ძალა, რომელიც ქმნის დოვლათს ქვეყანაში. ეს პირდაპირაა დაკავშირებული ბიუჯეტთან. ამიტომ პრიორიტეტი უნდა მიეცეს მეწარმეს და არა ვიღაც ბიუროკრატს, პოლიტიკოსს და ა.შ.

**— ეკონომიკური საბჭო ბალცეროვიჩის ალტერნატივას ხომ არ ნიშნავს?**

— არანაირ ალტერნატივაზე არ არის ლაპარაკი. ჩვენ გვქონდა შეხვედრა ბალცეროვიჩთან. მან შეიძლება ჩვენს პროგრამას რამე დაამატოს, თორემ მოკლებით ნამდვილად ვერაფერს მოაკლებს. იგი ახალს არაფერს იტყვის. ჩვენი და ბალცეროვიჩის მუშაობა სერიოზული კოორდინაციის ქვეშ იქნება მოქცეული.

**— კაბინეტური სისტემა აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ ეკონომიკური პროგრამის რეალიზება მოხდეს?**

— არასოდეს იმის დეკლარირება არ გამიკეთებია, რომ მომხრე ვარ კაბინეტური სისტემისა. ეს იურისტების გადასაწყვეტი საკითხია. მე, უბრალოდ, დეკლარირებას ვუკეთებ იმას, რომ ბიუჯეტის შექმნასთან და შესრულებასთან მიმართებაში, კონკრეტულად უნდა იყოს პასუხისმგებლობის საკითხი ხაზგასმული, ანუ პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი გუნდი, ვინც ადგენს, ასრულებს და ხარჯავს ბიუჯეტს. პრეზიდენტს უნდა ჩამოცილდეს ეს პასუხისმგებლობა. ხოლო როგორ გაიმიჯნება პასუხისმგებლობა კანონმდებლობის მიხედვით, ეს უკვე სპეციალისტების საქმეა და სერიოზული ანალიზის შედეგი უნდა გახდეს.

როგორც ჩანს, ეკონომიკური საბჭოს ხელმძღვანელობის კომენტარებში მთავარი ადგილი მთავრობის გუნდური პასუხისმგებლობის საკითხს უჭირავს, რომლის განხორციელებაც მინისტრთა კაბინეტის პირობებშია შესაძლებელი.

***მამუკა გიორგაძე***

# მიცუბიში ბოდიშს იხდის

იაპონიის ტრანსპორტის მინისტრმა იულიკაზუ კომიომამ სენსაციური განცხადება გააკეთა — დაწყებული 1977 წლიდან, მიცუბიშიმ დამალა დაახლოებით 64 ათასი საჩივარი, რომელიც მყიდველებისგან მიიღო. მინისტრი არ გამორიცხავს, რომ სკანდალის გამოძიება შესაძლოა პროკურატურამ დაიწყოს.

ეს სკანდალი კომპანიის ისტორიაში პირველი არ არის, მაგრამ ამის მსგავსი არასოდეს ყოფილა. იაპონური კანონების მიხედვით, მყიდველთა ყველა საჩივარი ავტომწარმოებლებმა ტრანსპორტის სამინისტროს უნდა აცნობონ. მაგრამ „მიცუბიშის“ ხელმძღვანელობას მყიდველთა პრეტენზიების აფიშირება არ უნდოდა, რადგან ეშინოდა იმ ზარალისა, რომელიც მანქანების რემონტთანაა დაკავშირებული.

კომპანიის მუშაკები საჩივრებიდან მხოლოდ მეტისმეტად მომთხოვნ მყიდველს აკმაყოფილებდნენ — მანქანას ურემონტებდნენ. მენეჯერ ტაცუროს თქმით, მან იცოდა საჩივრების არსებობის შესახებ, მაგრამ არ უეჭვია, რომ კომპანიის მოქმედება უკანონო იყო. ეს „არცოდნა“ „მიცუბიშის“ დიდ ზარალს მიაყენებს.

უკანასკნელი 3 კვირის მანძილზე MITSUBISHI MOTORS CORPORATION (MMC)-ის აქციები თითქმის 20%-ით დაეცა. ამას დაემატება სკანდალის შედეგად ავტომობილების გაყიდვის მოცულობის შემცირება (რაც ბუნებრივად მოჰყვება სკანდალს) და კომპანიაზე ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დადებული ჯარიმა. და მაინც, მთავარ ხარჯს შეადგენს თანხა (კომპანიის შეფასებით 69 მლნ დოლარი), რომელიც 900 ათასი დეფექტური მანქანის უკან გამოწვევასა და რემონტს დასჭირდება.

ახლა კომპანიის ოფიციალურ საიტზე განლაგებულია ინფორმაცია იმ მანქანების შესახებ, რომლებიც უფასოდ გარემონტდება (MINICAB, JENER, GALANT, აგრეთვე, სატვირთო მანქანები FUSO და CANTER).

***კომერსანტი №156***

# „ბორჯომი“ დასავლეთს იპყრობს

რუსეთში „სმის კულტურა“ საგრძნობლად შეიცვალა როგორც თვისებრივად, ისე რაოდენობრივადაც. კომერციულმა მინი და სუპერმარკეტებმა შეცვალა ბურახიანი კასრები და ავტომატით ჩამოსხმული გაზირებული წყალი. ასორტიმენტი გაიზარდა; გაჩნდა ახალი მარკის ღვინოები და სხვა ალკოჰოლური თუ გამაგრილებელი სასმელები; დახლები სავსეა რუსული და უცხოური წვენებიანი პაკეტებით. მართალი გითხრათ, ორიენტირება ამხელა ასორტიმენტში ძალიან ძნელია. რასაკვირველია, რეკლამაც დიდ როლს თამაშობს. გამოკითხვის შედეგად, წვენებსა და ლუდებში „ბალტიკა“ და „ვიმ-ბილ-დანი“ ლიდერობს. ასეთ სიტუაციაში ბაზარზე დამკვიდრება ძალზე ძნელია. საჭიროა მუშაობის დასავლური სტილი, დინამიკური განვითარება, სისტემატურად უნდა ვლინდებოდეს მარკეტინგული აქტივობა. იმიჯისთვის ბრძოლაა საჭირო.

ამ ბოლო დროს „ბორჯომი“ რუსეთს და უცხოეთს იპყრობს. საქართველოში „ბორჯომის“ წყალი სტრატეგიულ რესურსად არის გამოცხადებული: მის ჩამოსხმას აწარმოებს 1997 წელს საქართველოს ხელისუფლების ტენდერში გამარჯვებული კომპანია MINERAL WATER (G&MW), რომლის აქციონერებია მსოფლიო ბანკი, ЕБРР და ING-BARING.

სწორედ ეს კომპანია იბრძვის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, რომელმაც 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი საქართველოში. წელს „ბორჯომის“ ჩამოსხმა ხდება ახალ პლასტიკურ ბოთლებში (0,5, 1 და 1,5 ლ.). ტრადიციული ბორჯომის გარდა კი, მოდურ სასმელად იქცა „ნაკლებმინერალური“ ანუ „წყაროს წყალი“. „ბორჯომის“ ამჟამინდელი წარმოების მოცულობა საბჭოთა პერიოდთან შედარებით ერთ მეათედს წარმოადგენს. მაშინ „ბორჯომი“ საზოგადო სახელად მიაჩნდათ და საბჭოთა კავშირის მოქალაქე წელიწადში სამ ბოთლს სვამდა. დღეს მარკეტინგის და გაყიდვის დასავლური სქემა გამოიყენება (მასირებული რეკლამა, მენეჯერები გულდასმით აკონტროლებენ, რომ მაღაზიებში იყოს „ბორჯომის“ სარეკლამო პლაკატები და ა.შ.), G&MW-ს იმედი აქვს, რომ რუსეთსა და დსთ-ის ქვეყნებში თავის ბაზრის წილს დაიბრუნებს და უცხოეთის რუსულენოვან დიასპორასთანაც შეძლებს მის ექსპორტს.

***სეგოდნია №184***



# კითხვა-პასუხი

***გარდამეცვალა მეუღლე. როგორც მის კმაყოფაზე მყოფ მარტოხელას, მინდა გადავიდე მის პენსიაზე. შედგენილი და ჩაბარებულია ყველა საბუთი, მხოლოდ იურისტის მიერ განხილვა და ხელმოწერა აკლია, რომელიც გასამრჯელოს ითხოვს, რაც არ გამაჩნია. როგორ მოვიქცე?***

***მკითხველი***

თუ თქვენ ნოტარიუსს მიმართეთ, იქ რა თქმა უნდა, ყველა პროცედურა ფასიანია. მეუღლის პანსიის დასანიშნად კი არ არის საჭირო იურისტის დასკვნა. თქვენ შეგიძლიათ უშუალოდ მიმართოთ თქვენივე რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას, სადაც მომსახურება უფასოა და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგენიშნებათ მეუღლის პენსია, თუ თქვენ შრომისუუნარო ხართ.

***ასმათ ძებისაშვილი, სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი***

***ჩემს პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლში მინდა გავხსნა სავაჭრო ობიექტი. მაინტერესებს, რა არის ამისთვის საჭირო?***

***ბორის ნამაზოვი, თბილისი***

პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლში სავაჭრო ობიექტის გასახსნელად საჭიროა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროდან სახლის გეგმის აღება, მიწის კადასტრის სამმართველოდან (მ. „მარჯანიშვილთან), საკადასტრო რუკის წარდგენა. შემდეგ კი არქიტექტურის დეპარტამენტში აიღებთ დაგეგმარებით დავალებას, რის მიხედვითაც შედგება პროექტი და შეთანხმდება არქიტექტურის დეპარტამენტშივე. საბოლოოდ, მშენებლობის ნებართვისთვის მიმართეთ არქიტექტურულ-სამშენებლო უწყებას ვეკუას ქუჩაზე.

***არქიტექტურის დეპარტამენტის კანცელარია***

***მაინტერესებს, რატომ იკრძალება საქართველოში ზუთხის შემოტანა და, თუ იკრძალება, რატომ იყიდება თავისუფლად?***

***მკითხველი***

ზუთხის შემოტანა საქართველოში არ იკრძალება. მიუხედავად იმისა, რომ თევზის ეს სახეობა გადაშენების პირას მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობებთან გათანაბრებულად ითვლება, მისი შემოტანა საერთაშორისი ვაჭრობის დონეზე სიტესის კონვენციით მაინც რეგულირდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზუთხის შემოტანა საქართველოში, ძირითადად, ხორციელდება რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან და მისი შემოტანა არაკანონიერია იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური ნებართვა არ აქვს თვითონ იმ ქვეყნისა, საიდანაც ეს პროდუქტი შემოდის.

***გიორგი ბითაძე, ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე***

***პრივატიზებული ბინა გავაფორმე შვილზე, მაგრამ იგი ცხოვრობს უცხოეთში. მაინტერესებს, ჩემი გარდაცვალების შემდეგ ხომ არ დაიკარგება ბინა?***

***ი. ქარცივაძე***

რაკი ბინა პრივატიზებულია და თანაც შვილზეა გაფორმებული, შვილის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ბინა მას დარჩება, რადგან მესაკუთრის უფლება შეუვალია.

***ადვოკატთა კოლეგია***

***კოოპერატიულ სახლში, ძირითადად, მობინადრეთა გარდა, ცხოვრობენ მდგმურებიც. ვალდებულნი არიან თუ არა მდგმურები, გადაიხადონ კომუნალური გადასახადი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით?***

***თბილისი, დიღმის მასივი***

კოოპერატიული სახლები აღარ არსებობს. პრივატიზაციის გამო იქმნება კერძო მესაკუთრეობა და ამხანაგობები. ამ შემთხვევაში მდგმურების მიერ კომუნალური გადასახადის გადახდა დამოკიდებულია დაქირავებულსა და გამქირავებელს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებზე.

***ნოტარიუსი***

***გთხოვთ დამეხმაროთ და მირჩიოთ, როგორ დავადგინოთ პიროვნების მისამართი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში?***

***ტიგინაშვილი, საგარეჯო***

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში პიროვნების მისამართის დასადგენად უნდა განცხადებით მიმართოთ საქართველოში არსებული პოლიციის საპასპორტო განყოფილებას.

***შინაგან საქმეთა სამინისტრო***

***ვარ 80 წლის რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი. მაქვს პედაგოგიური მუშაობის 61 წლის სტაჟი. სამამულო ომის დროს სკოლაში მუშაობის პერიოდში მომანიჭეს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. გთხოვთ მიპასუხოთ, რა რაოდენობის პენსია მეკუთვნის?***

***ზ. შენგელია***

ვინაიდან პენსიები ჯერჯერობით დიფერენცირებული არ არის და მხოლოდ ერთი სახის პენსია გაიცემა, თქვენი დამსახურების მიუხედავად, თქვენი შემოსავალი მაინც 14 ლარით განისაზღვრება, მედლის ფლობის შემთხვევაში მიიღებდით პენსიას 35 ლარის ოდენობით.

***ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 26 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 1,9600 |
| **გერმანული მარკა** | 0,9000 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 2.8969 |
| **ევრო** | 1,7603 |
| **რუსული რუბლი** | 0,0708 |
| **თურქული ლირა (10.000)** | 0,0302 |


**ფირმების რეგისტრაცია**
**თარგმნა და ბეჭდვა**
**სწრაფად, იაფად**
თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, VI სართ., ოთ. 639
☎ 99-02-80; 899-53-91-91



**ლომთათიძე მკურნალობს მცენარეებით**
☞ ბოტკინით დაავადებულებს; ქოლეცისტიტს; ტროპიკულ წყლულს;
☞ პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
☞ ფრჩხილების სოკოს; ყელის კატარს; თამბაქოს გადასაჩვევი;
☞ ფრჩხილების ჩაზრუნებას;
☞ წითელ ქარს; პროსტატიტს;
☞ თმის ცვენას, სებორეას; ბუასილს;
☞ თირკმელების დაავადებებს;
**ეფექტური მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია**
ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები. ფასი 40 ლარი.
მის: აღმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი“, იკითხეთ ლომთათიძის აფთიაქი. ტ: 77-68-50 (ბინა); 899-51-76-08

# იგი ყველგან იგვიანებს

„კურსკის" ტრაგედიის დღეებში მისი ეკიპაჟის ბედზე წუხილთან ერთად, სულ უფრო იზრდებოდა შეშფოთებაც, ხომ არ აფეთქდება ბირთვული რეაქტორი ან ბირთვული საბრძოლო მარაგი? ტელევიზიის დიქტორების და ფლოტის ჩინოვნიკების დამამშვიდებელი სიტყვები არაფერს ნიშნავდა, რადგან კარგად გვახსოვს მათი ტყუილები ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების შემდეგ. ამ კრიტიკულ დღეებში ყველა ელოდა პრეზიდენტის განცხადებას, მაგრამ უშედეგოდ.

მთავრობის მეთაური არა მარტო პოლიტიკოსი, არამედ გარკვეულწილად ფსიქოთერაპევტიც უნდა იყოს.

როგორც ჩანს, პუტინს მასზე დაკისრებული ეს მოვალეობა ჯერ შეგნებული არა აქვს. სამგლოვიარო ცერემონიაზე მისი ყოფნაც კი უკვე თვალთმაქცობად, ყურით მოთრეულ აქციად აღიქმება.




პირველი სამი დღის მანძილზე პუტინის სიჩუმე მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ მან თავიდანვე იცოდა — ნავი ეკიპაჟთან ერთად დაღუპული იყო. ჩვენი მონაცემებით, ადმირალმა კუროედოვმა კატასტროფის დღესვე შეატყობინა პუტინს „კურსკისა" და მისი ეკიპაჟის დაღუპვა. 2-3 დღის განმავლობაში პანიკა მხოლოდ ბირთვული რეაქტორის შესაძლო აფეთქებასთან იყო დაკავშირებული.

ხელისუფლების ინსტინქტის არარსებობამ პუტინს ცუდი საქმე დამართა. მან მომენტი გაუშვა, მისი რეიტინგი 30%-ით დაეცა. რაც შეეხება მურმანსკის ოლქს, მისი მცხოვრებთა უმეტესობა პუტინის იქ ჩასვლის წინააღმდეგი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნორვეგიელებმა რამდენიმე საათში მოახერხეს „კურსკში" შეღწევა. რამდენი დრო დაიკარგა!

ჩვენი ისტორია მძიმე წუთებში ლიდერის მოქმედების სხვა მაგალითებს იცნობს. ჰიტლერის მიერ მოტყუებულმა სტალინმაც კი იპოვა თავის თავში იმის ძალა, რომ ხალხისთვის სიმართლე ეთქვა და გერმანელებით გარსშემორტყმულ მოსკოვში დარჩენილიყო. ბრეჟნევი მართალია, თავის თანაშემწეებს გულმოდგინედ უსმენდა, მაგრამ გადაწყვეტილებებს ინსტინქტურად ღებულობდა, როგორც წესი — თავის ხელისუფლების სასარგებლოდ. ამიტომაც გაძლო კრემლში 18 წელი.

ბაბუა ელცინი, თავისი ბევრი ნაკლის მიუხედავად, 1991 წლის აგვისტოში ტანკზე აძვრა, 93-ში კი ზავიდოვოდან კრემლში ჩამოფრინდა. ხელისუფლების ინსტინქტმა სწორი არჩევანი უკარნახა — ლიდერი თავის ხალხთან უნდა ყოფილიყო. ყველას ახსოვს მისი მისვლა სტუდია ოსტანკინოში, როცა ვ. ლისტევი მოკლეს.

ჩვენი პრეზიდენტი ეროვნული ტრაგედიის ჟამს სოჭის პლაჟზე იმყოფებოდა, მან კიდევ ერთხელ შეგვახსენა თა-ვის დიდ ნაკლზე — იგი ყველგან იგვიანებს.

ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ვიგრძენით, რომ სრულიად დაუცველები ვართ, როგორც შინაური, ასევე გარედან მოსული საფრთხის წინაშე. ვის ხელშია ზებირთვული დერჟავა? დაუცველობის აპოთეოზად იქცა ხელთუქმნელი ხატი სამხედრო-საზღვაო ფლოტის პრეს-მდივნის ხელში — როგორც უკანასკნელი იმედი, იგი ხატით წარდგა მთელი ქვეყნის წინაშე. ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ ჩვენს სახელმწიფოს არ შეეძლო მეზღვაურების გადარჩენა და მხოლოდ ღმერთის იმედზე იყო.

***ა. უგლანოვი***
***არგუმენტი ი ფაკტი №3***

# ბენ ლადენმა ისრაელსაც მიაღწია

ისრაელში დააკავეს „ნომერ პირველი ტერორისტის" ოსამ ბენ ლადენის თანამოაზრეები. ისრაელის უშიშროების პოლიციის, „შინ ბეთის" ცნობით, გამოაშკარავებულია „ჯიჰადის მეომართა" მთელი ჯგუფი. ადგილობრივი სპეცსამსახურები, პრაქტიკულად, სრული სამხედრო მზადების რეჟიმზე გადაიყვანეს. დაკავებული 23 ექსტრემისტიდან ზოგი „ჰამარის" დაჯგუფების წევრია, ზოგი „ისლამური ჯიჰადისა". ისრაელელები ამტკიცებენ, რომ მზადდებოდა ტერორისტული აქტები რეგიონში სამშვიდობო პროცესისთვის ხელის შესაშლელად. ამ ტერორისტული ბირთვის ხელმძღვანელი აღმოჩნდა 27 წლის (ღაზის სექტორიდან) ნაბილ ოკალი. დაპატიმრებულთა სახლებში ისრაელელებმა რამდენიმე კგ ტროტილი, პლასტიკური ბომბები, ყუმბარები, დეტონატორები და ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს. ოკალს და მის თანამზრახველებს, გარდა ტერაქტებისა, ისრაელელი სამხედრო ჩინოსნების გატაცება ჰქონდათ დაგეგმილი პალესტინელ პატიმრებზე გასაცვლელად. ბენ ლადენი ბოლო დროს მხოლოდ მშობლიური ახლო აღმოსავლეთით არის დაინტერესებული: ამას წინათ იორდანიაში გაასამართლეს მისი 28 მომხრე; ახლა ლიბანში საუდელი მულტიმილიონერის ახლობლებს ასამართლებენ; ქაშმირსა და ჩეჩნეთში დიდი ხანია იბრძვიან ბენ ლადენის „ბარტყები".

როგორც ამერიკის სპეცსამსახურები აღნიშნავენ, ბენ ლადენი ეხმარება ცნობილ ექსტრემისტულ ორგანიზაციებს: „ისლამურ ჯგუფებსა" და „ჯიჰადს" — ეგვიპტეში; „შეიარაღებულ ისლამურ ჯგუფს" — ალჟირში; „ჰარკატიც მუჯაჰედინს" — პაკისტანში; „ისლამურ მოძრაობას" — უზბეკეთში და, საუდის არაბეთის ოპოზიციურ დაჯგუფებებს. ახლა კი ისრაელამდეც მიაღწია.

***იზვესტია №157***

# მთელი უნგრეთი ზეიმობდა



მთელი უნგრეთი ქუჩაში იყო გამოფენილი. ქვეყანა უნგრეთის სახელმწიფოს არსებობის 1000 წლისთავს აღნიშნავდა. ათასი წლის წინათ პაპ სილვესტრე მეორის ლოცვაკურთხევით ტახტზე ავიდა პირველი უნგრელი მეფე და თანამედროვე უნგრეთის წმინდა მფარველი იშტვან პირველი.

წმინდა იშტვანი უნგრეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მმართველი იყო. ამის შესახებ უნგრელებს ერთხელ კიდევ შეახსენა თავის საზეიმო მიმართვაში რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ. მან ხაზგასმით აღნიშნა მეფის როლი უნგრეთში ქრისტიანობის გავრცელებაში.

უნგრელებმა ქრისტიანობაზე მოქცევა ჯერ კიდევ იშტვანის მამის — თავად გეზეს მმართველობის დროს დაიწყეს, მაგრამ ქვეყანა მთლიანად მხოლოდ მეფე იშტვანის დროს გაქრისტიანდა — კათოლიკურმა რომმა მეფე წმინდანად 1686 წელს შერაცხა, მაგრამ აღმოსავლელმა ქრისტიანებმა არ ცნეს. სახელმწიფოებრიობის 1000 წლისთავის ზეიმის დღეებში აღმოსავლურმა ორთოდოქსულმა ეკლესიამ, როგორც იქნა, მეფე იშტვანი წმინდანად აღიარა. ქვეყნის პრეზიდენტმა ფერენც მადლმა აღნიშნა, რომ ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უნგრეთის საზოგადოების კონსოლიდაციისა და ურთიერთგაგების განმტკიცებაში.

***ნოვიე იზვესტია №151***

# მოკლედ

**მოსკოვისა** და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი-მ აკურთხა მაცხოვრის ტაძარი. მეორე დღეს კი ტაძარში წმინდანად შერაცხეს მეფე ნიკოლოზ და მისი ოჯახის წევრები.

**ლიბია** თანახმაა, გადაიხადოს მრავალმილიონიანი გამოსასყიდი იმ 12 უცხოელი მძევლის გასათავისუფლებლად, რომლებიც რამდენიმე თვეა, ფილიპინებზე დატყვევებული ჰყავს მუსლიმანურ დაჯგუფება „აბუ ხაიაფს". ევროპის ქვეყნებმა უარი თქვეს ფილიპინების მთავრობისათვის ფულის გადაცემაზე მძევლად აყვანილი თავიანთი მოქალაქეების გასათავისუფლებლად.

92 წლის ასაკში გარდაიცვალა პლანეტის ერთ-ერთი უცნობილესი ადამიანი, „ალმასისა" და „ოქროს" სამხრეთაფრიკელი მაგნატი **ჰარი ფრედერიკ ოპენჰაიმერი**, რომელიც საუკუნის მეოთხედის მანძილზე ხელმძღვანელობდა მსოფლიოს უდიდეს კომპანიებს.

**სპარსეთის ყურეში**, ბაჰრეინის მახლობლად კატასტროფა განიცადა აერობუსმა „A-320"-მა. ბორტზე მყოფი 140 მგზავრი და ეკიპაჟის ყველა წევრი დაიღუპა. აერობუსი ბაჰრეინის დედაქალაქ მანამიდან კაიროში მიფრინავდა.

# ჯერჯერობით, გორი უსწრებს ბუშს



როგორც ანალიტიკოსების უმრავლესობა ვარაუდობდა, აშშ-ის პრეზიდენტობის წამყვანი კანდიდატების შანსები პრაქტიკულად გათანაბრდა. ტეხასის გუბერნატორი ჯორჯ ბუში მთელ ამ წინასაარჩევნო კამპანიაში ლიდერობდა და აგვისტოს პირველ რიცხვებში მისი რეიტინგი გორის რეიტინგს 15%-თაც კი აჭარბებდა. მაგრამ კარგად გააზრებული ტაქტიკის წყალობით, გორი თანდათან დაეწია და ოდნავ გაუსწრო კიდევაც თავის კონკურენტს. გორის წარმატებას მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად მან დაასახელა სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი, რომელსაც ქვეყანაში უდიდეს პატივს სცემენ და პარტიის ყრილობაზე შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა: იგი მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებს შეეხო (კლინტონი-გორის ჯგუფის წარმატება კი ამ სარბიელზე ნამდვილად თვალსაჩინოა) და მსმენელებს აღუთქვა, არსებული ადმინისტრაციის ხაზს გავაგრძელებო. მიუხედავად 3-4%-იანი განსხვავებისა გორის სასარგებლოდ, პრაქტიკულად, კანდიდატების შანსები თანაბარია. დემოკრატიული პარტიის 80% გორს უჭერს მხარს. რესპუბლიკელების ამდენივე პროცენტი კი ბუშისთვის აპირებს ხმის მიცემას. ქალებს შორის გორი 14%-ით ლიდერობს, თუმცა, მამაკაცთა შორის 9%-ით ჩამორჩება. გორს ხმას აძლევს შავკანიანების 3/4, ხოლო ლათინურამერიკელების — 9%, სამაგიეროდ, თეთრკანიანთა შორის 6%-ით ჩამორჩება კონკურენტს.

მაგრამ ამერიკული საარჩევნო კამპანია ისეა მოწყობილი, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებისთვის მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, ცალკეული შტატების შედეგებს აქვს. შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, რომ ქვეყნის მასშტაბით კანდიდატმა ხმების უმრავლესობა ვერ მიიღოს, მაგრამ პრეზიდენტი გახდეს. აშშ-ის ისტორიაში მსგავსი რამ ორჯერ მოხდა: 1824 წელს, როცა გაიმარჯვა ჯონ კუინს ადამმა და 1876 წელს (გაიმარჯვა რეზერფოდ ჰეისმა). თანაც ორივე შემთხვევაში კონგრესმა საგანგებო გადაწყვეტილებით დაადასტურა პრეზიდენტის არჩევა, რომელმაც ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მოაგროვა.

ცალკეულ შტატში წინასაარჩევნო კამპანია კი, ჯერჯერობით, ბუშის სასარგებლოდ მიმდინარეობს.

***კომერსანტი №152***

# ვითომ „ჩეჩენი ხეიბრებისთვის" მოწყალებას არ იშურებენ

ახალ და ძალზე სარფიან საქმედ იქცა რუს ხეიბართა ექსპორტი. იტალიის პრესის მიხედვით, დაპატიმრებულნი არიან „რუს ინვალიდთა მაფიის წევრები" (ექვსი ჯანმაგარი ბანდიტი). როგორც ახლა იტალიის პოლიცია არკვევს, დამნაშავეობრივმა დაჯგუფებამ, რომელშიც შედიოდნენ ყრუ-მუნჯები რუსეთიდან, ბელორუსიიდან და დსთ-ის სხვა ქვეყნებიდან, იტალიაში ტურისტების სახით შეაღწია. სამშობლოში დაბრუნება არც უფიქრიათ, ყველანი არალეგალური ემიგრანტები გახდნენ. ბიზნესის ორგანიზატორები ყრუ-მუნჯებს წვრილმანი საქონლით ამარაგებდნენ, შემოსავლის დიდ ნაწილს თავად იჯიბავდნენ, საცოდავებს კი იმდენს უტოვებდნენ, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ.

იტალიაში მათხოვრობას მკვეთრად გამოხატული ნაციონალური სახე აქვს. მაგალითად, ათასობით ალბანელი აქ ფულს ორი გზით შოულობს: გზაჯვარედინებზე მანქანების მინების წმენდით და უპატრონო ძაღლებისათვის მოწყალების თხოვნით. ალბანელთა „მოღვაწეობის" ადგილებში რუსების შეღწევის მცდელობამ მათთან სერიოზული შეჯახება გამოიწვია. ამ უკანასკნელებმა თავიანთი ძაღლებიც კი მიუსიეს კონკურენტებს. რუსები იძულებულნი შეიქნენ, უკან დაეხიათ. დსთ-დან წასულ „ხეიბართა" მათხოვრობა უცხოეთის ნიადაგზე პირდაპირ „აყვავდა".

წვრილი საქონლით — ბრელოკებით ვაჭრობა, თვეში 15-20 ათას დოლარს აძლევდა ბანდას. ამ თანხით მალე დაფარეს ინვალიდების უცხოეთში გასაყვანი ხარჯები და ახლა უკვე ფულის დაგროვება დაიწყეს. სერიოზულ რუსულ მაფიასთან „რუს ინვალიდთა ჯგუფს" კავშირი არა აქვს, მაგრამ მიმბაძველი ბევრი ჰყავს. უხელფეხო ადამიანები ევროპელთა თანაგრძნობას იწვევენ. ინვალიდთა მაფია ზუსტად გრძნობს ევროპულ პოლიტიკურ კონიუნქტურას. საფრანგეთში, მაგალითად, საზოგადოებრივი აზრი ჩეჩნეთის ამბებთან დაკავშირებით, რუსეთის წინააღმდეგ არის განწყობილი. იქ ჩვენ, მკვლელებად და აგრესორებად მივაჩნივართ, ამიტომ მათთვის, ვინც ჩეჩნებად, „გროზნოს დაბომბვის მსხვერპლად" და, საერთოდ, კავკასიის „გმირად" ასაღებს თავს, უხვ მოწყალებას არ იშურებენ. რუსეთის ინვალიდთა მაფია კი განაგრძობს ევროპის ქვენებში ვითომ „ჩეჩენი მათხოვრების" შეყვანას. სარფიანი საქმეა.

***ო. კორვიცი***
***მეგაპოლის-ექსპრესი №34***



# დავიწყებული გენოციდი

ამ გენოციდზე არავინ ლაპარაკობს. მის მსხვერპლთა პატივსაცემად არც რაიმე მემორიალია დადგმული. გენოციდი, როგორც ჩანს, მხოლოდ იმ ტომის ხალხს ახსოვს, ვინც საკუთარ თავზე იწვნია უბედურება. ეს ხალხი გახლავთ ნამიბიაში ჰერეროს ტომი. უკვე თითქმის ერთი საუკუნეა, ჰერეროელები წელიწადში ერთხელ სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილნი ქვეყნის დედაქალაქში დემონსტრაციებს მართავენ, ამით სურთ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრონ. 1904 წელს ნამიბია კაიზერ ვილჰელმ მეორის დროინდელ კოლონიალურ ჯარებს ჰყავდათ დაპყრობილი. ჰერეროს ტომი საუკეთესო მიწებს ფლობდა, გერმანელები კი მათ ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. როდესაც ჰერეროელმა ბელადებმა კოლონიზატორებს მიწების დატოვებაზე უარი განუცხადეს, მათ თავს დაატყდა იმ დროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სამხედრო მანქანა. ათასობით უდანაშაულო ჰერეროელი მხოლოდ და მხოლოდ ეროვნების გამო გაჟლიტეს, ათასობით ადამიანი დაატყვევეს და მონად აქციეს. მონები გერმანელებმა მუქთა მუშახელად გამოიყენეს. მათ ქვის კარიერებში ამუშავებდნენ. დღევანდელ გერმანიაში ალბათ არავინ იცის, რომ ბევრ ქალაქში ტროტუარის ფილები ნამიბიური წარმოშობისაა და ისინი საუკუნის დასაწყისში მათთვის ნამიბიაში ჰეროელებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად გამოთალეს. ამ მშვიდობიანი ტომის პოპულაცია, მასობრივი ხოცვა-ჟლეტვისა და მონათა ბანაკებში ეპიდემიებისა და შიმშილით დაღუპვის შედეგად, 1910 წლის აღწერით 80.000-დან 15.000-მდე იყო შემცირებული.

ჰერეროელთა დღევანდელი ლიდერი გენერალი კუაიმა სირუაკო გერმანიის მთავრობისგან კომპენსაციას ითხოვს — „თუკი ებრაელებმა, ბოშებმა და თურქებმა მეორე მსოფლიო ომის დროს მონებად ყოფნისთვის კომპენსაცია მიიღეს, ჰერეროელებმა რაღა დააშავეს. ის, რომ ისინი შავკანიანები არიან?" — გაოცებული კითხულობს იგი. თუმცა იმედი იმისა, რომ ნამიბიის მთავრობა გერმანელებს გენოციდის შედეგების აღმოფხვრას მოსთხოვს, ნაკლებად აქვს. მიზეზი ერთია: ნამიბია გერმანიის მთავრობისგან დიდ დახმარებას იღებს და ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ერთი საუკუნის წინ თითქმის განადგურებული ტომისათვის ვინმემ დახმარების მიღებაზე პრობლემები შეიქმნას.

***ნიუზუიქი, 21 აგვისტო***



# ხოტბა თაფლს



ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა კოსმეტიკური მალამოების, ნიღბებისა და სხვა საშუალებებისთვის თაფლს იყენებდა. ამიტომაც ჰქონდა სახის კანი ხავერდივით ნაზი. თაფლის გამორჩეული თვისებების შესახებ, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იცოდნენ ძველმა ჩინელებმა და ბერძნებმა, იგი მოიხსენიება ბიბლიაში.

ჰოდა, ერთხელ კიდევ გავუსინჯოთ თაფლს გემო, თან გავიხსენოთ მისი ავკარგიანობა.

**ჯანმრთელობისთვის**

თაფლი ჩინებული წამალია: შეუცვლელია გაცივებისას (თაფლიანი ცხელი ჩაი), ანგინის დროს (თაფლიანი თბილი რძე), უძილობისას (თაფლიანი თბილი ჩაი), უძლურებისას (1 ჩ/კ თაფლი უზმოზე).

რადგან თაფლი შეიცავს ადამიანისთვის საჭირო ვიტამინებსა და მინერალებს ბაქტერიებთან ბრძოლაში ტოლს არ უდებს ანტიბიოტიკებს. აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას.

**სილამაზისთვის**

თუ გინდათ ხელის კანი გქონდეთ ნაზი და რბილი, ღამით წაისვით თაფლი და ჩაიცვით ბამბის ქსოვილის ხელთათმანი.

მშრალი კანის გასაწმენდად და დასარბილებლად — 1 ჭიქა თბილ წყალში გახსენით 1ს/კ თაფლი და გაიწმინდეთ სახე ყოველდღე.

ნაოჭების გასასწორებლად 1ს/კ თაფლი გათქვიფეთ კვერცხის გულში. სისქისთვის დაუმატეთ დაფქვილი ჰერკულესი. 5 წთ-ის განმავლობაში ამ მასით იზილეთ სახე და ყელის მიდამოები (დეკოლტე), გაიჩერეთ 10 წუთი და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ათწუთიანი თაფლის ნიღაბი ახმობს ფერისმჭამელებს და თუ გამუდმებით იხმართ, საერთოდ გააქრობს.

**გურმანებისთვის**

მას შემდეგ, რაც ადამიანმა თაფლს გემო გაუგო, იგი იხმარება კულინარიაში. თაფლის მიღება შეიძლება მძიმე მარხვაშიც კი. ყველიერი წარმოუდგენელია თაფლის ბლინების გარეშე. თაფლის ნაყენით უმასპინძლდებოდნენ ახალგაზრდებს ქორწილში. თაფლი აძლევს იშვიათ გემოს, სურნელსა და სირბილეს ცომს, ამიტომ, დიასახლისები მას ნამცხვრების დასამზადებლად იყენებენ. ხოლო აღმოსავლეთში თაფლისგან ძალიან გემრიელ ჰალვას ამზადებენ.

**როგორ შევამოწმოთ თაფლი:**

აიღეთ კოვზით თაფლი, ამოატრიალეთ და გადმოასხით — ნამდვილი, მოსული თაფლი ნაკადით არ წამოვა.

თაფლიან წყალში ჩააწვეთეთ ორი წვეთი იოდი, თუ გალურჯდა, ე.ი. შესასქელებლად დაუმატებიათ ფქვილი ან სახამებელი.

დაასხით ქაღალდზე თაფლი. თუ გაჟონა ან ნოტიო ლაქები გაჩნდა, ე.ი. დაუმატებიათ წყალი ან შაქრის ვაჟინი.

ნამდვილი თაფლი სურნელოვანია და ცოტა ჩახეხს ყელს, თითქოს ამოხველება გინდოდეთ.

რადგან თაფლი კარგად ისრუტავს სინესტეს და სუნს, მისი შენახვა სჯობს მინის თავდახურულ ჭურჭელში.

*ტვ პარკი №34*

# გულმოდგინე ლოცვა — ჯანმრთელობის საწინდარი

მერილენდის უნივერსიტეტის მკვლევარების მიერ ჩატარებულმა დაკვირვებამ გააოცა სკეპტიკოსები. ექსპერიმენტი მიეძღვნა გულის მძიმე დაავადებების მკურნალობას ლოცვებით. ერთი წლის მანძილზე აკვირდებოდნენ კანზას-სითის ერთ-ერთი საავადმყოფოს პაციენტებს. ექსპერიმენტის შესახებ არც ავადმყოფებმა იცოდნენ რაიმე და არც მკურნალმა ექიმებმა. ავადმყოფები ორ ჯგუფად დაყვეს.

პირველ ჯგუფს ჩვეულებრივ მკურნალობდნენ, ხოლო მეორისათვის მლოცველები მოიწვიეს. ერთი თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის პაციენტები, რომელთათვისაც ლოცულობდნენ, გაცილებით მალე გამოჯანმრთელდნენ, ვიდრე ისინი, ვისაც მხოლოდ წამლებით მკურნალობდნენ.

მკვლევარის თვალწინ პაციენტებს ლოცვებით უყუჩებდნენ ტკივილებს.

მრავალ ქვეყანაში უკვე შექმნილია მლოცველ-მკურნალთა საგანგებო ჯგუფები, რომლებიც შორ მანძილზე ლოცულობენ პაციენტის ჯანმრთელობისთვის.

დიდ ბრიტანეთში არსებობს მსგავსი სახით მკურნალობის ეროვნული ფედერაცია. ამ ფედრაციის წარმომადგენელმა როი ჰატჩესონმა განაცხადა, რომ ამერიკულმა ექსპერიმენტმა დაამტკიცა კაცობრიობისთვის უკვე ცნობილი მკურნალობის მეთოდი — ლოცვით ტკივილების მოხსნა და დაავადებისგან განკურნება.

*პოსლედნიე ნოვოსტი №33*


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**



**SGS** - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
**SGS** - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
**SGS** - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
**SGS** - განკურნების მაქსიმალური გარანტია
**SGS** - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური **SGS**
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“),
მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# როგორ ავიცილოთ თავიდან ციმბირის წყლული...

ციმბირის წყლულის შესახებ ალბათ ყველას სმენია. დღესდღეობით საქართველოში ამ მწვავე ინფექციური დაავადების 3 შემთხვევაა დაფიქსირებული. ეს ციფრი თავისთავად შემაშფოთებელი სულაც არ არის, მაგრამ პათოლოგიის თავისებურებებიდან გამომდინარე დაავადებათა რიცხვის მატება სექტემბრის თვისთვის არის ნავარაუდევი. ეს კი დაფიქრების საფუძველს იძლევა და სიფრთხილისაკენ მოგვიწოდებს.

ციმბირის წყლული ანუ ჯილეხი მძიმე ინფექციურ დაავადებად ითვლება და იგი უძველესი დროიდან არის ცნობილი. პათოლოგიის ძირითადი წყარო დაავადებული შინაური ცხოველია. პირველ რიგში ავადდებიან ბალახის მჭამელები, იშვიათად ღორები, გარეული და მტაცებელი ცხოველები. მათში დაავადება გენერალიზებული (მოიცავს მთელ ორგანიზმს) სახით მიმდინარეობს.

ავადმყოფი ცხოველი მიკრობებს მასიურად გამოყოფს გარემოში და 1-2 დღეში იღუპება. წვრილფეხა რქოსან ცხოველებში კი ხშირია ავადმყოფობის ელვისებური მიმდინარეობა და უეცარი სიკვდილი. დაავადება მხოლოდ ღორებში შეიძლება მიმდინარეობდეს გახანგრძლივებულად და ლიმფური ჯირკვლების დაზიანებას იწვევდეს. ავადმყოფი ცხოველი გადამდებია დაავადების მთელ პერიოდში.

ინფექცია ადამიანში შესაძლოა, ცხოველის მსგავსად, გენერალიზებული ფორმით განვითარდეს. მაგრამ 92%-ში კანის ფორმით ვითარდება. ინფექცია კონტაქტური, იშვიათად კუჭნაწლავისა და ჰაერ-წვეთოვანი გზით აღწევს ჩვენს ორგანიზმში.

ინფიცირებულ ხორცთან კონტაქტის დროს ჯილეხის ჩხირი ძირითადად დაზიანებული კანიდან ან ლორწოვანი გზიდან იჭრება. ინკუბაციური პერიოდი (დაავადების განვითარებამდე) 2-8 დღე, იშვიათად 14 დღეა. დაავადების განვითარებაში წამყვანი მნიშვნელობა გამომწვევის ტოქსიკურობას და ადამიანის ორგანიზმის იმუნურ პასუხს ენიჭება. ორგანიზმში შეჭრილი გამომწვევი ტოქსიკურ ნივთიერებას გამოიმუშავებს.

მიკრობის მოხვედრის ადგილზე ვითარდება ჯერ ლაქა, შემდეგ მოწითალო სპილენძისფერი წარმონაქმნი, რომელიც რამდენიმე საათში ბუშტუკად გადაიქცევა. ამ ადგილას ადამიანს შემაწუხებელი ქავილი აღენიშნება. ბუშტუკი შეიცავს მოყვითალო-შავი ფერის შიგთავსს. შემდეგ ის მექანიკური დაზიანების დროს ან ზოგჯერ თავისთავად სკდება და წყლული წარმოიქმნება, საიდანაც სეროზულ-სისხლიანი გამონადენი გამოიყოფა.

წყლულის ირგვლივ შეშუპება და სიწითლე ვითარდება. თავად კი შავი ნეკროზული ქერქით იფარება. წარმონაქმნის ირგვლივ პატარა შვილეული ბუშტუკებიც აღმოცენდება და დაზიანებული არე 8-15 სმ-მდე ფართოვდება. მთელი ეს კომპლექტი უმტკივნეულოა, ამიტომაც ხალხმა დაავადებას „ბედნიერი“ უწოდა.

ადგილობრივ ცვლილებებთან ერთად ადამიანს ზოგადი ნიშნებიც აღენიშნება. კერძოდ, ტემპერატურა 39-40°C, ტანში ტეხის შეგრძნება, საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, ტაქიკარდია. მე-5 მე-7 დღეს ტემპერატურა უეცრად ეცემა. ზოგადი და ადგილობრივი მოვლენები თანდათან უკუგანვითარდება. წყლულის ადგილას კი ნაწიბური რჩება.

გამონაყარი შესაძლოა სხეულის სხვადასხვა ადგილას განვითარდეს. განსაკუთრებით საშიშია წარმონაქმნის სახის, ყელის ან კისრის არეში განვითარება. რადგან შეშუპებამ შეიძლება მოხრჩობა ან მსხვილი სისხლძარღვების დაზიანების შედეგად მასიური სისხლდენა და სიკვდილი გამოიწვიოს.

გენერალიზებული ფორმა შესაძლოა ადამიანსაც განუვითარდეს. ის ძალზე საშიშია. ამ დროს პათოლოგიური პროცესი თითქმის ყველა ორგანოს მოიცავს: ფილტვები, ნაწლავები, ელენთა, ძვლის ტვინი.

აღინიშნება ქოშინი, შებოჭვის შეგრძნება, ხველა, ღებინება, სისხლიანი განავალი, დიდდება ღვიძლი და ელენთა. ამას ემატება აგზნება, ბოდვა, კრუნჩხვები. ვითარდება კომა, შოკი. ადამიანი დაავადებიდან 1-4 დღეში იღუპება.

დაავადების დიაგნოსტირება სირთულეს არ წარმოადგენს. რაც შეეხება მკურნალობას, ის კომპლექსურია. გამოიყენება სპეციფიკური — ჯილეხის საწინააღმდეგო ჰეტეროგენული გლობულინი.

ყველაზე მნიშვნელოვანი ციმბირის წყლულის პროფილაქტიკაა, რომელშიც ჩვენ მიერ მითითებული რჩევები დაგეხმარებათ:

— ჯილეხი პროფესიულ დაავადებად ითვლება. ავადდებიან უმეტესად მამაკაცები. ამიტომ ყველაზე მეტი სიფრთხილე სოფლის მეურნეობაში, ტყავსა და ბეწვზე მომუშავე ადამიანებს მართებთ.

— როგორც აღვნიშნეთ ავადმყოფი ცხოველი ძალზე სწრაფად იღუპება. მომაკვდავ საქონელთან კონტაქტი, მისი იძულებითი დაკვლა ძალზე საშიშია ინფიცირების მხრივ.

— არ შეიძლება დაცემული ცხოველის გატყავება, დაინფიცირებული ხორცის და ბეწვის დამუშავება და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ცხოველი არ უნდა დაიმარხოს. საქმე იმაშია, რომ ჯილეხის გამომწვევი სპორა ყველა სხვა პათოლოგიური მიკრობისგან არაჩვეულებრივი გამძლეობით გამოირჩევა. წყალში ის რამდენიმე წელს, ხოლო ნიადაგში რამდენიმე ათობით წელი ძლებს. სპორები არც ტექნოლოგიური პროცესის პირობებში იღუპება.

ამიტომაც რეკომენდებულია დაღუპული ცხოველების დაწვა!

— დაავადებულ ადამიანთან ან ცხოველთან კონტაქტში მყოფ პირებს, აგრეთვე მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ავადმყოფი ცხოველის გაუვნებლობასა და დამარხვაში, ან ინფიცირებული ხორცი ჭამა, პროფილაქტიკის მიზნით უნდა გაუკეთდეს ჯილეხის საწინააღმდეგო გლობულინი. თუ დაინფიცირებული ხორცის ჭამიდან გავიდა 5 დღე, კონტაქტიდან კი 10 დღე, ეს პროფილაქტიკური ღონისძიება მიზანშეწონილი აღარ არის.

— დაავადებული ცხოველის კერაში უნდა გაკეთდეს დეზინფექცია. ჯილეხის მხრივ საეჭვო და ავადმყოფებთან კონტაქტში მყოფი პირების იზოლაცია საჭიროა 8 დღის განმავლობაში.

— აუცილებელია ჯილეხით დაავადებულთა ჰოსპიტალიზაცია. ავადმყოფს გამოყოფილი უნდა ჰქონდეს პირადი ნივთები.

— დაბოლოს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია! მოერიდეთ შეუმოწმებელი ხორცის გამოყენებას. ხორცის პროდუქტები ოფიციალურ სავაჭრო ობიექტებზე შეიძინეთ. რადგანაც, როგორც ჩვენი ვეტერინარული სამსახური აცხადებს, ასეთ ობიექტებზე ხორცის ყოველდღიური კონტროლი ხორციელდება.

თანაც გაითვალისწინეთ დაინფიცირებული ხორცის ტრანსპორტირებისას (დროის გასვლის გამო) დასნებოვნების რისკი მნიშვნელოვნად კლებულობს.

ჯილეხის გადატანის შემდეგ მყარი იმუნიტეტი რჩება. ამიტომაც, განმეორებითი დაავადება ძალზე იშვიათია.

*მაია მუხიგული*

# ნუ ეხუმრებით ჰაიმორიტს



გერმანელი ნევროპათოლოგის შტოკის მონაცემების თანახმად, დაახლოებით 200 დაავადებას შეუძლია გამოიწვიოს თავის ტკივილი. ამ შავ სიაში ერთ-ერთი „საპატიო“ ადგილი უკავია ჰაიმორიტს. ჰაიმორიტი ორგვარია — მწვავე და ქრონიკული. მწვავე ჰაიმორიტი ჩვეულებრივად ვითარდება გრიპის ფონზე. არის შემთხვევები, როცა მწვავე ჰაიმორიტი ტრავმის ან დაავადებული კბილის გართულების შედეგად ვითარდება. ჩირქოვანი ჰაიმორიტის გამომწვევი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებებია სტაფილოკოკი და სტრეპტოკოკი. მწვავე ჰაიმორიტის ქრონიკულში გადასვლას ხელს უწყობს ცხვირის ხრტილის გამრუდება, ადენოიდები (პოლიპები), ქრონიკული სურდო, შაქრიანი დიაბეტი.

ჰაიმორიტისთვის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი სიმპტომია თავის ტკივილი, რომლის ინტენსიურობა დამოკიდებულია პროცესის (ჰაიმორიტის) სიმწვავეზე. თავის ტკივილის გარდა ჰაიმორიტისთვის დამახასიათებელია: ცხვირიდან ჩირქის გამოყოფა, არასასიამოვნო სუნის შეგრძნება ცხვირიდან, ორგანიზმის საერთო სისუსტე.

ჰაიმორიტის ყველაზე მწვავე გართულებაა მენინგიტი და ენცეფალიტი. ინფიცირება ხდება როგორც კონტაქტური გზით, ასევე სისხლისა და ლიმფის მეშვეობით. ამ დროს ჩირქი ხრწნის ხრტილოვან ძგიდეს და იწვევს ტვინის სტრუქტურების ჩირქოვან ანთებას. თავის ქალის შიდა გართულებები ვლინდება საერთო მდგომარეობის გართულებით და გრძნობის დაკარგვით.

*ლიზა №34*

## თეთრი ფერისმჭამელები

თეთრი ფერისმჭამელები ჰორმონალური დარღვევების და არასწორი კვების გამოჩნდება. შეიძლება მემკვიდრეობითიც იყოს.



არავითარ შემთხვევაში არ ამოიგდოთ ფერისმჭამელი ნემსით. კომპოზიტორ სკრიაბინს ფერისმჭამელის ამოგდებისას ინფექცია შეეჭრა, სისხლი მოეწამლა და გარდაიცვალა. საჭიროა გაიკეთოთ სათანადო ნიღაბი ექიმი-დერმატოლოგის რჩევით. კარგია ბადიაგისა და პერეკისის ნარევის ნიღაბი. ეფექტურია ბადიაგით მოწვა, მაგრამ საჭიროა 10-დან 30 სეანსამდე, დღეგამოშვებით, ოღონდ უსათუოდ ექიმის მეთვალყურეობით, თორემ შეიძლება სახე დაიწვათ.

*მეგაპოლის-ექსპრესი №33*

## კიტრის წვენი თვალებისათვის

გახეხილი ნახევარი კიტრი გაწურეთ და შედგით მაცივარში. სითხის გაცივების შემდეგ დაასველეთ მარლის ორი ნაჭერი კიტრის წვენში და დაიფინეთ თვალებზე.

ასეთი პროცედურა უნდა ჩატარდეს დღეში ორჯერ მაინც. თუ მეტჯერაც მოახერხებთ — კიდევ უკეთესი. პროცედურის დროს წამოწექით და მოდუნდით. კიტრის წვენი არა მარტო ასვენებს გადაღლილ თვალებს, არამედ ნაოჭებსაც აქრობს თვალების გარშემო, განსაკუთრებით მაშინ, თუ წვენში ჩაამატებთ 3-4 წვეთ ლიმონის წვენს. ხოლო პროცედურის დასრულების



შემდეგ თვალის ირგვლივ ლანოლინის კრემს შეიზელთ.

*ოტდოხნი №34*

## სამკურნალო სოკოები

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სოკოს სამკურნალო თვისებებიც აქვს. ქამა კურნავს გულს, შაკიკს, ამაღლებს



ორგანიზმის ტონუსს. მისი წვენი ეფექტურია მოყინული სხეულისთვის. არყა რგებს თირკმელს. ქამა, მანჭკვალა, ღვინიო და ზეთოვანა ხსნის თავის ტკივილს. მანჭკვალა სუსტი გამხსნელია, მჭადა-სოკო შველის რადიკულიტს. ყოველივე ეს დადასტურებულია ბოლო ფარმაკოლოგიური გამოკვლევით.

ქამა მეტად მდიდარია ვიტამინებითა და ცილებით. მასში აღმოჩენილია ანტიბიოტიკი, რომელიც ნაწლავების ზოგიერთ დაავადებას შველის.

მჭადა-სოკოში ბევრია $B^1$, PP ვიტამინები. მჭადა-სოკო გამოირჩევა A ვიტამინის სიუხვით და აქვს ბაქტერიოციდული თვისებები.

*პრიროდა №33*

**კარლო კობერიძე**

# მამაშვილობა...

საათიც არ არის გასული, სოფელი მიმოირბინა უკვე — შვილმა სცემა ბარაბას. ცემაც არის და ცემაც! — ორივე თვალი ჩალურჯებული აქვს, რასაც სისხლის ჩაქცევას ეძახიან ექიმები; ცალი წარბი გაკერვას ითხოვს, ცალი — მალამოს წასმას. ცხვირიდან ორტოტად წამოსვლია სისხლი და მონაცრისფრო ხალათი დაულიანდაგებია. ცომს რომ გასინჯავენ ხოლმე, აფუვდა თუ არაო, ორივე ლოყაზე ისე ეტყობა მუშტის ნაკვალევ-ნათითურები. გამეტება და ასე უმოწყალოდ?! არც პირი დაუბანია ბარაბას, არც სისხლით მოთხვრილი ტანისამოსი გამოუცვლია, რაღა თქმა უნდა, ეს უფრო გაამაგრებს საჩივარს. სალაყბოზე ლეწავს კალოს, იგინება, იფურთხება, მკერდზეც იბაგუნებს მუშტს, მოკვლით ემუქრება შვილს. ყურადღებას არავინ აქცევს, პირველად ხომ არ უნახავთ ასე გალამაზებული! ვიღაცამ უთხრა ბარაბას, გიგომ, მილიციის ინსპექტორმა, წეღან ფოცხვერაშვილების ეზოში შეუხვიაო. იმას ელოდება.

— ბარაბავ, აბა, აქეთ მოდექი! — ბიჭებს გამოეყოფა შალალო.

— რა შენი ყველაყისა გინდა! — ებუხუნება ბარაბა.

— ეხლა მეც რო გაზიარო, ახი არ იქნება? — იცინის შალალო, — ეგრე, ხელების გაუფრთხილებლად რო გიხათქუნებდა შენი სიყრმისშვილი, ის ორი სადღა ეგდო?

— შინ არ იყვნენ თორემა!...

— თორემ ისინიც არ დაგიმატებდნენ!

— რათა გგონია ეგრე, ვირიშვილო?

— ვირი ხარ და შვილებიც აკი ვირები გამოგივიდნენ, მიცვალებულო! რათ ელოდები გიგო ინსპექტორს, ჩაყუდებას უპირებ?

— არა, მზეს უნდა ეფიცხებოდეს!.. მამკლა მაგ შობელძაღლმა! წუხელაც მთვრალი მოეთრია, რისი გამგები იყო, რას ვეტყოდი! ამ დილით ორი ჯამი ნაღამური ლობიო რომ მიირთვა ნივრიწნილით და ორი ჭიქა არაყიც დააყოლა, ვეუბნები, შენი ტოლები ცას უწვდენენ ხელსა, შენ რაღამ დაგამონავა, რატო არ გატოკდები-მეთქი. შენ ხო საქმე არ გაძინებსო! დედა შევუგინე და ამითვინ წამამიხტა!

— სწორი გადაწყვეტილება მიუღია!... ეგ ცოლიც, მაგისი დედა, ცემით ჩაალოგინე და, საფლავშიც აღარ ასვენებ?

— შენც რო იმას ამართლებ, მე შენი!...

— არ შემაგინო, ბარაბავ, თორემ გაგხეჩავ შუაზე!

— შალალო! — ეძახის ბნედა, — რაზე იოხრებ ნერვებს, ვის ელაპარაკები, კაცის სახსენებელი გამაილია, ამოდენა სოფელში? აი, ზოზომ, ვიჩინაც მზათ არის, სხვაც ყველაფერიო!

თითქოს ამას ელოდაო, გიგო ინსპექტორიც გამოვიდა ფოცხვერაშვილების ეზოდან.

— ბატონი ბარაბა გელოდებათ, ამხანაგო კაპიტანო! — სალდათურად აუღო ხელი მაიპარე შიომ.

— ჰო, მე მაგ ბრიყვს უნდა შემატოვოთ, თქვენ კიდევ ახლახან გადმოდუღებულ ვიჩინას მიუსხედით!

— მერე, ვინ მიდის უშენოდ? — გაელიმა ზოზოს.

— ვინ გიშვებს, რო? აქ მო, ბარაბავ, — ხელი დაუქნია ინსპექტორმა.

— ცალკე უნდა გელაპარაკო! — თან ინსპექტორისკენ მიიზლაზნება სისხლით აჭრელებული ბარაბა.

— ეგრე არაო — მოწმეები მჭირდება, უფროსთან რო მიჩივლებ, ვიცი, იმას მომაწერ, რასაც ვებრძვი... ვინ დაგიჯერებს, მაგრამ ასე სჯობია.

— აბა, რასა □კადრულობ?! ამათ ეგონებათ...

— კი არ ეგონებათ, გიცნობენ და იციან!.. მაშასადამე, უფროსმა შვილმა მიგასიკვდილა — დამადასტურებელი ფაქტი სახეზეა.



— თვითონ გითხრა? — თან სისხლშემხმარ პირისახეზე ისვამს ხელს.

— დღეს თვალიც არ მომიკრავს. ეხლა რაღაზე გცემა?

— მიზეზს რა გამოულევს! — სიძველით დაძენძილი, სისხლით დალაქავებული პიჯაკის შიგნითა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, — განცხადებაა, ამაზე □წერია ყველაფერი.

— რას მავალებ? — ქაღალდის გამორთმევას არ აპირებს ინსპექტორი, სიგარეტს უკიდებს.

— მაგას ციხის მეტი ვერაფერი მაარჯულებს! აჰა, — ქაღალდი მიაჩეჩა, — ვიდრე მაგის ოხტში არ მოვალ, არ მოვისვენებ!... ძაან ნეხვი გამამადგა ეს უფროსი ბიჭი! მაგას, გიგოვ, ციხის მეტი ვერაფერი ვერ აქცევს კაცად!

— შენ რა, ცოტა ხანს იჯექი, რატო არაფერი მოგეცხო კაცობისა? — გაბრაზდა ინსპექტორი, — რაც თავი მახსოვს, წივილ-კივილის, ლანძღვა-გინების მეტი სხვა ხმა არ გამოსულა შენი სახლიდან!... კარგი, სამივე ცოლი უვარგისი გამოგადგა, დედაშენსაც და დასაც კეტით რო სცემდი? მუშტით ვერ ერეოდი, კეტი რაღა იყო? ჯერჯერობით ეს ბალღი ჩავარდა გულისხმაში, რასაც ხედავდა, ესმოდა, გრძნობდა, ის გადმოგილაგა! მე ის გამიკვირდებოდა, არა გცემდეს! ჯერ სადა ხარ, მომდევნოებმაც მოიყარონ სალდათის ასაკი, უფრო ხშირად გაიგებს სოფელი შენს ღრიალს! — საჩივრის ქაღალდი დახია და გადაყარა, — წადი ეხლა და მიჩივლე მილიციის უფროსთან, ასეთი პასუხი გამცა-თქო!

— გიჩივლებ! — აყვირდა ბარაბა, — პირველ ჩამომვლელ ავტობუსს გავყვები.

— პირველს მე უნდა გავყვე, მეორეს ბნედა, მესამეს ზოზო, მეოთხეს მაიპარე შიო, მეხუთეს გრძელი ოსია, — მიიხედ-მოიხედა შალალომ, — სხვებიც მალე მოვლენ და დანარჩენებს ისინი დაითითოვებენ.

— დამცინი, არა! — აქეთ-იქით იხედება ბარაბა, ალბათ თავის ჭკუისას ეძებს, — ყველას გიჩივლებთ! არავის შევარჩენ ჩემს დაცინვას!

— ეს რაღა მოიგონა, ხალხნო! — თავში ხელები შემოიკრა ბნედამ, — დამცინითო, ე?! ვინ დაგცინის, კაცო, არა გრცხვენიან? კი არ დაგცინით, გამასხარავებთ!

— ვაი-მე! — კინაღამ მუხლებთან მოიტანა თავი შალალომ, წრეს არტყამს, — ეს რამდენი ვიცინე! — არადა, არც ეღიმება, - თქვა ამანაც ახალი რამე — გამასხარავებთო! ქვეყანა ამასხარავებს, ჩვენ კიდევ, მოდი, გავაბზევლოთ! — ხელი წაატანა ბარაბას.

ინსპექტორიც იხრჩობა სიცილით.

— ვინ უნდა გაატიტვლოთ, თქვე ჩათლახებო! — გზა გადაირბინა ბარაბამ. ვითომ მარტო იქ ეყარა ქვები, ბიჭებს კი გაერიდა. ქვას რომ დასწვდა, უყვირა ინსპექტორმა:

— არ აიღო, თორემ შვილის ცემას ხელის გადასმად მოგაჩვენებ!

გათხელვდა ბარაბა, ცივად დააგდო ქვა და ზევიდან მონადენ ავტობუსს აუწია ხელი. გაჩერებას აპირებდა, მაგრამ ბნედამ ანიშნა, წადიო. ნაცნობი იყო შოფერი, ღიმილით მოუმატა სიჩქარეს.

— რაც შენ საჩივარი დაგიწერია, ბარაბავ, — ეუბნება ინსპექტორი, — სამი ჯორის საპალნე გამოვა. უკადრისს აკადრებ ვინმეს, შეუმწვიტინებ, შეაყელთებ, ეზვეპინები, მერე საჩივლელად გარბიხარ, მთელი შენი ცხოვრება ეგეთ წანწალს შეალიე. ყოველთვის შენ გამტყუნებს კანონ-სამართალი, მაინც ვერ ისწავლე ჭკუა!

გაეშმიშდა, ამდენს მაინც არ მოელოდა ინსპექტორისაგან. გზაზე მაზიდმა ჩამოიარა. ობოლვანო იჯდა კოფოზე — ფქვილის ტომრები მოჰქონდა.

— გამარჯობათ, ხალხნო! — მიესალმა, — რა ფეხისალაგივით განზე გამდგარხარ, ბარაბავ?

ვისაც არ ეცინებოდა, ძალით გაიცინა იმანაც.

— სადა ყოფილხარ, ვანო? — ჰკითხა ინსპექტორმა

— წისქვილში. რაო, არ მეტყობა? — მაზიდი გვერდზე მიაყენა.

— გიხდება კიდევაც. ფქვილით მოგანგვლა ჭუჭყად არ ითვლება. შენი ბიჭი რამდენი წლისაა?

— რომელი?

— უფროსი.

— იამან აკი ბარაბას დიდ ბიჭთან ერთად დაამთავრა სკოლა?

— რამდენჯერა გყავს ნაცემი?

— ვინა, კაცო?!

— შენი უფროსი ბიჭი.

— არც ერთხელ! რათ უნდა მეცემნა, რო?!

— ისე, რა ვიცი. იმან რამდენჯერა გცემა?

— შენ იქნება მათრახი გამამტყუო! — მათრახი ასწია და ისე გადაუჭახუნა, მართლა არ მომწვდესო, თავი უკან გადააგდო ინსპექტორმა, — შვილი იქამდე მივიყვანო, ხელი დამაკაროს, რათ მინდა თავი ცოცხალი! ამდენს ვერც მაკადრებს და ვერც გამიბედავს.

— აი, ბარაბამ რო დაგარტყას?

— რათ უნდა დამარტყას, რა დავუშავე?

— რო დაგარტყას-მეთქი?

— შენა, გიგოვ, რათ მოგიწადინებია ჩემი ცემა?

— ვთქვათ და დაგარტყა, მილიციაში არ გავარდები?

— იქ რა ოხრობა მინდა. აქვე გავათავებ! გამექცევა და, სადამდე ირბენს? არა, ძმაო, მე ის კაცი არა ვარ, ვინმესა ვცემო ან ვეცემინო! გიჟებთან ლაპარაკიც მემარჯვება. აჩუ, ბარაბავ!... კარგა იყავით!... ეგეთი რამე აღარ გამიბედო, გიგოვ, კარგი კაცი მგონიხარ და სალამი არ დაგიკარგო!...

თბილისიდან მონადენი ავტობუსი გაჩერდა, მარტო ქვემოხირხატელი კოკი ბაიაშვილი ჩამოვიდა. ყველას მიესალმა. ბარაბა რომ დაინახა ასე დაბეგვილი, გაოცდა:

— ვინ დაილუპა თავი, ამდენი ვინ გაგიბედა, ბატონო ბარაბავ? — მივიდა და ხელი ჩამოართვა, — ეს რა მოგსვლია, კაცო?!

— შვილი გამამივიდა მუტრუკი, გაუთლელი!

— კოკი, მაგასთან საუბარს რო მორჩები, ზოზოსთან ვიქნებით და იქ ამოდი. ხო ამოხვალ? — თან გვერდულად მოდის გიგო ინსპექტორი.

— რატო არა, — პირალმა მიმავლებს თვალი გააყოლა კოკიმ, მერე ბარაბას მიუბრუნდა — მაშ, შვილმა გცემა, ბატონო ბარაბავ?

— ჰო, უფროსმა ბიჭმა.

— შენ რაღას აკეთებდი, ფლავსა სჭამდი?

— რას ამბობ, ბიჭო, იმას ვინ მეერევა? იცი, რა მაგარი ხელი აქვს. რამდენი დამარტყა, იმდენი დამაგდო! იგრე არ გამიგო, გეტრაბახებოდე, მაგრამა მსოფლიოს ჩემპიონი გამოუყვანე მოჩხუბრებში, მძიმე წონისა, მსუბუქებს არ გაიმეტებს და, თუ პირველ დატაკებაზევე არ დაუმხია პირქვე, აღარც ჩემი შვილი მიცვნია! მაგარია, მაგარი. რო კლდე კლდეა და ეს-ეს არი! წიხლი ვკარი და წაბარბაცდა. იმ წაბარბაცებისას გამომიქანდა პირველათ. აბა, წაქცეულიც კი ირტყმეინება!

— რას ირტყმეინება, ტყუპ წიხლს?

— მუშტებს!... გეუბნები, მაგისი მამრევი დედამიწის ზურგზე არ მაიძებნება!... ჭამითაც ხელს ვუწყობ — დილას ერთ კილომდე ალაზნის მურწა შაჭამა, მტკაველზე დიდი არც ერთი არ იქნებოდა, ერთიც მეღორული მწვადი, ძროხის ჩალაღაჯის ნაჭერი. ნახევარი ბოთლი კიდევ რძე დააყოლა, რატო არ იქნება ლონეზე? მამაჩემიც ეგეთი მაგარი კაცი იყო, იმიტომ დავარქვი ამას იმისი სახელი. ბალღობიდანვე არაფერი მიპატიებია, სულ პატარა რამეზე ვცემდი ხელითაც, ქამრითაც, სახრითაც, ხო გაგიგია, შვილი მტრად გაზარდე, მცხვარივით გამოგადგებაო. სხვა შვილებზე ვერაფერს ვიტყვი, ჯერ პატარები არიან, ეს კი, ესა, ძაან მაგარია! დაგვიანებულია, თორემა ქალაქში წავიყვანდი ჩხუბის სკოლაში. ჩემი ბრალია, არ გამებრაზებინა და არა მცემდა! წეღან გიგო ინსპექტორი მეუბნებოდა, შენ მარტო ორიოდე სიტყვით დამიწერე, რო დაგჯენჯა, დანარჩენი მე ვიციო. მაგის ჭკუით რო ვიარო, შვილი დამეღუპება. დავბერდი, მაშინ დროებაც სხვა იყო, თორემა მაგოდენობისას, მაგაზე ათჯერ მეტი ვიყავი. საწყენად არ მიიღო, ჩემო კოკი, ხო იცი, ჩემი ამ ცოლის სოფლელი ხარ და იმიტომ მიყვარხარ — შენისთანა ოცი დეესიოს, ყველას თითო დარტყმით დაიმონავებს თვალის დახამხამებაში!

— მაინც რა არის მამაშვილობა! — ამბობს კოკი, გულში კი გაივლებს, — ერთი იმას მაღირსა, ამისი იდიოტი შვილი ამიწვერდეს რამეზე, გაიგებს ეს რეგვენი, როგორ უნდა დარტყმა და რას ჰქვია ნაცემი.

---

**ვალერიან მამუკელაშვილი**

# დედაშვილობა...

ელენე მასწავლებელი რვეულებს ღამით ასწორებდა. ერთადერთი შვილის დაღუპვის ცნობის მიღების შემდეგ უძილობა დასჩემდა. ცისკრის ამოსვლამდე ლოგინში წრიალებდა, მერე მილულავდა თვალს და მზის ამოსვლისას ისევ ფეხზე იდგა, სკოლაში უნდა წასულიყო.

იმ დღესაც მაგიდასთან იყო მიმჯდარი, მხრებზე შალმოხვეული, ლამპის შუქზე მეათე მეორე კლასის თავისუფალ თემას ასწორებდა. გარეთ ფეხის ხმამ დაარღვია მდუმარება. ყურადღება არ მიუქცევია, ალბათ მომეყურაო, — გაიფიქრა და ისევ რვეულებს მიუბრუნდა. მაგრამ, როცა ხმაური კართან გაისმა, კალამი გვერდზე გადადო და ყურთასმენა დაძაბა. „ასე გვიან ვინ უნდა იყოს?“. კარზე კაკუნი გაისმა:

— ელენე მასწავლებელო! — აშკარად მოისმა ძახილი.

— ვინ ხარ?

— თქვენი ყოფილი მოსწავლე, ავთანდილ განაყარიძე.

— ჰოო... ახლავე ავთანდილ... — მასწავლებელი ფეხზე წამოდგა და ჩუსტების ფლატუნით კარებისაკენ გაემართა.

— მარტო არა ვარ, მასწავლებელო!

— მერე რაა, მობრძანდით, — ოთახში ორი შინსახკომელი შემოვიდა.

— დაბრძანდით. სად იყავი, ავთანდილ, რომ არ ჩანდი?

— ვსწავლობდი.

— სად, რომელ სასწავლებელში?

— უშიშროების სამინისტროს აკადემიაში. როგორ ბრძანდებით, ელენე მასწავლებელო?

— ეეჰ, რაღაა ჩემი სიცოცხლე...

— Скажи, пусть быстрей подготовится.

— რა მოხდა, ავთანდილ?

— არაფერი ისეთი, ბრძანება გვაქვს .

— რა ბრძანება?

— თქვენი შვილი, ზაალი, ჯარში იყო და ცნობაც მიიღეთ, მგონი, დაიღუპაო...

— კი, აქა მაქვს, ზარდახშაში შენახული. — მასწავლებელმა განჯინა გამოაღო, შავ ყუთს მისწვდა, ლამპასთან ახლოს მისწია



და ხუფს მარჯვენათი დაეჯაჯგურა, მაგრამ ვერ გააღო. უმცროსი ლეიტენანტი დაიხარა და ერთი აკვრით ახადა სახურავი. ელენე ზანდუკელმა სათვალე გაისწორა და შვილის წერილებს შორის იოლად იპოვა სამხედრო კომისარიატიდან გამოგზავნილი ფარატინა ქაღალდი. ავთანდილმა ჩამარცვლით ჩაიკითხა: „თქვენი შვილი, წითელარმიელი ზაალ ელიზბარის ძე ზანდუკელი გმირის სიკვდილით დაეცა გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში“. ამ სიტყვებმა ჩააცვა თალხი, სადღაც გადაუკარგა ღიმილი, სიხარული, წაუშალა საზღვარი დღესა და ღამეს შორის, წუთისოფლის გატეხილ ბორბალზე შემოაჭდო დარჩენილი სიცოცხლის დრო და ჟამი.

— Что вы читайте?

— Весть о смерти сына.

— Кончайте эту ерунду и скажите ей, пусть быстрей собирается.

— რა უნდა ამ კაცს, ავთანდილ, ჩემგან? რისთვის უნდა მოვემზადო?

— საქმე ის არის, ელენე მასწავლებელო, რომ თქვენი შვილი არ დაღუპულა.

— რაო, რა თქვი? — შეცბა ქალი, გახევდა, მუხლებში ჩაიკეცა და იქვე მდგარ სკამზე ჩამოემხო. გაშტერებული უყურებდა თავის ყოფილ მოსწავლეს და სულის მოთქმას ველარ ახერხებდა.

— გაიმეორე, შვილო ავთანდილ, ნათქვამი, — შეევედრა მასწავლებელი ნამოწაფარს.

— ზაალი არ მომკვდარა, დაჭრილი ტყვედ ჩავარდნილა და ახლა ერთ-ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაშიაო და ამიტომაც... — ქალი მუხლებზე დაემხო, ხელები შემართა და ლოცვა დაიწყო.

— Что она делает?

— Молится, — მალახოვმა ნაბიჯი წადგა, უნდოდა მუხლმოყრილი ცრემლმდინარე ქალი იატაკიდან აეგლიჯა, მაგრამ ავთანდილი ხელში სწვდა და მკაცრად შესძახა.

— Не трогать.

დაამთავრა ლოცვა ქალმა, წელში გაიმართა, კარადის კარს ეცა, ბოთლით არაყი და ჭიქები გადმოიღო. „ზაალი ცოცხალია, ჩემი შვილი ცოცხალია, ცოცხალი“, ბუტბუტებდა და თან განჯინაში რაღაცას ეძებდა. როგორც იქნა იპოვა, დაჭირხლული ჩურჩხელები თეფშზე დაალაგა და უფროს ლეიტენანტს გაუწოდა. მხრიდან შალი გადაიძრო, საწოლზე მიაგდო, ღაწვებზე ჩამოგორებული ცრემლები ცხვირსახოცით შეიმშრალა და პირჯვარი გადაიწერა. გაუკვირდა, მარჯვენა ხელი აღარ უკანკალებდა. მალახოვს შეევედრა:

— გადარჩენილი შვილი დამილოცე, მკვდრეთით აღმდგარი ვაჟკაცი მიდღეგრძელე.

— Что она хочет?

— Просит, чтобы вы выпили.

— Не положено, но раз просит...

— ჩემი ლამაზი შვილი, ჩემი ზალიკო, ჩემი ხუჭუჭა ბიჭი ცოცხალია...

— ელენე მასწავლებელო, ჩვენ აქ იმისათვის მოვედით, რომ...

— თქვი, თქვი, შვილო, ნუ გერიდება.

— იმისათვის მოვედით, რომ ზაა...ლი ტყვედ ჩავარდა.

— მერე, მერე?

— თანახმად მთავრობის გადაწყვეტილებისა თქვენ უნდა...

— რა, რა უნდა ვქნა?

— უნდა გადაგასახლონ — ძლივს ჩაათავა ავთანდილმა.

— უნდა გადამასახლონ, რატომ?

— შვილის დანაშაულის გამო.

— ჩემო ავთანდილ, ზაალი დანაშაულს არასოდეს ჩაიდენდა, ისე არ მყავდა გაზრდილი, აქ რაღაც შეცდომაა, ვიღაცას ნამდვილად შეეშალა, სხვებსაც ასახლებენ?

— დიახ...

— წამოვალ, მერე რა მოხდა, თუნდაც ჯოჯოხეთში წავალ, მოუსავლეთში, რაკი ჩემი ზაალი ცოცხალია.

— ტანსაცმელი მოამზადეთ, ჩაალაგეთ, წამოიღეთ, რაც გინდათ.

— არაფერი მინდა, შვილო, ზაალის სიყვარული გადამატანინებს ყველა გასაჭირს...

— თბილი ტანსაცმელი წამოიღეთ, ელენე მასწავლებელო...

— არ მინდა, ავთანდილ, აი, ხომ ხედავ თბილად მაცვია, ან კი სხვა რა მაქვს ისეთი, წასაღებად რომ ვარგისი იყოს.

— გეხვეწებით, ელენე მასწავლებელო, წამოიღეთ რამე!

— არ მინდა, ავთანდილ, ზაალის სურათი ავგაროზივით გულთან მიკიდია და ეს მათბობს.

— Она что, ничего не берет?

— Нет...

— Жаль...

— გთხოვთ, ელენე მასწავლებელო, გევედრებით, წამოიღეთ რამე!

— ჩუ, გესმის ავთანდილ?

— არა, რა უნდა მესმოდეს?

— სადღაც მღერიან...

სიმღერამ მართლაც შემოაღწია დაგმანულ ოთახში.

— ემღერებათ და მღერიან, — ჩაილაპარაკა ავთანდილმა და ფანჯარაში გაიხედა.

— რატომ მარტო იმათ, ჩვენც გვემღერება — ქალმა ჩაიმუხლა, ტახტიდან შავ ნაჭერში შეხვეული პატარა ჩემოდანი ამოიღო, მაგიდაზე შემოდო, ახმიანდა დიდი ხნით დამუნჯებული, დაკუტული, სადღაც მიგდებული პატეფონი. მდუმარება გაჰკვეთა ვიღაცის წკრიალა ხმამ. აჰყვა სიმღერას ოჯახის დიასახლისი, გვერდში ამოუდგა, ხმა შეუწყო, გაბზარული, მაგრამ დაშაქრული, მდუღარე კი არა, დადუღებული, მჭექარე კი არა, მოღიღინე.

სასულეს აწვებოდნენ გულიდან ამოსროლილი ბგერები და სიმღერის ენით გამოსცემდნენ სიხარულსა და სიყვარულს.

— Она что, с ума сошла?

— Я бы не сказал...

მასწავლებელმა ფანჯარას გახედა, ასეთივე იყო ზაალის დაბადების დილაც, ღამემ წაიღო ტანჯვა, წამება, შორს გადაიკარგა მშობიარეს ტკივილი და ვაება. მის მაგივრად მზესთან ერთად ახალი სიცოცხლე დაიბადა და ქვეყანას ამცნო თავისი მოსვლა ომახიანი ამოძახილით.

— Быстрей, быстрей...

გამოიკეტა ზანდუკელიანთა სახლის კარები, ბოქლომი დაედო მამა-პაპათა ნაფუძარს, სინათლე და ცეცხლი ჩაქრა ერთ დროს მხიარულ თბილ ოჯახში. კენტად შემორჩენილმა ქალმა დატოვა სააკვნეთი. უეცრად შეჩერდა, ერთი წუთით, ჩაილაპარაკა და კარის მეზობელ გოგიაანთ ფანჯარას აუტეხა გამხმარი თითებით კაკუნი. მოხუცებულმა გამოყო თავი და როცა შინსახკომის ორ ოფიცერს შორის ჩამდგარი ელენე დაინახა, შეცბა, დაიზაფრა.

— ეს გასაღები თქვენთან იყოს, ქალბატონო თამარ, ზაალი ჩამოვა და იმას მიეცით, — შეტრიალდა და ისევ იმათ ამოუდგა გვერდით.

— ვინა, ვინ ჩამოვა?

— ზაალი, ზაალი...

— ვინა, ვინა?

— ჩემი შვილი...

ნავთლუღის რკინიგზის სადგურიდან ელექტრომავალი მთელი სისწრაფით მიაქანებდა მატარებელს. ხის ვაგონებში გამომწყვდეულ მგზავრებს გაურბოდნენ მთები, ველები, ხეები, ბაღ-ვენახები, სახლები, ეზოები... ღიობებზე, ნასვრეტებზე შუბლმიდებულნი ემშვიდობებოდნენ მშობლიურ მიწა-წყალს. ისმოდა წყევლა, კრულვა, გოდება, ჩივილი, ტირილი. მხოლოდ ერთ ქალს დასთამაშებდა სახეზე ღიმილი, კუთხეში მიმჯდარს ხელში პატარა სურათი ეჭირა და თავისთვის ლოცულობდა თუ ლაპარაკობდა, ძნელი გამოსაცნობი იყო.

# მიცვალებულის განაბან წყალში დიდ ფულს მიხდიდნენ...

„მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, მაგრამ ახლა უკვე მჯერა წინა ცხოვრებისა, რადგან ჩემს ამქვეყნიურ ტანჯვას სხვა ახსნას ვერ ვუძებნი, წინა ცხოვრების ცოდვების გარდა, რომელმაც თავის მოკვლამდე მიმიყვანა.

ბედნიერი ვიყავი მხოლოდ ერთხელ, როდესაც სასურველმა მამაკაცმა ხელი მთხოვა. მალე შევნიშნე, რომ ჩემს მეუღლეს გული სხვისკენ მიუწევდა, გავიგე მისი საყვარლის ვინაობა. ყველა ღონე ვიხმარე მათ დასაშორებლად, მაგრამ ამაოდ! მაშინ იმ წყეულ მოლას მივაკითხე: მისი ჯადო-წამლით საყვარლებმა ერთმანეთი შეიძულეს, მაგრამ მოლამ საფასურად ფიზიკური სიახლოვე მთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საიდუმლოს გავამხელო, დამემუქრა. იძულებული გავხდი, დავმორჩილებოდი... მაგრამ ეს საკუთარ თავს ვერ ვაპატიე. ყველას გთხოვთ, მაპატიოთ, აქამდე სიყვარულმა მიმიყვანა. ალბათ, ამას ღმერთიც გამიგებს და, რომ გაიზრდება, ჩემი პატარა თამუნაც“.

— დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი დატოვა ორმოც წლამდე ასაკის ქალბატონმა, რომელსაც ბალზამი მე თვითონ გავუკეთე, — მითხრა ბალზამის ოსტატმა გურგენ მინასიანმა, — ასეთი მისტიკური რამ არაერთხელ შემხვედრია, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი, რატომღაც ფანტაზია მეგონა.



ერთხელ, ორგან გავაკეთე ბალზამი. შინ დაბრუნებულს იქ უცხო მამაკაცები დამხვდნენ. გულმა რეჩხი მიყო — არ მესიამოვნა მათი დანახვა. ვიფიქრე, ჭირისუფლები არიან-მეთქი, მაგრამ იმდენად დაღლილი ვიყავი, რომ სამუშაოზე უარის თქმა მინდოდა. მათ კი მიკიბვ-მოკიბვით დამიწყეს ლაპარაკი. რა უნდოდათ, ვერ მივხვდი. ბოლოს, როგორც იქნა, გამაგებინეს, — მიცვალებულის განაბან წყალს ვიყიდით, რა ფასსაც დაგვისახელებ, გადაგიხდითო. ხომ არ მომეყურა-მეთქი და რამდენჯერმე გავამეორებინე კითხვა. — ვაჭრობა არ შეგვიძლია, — ისეთ ფასს ნუ გვეტყვი, რომ ვერ გადავიხადოთო. შემეშინდა, ძლივს ამოვილუღლუღე, რად გინდათ-მეთქი. ეს უკვე ჩვენი საქმეა, მაგას აღარავინ გეკითხებაო, — მკაცრად მითხრეს. ვერც კი ვუთხარი და ვერც — არა. ვნახოთ, თუ საშუალება მექნება... ტელეფონი დამიტოვეთ-მეთქი. თვითონვე მოგძებნითო, მითხრეს და წავიდნენ. სამიოდე თვის შემდეგ ისევ გამოჩნდნენ, სახლთან დამხვდნენ. ავტომანქანის უჯრა გადმოხსნეს და ფული დამანახვეს, — ახლავე გადაგიხდითო. ეს უკვე თხოვნას ჰგავდა. ისეთი ტონით მელაპარაკებოდნენ, როგორითაც ნარკომანი გადამყიდველს, წამალი მომყიდე, ცუდად ვარო. ამიტომ ვცადე, გამერკვია, რად უნდოდათ, მაგრამ პასუხი ვერა და ვერ მივიღე. ჩემს კოლეგებსაც ვუამბე, ბევრს არც გაჰკვირვებია. თურმე მათთვისაც უთხოვიათ წყალი; მიგვიციაო — მითხრეს, მაგრამ მომეჩვენა, რომ ტყუოდნენ. ერთმა მითხრა, მაგები არიანო, მეორემ სატანისტებად მონათლა, მესამემ არ დაიჯერა და ა.შ. ერთ-ერთმა გამაცნო თავისი მეზობელი ქალბატონი, რომელმაც მიამბო: „ოჯახში ძალიან გვიჭირდა, ქმარი ნაავარიევი იწვა, სამსახურში თვეობით არ გვაძლევდნენ ხელფასს. გაჭირვებამ თავგზა ამიბნია. ერთმა ჩემმა თანამშრომელმა დახმარება შემომთავაზა, ვიცოდი, რომ სექტანტი იყო, მაგრამ ამას ყურადღება არ მივაქციე. წამიყვანა ვიღაცის სახლში — ბინა ნახევრად სარდაფი გახლდათ. მოსაცდელში ვიღაცას ველოდით. კარი გაიღო და ოთახიდან ათიოდე ხანში შესული, დაახლოებით 50-60 წლამდე მამაკაცი გამოვიდა. გამიკვირდა კიდეც, ამდენი სული ასე ჩუმად როგორ იჯდა-მეთქი. ოთახში ის ჩემი თანამშრომელი შევიდა, ცოტა ხანში მეც შემიყვანა და დამტოვა. დიდებულ სავარძელში, მდიდრულ მაგიდასთან 60 წელს მიტანებული, ვერცხლისფერთმიანი ახოვანი მამაკაცი იჯდა. დაჯექიო, — მანიშნა, თქვენი გაჭირვების შესახებ შემატყობინესო, — მითხრა. ჩემი სახელი და გვარი ჩაიწერა, წიგნი გადმოიღო, რაღაც ამოიკითხა, მაგიდაზე დადო და მთხოვა, მეთქვა მდიდარი კაცის, რომელსაც პირადად ვიცნობდი, მხოლოდ სახელი; დავუსახელე, მერე ფიზიკურად ძლიერი კაცის სახელის თქმა მთხოვა და ასე, ბედნიერის, იღბლიანის... მოკლედ 12 სახელი ჩამოწერა. სახელის დაწერამდე ამ მუქ წითელ წიგნს ხელს ადებდა...

არ გასულა დიდი ხანი, რომ ჩემი ოჯახის საქმე გამოკეთდა: ქმარი ფეხზე დადგა, სამსახურში ხელფასი დაარიგეს, თუმცა უკვე არც მჭირდებოდა ფული, რადგან მოულოდნელად, რაღაც საქმე გამომიჩნდა და საკმარისად ვიშოვე. ოჯახმა თვალში გამოიხედა, მაგრამ ნეტავ არ გამოეხედა. ის მდიდარი კაცი, რომელიც დავასახელე, ავარიაში მოყვა და მკურნალობაზე იმდენი ფული დახარჯა, რომ ბინის გაყიდვა მოუწია. გაუბედურდა თითქმის ყველა ჩემ მიერ დასახელებული ადამიანი. მაშინღა მივხვდი, რაც მოხდა. როგორც ჩანს, მერე მათაც მიმართეს მკითხავებსა და მაგებს და ყველამ თავისი კარმა დაიბრუნა. ჩემი საქმე კი ისევ უკან წავიდა. მოძღვარს აღსარებაში ყველაფერი გულწრფელად ვუთხარი. შემინდო, თუმცა ცოდვა ბოლომდე არ მაქვს გამოსყიდული. ამის შემდეგ, არც მიცდია გამერკვია, ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვისთანაც მიმიყვანეს, რა უნდოდათ, ან რატომ დამეხმარნენ. აღსარების შემდეგ სიზმარი ვნახე. ბევრი ხალხი იდგა, სათითაოდ მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ — გაპატიებთ, რაც ჩაიდინე, თუ აღარ გაიმეორებო“.

გურგენ მინასიანს პარაფსიქოლოგ შენგელაიასთვის უკითხავს, — ჯადო მითია თუ რეალობაო?

— ხშირ შემთხვევაში, ე.წ. ჯადო კეთდება მგლის ან ვირის ქონით, რადგან ისინი უარყოფით მუხტს ადვილად იღებენ. ადამიანს გარშემო არტყია ბიოველი, სწორედ ეს ბიოველი იღებს ამ უარყოფით ენერგიას და თანდათან აწვდის ფიზიკურ სხეულს, ადამიანი თავს ცუდად გრძნობს, უზიანდება აურა...

ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ამ ქონს არ მოაცილებთ. ყოველივე ეს ახალი არ არის, ისევე როგორც სატანიზმი — რადგან არსებობს ღმერთი, ცხადია, მისი ანტიპოდიც იქნება. ასევეა ხილული და უხილავი სამყაროები. სამწუხაროდ, უხილავი სამყაროს შესახებ ძალზე ცოტა რამ ვიცით, ეს უკანასკნელი კი ხილულზე გაცილებით დიდია. ხილულია ის, რასაც ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ, ადამიანის ხედვის არე გარკვეულ ჩარჩოშია მოქცეული, მის იქით კი ვერას ვხედავთ. უხილავი კი, ვინ იცის, რამხელაა...

***თამაზ ხაბეიშვილი***

# ფილიპინელი ჰილერების სასწაულები

რამდენიმე ათეული წელია, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მეცნიერები და მედიკოსები ცდილობენ ამოხსნან ფილიპინელი ჰილერების ხელოვნების საიდუმლო. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ოპერაციას შიშველი ხელებით, უანესთეზიოდ და თანაც ანტისანიტარიულ პირობებში აკეთებენ, საოპერაციოდ საჭირო ადგილს იდეალური სიზუსტით და სავსებით უმტკივნეულოდ ხსნიან. პაციენტის ინფიცირების ან ოპერაციის შემდგომი გართულების შემთხვევები არ დაფიქსირებულა. ოპერაცია ელვის უსწრაფესად კეთდება, — ნაიარევი სხეულზე არ რჩება.



ზოგჯერ ჰილერი პაციენტის ორგანიზმიდან ქსოვილის ნაჭრებს იღებს. 1992 წელს ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ჰილერმა ხოსე სეგუნდომ შვეიცარიის ქალაქ ბაზელში მედიკოსთა კონგრესს თავისი ხელოვნება აჩვენა, მაშინ გაკეთდა ამოღებული ქსოვილის ანალიზი და დაადგინეს, რომ იგი ადამიანის სხეულს არ ეკუთვნის! თავად ჰილერები ამ ფაქტს ასე ხსნიან — ამოღებული ქსოვილი პაციენტის ავადმყოფობის მატერიალიზებული სიმბოლოა, რომელსაც თავად ჰილერები ხელებით შეიწოვენ, ავადმყოფის თვალწინ სანაგვეში მოისვრიან და პაციენტიც სამუდამოდ თავისუფლდება.

„ის, რაც ხელით ამომაქვს, მატერიალიზაციის შედეგია. მე დაავადების ნეგატიური ენერგიის მატერიალიზებას ვახდენ, — ამბობს ხოსე სეგუნდო — თუ პაციენტი ამას ირწმუნებს, მორჩება. მკურნალი რწმენაა და არა მე. რწმენა ღმერთისა და შემდეგ რწმენა ჩემი, როგორც მკურნალისა... თავად მკურნალობის ნიჭი ხომ ღმერთისგან მივიღე“...

1997 წელს ხოსე სეგუნდომ პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში ასეულობით ადამიანი განკურნა. პაციენტების უმრავლესობას მაშინვე გაუქრა ნაირგვარი სიმსივნე, ნორმალურ მდგომარეობას იღებდა გადიდებული ფარისებრი ჯირკვალი, აღუდგათ მხედველობა, სახსრები მოქნილი და იოლად მოძრავი ხდებოდა. ადგილობრივი ფოტორეპორტიორი, რომელიც ოპერაციებს ესწრებოდა, გაოგნებული იყო. ხოსე სეგუნდომ და მისმა ასისტენტმა მას თავიანთი ზებუნებრივი ძალა სხვა მხრივაც აჩვენეს — რამდენჯერმე ფოტოაპარატის ბლოკირება მოახდინეს ისე, რომ მისკენ არც გაუხედავთ. აპარატი მხოლოდ მაშინ ამუშავდებოდა, როცა ჰილერები მოისურვებდნენ.

კატოვიცეში ჩატარებული ყველა ოპერაცია დოკუმენტურადაა დაფიქსირებული, მათ ნამდვილობასა და შედეგების ეფექტურობაზე დაეჭვება კი საფუძველს მოკლებული.

***კალეიდოსკოპი №30***



# წინასწარმეტყველი ესაია

წმინდა წინასწარმეტყველი ესაია წარმოშობით სამეფო ოჯახიდან იყო. მამამისმა, ამოსმა შვილს ბავშვობიდანვე ჩაუნერგა ღვთის სიყვარული. როცა სიმწიფის ასაკს მიაღწია, უფლის განგებით, იგი იუდაის მეფე ოზიას სამფლობელოში მოხვდა, სადაც წმინდა ესაია დაახლოებით 60 წლის მანძილზე წინასწარმეტყველებდა. ღვთის სათნო საქმიანობას სანამ შეუდგებოდა, ძველი აღთქმის ევანგელისტი საოცარი ხილვის ღირსი შეიქნა: მას მაღალ ტახტზე მჯდომარე ღმერთი გამოეცხადა. ტახტი დიდებულ ტაძარში იდგა და გუნდრუკი იკმეოდა. ღმერთს გარს ექვსფრთიანი სერაფიმები ეხვია. გრგვინვას ჰგავდა მათი შეძახილები: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ! სავსე არს ყოველი ქვეყანა დიდებითა მისითა!“

წინასწარმეტყველმა ესაიამ მუხლი მოიყარა, თაყვანი სცა და თავზარდაცემულმა შეჰყვირა: „მე, უბადრუკმა, არაწმიდათა შორის მცხოვრებმა და არაწმიდა ბაგეთა მქონებელმა, ვიხილე უფალი საბაოთი!“ ერთ-ერთმა სერაფიმმა უფლის საკურთხევლიდან გავარვარებული ნაკვერჩხალი აიღო, ესაიას ბაგეთ შეახო და უთხრა: „აჰა, შევახე ესე ბაგეთა შენთა და მოგისპნეს უსჯულოებანი შენნი და ცოდვანი შენნი განწმინდეს“.

და გაგზავნა იგი ღმერთმა იუდეველებთან, რათა უარეყოთ მათ კერპთაყვანისმცემლობა და მოენანიებიათ უსჯულოებანი.

წინასწარმეტყველმა ესაიამ დატოვა წიგნი, სადაც ამხელს იუდეველების არაწმინდა ცხოვრებას, წინასწარმეტყველებს ისრაელის შვილების ტყვეობასა და მათ გამოხსნაზე მეფე კვიროსის მიერ; იერუსალიმისა და მისი ტაძრის დამხობასა და შემდეგ აღდგენაზე. ამასთან, იგი იუდეველების მეზობელი ხალხების ისტორიულ ბედსაც გვამცნობს. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ესაია საოცარი სიცხადით და დაწვრილებით აღწერს მესიის — იესო ქრისტეს მოვლინებას. წინასწარმეტყველი მესიას ღმერთსა და ადამიანს, ყველა ხალხის მოძღვარს, სიყვარულისა და მშვიდობის ფუძემდებელს უწოდებს. წინასწარმეტყველმა იცოდა, რომ მესია ქვეყანას მოევლინებოდა წმინდა ქალწულისგან. დაწვრილებით აღწერა მისი ტანჯვა ადამიანთა მოდგმის ცოდვებისთვის, მისი აღდგომა და მისი ეკლესიის მსოფლიოში გავრცელება. წინასწარმეტყველებათა საოცარი სიზუსტის გამო ესაიას ძველი აღთქმის ევანგელისტი უწოდეს.

წმინდა წინასწარმეტყველ ესაიას სასწაულმოქმედების ნიჭიც ჰქონდა მიმადლებული ღვთისგან. როცა იერუსალიმს მტერი უტევდა და ხალხს წყურვილი ახრჩობდა, ესაიამ სიონის მთისგან წყარო გადმოაჩუხჩუხა თავისი სასწაულმოქმედი ლოცვით. წყაროს „სილოამი“ — „ღვთისგან წარმოგზავნილი“ უწოდეს. სხვათა შორის, რამდენიმე ასეული წლის შემდეგ მაცხოვარმა ამ წყაროს წყალზე გაგზავნა ბრმადშობილი, რომელსაც განბანვის შემდეგ თვალი აეხილა. ესაიას ლოცვებით, ღმერთმა მეფე ეზეკიას 15 წლით გაუხანგრძლივა სიცოცხლე.

წინასწარმეტყველი ესაია მოწამებრივად აღესრულა. იუდაის მეფე მაჰასიას ბრძანებით, იგი ხის ხერხით გადახერხეს. ნეშტი სილოამის ახლოს დაკრძალეს. მოგვიანებით მეფე თეოდოს-უმცროსმა წმინდა წინასწარმეტყველ ესაიას წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში, წმინდა ლავრენტის ტაძარში გადაასვენა.

დღეს წმინდა ესაიას თავის ნაწილი ათონის მთაზე, ქილენდარის მონასტერში ინახება.

***ნლო №21***

# ტესტი ანალიზ-სინთეზის უნარი

***მეთოდი (რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ) იკვლევს ადამიანის ფსიქიკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის, აზროვნების, კერძოდ ანალიზ-სინთეზისა და მსჯელობის თანმიმდევრობის უნარს. ქვემოთ ჩამოთვლილ სტროფებში ერთი სიტყვა გამოყოფილია, ხოლო დანარჩენი ოთხი ფრჩხილებშია მოთავსებული. ეს უკანასკნელნი ლოგიკურად გარკვეულ კავშირშია გამოყოფილ სიტყვასთან. თქვენი ამოცანაა, ოთხი სიტყვიდან გამოყოთ მხოლოდ ორი სიტყვა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ძირითად, ანუ გამოყოფილ სიტყვასთან. მაგალითად: ბაღი (მცენარე, მებაღე, ღობე, მიწა). უნდა გამოიყოს ორი, ყველაზე აუცილებელი სიტყვა. ამ შემთხვევაში ესენია: მცენარე და მიწა.***

1. მდინარე (ნაპირი, თევზი, მეთევზე, წყალი)
2. ქალაქი (ავტომობილი, შენობა, ხალხი, ქუჩა)
3. ფარდული (საბძელი, სახურავი, საქონელი, კედლები)
4. კუბი (გვერდები, ნახაზი, კუთხეები, ხე)
5. გაყოფა (კლასი, გასაყოფი, ფანქარი, გამყოფი)
6. ბეჭედი (დიამეტრი, ალმასი, სიმრგვალე, ქორწილი)
7. კითხვა (თვალები, წიგნი, სურათი, ნაბეჭდი)
8. გაზეთი (სიმართლე, ქაღალდი, რედაქტორი, მასალა)
9. ომი (ვერტმფრენი, ქვემეხი, ბრძოლა, ჯარისკაცი)
10. მგზავრობა (ფული, ტრანსპორტი, მგზავრი, ბილეთი)
11. საავადმყოფო (მთავარი ექიმი, ავადმყოფი, წამალი, საწოლი)
12. ქორწილი (მაყრიონი, ნეფე, ბეჭედი, დედოფალი).

*დავალების ამოხსნის მაქსიმალური დრო 10 წუთია. სწორი პასუხი ფასდება 3 ქულით.*

*ორი სიტყვიდან ერთი სწორი პასუხი — 2 ქულით;*

*თუ მოცემულ დროში ვერ ჩაეტიეთ, ქულათა რაოდენობას გამოაკელით 5 ქულა.*

**სწორი პასუხები:**

1. ნაპირი, წყალი
2. შენობა, ქუჩა
3. სახურავი, კედლები
4. კუთხეები, გვერდები
5. გასაყოფი, გამყოფი
6. დიამეტრი, სიმრგვალე
7. თვალები, ნაბეჭდი
8. ქაღალდი, მასალა
9. ბრძოლა, ჯარისკაცი
10. ტრანსპორტი, მგზავრი
11. საწოლი, ავადმყოფი
12. ნეფე, დედოფალი

**დაითვალეთ ქულები:**

**30-36 ქულა** თქვენ კარგად განვითარებული ლოგიკური აზროვნებისა და ანალიზ-სინთეზის უნარი გაქვთ.

**20-29 ქულა** მცირე ხარვეზი ან თქვენს გაფანტულობაზე მიუთითებს, ან მოძრაობათა შენელებაზე.

**10-19 ქულა** ლოგიკური აზროვნების განსავითარებლად ვარჯიში გჭირდებათ, არც მსჯელობათა სისწრაფის ვარჯიში გაწყენდათ.

**0-9 ქულა** გულს ნუ გაიტეხთ; ფაქტი, რომ თქვენ ტესტი შეასრულეთ, თავისთავად დასაფასებელი და იმედის მომცემია.

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I კროსვორდი**

**შვეულად:** 1. ქლიავი; 2. ძეხვსაო; 3. აქლემი; 4. კვიცი; 5. კბილი; 7. ხახვი; 9. ენდრო; 10. პასკა.

**თარაზულად:** 4. კაკალი; 6. ცელქი; 8. ციცინათელა; 10. პავლე; 11. მარილი; 12. დევი; 13. სკამი; 14. სპილო.

**II** ანტილოპა.

**III** „ილი“.

**IV** ა) ვარდია; ბ) კუ;

**V** 1. გ) ლეონარდო და ვინჩი;
2. დ) ოსმალეთი;
3. ა) ე. ამაშუკელი.

**VI** პასუხის არაერთი ვარიანტი არსებობს. ჩვენ გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს

| | | |
|---|---|---|
| 6 | 1 | 8 |
| 7 | 5 | 3 |
| 2 | 9 | 4 |

# „ჩემო ციცინათელას“ ვმღეროდი და ბანს ოქტავით დაბლა პოლ რობსონი აბუბუნებდა“...

***„კაცი, რომელიც იცინის“ — უმთავრესად ასე იცნობენ მას... „კვირის პალიტრისთვის“ მიცემული ეს ინტერვიუც, ალბათ გიზო ნიშნიანიძის „სიცილის არქივის“ განუყოფელი ნაწილი გახდება.***

**— ბატონო გიზო, თქვენ სიცილით დაიწყეთ ცხოვრება...**

— დავიწყე და არცა ვნანობ. სიცილი ბრწყინვალე იარაღია სიცოცხლისათვის, ის ბოლო იარაღი, რომელსაც ვერ წაართმევ ადამიანს. შეიძლება კაცი დასახვრეტად ჰყავდეთ კედელთან მიყუდებული და ერთი წუთის შემდეგ გასროლაც მოხდეს, მაგრამ... გაიცინებს, სიკვდილს დასცინებს და ტყვიას



სიცილით დაგიბრუნებს გულში. სიცილი არ შეიძლება ბოროტებას ემსახურებოდეს, იგი სიკეთის კუთვნილებაა მხოლოდ. იუმორმა საბოლოოდ განსაზღვრა ჩემი მომავალი პროფესია.... ერთხელ ვდგავართ „ზემელზე“ და ვხუმრობთ... ჩამოიარა იოსებ ნონეშვილმა და მითხრა, წამოდი, ბიძია, შენ ჩემთანო. ჩვენ „ნიანგში“ სიცილში ფულს ვაძლევთ და ბარემ იქ იხუმრეო. ვიფიქრე, ხუმრობაში თუ ფულს აძლევენ, გავკეთებულვარ და ეს არის-მეთქი. მაშინ მეცხრე კლასში ვიყავი. სხვათა შორის, ჩემი პირველი ხუმრობაც მახსოვს „ნიანგში“: თანამშრომელი დირექტორს სთხოვდა, ისეთი დახასიათება მომეცი, წუხელ სადღეგრძელოში რომ მითხარიო.

**— თქვენივე ფრაზაა: „ვინც ბევრს იცინის, ის დიდხანს ცოცხლობს“... მიიჩნევთ თუ არა, რომ დღეს „ცოცხლობს“ გიზო ნიშნიანიძე, ხომ არ დაკარგეთ სიცილის უნარი?**

— დღეს ისეთი დროა, გაცინება ცოტა უხერხულობაში ჩაგაყენებს ადამიანს. ერთხელ სარკეში მოვკარი თვალი და მივხვდი, სიცილი დამიმახინჯდა... ეს, ალბათ, დღევანდელი მდგომარეობის „დამსახურებაა“. ადრე მოწყენილი კაცი რომ მინახავს ქუჩაში, გამოვკიდებივარ, რომ გამეხიარულებინა. ახლა რამდენ ერთს გამოვედევნო?

კაცმა რომ გკითხოს, როგორა ხარო და რომ უთხრა, კარგადო, იფიქრებს, ეს კაცი ვერაა კარგად, რა დროს კარგად ყოფნააო? როცა მინდა, თავი გავიმხიარულო, ყოველთვის ვიხსენებ „ძველი ვოდევილებიდან“ გოძიაშვილის ფრაზას, ქალი რომ ეკითხება: მზადა ხარ, საყვარელი ქალისათვის მსხვერპლი გაიღოო? და რომ პასუხობს: მერე მე არაფერი მამივაო?

**— ბატონო გიზო, სიცილს სიმღერაც უხდება... თქვენ მღერით?**

— თანაც იმდენად კარგად, ზოგჯერ სინანულის გრძნობაც გამკრავს, ხომ არ შევცდი პროფესიის არჩევაში... სიმღერაზე ასეთი ხუმრობა გამახსენდა: ერთი ჭკუამხიარული მივიდა ოპერაში — მამღერეთო... ხმა გაქვსო? — რომ ჰკითხეს, — ხმა არა, მაგრამ ხოში მაქვსო... ეს მე ნამდვილად არ მეხება, უფრო მეტიც, თუ როგორ აჯობა კორესპონდენტ გიზო ნიშნიანიძეს მომღერალმა გიზო ნიშნიანიძემ ამის ერთ მაგალითსაც გიამბობთ:

ერთხელ, გემ „როსიათი“ მოგზაურობის დროს, როცა ჩვენი თბომავალი სოჭის სანაპიროს მიადგა, ადგილობრივმა რადიოქსელმა არაჩვეულებრივი ინფორმაცია გვამცნო... სულ ცოტაც და, გემის ტრაპზე თავის ზანგ მეუღლესთან ერთად, გამოჩნდა თაყვანისმცემლებსა და ყვავილებში ჩაძირული ცნობილი ამერიკელი მომღერალი პოლ რობსონი.

ღმერთმა უწყის, რა ამბავი დატრიალდა. აზანზარდა გემბანი, ხალხი მიაწყდა სტუმარს, ყველას სურს, საკუთარი თვალით იხილოს დიდი მომღერალი.

პოლ რობსონს კორესპონდენტთა მთელი ამალა ახლავს. ისინი თავიანთ ჟურნალ-გაზეთებში პირდაპირ ბორტიდან გზავნიან რადიოგრამებს... მაშ, მე ვიღა ვარ? მეც ხომ კორესპონდენტი მქვია. როგორ, ასეთი დიდებული შემთხვევის მოწმე გავხდი და ეს შესაძლებლობა ხელიდან გავუშვა?! არა, აუცილებლად უნდა მოვახერხო მისი ნახვა. წუთიც კი ძვირფასია. თუმცა, ასევე ძვირფასია აქ მყოფი ყველა ჟურნალისტისთვის, რომლებიც ასე ბევრნი არიან. ძნელია ასეთ დროს წარმატებას მიაღწიო, მაგრამ ჩვენ, კორესპონდენტები, ის ხალხი ვართ, ვინც უკან დახევა არ ვიცით... ვახშამი დასრულდა. თვალი მოვკარი, როგორ აცილეს რობსონი კაპიტნის ხიდურზე. ბოგირზე გაკრულია წარწერა: „გზა არ არის“ ჰმ, ადვილი სათქმელია — გზა არ არის!!! საწერ-კალამი და ბლოკნოტი მოვიმარჯვე და...

— სდექ! საით?

— კაპიტანთან-მეთქი, — ვიცრუე.

...ვინ მოთვლის რამდენი ბარიერი გადავლახე და რამდენი კიდევ გადასალახი დამრჩა. დაბოლოს, ნერვებმა მიმტყუნა და...

— რას მარბენინებთ აქეთ-იქით, თქვენი პატარა ბიჭი ხომ არა ვარ, სად არის რობსონი?

ჩემგან მოშორებით, მესამე სავარძელში შეირხა გოლიათური ფიგურა და სიცილით გამომიწოდა ვეებერთელა ხელი — „სით დაუნ“. გავშრი. დაჯდომა რომ არ ეთხოვა, მოულოდნელობისაგან, ალბათ თავს ვერ შევიმაგრებდი.

— პოლ რობსონი! — მითხრა გაცნობისას.

წავთამამდი და:

— აკი, მეც ამ პლანეტაზე ვცხოვრობ და როგორმე ვიცი თქვენი სახელი-მეთქი.

გავუღიმე, ვინაობაც გამომკითხა.

— თბილისელი ვარ, გაზეთ „თბილისის“ თანამშრომელი.

— ოო, ისევ კორესპონდენტი... თუმცა, თბილისელ კორესპონდენტთან საქმე დღემდე ნამდვილად არ მქონია.

ვგრძნობ, პოლ რობსონს საზღვარგარეთელი თუ ჩვენი ჟურნალისტებისაგან საშველი არა აქვს და ეს დაუსრულებელი კითხვა-პასუხიც ყელში აქვს ამოსული. მაინც მოვიმარჯვე ავტოკალამი.

— ინტერვიუ გსურთ?.. რით დავიწყოთ, დამრჩა კი რამე უთქმელი? არა სჯობს ქართულად მიმღეროთ რამე? — მითხრა სრულიად მოულოდნელად.

უყოყმანოდ კი დავეთანხმე, მაგრამ, რომ იცოდეთ, რამდენი რამ დამიტრიალდა თავში. ახლა იმაზე ვფიქრობდი, რომელი სიმღერა წამომეწყო და უცებ: „ჩემო, ციცინათელა, დაფრინავ ნელა-ნელა“... დავიწყე. ნეტა, ერთ ხმაში როგორ ისმინება „ციცინათელა“-მეთქი — ვფიქრობ ჩემთვის. და ვიღაცამ იქვე ჩინებულად მომიმღერა... ეხ, ახლა ბანი რად ღირს? — გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ აბუბუნდა მესამე ხმა, ბანი და თანაც, რა ბანი — ოქტავით დაბლა ბანს ამბობდა თავად პოლ რობსონი. სიმღერაც დასრულდა.

— ჩინებულია!.. ამბობს ბიძია თომას შთამომავალი გოლიათი ამერიკელი, — ვიმღეროთ კიდევ...

ჯერ „სულიკო“, შემდეგ „ისევ შენ და ისევ შენ“ დავამღერეთ. ამასობაში კიდეც გაშუაღამდა. სტუმარს მოსასვენებლად წასვლა სთხოვეს.

მან უარის ნიშნად თავი გააქნია და ისევ ავმღერდით.

„იავნანას“ რობსონი განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით მოეკიდა. მეც, ალბათ, ასეთი განცდით არასოდეს მიმღერია... ეს იყო დაუვიწყარი, სიზმარივით უცნაური სინამდვილე და მხოლოდ ზღვა და ხმელეთი იყო ამის მოწმე...

— გმადლობთ, — მითხრა გამომშვიდობებისას პოლ რობსონმა, — ასეთი „ინტერვიუ“ ჯერ არავისთვის მიმიცია.

ასე შედგა ინტერვიუ სიმღერით.

**— სიმღერა, ლექსი და თამადობა ერთი დიდი რიტუალია... თქვენზე გამიგია — სუფრასთან გიზო თუ ზის, თამადად არავინ დადგებაო...**

— ერთ ამბავს მოგიყვებით: ერთხელ კახეთში მიგვიწვიეს მე, ნოდარ დუმბაძე და „ნიანგის“ რამდენიმე თანამშრომელი. ნოდარს მაშინ ორი ინფარქტი ჰქონდა გადატანილი. მეც მქონდა მოხდილი ერთი პატარა მიკროინფარქტი. ისეთ ბიჭებში მოვხვდით, ნამდვილ გოლიათებში, ორმოცდაშვიდი ნომერი ფეხი ჰქონდა თითოეულს და მგონი, სამ-სამი მეტრი სიმაღლისანი იყვნენ. ნოდარს უთხრეს: „თქვენ უნდა იყოთ თამადა, თქვენ ლამაზად იჭრიალეთ, ჩვენ ვიქეიფებთო“. არლნის ვარიანტში გავყავდით, რა. ნოდარს გასამართლებელი ჰქონდა და არ დადგა. ასე რომ, ბოლოს მე მომიწია თამადობა. შევშინდი, კაცო, ამოდენა ბიჭებში... ღვინოს მე არ ვსვამ, არადა, კაი სუფრაა, კაი ქართული განწყობა, იყო საქართველოში ასეთი ბედნიერი დღეები... საყვედურიც კი გამოვთქვი ცოტა — მსგავსი არაფერი გამიგია, სტუმარი თამადად დაენიშნათ-მეთქი... არაო, ეგრე ვთქვით და ეგრე იქნებაო.

ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, არ შეეტყოთ, რომ არ ვსვამდი. გავილექსეთ, აქეთ ნოდარი, ხომ იცით, როგორი თანამეინახე იყო... აბა, აქეთ სიმღერები, აბა, კაი სადღეგრძელოები... სულ გულის პერანგები შემოვიხიეთ. კახელებს ჩავეხუტეთ, თანაც ძალიან მიყვარს კახელები. პოემაც მაქვს მათზე.

...ქეიფია ისეთი, კაციშვილს არ ახსოვს, ვსვამ თუ არა. სუფრა ისეთ ეშხში შევიდა, აღარც სიმღერა უნდათ წესიერად, აღარც არაფერი. მოგეხსენებათ, ქართველებმა სუფრის დაწყება ვიცით, დასრულება — არა. შინმოუსვლელთა სადღეგრძელოც კი დავლიეთ... ვხედავ, ერთი კახელი მიყურებს, თან ასლოკინებს: „ხალხო! მაიცათ, ეე არლანივით კაცი, ერთი საათია, ვუყურებ და წვეთს არა სვამს“... მიხვდით, ალბათ, რომ „არლანში“ მე ვიგულისხმებოდი. ნოდარს თუ დახმარება უნდოდა, იცოდა, როდის ან როგორ დაგხმარებოდა — სიმართლე გითხრათ, მეწყინა იმ კაცმა რომ გამამხილა და სლოკინ-სლოკინში რაღაცნაირად გააფუჭა ეს ჩემი თამადობა. ჩვენ უკვე ძმაკაცებად ვისხედით. ვიცოდი, ჩხუბი აღარ მოგვივიდოდა და ვუთხარი: შე ვირო, რაც ღვინომ უნდა გააკეთოს, მე ვაკეთებ, სადღეგრძელოებს კაის ვსვამთ, ვმღერით, ანეკდოტებსაც ვყვებით, ერთმანეთს ვეფერებით და თუ გინდა... უცებ ნოდარმა გააგრძელა: „თუ გინდა, ვეტყვი და დაასლოკინებს კიდევაც, რა არის, შენი ღვინო მეტს რას აკეთებს“ — კაი ნათქვამი იყო რა, მომეწონა... ატყდა ხარხარი. იმ კაცმა ესლა ამოთქვა, თქვენს პირში ჩემი მტერი ჩავარდესო.

**— ამბობენ, იუმორი სანახევროდ სიმართლეაო, თქვენს სამეგობროში ვინმე მტკივნეულად განიცდიდა თქვენს იუმორს?**

— მიმაჩნია, რომ იუმორი თავისი ხასიათით არასდროს არ არის მტკივნეული, ნახევარი ხომ მთქმელისაა, ნახევარი — გამგონის. ეს თუ ასე არ იქნა, რამდენიც არ უნდა ეცადო, შეიძლება კაცმა არ გაიცინოს. არის არაამოციური ქვეყნები, თუნდაც ისეთი უნიჭიერესი ქვეყანა, როგორიც იაპონიაა, ეგეთი წესი ჰქონიათ, თუ კაცი სერიოზულად ლაპარაკობს და უნდა იუმორზე გადავიდეს, აფრთხილებს — ახლა მე გადავდივარ იუმორზეო და ერთგვარად ამზადებს მათ. ჩვენთან კი, როცა სერიოზულად ლაპარაკობ, მაშინაც კი ხვდებიან, რაღაცას რომ ხუმრობ. ქართველებს ამას ნამდვილად ვერ დაუკარგავ... ჩემი მეგობრებიც ძირითადად, როგორც ყოველი ქართველი, იუმორის მატარებელნი არიან... თუნდაც ეს ფაქტი:

ერთხელ, ზემელზე მთვრალმა ბიძინა ავალიშვილმა გამიჩერა „ვოლგა“, რომელიც ლურსმნებდაუძრობელი ახალმორღვეული ლობით იყო გამოტენილი. ხათრი ველარ გავუტეხე, უფრო სწორად კი, ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე და მანქანაში ძლივს ჩავეკვეტე, რადგან ჩემმა მტერმა გაუწია წინააღმდეგობა მთვრალ ბიძინას, რომელიც, რამდენადაც ტკბილია სიფხიზლეში, იმდენად მწარე — სიმთვრალეში.

— ეს ძველი ღობე საიდან, ან რად გინდა-მეთქი?

— ერთმა კაცმა აგარაკისთვის მაჩუქაო, — მიპასუხა.

— მერედა, რაში გჭირდება?

— ვა, როგორ თუ რაში? შემოვავლებ ჩემს ბაღს და ვისი ხოშიც არა მაქვს, ეზოში არ შემოვასუნთქებ... აგერ მეათე რეისს ვაკეთებ უკვე, რომ იტყვიან, გავთავდი კაცი.

— რას წვალობ, მოგცლია ერთი.

— მა რა ვქნა?

— რა და, აიღე ერთი ბოძი, ჩაარჭე მიწაში, გაუკეთე დაფა და წააწერე: „მთვრალი ვარ, სახლში ვარ“ და კაციშვილი არ მოგეკარება-მეთქი.

გულიანად იცინა...

**— ბატონო გიზო, თქვენს თვალსაწიერში ცნობილი და საინტერესო ადამიანები ხვდებოდნენ. იქნებ გაიხსენოთ რომელიმე მათგანი?**

— ერთხელ „ზემელზე“ ვდგავართ და შექეიფიანებულმა კონსტანტინე ბატონმა ჩამოიარა თავისი მონადირე ძაღლით და ჩვენც ლეკვებივით ავედევნეთ — შინ მიგაცილებთ-თქო. ესიამოვნა. მიცნობთო? — რას ჰქვია, ბატონო, გიცნობთ, თქვენი ლექსები ზეპირად ვიციო, — დაუფიქრებლად უპასუხა ერთმა. სად გავპარულიყავი არ ვიცოდი. ვიფიქრე, ამ ჩვენს „თხა და გიგოს“ პოეზია და პროზა აერია. მოწიფულობაში მივხვდი, მაშინ რამ გადაგვარჩინა და ისიც, იმწუთს რა შეეძლო ეფიქრა ქართული პროზის მახვშს: რას ერჩი ამ ღლაპებს, პირველი მსოფლიო ომის დროს დაწერილი ჩემი ლექსებიც სცოდნიათო. მიგვაცილებინა თავი შინ, სუფრაზეც მიგვიწვია, დაგვლოცა და ჩვენი სალამიც აქიდან დაიწყო.

ბატონი კონსტანტინე არავის ჰგავდა, საკუთარი თავის გარდა. ის არასოდეს იტყოდა, არ მოიქცეოდა, არ ჩაიცვამდა, არ დაიხურავდა ისე, როგორც სხვა. ის თავისთავადი კაცი იყო. აგერ საუკუნეა, ერთ მეგრულ სიმღერას ვერ გაურკვევია „ქუდია თუ ბოხოხია“?“ მას კი მოსირმულ ჩოხაახალუხთან, წუღა-მესტებსა და ქამარ-ხანჯალთან ერთად თავს შესანიშნავი კრაველის ბოხოხი უმშვენებდა, რომელიც ნამუსის ქუდად ეხურა მთელ ქალაქს.

მახსოვს, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, როცა ხმა გავარდა, რომ იგი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ მეორე მდივანს კოვანოვს თარჯიმნით ეახლა — კეთილი ინებეთ და საქართველოში ქართულად მელაპარაკეთო!

კონსტანტინე ბატონი, ჩვენ, ქალაქელ პატარა ბიჭებს ტკბილეულივით გვირიგებდა სალამს, რაც ჩვენი კაცობის დასტური იყო და ჩვენი ღირსების პირველი კაპიტალი! ის იყო კაცი-ლეგენდა, რომელსაც ფეხდაფეხ დასდევდა ჩვენი თვალი, ყური, ქუჩა, ხუმრობა, მითქმა-მოთქმა, ათასი ტყუილი და მართალი...



**— იქნებ თქვენი ცხოვრებიდანაც გაიხსენოთ რაიმე. თუნდაც ის, თქვენს საბედოს ქ-ნ ლიანას სტალინისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე, საპატიო ყარაულში დგომა რომ არ აცალეთ... სტალინის სიყვარული იყო იმ წუთებში უპატიებელი, თუ თქვენი სიყვარული — მოუთმენელი და სულსწრაფი?**

— ეს ის პერიოდი იყო, როცა თვალი არ მიჩერდებოდა, მაგრამ ლიანას შემთხვევაში ძალიან დიდხანს გამიჩერდა თვალიც და გულიც. არ იყო ცუდი შესახედავი გოგო. ქართულის მოცეკვავე გახლდათ. სხვათა შორის, ვეფხვაძის ნახატში, შოთა რუსთაველი რომ თამარს უკითხავს „ვეფხისტყაოსანს“, თამარში ლიანას სახეა ჩახატული. დანიშნული კი იყო, მაგრამ სიყვარულმა არ იცის არც საზღვრები და არც წინაღობები.

1953 წლის 5 მარტი იყო. ჩემი მომავალი მეუღლე ვიღაც გოგოსთან ერთად სტალინის ბიუსტთან იდგა საპატიო ყარაულში... ჰოდა, ბოროტად ვისარგებლე „ჭირისუფლის“ მდგომარეობით და უფრო საპატიო რაღაცებზე დავუწყე ლაპარაკი, ის, რომ ცხოვრება წინ არის, მაინც გრძელდება... გოგო რომ ერთი საათი გამიჩერდებოდა, იმას თავბრუს ვერ დავახვევდი?

**— ე.ი. თქვენი სიყვარული ყოფილა მოუთმენელი.**

— ვერ გადავდე, სიყვარულის გადადება არ შეიძლება და... ფაქტობრივად მოვიტაცე. კრიმინალი რომ არ დარქმეოდა და სისხლის სამართლის საქმეში არ გადაზრდილიყო, ტრამვაით წავიყვანე, თერთმეტი ნომერი ტრამვაით. რას ვიტაცებდი, არ ვიცი, მაგრამ გამოუცდელი კაცი ვიყავი მაშინ (იცინის)... მამაჩემისაგან ჩაგონებული მქონდა, რძალი ყველა ოხერია, მაგრამ ლამაზი მაინც იყოსო... თბილისში ჩემს გასაცნობად ჩამოსულ ცოლისძმასთან შეხვედრა (მოყვრები კარგა ხანს ხმას არ მცემდნენ) კაკო ყაჩაღისა და ზაქროს შეხვედრას ჰგავდა. იმის შემდეგ ერთად მიგვაქვს ეს წუთისოფელი.

**— კაცი, რომელიც იცინის, როგორია ოჯახში?**

— შინ ვარ კაცი, რომელიც არ იცინის. არ ვიცი, ეს შეურაცხყოფას მაყენებს თუ არა, მაგრამ ოჯახში გუინპლენს ვგავარ. როგორც კი სხვას დავინახავ მოწყენილს, აი, მაშინ ვრთავ ხოლმე რეგისტრს, თორემ საკუთარი თავისთვის მოწყენილი კაცი ვარ.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ იუმორი გაჩენილია ნაკლოვანებების ამოსაძირკვად...**

— მაგრამ დღეს, ნაკლი იმოდენაა და იმდენი, იუმორმა ფარ-ხმალი დაყარა. ყველა ცუდი თვისება მოსინჯულია. ერთ ხელზე ჩამოსათვლელად გვეყოფა მაძღარნი. ქვეყანა კი მშიერ-უქონელი ხალხითაა სავსე. თუ წინათ ქვეწარმავლები არსებობდნენ, ახლა ზეწარმავლები არიან, რატომ? — ქვევით ხოხვასაც აღარ კადრულობენ, რომ არ დაესვაროთ ისედაც დასვრილი რაღაც-რაღაცები. დღეს იუმორის დრო არცაა, სატირის დროა მხოლოდ. წინათ ცალი თვალი იცინოდა, ცალი — ტიროდა. ეს იუმორია. ახლა ორივე ტირის — უკვე სატირაა, ანუ სატირალი. არადა, სიცილი ხომ საუკეთესო საშუალებაა ადამიანისათვის. მწერალი ფრანსუა რაბლე პროფესიით ექიმი იყო, მონპელიეში კლინიკა ჰქონდა გახსნილი, სადაც სიცილით მკურნალობდა ადამიანებს. კლინიკისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მიხარია, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ამ კეთილშობილურ საქმეს შევალიე.

***ნათია ჩუბინიძე***


**ფირმა «გარანტი»**
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით.
გარანტია — 10 წელი



მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
და უტამაების ბაბსპკზ ...
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

**ფირმა „მოდინახე“**
ასრულებს ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს. გადარიცხვით, აგრეთვე ნაღდი ანგარიშსწორებით, ტოლით — 4 ლარი, მინაქსოვილით — 5 ლარი, ჰიდრომინაიზოლით — 8 ლარი. გარანტია 3-12 წლამდე.



დაგიმზადებთ რკინის კარს, გისოსს, მოაჯირს და სხვა რკინის ნაკეთობას.
მის: ფოცხვერაშვილის ქ. №3
☎ 96-80-99; 22-08-58; 899-54-52-60

**კოლეჯი „ცოდნის წყარო“**
აცხადებს მიღებას 9 და 11 კლას-დამთავრებულთათვის სპეციალობებზე:
1. კბილის ტექნიკოსი;
2. ბებია ქალი (სამეანო საქმე);
3. საგადასახადო საქმე.
მის: აღმაშენებლის 178 („დინამოს“ სტადიონთან), მე-18 სკოლა
☎ 38-00-83; 35-27-00

# ისინი ლაზერული იარაღით მოკლეს



სამი წლის წინ, 1997 წლის 31 აგვისტოს, ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ პრინცესა დაიანა, დოდი ალ ფაიედი და მძღოლი ანრი პოლი. გავრცელებული ვერსიის თანახმად, პოლი არა მარტო ნასვამი იყო, არამედ ტრანკვილიზატორებიც ჰქონდა მიღებული. ამტკიცებდნენ აგრეთვე, რომ დელ-ალმას გვირაბში, დაშვებული 50 კმ-ის ნაცვლად, ანრი საათში 190 კმ სიჩქარით მიქროდა.

დაიანას დაღუპვის ეს ვერსია ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა. ამ თვალთახედვას ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა და დღესაც ეწინააღმდეგება დოდის მამა მოჰამედ ალ ფაიედი. როცა საფრანგეთის პოლიციამ ტრაგედიის მიზეზების გამორკვევა შეწყვიტა, ალ ფაიედმა სასამართლოში თხოვნა შეიტანა საქმის შემდგომი გამოძიების შესახებ. მაგრამ 1999 წლის 2 ივლისს ეგვიპტელ ბიზნესმენს თხოვნაზე უარი უთხრეს, ხოლო სექტემბერში საქმე საერთოდ დაიხურა და დამნაშავედ მთვრალი მძღოლი გამოაცხადეს.

და მაშინ ალ ფაიედმა თავად დაიწყო გამოძიება, რადგან ეჭვობდა, რომ ამ საქმეში ბრიტანეთისა და ამერიკის სპეცსამსახურების ხელი ერია. ეს ტრაგედია შემთხვევითი არ ყოფილა, იგი შეთქმულების შედეგად მოხდაო, — ამბობდა. გარდა ამისა, ალ ფაიედის აზრით, დაიანას თავისი სამეფო ნათესაობისა ძალიან ეშინოდა — ისინი ყოფილი რძლის და ჩემი ვაჟის ქორწინების წინააღმდეგი იყვნენ და ამიტომ დაიანა დარწმუნებული იყო, რომ ერთხელაც იქნებოდა, ცაში შვეულმფრენით აფრენილი დედამიწაზე ველარ დაბრუნდებოდა...

„იმ ღამეს ლონდონში დაცვის სამსახურმა შემატყობინა, — დოდი დაიღუპა, დაიანა ჯერაც ცოცხალიაო, — ჰყვება ალ ფაიედი, — მაშინვე პარიზში გადავფრინდი. დაიანა რეანიმაციაში იწვა... შესაძლებელი იყო მისი გადარჩენა და ეს შანსი მას წაართვეს. კატასტროფის ადგილიდან საავადმყოფომდე გზას მანქანით 15 წუთი სჭირდებოდა, დაიანას მიყვანას კი 45 წუთი მოანდომეს, მერე კი ამდენივე ხანი დასჭირდა პირველი დახმარების გაწევას. დოდი კი ადგილზევე გარდაიცვალა... ქილერებმა იგი მძღოლთან ერთად ლაზერული იარაღით მოკლეს. იგი ხომ უშუალოდ მძღოლის უკან იჯდა! მათ „მერსედესს" მისდევდა მოტოციკლი, რომელზეც ორი ადამიანი იჯდა. ისინი დაეწივნენ მანქანას, მერე გაუსწრეს და ისროლეს. დოდი მანამდე გარდაიცვალა, ვიდრე მანქანა გვირაბის კოლონას შეასკდებოდა. ეს იყო რაღაც ელექტროშოკის მსგავსი, რომელიც ადამბლავებს ადამიანს".

გარდა ამისა, — ამტკიცებს ალ-ფაიედი, — ექსპერტებისთვის გადაცემული სისხლი ანრი პოლს სულაც არ ეკუთვნოდა. „ლაბორატორიაში სულ სხვა ადამიანის სისხლი მიიტანეს, — ამბობს იგი, — მასში რომ აღმოაჩინეს, იმ რაოდენობის ალკოჰოლის შემთხვევაში, პოლი მანქანამდე მისვლასაც კი ვერ შეძლებდა".

მამის მონათხრობისთვის შეიძლებოდა ყურადღება არ მიგვექცია, — გაბრაზებული კაცი რას არ იტყვის — რომ არა რიჩარდ ტომლინსონი.

„დარწმუნებული ვარ, ბრიტანეთის სპეცსამსახურში მ16-ში არის ინფორმაცია, რომელიც გამოძიებას დაეხმარებოდა, — იფიცება ყოფილი მზვერავი, — 1992 წელს მ16-ში ვმუშაობდი და ვმონაწილეობდი სსრკ-ის ნანგრევებიდან იარაღის არალეგალურად გამოზიდვის ოპერაციაში. რამდენჯერმე ამ ოპერაციის მონაწილენი პარიზში, სასტუმრო „რიცში" შევხვდით. ამ სასტუმროს ერთი თანამშრომელი უშიშროების სამსახურის ოფიცერი, ფრანგი ანრი პოლი მ16-ის ინფორმატორი გახლდათ".

იმავე წელს მ16-ის ოფიცერმა დოქტორ ნიკოლას ფიშვიკმა, რომელიც ბალკანეთის ოპერაციის დაგეგმვას ხელმძღვანელობდა, აჩვენა ტომლინსონს სერბეთის პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩზე თავდასხმის გეგმა. ერთ-ერთი ვარიანტით გათვალისწინებული იყო მისთვის ავტოკატასტროფის მოწყობა. ფიშვიკი ამის მოწყობას გვირაბში აპირებდა — ასპროცენტიანი გარანტიაა, თანაც მოწმეებიც ნაკლებია. სპეციარაღით — სტრობოსკოპიური სინათლის წყაროს საშუალებით, ორიენტაცია უნდა დაეკარგათ მძღოლისთვის, დანარჩენი კი თავისთავად მოხდებოდა. ასეთი იარაღი, ტომლინსონის თქმით, ხშირად ტერორისტი მფრინავების დეზორიენტაციისთვის გამოიყენებოდა. ზუსტად იგივე სცენარია, რაც 31 აგვისტოს მოხდა.

ტომლინსონმა გამოარკვია, რომ პრინცესას კვალში ჩამდგარ პაპარაცთაგან ერთ-ერთი მ16-ის აგენტი იყო.

„1998 წლის 28 აგვისტოს ეს ცნობები გადავეცი მოსამართლე ერვე სტეფანს (რომელიც ამ საქმეს იძიებდა), მაგრამ მ16 და ცსს ყველანაირად ცდილობდნენ, ჩემთვის ხელი შეეშალათ". მოსამართლესთან შეხვედრა დაგეგმილი იყო, მაგრამ ოფიცრებმა ტომლინსონი პარიზის სასტუმროს ნომერში დაიჭირეს. დაკითხვა 38 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბოლოს და ბოლოს, იგი გაუშვეს, მაგრამ პერსონალურ მინი-კომპიუტერში მეხსიერება წაუშალეს.

„უელსის პრინცესას, დოდი ალ ფაიედისა და ანრი პოლის დაღუპვის საქმეში რა როლი შეასრულა მ16-მა, არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შესაძლოა დოკუმენტებში საკმარისად არის მტკიცებულებები, რომელიც ტრაგედიის ნამდვილი მიზეზების დადგენაში გადამწყვეტ როლს შეასრულებს, — ამბობს ტომლინსონი, — მ16-ს ბევრი რამ აქვს დასამალი".

დელ-ალმას გვირაბში მომხდარი კატასტროფის შესახებ ბევრი ვერსია არსებობს: ლედი დი იმსხვერპლა რაღაც ძალებმა, რომელთაც არ უნდოდათ იგი მუსლიმანს გაჰყოლოდა ცოლად, მეორე ვერსიის თანახმად კი, დაიანა საერთოდ შემთხვევითი მსხვერპლია.

ადვილი შესაძლებელია, რომ ალ ფაიედი-უფროსი ხელს უშლიდა „ადგილობრივ" ლონდონელ ბიზნესმენებს და მათ მუსლიმანის შეშინება საყვარელი უფროსი შვილის მოკვლით გადაწყვიტეს.

ჩრდილოვანი ბიზნესის წარმომადგენლები იმდენად ძლიერები აღმოჩნდნენ, რომ ქილერად და მკვლელობის გეგმის შემმუშავებლად მ16 გამოიყენეს. პარიზში კი დოდის მოკვლა იმიტომ გადაწყვიტეს, რომ მ16 ეჭვქვეშ არ დაეყენებინათ.

*სობესედნიკი №33*

# ამაზონიის უკანასკნელი შამანი

შამანებს ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში შეხვდებით, მაგრამ მათი საქმიანობა ბევრისთვის დღესაც უცნობი რჩება. ზოგი მათ სამშობლოდ ჩრდილო აზიას მიიჩნევს, მაგრამ როგორ აღმოჩნდნენ ისინი ამაზონზე? რას აღარ უწოდებენ შამანებს — ექიმებს, ღვთისმსახურებს, წინასწარმეტყველებს, ჯადოქრებსა და... თაღლითებს...

იქ, სადაც ამაზონი ეკვადორის ანდებს უახლოვდება, მდებარეობს პატარა ქალაქი ელ ორიენტე. ეს ადგილი მთებით საიმედოდაა დაცული თანამედროვე ცივილიზაციისგან. ელ ორიენტე დედამიწაზე მცენარეებითა და ცხოველებით ყველაზე მდიდარ ადგილად ითვლება. სწორედ აქ ცხოვრობს ტომი, რომელსაც გუარანი ჰქვია, თუმცა ისინი თავს „ამაზონის უმამაცეს ხალხს" უწოდებს.

გუარანები შესანიშნავი მონადირეები და მებრძოლები არიან. 1956 წლამდე ამ ტომს ცივილიზაციასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. ყოველ შემთხვევაში, სოფელ კუეხურიანოში ჯერაც არაფერი შეცვლილა. თავის რჩენის ერთადერთი საშუალება კვლავაც ნადირობაა. მათი მოკავშირე ამ საქმეში სმენა, ყნოსვა და სიჩუმეა.

40-იანი წლების ბოლოს ელ ორიენტეში ნავთი აღმოაჩინეს, სწორედ მაშინ იპოვეს გუარანის ტომი. საბედნიეროდ, ხელისუფლებას დიდი აურზაური არ აუტეხავს ამ აღმოჩენის გამო და ინდიელებს მას შემდეგ მხოლოდ მკვლევარები და ჟურნალისტები თუ ეწვევიან. ერთმა ეკვადორელმა მეცნიერმა როსიო ალარკონმა გუარანების ენა შეისწავლა, მას ადგილობრივი შამანიც კი სცემს პატივს. ალარკონის თქმით, გუარანებს ბუნების შესახებ ისეთი ცოდნა აქვთ, რომელიც მიუწვდომელია მსოფლიოს მეცნიერებისთვის. მათ სამყაროში ინდივიდუალობა, ერთსულოვნება და ბუნება მჭიდროდაა დაკავშირებული სპირიტიზმთან. ადამიანს, ბუნებასა და სულს შორის არის შუამავალი — შამანი. სოფელ კუეხურიანოში მას მანგეტოი ჰქვია.

— აქ მართლაც ბედნიერი ხალხი ცხოვრობს, — ამბობს ალარკონი, — მუდამ სიცილი ისმის, ბევრს ხუმრობენ. მანგეტოის პატივს სცემენ და ეშინიათ, მაგრამ მაინც გაეხუმრებიან ხოლმე. მასაც არ სწყინს...

საღამოს შამანი სპირიტულ სეანსს მართავს — გუარანების სულებს ესაუბრება და ხვალინდელი დღის ამინდს არკვევს — სულები კარგ ამინდს წინასწარმეტყველებენ. მართლაც, მეორე დღეს შესანიშნავი ამინდი დგას, შამანი ტყეში მიდის ხილის მოსატანად. ნადირობა დღეს აუკრძალეს სულებმა. გუარანის ტომი მცენარეულს სახეობებად არ ყოფს — ისრის გაკეთება ნებისმიერი ხისგან შეიძლება. საჭმელსაც ნებისმიერი ხის შეშით ხარშავენ. იარებზე ნებისმიერ ბალახს იდებენ.



სოფელში დაბრუნებული შამანი შხამის — კურარეს დამზადებას იწყებს. გუარანის ტომი მიწათმოქმედებას არ იცნობს — ცხოველებს იმიტომ ხოცავენ, რომ იარსებონ, ხილსაც იმდენს კრეფენ, რამდენიც ეყოფათ. გუარანები დარწმუნებულნი არიან, რომ ტყუილუბრალოდ მოკლული ცხოველის სული შურს იძიებს. მის სულს პატივი უნდა სცენ. ამიტომაც კურარეს გაკეთება შამანის პრეროგატივაა. მანგეტოი შხამს გულამოცლილ გოგრაში ათავსებს და მეთევზეთა ჯგუფი მდინარის დინებას ზემოთ აუყვება — შხამს მდინარის სათავეში ასხამენ, რამდენიმე წუთში ზედაპირზე დახოცილი თევზი ჩნდება. ნავში ჩატვირთავენ და სოფელში ბრუნდებიან. ასე გუარანები იშვიათად თევზაობენ, რადგან ბუნებას უფრთხილდებიან. მათ არ იციან, რა არის შიმშილი — ველური ჯუნგლები მათი სახლია და ისიც კვებავს.

მანგეტოის მკურნალობაც შეუძლია. როსიო ალარკონს არაერთხელ უნახავს, როგორ გამოსწოვს ხოლმე სენს პაციენტს თავიდან და მიწაზე გადააფურთხებს. ხშირად შამანი ტყეში მიდის — იაგუარის სულს მიჰყვება, რომელიც სამკურნალო მცენარეს აპოვნინებს და ავადმყოფს მოარჩენს.

გუარანებს ველურ ბუნებასთან სრული ჰარმონია აქვთ დამყარებული. ყველა მის საიდუმლოს შამანის მეშვეობით ხსნიან. ამ ტომს არ აქვს დამწერლობა, შამანს არც სახელმძღვანელოები გააჩნია, ამიტომაც უცნობია, როგორ გადასცემს მემკვიდრეს ცოდნას.

გუარანებმა არ იციან, რა არის კერძო საკუთრება, ფული, პრესტიჟი და შური. ამიტომაც, ვინც მათთან მოხვდება, მაშინვე ხვდება — რას ნიშნავს ცნებები — ბედნიერი და თავისუფალი ადამიანი.

*კალეიდოსკოპი №31*



# ტუტანხამონი არ მოუკლავთ...

ეგვიპტელმა და ევროპელმა მეცნიერებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ეგვიპტის ფარაონი ტუტანხამონი არ მოუკლავთ. იგი უცნობი ავადმყოფობით გარდაიცვალა. ამ უკანასკნელ დასკვნამდე სპეციალისტები მიიყვანა ევროპაში გამოფენილმა ეგვიპტის ფარაონის სამოსმა. 20 წლის ტუტანხამონის პერანგი ძალზე პატარაა, შარვალი თეძოს არეში 30 სმ-ით მეტია გულ-მკერდის ზომაზე. ასეთი პროპორციები ავადმყოფობაზე მიგვანიშნებს. უნდა აღინიშნოს, რომ 3 ათასი წლის წინათაც ტუტანხამონის ფიგურა იდეალურად არ ჩაითვლებოდა. 1968 წელს ჩატარებულმა თავის ქალის რენტგენურმა გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ ფარაონი „არაბუნებრივი" სიკვდილით გარდაიცვალა. ვარაუდობდნენ, თავში ჩარტყმით მოკვდაო, ერთი ვერსიით, ფარაონი მოწამლეს. მუმიის ანალიზმა ცხადყო, რომ იგი 20 წლისა გარდაიცვალა; იყო შედარებით დაბალი — 162 სმ სიმაღლისა. მას ცოლად ჰყავდა ფარაონ ამენხოტეპ V-ის და ნეფერტიტის ქალიშვილი. ტუტანხამონს დიდხანს არ უმეფია — ტახტზე ავიდა 1351 წელს, (ჩვ. ერამდე), 1342 წელს გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ ფარაონის სამარხის გახსნისას 12 ადამიანი დაიღუპა. ფარაონის „წყევლა" აგრძელებს მოქმედებას. ათი წლის მანძილზე ყველა ექსპედიციის წევრთაგან მხოლოდ ორია ცოცხალი.

რაც შეეხება ტუტანხამონის „წყევლას", უამრავი თეორია არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, სამარხში შხამიანი ნივთიერება იყო შენახული; მეორენი ირწმუნებიან — უძველესი ეგვიპტელები წმინდანთა დასაცავად რადიოაქტიურ მასალას იყენებდნენო; ისინი იატაკს ურანით აპირკეთებდნენ ან რადიოაქტიური ქვებით რთავდნენო. ფილიპინელი მეცნიერის ვანდენბურგის თეორიით, პირამიდებსა და სამარხებში სასიკვდილო ვირუსის გაჩენის ხელსაყრელი პირობებია. არც ის არის გამორიცხული, რომ სამეფო საფლავის პირველ გამხსნელებს სწორედ ის ბაქტერია შეეყარათ, რისგანაც ფარაონი გარდაიცვალა.

*იზვესტია №170*

# ჩვენი გრძნობების სრული სპექტრი

მაინც რა გრძნობაა პირველი სიყვარული? მოდით, ჯერ ვნახოთ, თუ რა „სახეობებად" ჰყოფენ ამ გრძნობას. 70-იან წლებში ფსიქოლოგმა ჯონ ალან ლიმ სიყვარულის ექვსი სახეობა აღწერა:

**სტორგე** — ეს არის სიყვარული-მეგობრობა, სიყვარული-ურთიერთგაგება. იგი ყვავილის კვირტივით თანდათანობით იშლება, ნიადაგში ფესვებს იდგამს. ქალი და ვაჟი, რომელთაც ერთმანეთი ასეთი სიყვარულით უყვართ, ამ გრძნობას ბოლომდე ინარჩუნებენ.

**აღაპე** — სიყვარულის ამ სახეობისთვის დამახასიათებელია პარტნიორის გაღმერთება, მისთვის ყველაფრის პატიება, ღალატისაც კი, საკუთარ თავზე უარის თქმა, თუკი ეს საყვარელ ადამიანს ბედნიერებას მიანიჭებს.

**ეროსი** — აქ ფიზიკური ლტოლვა პირველ ადგილზე დგას, მაგრამ იგი შეფერილია ესთეტიკური სალებავებით: ფორმების სილამაზისადმი, სხეულის სინატიფისადმი სწრაფვით.

**მანია** — სიყვარული-შეპყრობილობა, სიყვარული-ავადმყოფობა, საფომ და პლატონმა უკვდავყვეს მისი სიმპტომები: აფორიაქებულობა და სულიერი ტკივილი, გულის ტკივილი, ძილისა და მადის დაკარგვა.

**პრაგმა** — მშვიდი, კეთილგონიერი გრძნობა. ამ დროს მეფობს გონი და ვნება მას ემორჩილება. ნამდვილ პრაგმატიკოსს არ შეუძლია უყვარდეს ის, ვინც სიყვარულის ღირსი არ არის. იგი ადამიანის ღირსებას და ნაკლს ნათლად ხედავს და შეგნებულად მართავს თავის გრძნობებს. პრაგმას სხვა სახის სიყვარულის გრძნობებთან შედარებით კიდევ ერთი ღირსება აქვს: ისინი დროთა განმავლობაში ნელდებიან, პრაგმა კი, პირიქით, თანდათანობით უფრო მეტ სითბოსა და ძლიერებას იძენს.

**ლუდუსი** — სიყვარული-თამაში, უფრო სწორად, ეს სიყვარული კი არა, შეყვარებულად თავის მოჩვენებაა.

*ლიზა №34*


თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები"
აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:
იურიდიული, ფილოლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, მათემატიკის, პედაგოგიური, ჟურნალისტიკის, უცხო ენების.
წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.
9 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს ლიცეუმი
მის: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა, III-IV სართ.
☎ 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07; 38-87-26

გამონაყარი, ჭარბთმიანობა, კლიმაქტერული პრობლემები
კვალიფიციური ექიმის უფასო სატელეფონო კონსულტაცია
92-10-13
10-19 სთ-მდე
შაბათ-კვირის გარდა

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით

ფურცლებში და რულონებში
ტელეფონი: 71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3



# რონალდო ფეხბურთს ველარ ითამაშებს?

ბრაზილიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ ფანები საგონებელში ჩააგდო რონალდოს მკურნალი ექიმის, ბრაზილიელი პროფესორის ჟერარ საიანის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ შესაძლოა რონალდომ საერთოდ ველარ განაახლოს თამაში, საუკეთესო ვარიანტში კი მიმდინარე სეზონის მთლიანად გამოტოვება მოუწევს. შეგახსენებთ, რომ უკვე მეორე წელიწადია რონალდო მუხლის უმძიმეს ტრავმას მკურნალობს. „მუხლის ახლანდელი მდგომარეობა მოსალოდნელს შეესაბამება, მინდორზე დაბრუნების პერსპექტივაზე ლაპარაკი ჯერჯერობით უაზრობაა, ერთადერთი, რისიც გარანტიაც არსებობს, ის გახლავთ, რომ უახლოესი 8 თვის განმავლობაში რონალდო საერთოდ ვერ შეეხება ბურთს“ — ასეთია ბრაზილიელი ექიმის არცთუ დამაიმედებელი დასკვნა.

# კონტრაქტი სიცოცხლის ბოლომდე?

გასულ კვირას ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ მორიგი ხერხით სცადა კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე სერ ალექს ფერგიუსონის დატოვება. მოგეხსენებათ, ფერგიუსონს მომდევნო სეზონის ბოლომდე აქვს კლუბთან კონტრაქტი გაფორმებული. სერ ალექსმა რამდენჯერმე საქვეყნოდ განაცხადა, რომ კონტრაქტის დასრულებისთანავე დავტოვებ გუნდს და არასაფეხბურთო საქმით დავკავდებიო. მიუხედავად ამისა, „იუნაიტედის“ ახლანდელმა მმართველმა პიტერ კენიონმა ახალი კონტრაქტი შესთავაზა კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი გამარჯვებების შემოქმედ მწვრთნელს, ამჯერად — სიცოცხლის ბოლომდე. სერ ალექსმა მოფიქრებისათვის მცირე დრო მოითხოვა და განაცხადა, — რომ კლუბში მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდულ გუნდს ჩააბარებენ და არა ძირითადს.

ამასობაში ესპანურმა კორპორაცია „ტელეფონიკამ“, რომელიც ევროპის სუპერლიგის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორია, უარი მიიღო ამ პროექტში „მანჩესტერ იუნაიტედის“ დახმარებასა და მხარდაჭერაზე. პიტერ კენიონმა ოფიციალურად მიმართა თავისი გუნდის გულშემატკივრებს და აღუთქვა, რომ მისი კლუბი არავითარ შემთხვევაში არ განაცხადებს უარს ჩემპიონთა ლიგასა და პრემიერლიგის გათამაშებაში მონაწილეობაზე. თუმცა „ტელეფონიკას“ მაინც მძლავრი მხარდამჭერები ჰყავს — მიუნხენის „ბაიერნის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კარლ ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ სუპერლიგის ჩამოყალიბება შესაძლოა 2003 წლამდეც განხორციელდეს, „ბაიერნი“ კი ამ იდეის ერთ-ერთ მოსურნე კლუბად დაასახელა.

# შესაძლოა ჰაჯი და პოპესკუ ნაკრებში დაბრუნდნენ

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქის — რუმინეთის ეროვნული გუნდის ახალდანიშნული მწვრთნელი ლადისლავ ბოლონი ყოველ ხერხს მიმართავს, რათა ქვეყნის მთავარ გუნდში დააბრუნოს ვეტერანები, „კარპატების მარადონად“ მონათლული გეორგე ჰაჯი და მისივე სეხნია მცველი პოპესკუ. ბოლონი ჰაჯისთან მოსალაპარაკებლად სტამბოლში ჩავიდა, უკან დაბრუნებულმა კი ჟურნალისტებს ამცნო, რომ იმედი აქვს ჰაჯიმაც და პოპესკუმაც შესარჩევი ციკლის პირველსავე მატჩში იასპარეზონ ლიტვის ნაკრებთან. შეგახსენებთ, რომ ჰაჯიმ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე განაცხადა, რომ ეროვნულ გუნდს დატოვებდა, პოპესკუმ კი ეს გადაწყვეტილება პოლონეთის ნაკრებთან ამასწინათ გამართული ამხანაგური მატჩის შემდეგ მიიღო. ასე რომ, თუ ბოლონმა თავისი გაიტანა, რუმინელ ვარსკვლავებს თბილისშიც ვიხილავთ.



# ქართველები ლიგაში

## ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩები

გასულ სამშაბათს და ოთხშაბათს საბოლოოდ გაირკვა 16 გუნდის ვინაობა, რომლებიც იმ 16 გუნდს დაემატებიან, რომლებმაც საკვალიფიკაციო ეტაპების გარეშე მოიპოვეს ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლის უფლება. ევროპის 32 უძლიერესი კლუბი კონტინენტის საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს გაითამაშებს. ვინაიდან ქართული კლუბების ევროარენაზე ასპარეზობას ფაქტობრივად აზრი არა აქვს, ისღა დაგვრჩენია, იმ გუნდებს მაინც დავუჭიროთ მხარი, სადაც ქართველები გამოდიან. დიდი შანსი იყო წლევანდელი ლიგის გათამაშებას უქართველებოდ ჩაევლო. ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ პირველივე მატჩში „ჩამოყარა ყურები“ და უძლიერესთა შორის ადგილი თურქულ „ბეშიქთაშს“ დაუთმო, ამავე საშიშროების წინაშე იყო კიევის „დინამოც“. თუმცა უკრაინელებმა, რომელთა შემადგენლობაშიც ორივე ქართველმა ითამაშა (დემეტრაძე შეცვლაზე შემოვიდა), ბელგრადში ივაჟკაცეს და სტუმრად გატანილი გოლის წყალობით ლიგის სხვა წევრებს შეუერთდნენ. საკვალიფიკაციო ეტაპის უპირველესი სენსაციის შემოქმედი მილანური გრანდი „ინტერი“ გახდა, რომელმაც ორი მატჩის ჯამში შვედური „ჰელსინბორგის“ ბარიერი ვერ დაძლია. მოულოდნელი გახლდათ ავსტრიის „შტურმის“ მიერ ჰოლანდიის „ფეინოორდის“ დამარცხებაც. სენსაცია მოახდინა დონეცკის „შახტიორმა“ — შინ 0:1 წაგების შემდეგ სტუმრად 2:0 მოუგო პრაღის „სლავიას“ და ევროპულ ელიტაში დამკვიდრდა.



ანდრეი შევჩენკო ზაგრებშიც შეუჩერებელი იყო

გაგაცნობთ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგებს. ფრჩხილებში მოთავსებულია პირველი შეხვედრების ანგარიშები. მსხვილი შრიფტით აღნიშნულია გუნდები, რომლებიც მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

ლოკომოტივი (რუსეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 1:3 (0:3).
სპარტა (ჩეხეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა) 1:0 (1:0)
ფეინოორდი (ჰოლანდია) — შტურმი (ავსტრია) 1:1 (1:2).
პანათინაიკოსი (საბერძ.) — პოლონია (პოლონეთი) 2:1 (2:2).
ლიონი (საფრანგეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) 2:1 (2:1)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — დინამო (კიევი) 1:1 (0:0)
მიუნხენ 1860 (გერმანია) — ლიდსი (ინგლისი) 0:1 (1:2)
რეინჯერსი (შოტლანდია) — ჰერფიოლგე (დანია) 3:0 (3:0)
რუსენბორგი (ნორვეგია) — დუნაფერი (უნგრეთი) 2:1 (2:2)
ინტერი (იტალია) — ჰელსინბორგი (შვედეთი) 0:0 (0:1)
ვალენსია (ესპანეთი) — ტიროლი (ავსტრია) 4:1 (0:0)
პორტუ (პორტუგალია) — ანდერლეხტი (ბელგია) 0:0 (0:1)
სლავია (ჩეხეთი) — შახტიორი (უკრაინა) 0:2 (დ.დ.) (1:0)
გალათასარაი (თურქეთი) — სტ. გალენი (შვეიც.) 2:2 (2:1)
დინამო (ხორვატია) — მილანი (იტალია) 0:3 (1:3)



# პასპორტები და თვისებები ცხოველებსაც სჭირდებათ



250 რჩეული ბედაური ჩაიყვანეს ევროპიდან ავსტრალიაში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. ცხენების გადაყვანა გერმანულმა ავიაკომპანია „ლუფტჰანზამ“ ითავა. ფრანქფურტიდან სიდნეიში სამი სპეციალური რეისი განხორციელდა, ერთიც ლონდონიდან; თვითმფრინავები დროებით ერთგვარ „მფრინავ თავლად“ გადააკეთეს და მრავალსაათიანი ფრენის მიუხედავად, ცხენებს არც დაღლა უგრძვნიათ და არც შიმშილით შეწუხებულან. თითოეული ცხენისათვის გამოყოფილი იყო სპეციალური სადგომი და დასაწოლი ადგილი. ერთი ცხენის გადაყვანა გერმანიიდან ავსტრალიაში 73.000 მარკა დაჯდა. სასაზღვრო და საბაჟო პუნქტების გავლისას თითოეული ცხენი გულდასმით დაათვალიერეს, ოლიმპიელი ცხენების პასპორტები, სადაც მათი ყველა მონაცემია დაფიქსირებული, სამ ენაზე — ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად იყო შევსებული.

# კუბელები კრივში ყველა ოქროს მოგებას გეგმავენ

ოლიმპიადის მოკრივეთა ტურნირის უდავო ფავორიტად კუბის ნაკრები ითვლება. თუმცა კუნძულელთა ხელისუფლების წარმომადგენელნი თავიანთ პროგნოზებში უფრო კატეგორიულნი არიან. კუბის ხელისუფლებამ იქაურ მოკრივეებს ამოცანად თორმეტივე ოქროს მედლის მოპოვება დაუსახა. „ჩვენ გვსურს 12-ჯერ მოვისმინოთ კუბის ეროვნული ჰიმნი, თითოჯერ ყველა წონითი კატეგორიის ფინალის შემდეგ — განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალსიდას საგრამ, რომელიც 30 წელიწადზე მეტია ასრულებს თავის მოვალეობას. ოთხი წლის წინ ატლანტის ოლიმპიადაზე კუბელებმა ოთხი ოქროსა და სამი ვერცხლის მედალი მოიგეს. კუბის ნაკრების კაპიტანი კვლავ ფელიქს სავონია, რომელიც ავსტრალიაში ლეგენდარული თანამემამულის თეოფილო სტივენსონის მიღწევის გამეორებას შეეცდება. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე სტივენსონმა ზედიზედ სამი ოლიმპიადა მოიგო.

# „ცისფერები“ ოლიმპიადაზე მარშით ჩაივლიან



სიდნეის ოლიმპიადის დახურვის ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებენ მთელი მსოფლიოს „ცისფერები“ და „ლესბოსელები“. ყველასაგან მოშორებით სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები ცალკე ჩაივლიან თავიანთი მარშის თანხლებით. ერთ-ერთმა ავსტრალიურმა რადიოსადგურმა ეს საკითხი პირდაპირ ეთერში განიხილა. ამ ცნობამ ზოგიერთი გულშემატკივარი შოკში ჩააგდო. ავსტრალიელები რეკავდნენ რადიოში და პროტესტის ნიშნად ოლიმპიურ ასპარეზობებზე დასაშვები უკვე შეძენილი ბილეთების უკან ჩაბარებას მოითხოვდნენ. ოლიმპიადის ორგკომიტეტის თავმჯდომარემ რატომღაც „ცისფერთა“ და „ლესბოსელთა“ პოზიცია დაიჭირა და განაცხადა, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა მარშით ჩავლა შეთანხმებულია ხელმძღვანელობასთან და გაპროტესტებას აზრი არა აქვს.

# კომპიუტერს ვერაფერს გამოაპარებ

ინგლისური საფეხბურთო კლუბების პატრონებმა მოუთვინიერებელ ფეხბურთელთა მოსარჯულებლად ამგვარი რამ მოიფიქრეს: „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ვესტ ჰემისა“ და „ლივერპულის“ ფეხბურთელებს მთელი დღეების მანძილზე მოუწევთ საათის მსგავსი მონიტორიანი კომპიუტერის ტარება. კომპიუტერი ზომით საათზე პატარაა, თუმცა ზუსტ ინფორმაციას იძლევა, თუ როგორ იქცეოდა ფეხბურთელი ამა თუ იმ საათზე, როცა მწვრთნელის კონტროლის ქვეშ არ იმყოფებოდა.

კომპიუტერი ზუსტად დააფიქსირებს მოთამაშეთა გულისცემასა და სისხლის მიმოქცევის ცვლილებას ამა თუ იმ მომენტში. დილას ვარჯიშზე გამოცხადებული ფეხბურთელები კომპიუტერს მწვრთნელს ჩააბარებენ და თუ მონიტორზე სისხლში ალკოჰოლის შემცველობა აღმოჩნდა, მოთამაშეებს პასუხისგება მოუწევთ. არის შემთხვევები, როცა რომელიმე კონკრეტული მატჩის წინ ფეხბურთელებს სექსუალური ურთიერთობის დამყარებაც ეკრძალებათ. თუ კომპიუტერმა ღამის სამ საათზე მაღალი სასიცოცხლო აქტივობა და ხშირი გულისცემა დაადასტურა, ფეხბურთელებს ან დაჯარიმება მოუწევთ, ან ახსნა-განმარტების მიცემა.

# „რკინის მაიკი“ დააჯარიმეს

პლანეტის ყველაზე სკანდალური სპორტსმენი მაიკ ტაისონი ისევ ყურადღების ცენტრში მოექცა. ბრიტანეთის საკრივო საბჭომ „რკინის მაიკი“ არაეთიკური მოქცევისათვის დააჯარიმა, თანაც ჯარიმისათვის არნახული თანხით — 185.000$-ით. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი დიდად არ განაწყენებულა, ვინაიდან მისთვის მოკრივის ლიცენზია არ ჩამოურთმევიათ და ბრიტანეთის ტერიტორიაზე ბრძოლის უფლება დაუტოვეს, თუმცა ამ გადაწყვეტილებას მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავდა.



მოგეხსენებათ, ივნისში ტაისონმა სულ რაღაც 38 წამში „დააგდო“ მისივე თანამემამულე ლუ სევარეზე, მას შემდეგ, რაც მსაჯმა ბრძოლის დასრულების ნიშანი მისცა, მაიკმა ჩხუბი გააგრძელა — ერთი-ორჯერ კიდევ უთავაზა მეტოქეს, ერთი მუშტი კი მსაჯსაც მოსცხო. არბიტრი სასწაულით გადაურჩა ჰოსპიტალიზირებას, თუმცა მსუბუქი შერყევა მაინც მიიღო. ამის შემდეგ გადიდგულებულმა ტაისონმა საბრძოლველად ლენოქს ლუისი გამოიწვია: „მე მას გულს ამოვაცლი, მის შვილებს კი დავაობლებ“ — ძნელი სათქმელია როგორ აპატიეს თავმოყვარე ბრიტანელებმა მაიკს ეს სიტყვები, უმრავლესობა მოელოდა, რომ „რკინის მაიკს“ ბრიტანეთში ჩხუბს აუკრძალავდნენ, თუმცა ამაოდ.

თავად ტაისონს საკრივო საბჭოს გადაწყვეტილების კომენტირება არ მოუხდენია. მისი გუნდის წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ განაჩენი საკმაოდ მკაცრია და მაიკი ასეთი თანხის გადახდას არ იმსახურებდაო. ცხადია, ტაისონის გუნდი პრინციპულობას იჩენს, თორემ მოკრივისათვის რომელიც ერთ ჩხუბში ათეულობით მილიონს შოულობს, 185.000 ჯიბის ფულია.

ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში კი დაბეჭდილია ფოტო, სადაც ტაისონი ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ავტოსალონშია დაფიქსირებული. „რკინის მაიკს“ ორი ზუსტად ერთნაირი მოდელის უახლესი ტიპის „მერსედესი“ შეუძენია, როგორც გაირკვა, ბავშვობის მეგობრებისათვის ნდომებია საჩუქრად. ტაისონი ავტომობილების დიდი მოყვარულია. მის ზღაპრულ „იაგუარს“ ამგვარი წარწერა ამშვენებს: „შეხება სახიფათოა სიცოცხლისათვის“.

# საჭადრაკო კლუბი



„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლf5-e4!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მათს ორ სვლაში.



# როგორ ზის თქვენი ქალბატონი?..

ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, — ქალის ზოგიერთი ხასიათი შეიძლება გამოიცნო მისი ჯდომის მანერითო. ასე რომ, ბატონებო, თუ გსურთ თქვენი მეგობრის შეცნობა, კარგად დააკვირდით მის ფეხებს.

— თუ მანდილოსანი ზის X ასოს მსგავსად — ფეხები მხრების სიგანეზე, მუხლები ერთად — თქვენ წინაშეა „ქალაბიჭა“, თავდაჯერებული, მხიარული, ხუმარა. იგი იუმორის გრძნობას არ კარგავს მძიმე მდგომარეობაშიც კი (თუმცა, ზოგჯერ უხეშიცაა). თავისუფლად ესაუბრება უცხო მამაკაცებს.

— მუხლებშეტყუპებული, კოჭებგადაჯვარედინებული სხედან „დიასახლისები“. მათი პოზა მიანიშნებს სრულყოფილი ცხოვრებისაკენ სწრაფვას. დღენიადაგ ფიქრობენ ათას წვრილმანზე, როგორ გაექცნენ მოულოდნელობებს. ცდილობენ, დაწყებული საქმე მიიყვანონ ბოლომდე. ოჯახში იდეალური წესრიგი აქვთ: ყველა ნივთი თავის ადგილზეა, ქმარ-შვილი, შინაური ცხოველები — მოვლილია და დაპურებული.

— ფეხი ფეხზე გადადებული (წინგაშვერილი ფეხები, ხელები მუხლებზე — ასე ჩვეულებრივ თვითკმაყოფილი „ეგოისტები“ სხდებიან, ყველანაირად ცდილობენ ყურადღების მიპყრობას (განსაკუთრებით მამაკაცების). ისინი უზომოდ ცნობისმოყვარენი არიან — ყველგან ყოფენ ცხვირს, ცდილობენ, სხვებზე ჭკვიანად გამოიყურებოდნენ. თუ უყურადღებოდ დარჩნენ, ბრაზობენ (ზოგჯერ აგრესიულებიც ხდებიან).



— თუ ფეხები წინ არის გაშვერილი, თან ერთი მეორეზე ცოტა წინ, თქვენ წინაშეა აბეზარი, ჯიუტი, ზედმეტად თავდაჯერებული ქალბატონი. ცდილობს, მოსაუბრე დაარწმუნოს თავის სიმართლეში და ხშირად ნერვებს უშლის გარშემომყოფთ. შეცდომას იშვიათად აღიარებს.

— თუ ქალი ზის სკამის კიდეზე მუხლებშეტყუპებული, ე.ი. „მოუსვენარია“, ძალიან აქტიური და სულწასული, ყველაფერს ერთდროულად იწყებს და ბოლომდე ვერ მიჰყავს. სამაგიეროდ, შეუძლია თავისი იდეები თავს მოახვიოს სხვებს, ჩაითრიოს ნებისმიერ საქმეში ძალზე ინერტულებიც კი.

***ტვ პარკი №33***

# სექსი ყველასათვის სექსია...



ამერიკაში გამოიცა „სექსუალური ქცევის ატლასი“. მისი ავტორია ახალგაზრდა ჟურნალისტი ქალი ჯუდით მაქეი, რომელმაც ნახევარი მსოფლიო მოიარა, შეისწავლა რამდენიმე ათეული ქვეყნის სამედიცინო უწყებათა სტატისტიკა, მოისმინა ათასობით საბუდუარო აღსარება. ჯუდითის სექსუალურ ატლასში 128 ტაბულა, სქემა და რუკაა, მოცემულია დაწვრილებითი კომენტარები ნაციონალური სექსის თავისებურებისა (ამჟამად ლაპარაკია მხოლოდ მამაკაცებზე).

სხვადასხვა ხალხის სექსუალურობა, როგორც წესი, თვით იმ ხალხის „იმიჯთან“ ასოცირდება. აქამდე ცნობილი იყო, რომ ფრანგი თანამეცხედრენი გამომგონებლები არიან, იტალიელები — შმაგნი და დაუოკებელნი, გერმანელები კი ძალზე მოსაწყენნი... თურმე ასე არ ყოფილა. სამხრეთევროპელები ოდითგან ცნობილი არიან, როგორც ვნებიანი საყვარლები, მაგრამ ატლასში ეს აზრიც უარყოფილია; სინამდვილეში იტალიელი „კუროები“ უპირატესობას „მშვიდ“ ურთიერთობას ანიჭებენ. სხვათა შორის, სიყვარულში ნებიერ ფრანგებთან შედარებით რუსები და ინგლისელები სექსგიგანტებად ითვლებიან (20 წუთიანი სექსი მათთვის სულაც არ არის გმირობა). გერმანელთა „საშუალო საყვარლის“ იმიჯიც უკეთესისკენ გადაიხარა: მათი საძინებელი ოთახიდან 17 წუთიანი სიამოვნების შორისდებულები მოისმის. ამ სექს-მარათონში აბსოლუტურ რეკორდსმენებად ამერიკელები არიან: მათთვის „აქტიური მოქმედების“ ნორმა ნახევარ საათს აღემატება.

„სექსუალური ატლასის“ მიხედვით, რუსები და ამერიკელები წელიწადში „სიყვარულით“ საშუალოდ 130-ჯერ ტკბებიან; გერმანელები — დაახლოებით 100-ჯერ. შმაგი ესპანელები და იტალიელები მხოლოდ 75-ჯერ კმაყოფილდებიან.

„სექს-ატლასში“ განსაკუთრებული თავი მიეძღვნა — ქალწულობის საკითხს. ყველაზე ადვილად კარგავენ უბიწოებას ჩეხი 15 წლის მოზარდები. კათოლიკურ პორტუგალიასა და იტალიაში ჭაბუკები უმანკოებას დაახლოებით 20 წლისანი ეთხოვებიან. გერმანელები აქაც „ოქროს კვეთის“ პრინციპს იცავენ და ამ აკრძალულ ხილს 17 წლისანი იგემებენ.

ავტორი უსიამოვნო სტატისტიკასაც წარმოგვიდგენს: მსოფლიოში ყოველდღიურად მილიონი ადამიანი ავადდება ვენერიული სნეულებით. მომავალი ვირტუალურ სექსს ეკუთვნის. მოხერხებული და უსაფრთხოაო, — აცხადებს ჯუდით მაქეი.

***სეგოდნია №155***

# „არგენტინის მარგალიტი“ — ბავშვს ელოდება

34 წლის არგენტინელმა მსახიობმა ანდრეა დელ ბოკამ (ტელესერიალები „ანტონელა“ და „შავი მარგალიტი“) ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში განაცხადა, რომ შვილს ელოდება. ქვეყანა გაოგნდა... ქალმა, რომელმაც მამაკაცთა ასობით გული მოხიბლა ეკრანსა და მის მიღმა, დღეს დედობა დააპირა, იგი მარტოდმარტო ელოდება პირმშოს.



17 წლის ანდრეას პირველი სიყვარული იყო პოპულარული არგენტინელი მომღერალი და მსახიობი ხოსე ლუის როდრიგესი. მათი რომანი დაიწყო ტელესერიალით „ანას ასი დღე“. მაყურებელი სულგანაბული მისჩერებოდა წყვილს; ყველა ხედავდა, როგორ გასცდა ეკრანს სიყვარული და ნამდვილ გრძნობად გადაიქცა. როდრიგესი ცოლს უნდა გასცილებოდა... მათი რომანი დიდხანს არ გაგრძელებულა. „ხოსე ჩემი პირველი სიყვარულია და მან დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. სულაც არ ვნანობ, რაც ჩვენ შორის მოხდა“, — თქვა ანდრეამ. ორი წლის შემდეგ მან კვლავ აალაპარაკა ბომონდი. „სელესტაში“ (სერიალი) გადაღებისას შეუყვარდა ფილმის რეჟისორი — რაულ დე ლა ტორე. მან თავის მშობლებს 30 წლით უფროსი საქმრო წარუდგინა. „იგი ფანტასტიკური მამაკაცია, ყოველდღე ახალ-ახალ რამეს მასწავლის, ორივეს ერთი ინტერესები გვაქვს, არ გვიყვარს ხმაურიანი კამპანიები, შინ ყოფნა გვირჩევნია. დარწმუნებული ვარ, შესანიშნავი დედა ვიქნები“ — ირწმუნებოდა 23 წლის „არგენტინელი მარგალიტი“, ასე უწოდებდნენ მას. არც ერთი ოცნება არ აუსრულდა; ცხოვრების პროზამ — ფული-კონფლიქტები-განცდები — თავისი ქნა. კრედიტორებმა რაულ დე ლა ტორე აიძულეს ლოს-ანჯელესში გადახვეწილიყო. ანდრეას რაღა დარჩენოდა — ფული უნდა ეხადა ბანკისთვის. თანხა ძალიან დიდი აღმოჩნდა მდიდარი მსახიობისთვისაც კი. ამ დროს დახმარება შესთავაზა ექსცენტრიკულმა ამერიკელმა ეკონომისტმა — 43 წლის მულტიმილიონერმა — ჯეფრი საქსმა. მალე ბოლო მოეღო ანდრეას ფინანსურ პრობლემებს. ჯეფრის სამუშაო გრაფიკი იმდენად იყო გადატვირთული, რომ შეყვარებულები ძლივს ახერხებდნენ შეხვედრას ხან მაიამიში, ხან პარიზში (რამდენიმე საათი) და ხანაც რიო-დე-ჟანეიროში. ეს რომანიც დასრულდა.

ვერა და ვერ აისრულა ანდრეამ ოცნება, ვერა და ვერ იყოლია შვილი. დასევდიანდა ბოკა, მარტოობას ირჩევდა და ბოლოს ბუენოს-აირესის პენტჰაუზში განმარტოვდა. მაგრამ, ეტყობა, გაუჭირდა მარტოობა... ძალიან ცდილობდა ანდრეა, დაემალა საზოგადოებისათვის თავისი გულის სწორი, მაგრამ ჩასაფრებულმა ჟურნალისტებმა და რეპორტიორებმა მაინც მოახერხეს სურათი გადაეღოთ ანდრეასა და 40 წლის ბანკირ რიკარდოსათვის. არც ეს რომანი გაგრძელდა დიდხანს: რიკარდო სულიერ კრიზისსა და დეპრესიაში ჩავარდა — რამაც მათ ურთიერთობას წერტილი დაუსვა. „მაგრამ მე ღმერთს მადლობას ვუძღვნი ამ ბედნიერი შემთხვევისთვის, ამ საბედისწერო შეცდომისთვის... ყველაზე მთავარი ის არის, რომ მომავალი ბავშვი სიყვარულით ჩაისახა... უკვე იმედი დაკარგული მქონდა. რადგან ეს მეღირსა, ყველა საქმეს, გადაღებას, გვერდზე გადავდებ და პირმშოს დაბადებისთვის მზადებას მოვახმარ“, — უხარია ანდრეას.

საინტერესოა თაყვანისმცემლები როგორ გადაიტანენ „არგენტინელი მარგალიტის“ შემოქმედებით ანტრაქტს. ცხოვრება კი უფრო მნიშვნელოვან სიუჟეტებს სთავაზობს.

***7 დღე №34***

# ღიმილი განა ყოველთვის სასარგებლოა



მთელ პლანეტაზე ამერიკელები ყველაზე დიდ ოპტიმისტებად არიან ცნობილნი. მათ მხიარულებას ხელს უწყობს ქვეყნის და მოქალაქეთა ცხოვრების საუკეთესო პირობები.

მეცნიერების აზრით, ოპტიმიზმი ყოველთვის არ შეესატყვისება სიტუაციას. როდესაც გული ტირის, საქმე არც ისე კარგად მიდის, მაშინ ხალისიანი განწყობილება, სიცილ-კისკისი, სხვის დასანახად გაბრწყინებული თვალები, მხოლოდ ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას.

ამგვარი ცრუ ოპტიმიზმი, სიმწრის ღიმილი, იწვევს მძიმე ფსიქოლოგიურ დარღვევებს და დეპრესიას. ფსიქოლოგებმა მის აღსანიშნავად საგანგებო ტერმინიც კი შემოიღეს — „პოზიტიური აღქმის ტირანია“.

ამერიკელთა უსარგებლო ოპტიმიზმის ჰიმნია „ნუ ღელავ, იყავ ბედნიერი“.

ადამიანს არა აქვს იმის საშუალება (ან უფლება), თავი ცუდად იგრძნოს.

როცა ადამიანს ცხოვრებაში მძიმე პერიოდი უდგას, მაგრამ ცნობიერება კარნახობს, გაიღიმოს, თავი ყველას მოაჩვენოს, რომ ყველაფერი რიგზეა, იგი ნამდვილად ავადდება. ოპტიმისტი მოულოდნელი მწუხარების დროს უფრო დიდ სტრესს განიცდის.

ამერიკაში მღელვარება არ არის მიღებული, მოდაში ღიმილია. არადა, საჭირო კია, ყური უგდონ ფსიქოლოგებს, რომლებიც ზრუნავენ „მოღიმარე თანამემამულეებზე“ და „ბრიტანული პესიმიზმი“ ირჩიონ...

***იზვესტია №142***

# ბილ კლინტონი 54 წლისაა

54 წლის წინ, 1946 წლის 19 აგვისტოს, ამერიკის პატარა ქალაქ ჰოუპში დაიბადა აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი ბილ კლინტონი. მაშინ მას ერქვა უილიამ ჯეფერსონ ბლაისი — მამის პატივსაცემად, რომელიც მის დაბადებამდე 3 თვით ადრე ავტოკატასტროფაში დაიღუპა. დედამ — ვირჯინია კასიდიმ ჩვილი ბილი თავის მშობლებს დაუტოვა და სასწავლებლად ახალ ორლეანში გაემგზავრა. როცა მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, ბილი უკვე 4 წლისა იყო. შემდეგ ვირჯინია ცოლად გაჰყვა ავტომობილებით მოვაჭრე როჯერ კლინტონს. მამინაცვალმა ბიჭი ღვიძლი შვილივით შეიყვარა, აღზარდა და ბილიც სიამაყით ატარებს მის გვარს.



თავისი 50 წლის იუბილე კლინტონმა აღნიშნა ნიუ-იორკის დიდ დარბაზში, რომელსაც 2.000 სტუმარი ესწრებოდა. წვეულებას თამადობდა ცნობილი მსახიობი ვუპი გოლდბერგი. დღესასწაულის დასასრულს დარბაზში შემოიტანეს ტორტი წარწერით: „Happi Birthday Mr. Prezident“. ამ საღამოს კინორეპორტაჟს უჩვენებდნენ თანამგზავრული არხები აშშ-ის ყველა შტატში, ხოლო გადაცემისა და ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხა — 10 მილიონი დოლარი — გადასცეს დემოკრატიულ პარტიას, რაც დროული აღმოჩნდა ნოემბრის არჩევნების წინ.

შემდეგ კი კლინტონმა კიდევ ერთხელ აღნიშნა ნახევარსაუკუნოვანი იუბილე მყუდრო გარემოში ალბერტ გორთან ერთად. სახელმწიფოს პირველი პირები ცოლებთან ერთად ესტუმრნენ რესტორანს, სადაც მიირთვეს შემწვარი წიწილები და ღორის მწვადები.

შარშან, 19 აგვისტოს ბილმა ზეიმი მოაწყო თეთრი სახლის წინ, მწვანე მდელოზე. ძალიან მხიარულობდა და საქსოფონზეც უკრავდა.

წლევანდელი 19 აგვისტო ბილ კლინტონის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, უკანასკნელი დაბადების დღეა.

***სობესედნიკი №32***

# ასოციაცია



**თარაზულად**: 5. ინდიელი, პარიკი; 6. მიწისძვრა, ოკეანე; 9. სალათი, მსახიობი; 10. საწვავი, ძრავა; 13. დიადემა, თვალი; 15. სიმღერა, ვიდეო; 16. თუთაშხია, პოლიცია; 21. მადანი, ჭა; 22. ტყვია, ზომა; 23. ფირმა, თოფაძე; 24. კასპაროვი, მეტოქე; 28. ჩხიკვაძე, ხეჭეჭური; 31. პოეზია, საკრავი; 32. კვადრატი, სიგრძე; 35. კბილი, გაჯი; 36. ყურძენი, პლანტაცია; 37. წყალი, მილი; 38. მანქანა, ზიანი.

**ვერტიკალურად**: 1. ამბავი, ჩხუბი; 2. ინდოეთი, ხორთუმი; 3. ქალი, ბადე; 4. ზევსი, საკვები; 7. ეკლესია, პური; 8. რუსთავი, ქარხანა; 11. არენა, მანეჟი; 12. რეჟისორი, შინდლერი; 14. მხატვარი, სამოვარი; 17. ხორუმი, ტანგო; 18. შოკოლადი, მასალა; 19. ცხვარი, წიწილა; 20. კომპიუტერი, უჯრა; 25. ბანანი, ქოქოსი; 26. ზუმერი, ყურმილი; 27. მიცვალებული, ხალხი; 29. ძროხა, ინკუბატორი; 30. ქვეყანა, შაში; 33. კრილოვი, ნამცხვარი; 34. მზე, წრფე.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 5. მუნდირი; 6. გვირაბი; 9. წინდა; 11. ადანი; 12. ანტრესოლი; 15. მინორი; 18. ხვიჩია; 19. გარნირი; 20. პარადი; 21. სკაუტი; 25. პლატინა; 26. ანიონი; 27. ფრონტი; 31. კატაფალკა; 33. კლიტე; 34. ნალია; 35. კლიენტი; 36. პოდიუმი.

**ვერტიკალურად**: 1. გუნდა; 2. სირენა; 3. პიკული; 4. აბედი; 7. სინდისი; 8. ანონიმი; 10. სეზონი; 13. პრიმადონა; 14. ავანტიურა; 16. სანდალი; 17. დრაკონი; 22. სინათლე; 23. სტროფი; 24. ლიტანია; 28. მადონა; 29. აკორდი; 30. შტილი; 32. ტაიმი.

## №34 (203) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

34-ე რეიტინგს 617 მკითხველი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 232-მა ქალმა და 377-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„შესაძლებლობის შემთხვევაში სად წახვიდოდით დასასვენებლად?“**

აღმოჩნდა, რომ მკითხველთა უმრავლესობა — 76 — საშუალება რომ ჰქონდეს, აუცილებლად გაემგზავრებოდა კანარის კუნძულებზე. მხოლოდ რესპონდენტთა 1-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. **7,44** საშუალო ქულით, „კანარის კუნძულები“ პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე „ანტალიაა“, საშუალო ქულაა 5,70. ასევე, სიამოვნებით მიაშურებდნენ ჩვენი მკითხველები კვიპროსსა და ბულგარეთს — „ოქროს ქვიშებს“. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა მინიმალური ქულა (0,49) სწორედ მათ დაიმსახურეს.

რაც შეეხება საქართველოს შავი ზღვისპირეთს, როგორც ჩანს, მკითხველთა მცირე ნაწილი დაისვენებდა იქ. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (63) წილად ხვდა „ურეკს“ და რეიტინგშიც ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ „ურეკმა“ და „სოჭმა“ ზუსტად ერთნაირი რაოდენობის მაქსიმალური ქულა (2) დაიმსახურეს.

ყველა ასაკის რესპონდენტთათვის სასურველი დასასვენებელია კანარის კუნძულები, ანტალია და კვიპროსი; რაც შეეხება ქალებისა და მამაკაცების პასუხებში განსხვავებას, მხოლოდ ის არის, რომ ქალებს ოქროს ქვიშები ურჩევნიათ კვიპროსს.




საპრიზოს ზუსტად 17 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები: 39 წლის **ლია მხეიძე,** 50 წლის **ლალი ხატიაშვილი,** 37 წლის **ლიანა ძადაგიშვილი,** 38 წლის **ქეთინო არაბული,** 24 წლის **დავით ბოლაშვილი,** 60 წლის **ლერი ფავლენიშვილი,** 65 წლის **ზაქარია ჭყონია,** 46 წლის **ირაკლი მღვდლიაშვილი,** 27 წლის **გრიგოლ ნოზაძე,** 16 წლის **ნიკა გაგნიძე,** 18 წლის **ლადო იაკობაშვილი,** 51 წლის **თეიმურაზ მახარაძე,** 66 წლის **ზურაბ რთველაძე,** 33 წლის **დავით მამალაძე;** 39 წლის წყალტუბოელი **მათე სულწაძე,** 42 წლის ხაშურელი **ოთარ კელენჯერიძე** და 28 წლის ბაღდათელი **მერაბ მაჭავარიანი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 29 აგვისტოს, 17 საათზე.

## №35 (204) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№35 (204) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 30 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 31 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №35 (204) —
**სახელმწიფო სტრუქტურები**

**თქვენი აზრით, რომელი სახელმწიფო სტრუქტურა (უწყება) მუშაობს დღეს ყველაზე ეფექტურად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№35(204) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| N | სტრუქტურა (უწყება) | ქულა |
|---|---|---|
| 1 | კონტროლის პალატა | |
| 2 | შსს | |
| 3 | საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო | |
| 4 | თავდაცვა | |
| 5 | უშიშროება | |
| 6 | განათლების სისტემა | |
| 7 | სასამართლო | |
| 8 | ჯანდაცვა და სოცუზრუნველყოფა | |

*მკითხველის რეიტინგი* *

**დაასახელეთ, თქვენი აზრით, ყველაზე საამაყო ფაქტი ქართველი ერის ისტორიაში**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

**ჩვენს მკითხველს — ბატონ ზურაბ წირღვავას**

იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თქვენ დაარღვიეთ რეიტინგის ბარათის შევსების წესი, თქვენი ბარათი №33(202) ვერ დაემთხვა საპრიზო ვარიანტს.

თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ ბავშვებისათვის საუკეთესო გასართობი კომპიუტერული თამაშებია, მისთვის უნდა დაგეწერათ 8 ქულა და არა — 1, როგორც ეს თქვენს ბარათში იყო; მომდევნოს, რომელსაც თქვენ უპირატესობას ანიჭებთ — 7 (და არა — 2). გირჩევთ, ყურადღებით გაეცნოთ ბარათის შევსების წესს. გისურვებთ წარმატებებს!

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას 592-მა რესპონდენტმა უპასუხა. კითხვა **საგადასახადო ინსპექციის ახალ (გამოცდაჩაბარებულ) მოხელეებს** შეეხებოდა. რესპონდენტთა მხოლოდ 3 მიიჩნევს, რომ გამოცდაჩაბარებული მოხელეები იზრუნებენ ბიუჯეტზე; 21-ის აზრით, ისინი ჯერ ბიუჯეტზე იზრუნებენ და შემდეგ საკუთარ ჯიბეზე; რესპონდენტთა 49 კი ფიქრობს, რომ საგადასახადო ინსპექციის ახალი თანამშრომლების ზრუნვის საგანი, ჯერ საკუთარი ჯიბე და შემდეგ საქართველოს ბიუჯეტი იქნება; მკითხველთა 27 კი აცხადებს, რომ ისინი მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე იზრუნებენ.




## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



თემურ ჭყონია, ზურაბ ჟვანია

**მ.მ.** — ნეტა ხალხი რას დაგვარქმევს? სამ მუშკეტერს?
**კ.თ.**— მე და ვახოს კი, მაგრამ შენ ვისი მხრიდანა ხარ?
**მ.მ.** — ედუარდ დარტანიანის მხრიდან.

***ფუნჩულა ნადირაშვილი, თბილისი***

ვახო ბჭობს, კახა ფრჩხილს იკვნეტს,
ფიქრებში არის მიშაო,
სამთავემ კარგად იციან:
ვინ ვისი არის „კრიშაო“.

***რეზო სვანიძე, თბილისი***

მარაბდაში მდგარი ქანდაკება — „კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი“. შესრულებულია ახალ სტილში.

***„კონტრა“, ქ. რუსთავი***

მიირთვით ბატონო, რაც გნებავთ, მაინც ვერავინ მოგვთხოვს პასუხს.

***„მეკობრე“, თბილისი***

ვახო საქმეში,
მიშა პოზაში,
კახა ლომკაში.

***ტ. მელიქიძე, თბილისი***

**ვ.ქ.** — კახა, თუ ძმა ხარ, მართლა შენი მითითებით მოაჭრეს თითი პოლიციელებმა „ეკოდაიჯესტის“ ჟურნალისტს?
**კ.თ.** (გაბრაზებული პირში იტენის თითს და გამწარებული ამბობს): — აჰა, მზად ვარ, მეც ისე დავიტანჯო, როგორც ის უბედური სილაგაძე, ახლა ვნახოთ, რას იტყვიან ჩემზე ჟურნალისტები.
**მ.მ.** — იტყვიან, აბდალაძემ მოაჭამაო.

***სოსო ცირგაია, თბილისი***



კახა თარგამაძე, მიხეილ მაჭავარიანი და ვახტანგ ქუთათელაძე

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 132 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ვ.ქ.** — მიშა, შეხედე რას წერს ეს ქალბატონი (სარიშვილი) — „ყველა სიკეთესთან ერთად პოლიციის შეფი ბავშვებსაც რა მაგალითს აძლევს“. ვერ გამიგია ბავშვები რა შუაშია. ნუთუ შეიძლება ამდენი ცილისწამების ატანა.

***ვოვა დავითაია, თბილისი***

**მ.მ.** — აი, სათვალეც გავიკეთე და ვიწყებ თქვენი ხელების დათვალიერებას, ფრჩხილები დაჭრილი გაქვთ? აბა, ჯერ შენი მანახე, კახა!
**კ.თ.** — აუ, ჯერ ვახოსი ნახე, რა...

***დათო დარბაიძე, გორი***

**ვ.ქ.** — თარგამაძე ხალხს აჩვენებს, რომ მშიერია(!)

***ნიკა შაიშმელაშვილი, თბილისი***

საქეიფოდ წასასვლელად რესტორნის შერჩევა მიხეილ მაჭავარიანის ხარჯზე.

***გივი კაციტაძე, თბილისი***

**კ.თ.** — ბიჭებო, მგონი, მენძრევა.
**ვ.ქ.** — რაა?
**კ.თ.** — კბილი, ბიჭო, კბილი.

***გამომგონებელი, თბილისი***

„სოლიდარობის თარგამაძისეული გამოცხადება სეკვესტრირებულ ბიუჯეტს“.

***გუჩი, თბილისი***

Лебедь, рак да щука.

***რეზო კუპატაძე, წყნეთი***

**ვ.ქ.** — ბიჭებო, ბიჭებო, (კითხულობს „კვირის პალიტრას“) საშუალება რომ გქონდეთ(!) სად წახვიდოდით დასასვენებლად?

***პაპუნა, რუსთავი***

„ბერმუდის სამკუთხედი“

***ილია, თბილისი***

**კ.თ.** — ა-7!
**ვ.ქ.** — დაიჭრა.
**კ.თ.** — ა-8!
**ვ.ქ.** — ჩაიძირა.
**მ.მ.** — მეც მათამაშეთ, რა.
**კ.თ.** — შენ ჯერ პატარა ხარ, თან გემიც არა გყავს...

***უპატრონო თბილისელი***

## ფოტო განცხადებისათვის



„კვირის პალიტრის" ცოცხალი რეკლამა ოკეანეში



ნარკომანი ტყეში სეირნობს. ხვდება ბაყაყი:

— მე მოჯადოებული მეფის ასული ვარ, მაკოცე და ულამაზ- ეს ქალად გადავიქცევი, — უთხრა ბაყაყმა.

— რაში მჭირდება ლამაზი ქალი! მოლაპარაკე ბაყაყი კი, მაგარი კაიფია...

**მაგნიტური დღეები**

6/IX $8^{00}$–$10^{00}$ სთ-მდე

9/IX $19^{00}$–$21^{00}$ სთ-მდე

5/IX ◐ პირველი მეოთხედი

## წინა სკანვორდის პასუხები



## წამალი „სალხინო" — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო"**

„კვირის პალიტრის" **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე"** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში"** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. **ყუთები იცლებ[illegible] თ[illegible]ლისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან**. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლ[illegible]ენის [illegible]ველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის [illegible]ან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბ[illegible] [illegible]ოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პ[illegible] 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით ა[illegible] და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის [illegible]დიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედან[illegible]ში კ.თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან და „თელასთან"; დიდ[illegible] [illegible]ო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე [illegible]ან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნი[illegible] I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისშ[illegible] ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუ[illegible]ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

***ქალაქებში და [illegible]*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთ[illegible]ალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი[illegible]თი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღ[illegible]რელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი; [illegible] **„სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან**. ბო[illegible] და ახმეტაში **ყუთები დაიცლება ყოველი თვის I და III კვირას, ოთხშაბათ[illegible]დან.***

**ყურადღე[illegible] [illegible]ირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპო[illegible]ო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია [illegible]ით.©**

### 35 უ[illegible] განცხადების ქვითარი

განცხადების ტ[illegible]სტი ____________

სიტყვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№35 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 31 აგვისტოს (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.




## ვანგამ „კურსკის" დაღუპვა იწინასწარმეტყველა

აი, უკვე ორი კვირაა, რუსეთი სულგანაბული ელოდება ბარენცის ზღვიდან მოვლენების განვითარებას...

საქმე ის არის, რომ 1999 წლის დასაწყისში ცენტრალური ტელევიზიის პროგრამით გადაიცა ბულგარელი ნათელმხილველის — ვანგას პროგნოზები — 2000 წლისათვის. სხვა პროგნოზებს შორის, უსინათლო ვანგას უთქვამს, რომ საუკუნის დასასრულს კურსკი წყლის ქვეშ აღმოჩნდება და მთელი მსოფლიო დაიტირებსო. ასრულების თარიღი — აგვისტო დაასახელა. ქალაქ კურსკის მცხოვრებლებმა ეს ფაქტი იუმორით მიიღეს: — რა სისულელეა, როგორ აღმოჩნდება ტყე-სტეპის ქალაქი წყლის ქვეშ? — გაიძახოდა კურსკის მოსახლეობა.



ახლა კი ყველას მოაგონდა ვანგას ნათქვამი. აღსრულდა მისი საშინელი წინასწარმეტყველება...

იქნებ სჯობდეს, თავიდან გადავხედოთ ნათელმხილველის სხვა პროგნოზებს...



ქმარი კითხულობს გაზეთს.

— წარმოგიდგენია — ეუბნება ცოლს — დაუანგარიშებიათ, რომ კაცი დღეში თურმე 2200 სიტყვას ამბობს, ქალი — 4400-ს.

— ეგ იმიტომ, რომ კაცებს ორჯერ უნდა გაგიმეოროთ ყველაფერი.

— როგორ, როგორ?

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**
**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**
**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი. სარედაქციო კოლეგია.**
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44
palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge
**სარეგისტრაციო ნომერი 1518**
**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".

შავი ყვითელი ლურჯი წითელი